რევაზ გველესიანი ირინა გოგორიშვილი
გულნაზ ერქომაიშვილი ეკა ლეკაშვილი
ლალი ხურცია გიორგი გაფრინდაშვილი

ეკონომიკური პოლიტიკა

წიგნი II

ეკონომიკური
პოლიტიკა

წიგნი II

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი,
გულნაზ ერქომაიშვილი, ეკა ლეკაშვილი,
ლალი ხურცია, გიორგი გაფრინდაშვილი

ეკონომიკური პოლიტიკა

წიგნი II

სახელმძღვანელო

მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო შედგება ორი წიგნისაგან. პირველ წიგნში განხილულია ეკონომიკური პოლიტიკის საგანი, მიზანი და ამოცანები, ეკონომიკური წესრიგის, კონკურენციის, საფინანსო, ფულადი, განაწილების პოლიტიკის (შემოსავლებისა და სოციალური პოლიტიკის) სტრატეგიები და წინააღმდეგობები, ხოლო მეორე წიგნის სტრუქტურა მოიცავს შრომის ბაზრისა და დასაქმების, საგარეო, გარემოს დაცვის, აგრარული, განვითარების და ციფრიზაციის ეკონომიკური პოლიტიკის თემებს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე დაინტერესებს უმაღლესი სასწავლებლების პროფესურას და სახელმწიფოს ეკონომიკურ სტრუქტურებში დასაქმებულ სპეციალისტებს.

რედაქტორი **ელგუჯა მექვაბიშვილი,** პროფესორი

რეცენზენტები: **თეიმურაზ ბერიძე,** პროფესორი
იოსებ არჩვაძე, პროფესორი

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

საავტორო უფლებები დაცულია. ავტორების წერილობითი ნებართვის გარეშე, წიგნის გადაბეჭდვა ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ასლგადამღები, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით, არ შეიძლება.

© რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, გ. ერქომაიშვილი,
ე. ლეკაშვილი, ლ. ხურცია, გ. გაფრინდაშვილი, 2022

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2022

ISBN 978-9941-491-45-0 (I და II წიგნის)
ISBN 978-9941-491-47-4 (II წიგნის)

წინასიტყვაობა

ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს პრინციპულად ახალ სამეცნიერო და სასწავლო მიმართულებას, რომელიც XXI საუკუნის ეკონომიკის პოლიტიკოსთა მომზადებას უზრუნველყოფს. მასში ერთმანეთს ერწყმის ეკონომიკური და პოლიტიკური ცოდნა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს და მისი ეკონომიკის განვითარების ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებისათვის. ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტმა უნდა შეძლოს ინდივიდუალური და კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებისათვის ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ლოგიკური ანალიზი, ემპირიული გამოკვლევა და ნორმატიული დასაბუთება.

ეკონომიკური პოლიტიკის კურსის დაუფლება მრავალ ცხოვრებისეულ სიტუაციაში მისი რეკომენდაციების გამოყენებისა და წარმატებული ეკონომიკური საქმიანობის საშუალებას იძლევა. ეკონომიკური პოლიტიკის კურსი გულისხმობს ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სტრატეგიული მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებას, რომლებმაც უნდა შეძლონ საზოგადოებაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების თეორიული ანალიზი და ამის საფუძველზე სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების პრაქტიკაში რეალიზება.

ეკონომიკური პოლიტიკის სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა სახელმწიფო და ბიზნესსტრუქტურებში, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში, კორპორაციებსა და კონსალტინგურ ცენტრებში. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსი მნიშვნელოვნად სცილდება ცალკეული დისციპლინების საზღვრებში შემუშავებული პოლიტიკის მასშტაბებს, მათ შორის სტაბილიზაციის, საფინანსო, ფულად, განაწილების, საგარეო, აგრარულ, სავაჭრო და სხვა სახის პოლიტიკას. ფაქტობრივად, ეკონომიკური პოლიტიკა სხვადასხვა სახის პოლიტიკათა მაინტეგრირებელი სისტემური ხასიათის ფენომენია.

ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელოს შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ეს განპირობებულია ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრირების სურვილით, რომელიც ერთადერთი რეალური გზაა სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესების რეალიზაციისათვის. ამ გზაზე წარმატებული ორიენტაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ტერიტორიულ მოწყობასა და ეკონომიკური პოლიტიკის მოდელის არჩევანს ენიჭება. აქედან გამომდინარე, ავტორებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს გერმანიის, როგორც ფედერალური მოწყობისა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის, ეკონომიკური პოლიტიკის მოდელის ანალიზი.

სახელმძღვანელო წარმოადგენს ცნობილ უცხოელ მეცნიერთა (Juergen B. Donges, Andreas Freytag, Manfred E. Streit, Walter A. S. Koch, Christian Czogalla, Guy Kirsch, Paul R. Krugman, Maurice Obstfeld, Wolfgang Franz, Thomas Wagner, Gustav Dieckheuer, Karl-Hans Hartwig, Werner Lachmann,

Reiner Klingholz, Sachs Jeffrey D., Sahra Wagenknecht, Jeremy Rifkin, Susan Baker, Thomas Piketty) მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების შემოქმედებითი გააზრების შედეგს. მასში მოცემული რიგი მიდგომები, დებულებები და დასკვნები ავტორთა ხანგრძლივი ძიებისა და კვლევის პროდუქტია. მეორე წიგნის მეათე თავზე მუშაობისას საინტერესო მასალა მოგვაწოდა ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა [ზურაბ რევიშვილმა].

ავტორები დიდ მადლობას უხდიან ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის დოქტორანტს ტარიელ ლომიას ამ სახელმძღვანელოზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა ეფუძნება სასწავლო პროგრამას, რომელიც დადებითად შეფასდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის სახელმწიფო პოლიტიკის კვლევების დეპარტამენტის დირექტორის, პროფესორ James A. Leitzel-ის და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის Wolfgang Weng-ის მიერ.

რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი,
გულნაზ ერქომაიშვილი, ეკა ლეკაშვილი,
ლალი ხურცია, გიორგი გაფრინდაშვილი

თბილისი,
8 თებერვალი, 2021 წ.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5
თავი 7. შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა 9
შესავალი 9
არსებული მდგომარეობის ანალიზი 10
თეორიული საფუძველი 17
შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები 25
შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის გამტარებლები 27
შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები 28
შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი 29
შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში 30
თავი 8. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა 43
შესავალი 43
არსებული მდგომარეობის ანალიზი 46
თეორიული საფუძველი 52
საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები 62
საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები 76
საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები 82
საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი 87
საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში 88
თავი 9. გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა 94
შესავალი 94
არსებული მდგომარეობის ანალიზი 97
თეორიული საფუძველი 100
გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები 105
გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები 110
გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები 113

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი ... 123
გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში ... 126
თავი 10. აგრარული პოლიტიკა ... 138
შესავალი ... 138
არსებული მდგომარეობის ანალიზი ... 140
თეორიული საფუძველი ... 148
აგრარული პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები ... 152
აგრარული პოლიტიკის გამტარებლები ... 155
აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტები ... 157
აგრარული პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი ... 159
აგრარული პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში ... 167
თავი 11. განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა ... 179
შესავალი ... 179
არსებული მდგომარეობის ანალიზი ... 180
თეორიული საფუძველი ... 185
განვითარების პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები ... 192
განვითარების პოლიტიკის გამტარებლები ... 200
განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტები ... 202
განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი ... 218
განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში ... 220
თავი 12. ციფრიზაციის ეკონომიკური პოლიტიკა ... 229
შესავალი ... 229
არსებული მდგომარეობის ანალიზი ... 229
თეორიული საფუძველი ... 232
ციფრიზაციის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები ... 235
ციფრიზაციის პოლიტიკის ინსტრუმენტები ... 250
ციფრიზაციის პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი ... 283
ციფრიზაციის პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში ... 284
გამოყენებული ლიტერატურა ... 303

თავი 7
შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა

შესავალი

შრომის ბაზარი მრავალი წელია ყველა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საზრუნავს წარმოადგენს. მაღალი უმუშევრობა, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, არასაკმარისად მოქნილი სამუშაო დრო, ხელფასის სიდიდე და ა.შ. თანამედროვე დებატების აქტუალური თემებია, რომლებმაც თავი იჩინა ბოლო პერიოდში განვითარებული ეკონომიკური კრიზისების ფონზე.

საწყის ეტაპზე ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ შრომის ბაზრის და დასაქმების პოლიტიკის ცნებები. შრომის ბაზრის პოლიტიკა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია კონკრეტულ შრომის ბაზარზე სამუშაო პირობების (შრომის ანაზღაურება, სამუშაო დრო, შრომის დაცვა და ა.შ.) შექმნისკენ და მიკროეკონომიკურ მიდგომას ემყარება. დასაქმების პოლიტიკაზე მსჯელობა კი მაკროეკონომიკურ მიდგომას და **კეინზიანურ** თვალსაზრისს ეფუძნება, რომლის მიხედვითაც დასაქმების სიდიდე ერთობლივი მოთხოვნით განისაზღვრება. მოკლე განმარტებით, დასაქმებაში ეკონომიკაში გამოყენებული სამუშაო ძალის ერთობლიობა იგულისხმება. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკა განსხვავებული სახის ინსტრუმენტებსა და აქტივობებს მოიცავს, მათ აქვთ ერთნაირი მიზანი – დასაქმების მაღალი დონის მიღწევა და მისი შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, მიმდინარე თავში ჩვენ ორივე სახის პოლიტიკას განვიხილავთ.

ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ სრული დასაქმება მაშინ მიიღწევა, როდესაც ყველა პოულობს სამუშაო ადგილს მისთვის მისაღები შრომის ანაზღაურებით. დასაქმების წინაპირობაა სამუშაოს მაძიებელში მუშაობის სურვილის არსებობა, შრომის უნარის განკარგვის მოტივი და, ასევე, შესაბამისი სამუშაო ადგილების შეთავაზება. თუ ეკონომიკურ სისტემაში საბაზრო პროცესებით სრული დასაქმება ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება უნდა მოხდეს. შრომის ბაზრის მთლიანობაში განხილვა შესაძლებელია თეორიაში, მაგრამ პრაქტიკა მოითხოვს მის კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მათ შორის: (1) დასაქმებულთა კვალიფიკაცია (არაკვალიფიციური, პროფესიული, სპეციალური ან უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალა); (2) სამართლებრივი კრიტერიუმი (სამართლებრივი სტატუსის მიხედვით: მუშა, მოსამსახურე, მოხელე; სამუშაოდან გათავისუფლებისაგან დაცვის მექანიზმების მიხედვით: ინვალიდი, ფეხმძიმე და ა.შ.); (3) პერსონალური მონაცემები (სქესი, ასაკი, მოქალაქეობა); (4) გეოგრაფიული მიკუთვნება (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, საერთაშორისო შრომის ბაზრები) და ა.შ.

პრაქტიკაში აქცენტი კეთდება პირველად და მეორად შრომის ბაზარზე. ყველა დასაქმებული პირი, რომელიც შრომის სამართლებრივ ან სატარიფო ხელშეკრულების წესებს დაექვემდებარება, პირველად შრომის ბაზარს მიეკუთვნება. ბოლო წლებში განვითარდა შრომის ბაზრის სისტემები, ე.წ. მეორადი შრომის ბაზრები, რომელშიც შედის „სამუშაო ადგილების შექმნის ზოგადი ღონისძიებები", ასევე, დაუსაქმებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ან კვალიფიკაციის შეცვლა. მეორადი შრომის ბაზრის ცნება დამატებითი ან დროებითი დასაქმების შემთხვევებშიც გამოიყენება.

უმუშევრობის წარმოშობას სამი განსხვავებული მიზეზი განაპირობებს: სტრუქტურული უმუშევრობა მიკროეკონომიკური მოდელის ფუნქციების დარღვევით აიხსნება (შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებით); კონიუნქტურული უმუშევრობა განპირობებულია შრომის მიკრობაზრების (დარგების ან რეგიონების მიხედვით დასაქმების ცალკეული ბაზრების) უკურეაქციით ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაზე; ციკლური უმუშევრობა დასაქმების, საქონლის და ფულის ბაზრებზე წონასწორობიდან გადახვევის შედეგია, რომელსაც ეკონომიკურ ციკლებს შორის კავშირი განაპირობებს.

წინამდებარე თავში განვიხილავთ შრომის ბაზარზე არსებულ ზოგად ვითარებას და მოვახდენთ იმ ძირითადი მიზეზების სისტემატიზაციას, რომლებიც დასაქმების დაბალ დონეს განაპირობებენ. ამასთან, განვიხილავთ შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტებს და გამტარებლებს.

არსებული მდგომარეობის ანალიზი

ზოგადი მდგომარეობა. ქვეყნების ეკონომიკა მუდმივ სტრუქტურულ გარდაქმნებს განიცდის. ამასთან, ტექნოლოგიური პროგრესი წარმოების მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცვლილებებს იწვევს, ხოლო მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები ადგილობრივ ბაზრებზე კონკურენციის ინტენსიურობას ზრდის. სტრუქტურულ კრიზისს ტრადიციული სამრეწველო დარგები (მსუბუქი და ტყავის მრეწველობა, გემთმშენებლობა) განიცდიან, თუმცა ვითარდება საქონლის და მომსახურების წარმოების სრულიად ახალი დარგები (ბიოტექნოლოგია, გენური ინჟინერია, ელექტრონული მედია და ა.შ.). ამასთან, მსოფლიო პროდუქტის ღირებულების შექმნაში გადამამუშავებელი მრეწველობის წილის შემცირების ტენდენციის პარალელურად, ყოველწლიურად იზრდება მომსახურების სფეროს წილი. სტრუქტურული ცვლილებები აისახება არა მარტო შრომის ბაზარზე, არამედ დასაქმებისა და დასაქმებულთა კვალიფიკაციის სტრუქტურის მიმართ მოთხოვნებზე. დასაქმების დონეში ცვლილებები შეიძლება მაკროეკონომიკური აგრეგატების (კერძო მოხმარება, შიგა ინვესტიციები, სახელმწიფო ხარჯები, ექსპორტი) ცვლილებიდანაც გამომდინარეობდეს. მაგალითად, თუ ეცემა ადგილობრივი წარმოების საქონელზე მოთხოვნა, მაშინ შრომის ბაზარზე საჭიროა უფრო ნაკლები სამუშაო ძალა, ხოლო მზარდი ექსპორტის შემთხვევაში – მეტი.

საბაზრო ეკონომიკაში ასეთ პროცესებს მნიშვნელობა იმიტომ ენიჭება, რომ ის დასაქმებულები, ვინც კაპიტალს არ ფლობენ, დამოკიდებულნი არიან შემოსავლის მიღებაზე შრომის შედეგის მიხედვით. ისინი თავიანთ შრომით უნარებს შრომის ბაზარს ხელფასის ან ანაზღაურების სანაცვლოდ აწვდიან, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაცია, რომელიც დამსაქმებლებს სჭირდებათ.

რეალური შემოსავალი შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. იგი მოიცავს საქონლისა და მომსახურების იმ რაოდენობას/მოცულობას, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნას არსებული ფულადი შემოსავლით. რეალური ხელფასი განისაზღვრება ნომინალური ხელფასის შეფარდებით სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების ინდექსთან.

შრომის ბაზარს თეორიული ანალიზის სირთულის გამო ხშირად ჰომოგენური სახით განიხილავენ. სინამდვილეში მთელი რიგი სხვადასხვაგვარი შრომის ბაზრები არსებობს. ზოგადად, სხვა ბაზრების მსგავსად, შრომის ბაზარზეც წონასწორობა საბაზრო მექანიზმით მიიღწევა. მთლიანად ეკონომიკაში შრომის ბაზრის ყველა სეგმენტში ერთდროულად ასეთი წონასწორობის მიღწევა შეუძლებელია. თუ არსებული ხელფასების პირობებში შრომის მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, მაშინ წონასწორობა დარღვეული იქნება და საქმე უმუშევრობასთან გვექნება. ამის საპირისპიროდ, შესაძლებელია, არსებობდეს ჭარბი დასაქმების პრობლემაც. დიაგრამა 1 გვიჩვენებს უმუშევრობის დონეს ქვეყნების მიხედვით, მათ შორის საქართველოში 2017 წლის მდგომარეობით.

დიაგრამა 1



წყარო: http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202018.21.05_pres-relizi_GEO.pdf (გვ. 8)

მიკროეკონომიკური ანალიზის მიხედვით, შრომაზე მოთხოვნა ან დასაქმებულთა ხელახლა დასაქმება ეკონომიკურად გამართლებული უნდა იყოს.

თეორიულად ეს მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ზღვრული პროდუქტის ღირებულება, რომელსაც ახალდასაქმებული დროის ერთეულში აწარმოებს, მისთვის იგივე დროის ერთეულში გადახდილ ხელფასზე მეტი ან ტოლი იქნება.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, აღნიშნული საკითხის დასმა მთლიანად ეკონომიკაში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვას და საერთოდ, დასაქმების ანალიზს ეფუძნება. ეკონომიკური ზრდიდან ზოგადად მოსალოდნელია დასაქმების ზრდა. თუ მსპ-ის მოკლევადიანი ცვლილებები და მთელი ეკონომიკის მასშტაბით საწარმოო პოტენციალის დატვირთვის რყევები აღინიშნება, მაშინ საქმე კონიუნქტურის ცვლილებას ეხება. რადგან ამ პროცესში გარკვეული ტიპური სიტუაციები მეორდება, ამიტომაც მათ კონიუნქტურული ციკლები ეწოდება. დასაქმების რყევები კონიუნქტურულ ცვლილებებთან თანხვედრაშია. აღმავლობის ფაზაში წარმოებისა და გასაღების ჯერ ნელი, შემდეგ კი ძლიერი ზრდის პროცესი იჩენს თავს. მოგება შედარებით სწრაფად იზრდება, რადგან ბაზარზე უფრო მაღალი ფასები შეიძლება ჩამოყალიბდეს, ხოლო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის გაზრდით საწარმოო ხარჯები შემცირდეს. შემცირებული დანახარჯები სტიმულს აძლევს მზარდ საინვესტიციო საქმიანობას, რის გამოც უმუშევრობა იკლებს, ანუ დასაქმება იზრდება. ბუმის პირობებში ეკონომიკა ინტენსიური (მაგრამ უკვე შემცირების ტენდენციის მქონე) საინვესტიციო საქმიანობით, უმუშევრობის დაბალი დონითა და ფასების განუხრელი ზრდით ხასიათდება.

ბუმი, ჩვეულებრივ, შემდგომ დაღმავალ ფაზაში (რეცესია) გადადის. იწყება ეკონომიკური აქტივობის დაცემა. მცირდება მოთხოვნა, მიწოდება და მოგებაც, იზღუდება ახალი ინვესტიციები, იკლებს დასაქმება. კრიზისის დროს უმუშევრობა ყველაზე მაღალია, ხოლო საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა – ყველაზე მცირე.

წარმოდგენილი კონიუნქტურულ ცვლილებათა ძირითადი ციკლი „კლასიკური“ ნიმუშის სახით მთელ ეკონომიკაში შეიმჩნევა. ამასთან, კონიუნქტურის ცალკეულ ფაზებს შორის საზღვრები მკაფიო არ არის. თუ მოკლევადიან აღმავლობას მოჰყვება ხელახალი რეცესია, მაშინ საქმე „ორმაგ სიღრმეზე“ („Double-deep’’) ვარდნასთან გვაქვს. კონიუნქტურის ცვლილების პროცესში დასაქმებაში შეიძლება შედარებით დიდი სექტორული (მაგალითად, საავტომობილო მრეწველობას, ქიმიურ მრეწველობას, მშენებლობას და წვრილ მეწარმეობას შორის და ა.შ.) და რეგიონული განსხვავებები არსებობდეს. ამას ემატება ისიც, რომ უმუშევრობა, რომელიც მანამდე საერთო ეკონომიკური, კონიუნქტურული პროცესის მიმართ პარალელურ (მცირედი ჩამორჩენით) ცვლილებებს ავლენდა, ამჯერად საერთო განვითარების პროცესისგან განცალკევებულად გვევლინება. მართალია, დაღმავლობის ფაზაში უმუშევრობა მატულობს, მაგრამ აღმავლობის ფაზაში ის თავის წინანდელ მდგომარეობას ვეღარ უბრუნდება. ეს რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა განვითარებულ ქვეყნებში რეალური მსპ-ს ზრდის 2%-ზე მაღალი დონის მიღწევა. თუ ის

დაბალია, მაშინ საწარმოები ცდილობენ სამუშაო ძალაზე თავიანთი დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილება რაციონალიზაციით, რეორგანიზაციით ან კიდევ დასაქმებულთა სამუშაო დროის გაზრდით მოახდინონ.

შრომის ბაზარზე მიმდინარე პროცესების განვითარებაზე ყველაზე მეტად დემოგრაფიული ცვლილებები აისახება. დემოგრაფიული მდგომარეობა საბოლოოდ შრომის ერთობლივ მიწოდებას განსაზღვრავს. მოსახლეობის ზრდაზე რიგი ფაქტორები ახდენენ გავლენას, როგორებიცაა სქესობრივი, ასაკობრივი სტრუქტურა და მიგრაცია (იმიგრაცია და ემიგრაცია).

ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე დისკუსიის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მწარმოებლურობას, რომელიც წარმოების ყველა ფაქტორის ერთობლივი მოქმედების შედეგია. მწარმოებლურობა დასაქმებულთა არა მარტო რაოდენობითა და კვალიფიკაციით განისაზღვრება, არამედ გამოყენებული კაპიტალითაც. მწარმოებლურობა ზოგადად ხელფასის ზრდის მნიშვნელოვან პირობად ითვლება. თუ საშუალო ხელფასის ზრდა ორიენტირებულია შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაზე, მაშინ გარკვეულ პირობებში შეიძლება თავიდან ავიცილოთ ფასების დონის ზრდა. მწარმოებლურობაზე ორიენტირებული სახელფასო პოლიტიკის დანიშნულება მაღალი დასაქმების მდგომარეობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ხელფასი შრომის მწარმოებლურობის დონის შესაბამისად იცვლება, სახელფასო პოლიტიკა დასაქმების სიტუაციაზე არ ზემოქმედებს. შრომის მწარმოებლურობის დონის ზრდის შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა დავაზუსტოთ, რომელი ხელფასი იზრდება: ნომინალური თუ რეალური. მხოლოდ ნომინალურ ხელფასზე ორიენტაციისას, დასაქმებულს ფასების ზრდის გამო კომპენსაცია არ ეძლევა. რეალურ ხელფასზე ორიენტაციის შემთხვევაში კი ისინი სრულ კომპენსაციას იღებენ. ამრიგად, სახელფასო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული დასაქმებასა და ფასების სტაბილურობასთან.

შრომის ბაზრის პოლიტიკის ინდიკატორები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამუშაო ძალის სტატისტიკას აწარმოებს შინამეურნეობების გამოკვლევის საფუძველზე. 1998-2016 წლებში სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამუშაო ძალის გამოკვლევად. 1998-2016 წლებში შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შერჩევის ზომას შეადგენდა დაახლოებით 3,400 შინამეურნეობა კვარტალში, ხოლო 2017 წლიდან სამუშაო ძალის გამოკვლევის შერჩევის ზომა გაიზარდა დაახლოებით 6000 შინამეურნეობამდე კვარტალში.

სამუშაო ძალის გამოკვლევას ექვემდებარება კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის წევრები, გარდა: 1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და მეტი პერიოდის განმავლობაში; 2. სამხედრო პირებისა (წვევამდელები და სამხედრო პირე-

ბი), რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში; 3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებში და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები და განმარტებები არ არის დადგენილი საქსტატის მიერ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით. იგი ეფუძნება შემდეგ განმარტებებს:

ეკონომიკურად აქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება (დასაქმებული და უმუშევარი პირები).

დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ შინამეურნეობის სხვა წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დაქირავებული – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებული – მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

ეკონომიკურად არააქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში. აგრეთვე პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით), ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი, რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივვადიანი შრომითი ხელშეკრულება, ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა, ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს, ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე, გასაყიდად. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ასეთი პირები ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და, შესაბამისად, საქსტატის მეთოდოლოგიით, დასაქმებულად ითვლებიან.[1]

საქართველოს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმაში[2] ვკითხულობთ:

„დასაქმების სახელმძღვანელო პრინციპები ევროპაში (ევროპა 2020 წლის სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპების მე-2 ნაწილი) აქცენტს აკეთებს დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელებაზე. შრომის ბაზრის სერვისები მოიცავს დასაქმების საჯარო სამსახურის მიერ განხორციელებულ ყველა სერვისსა და აქტივობას, ამ უკანასკნელში შედის, ასევე საჯარო დაფინანსებით განხორციელებული ნებისმიერი პროგრამა სამუშაოს მაძიებელთათვის. შრომის ბაზრის სხვადასხვა ღონისძიება/ზომა კი, თავის მხრივ, მოიცავს უმუშევართა და სხვა სამიზნე ჯგუფების გააქტიურებაზე მიმართულ ღონისძიებებს, რაც მოიცავს ტრენინგს, სამუშაო ადგილზე როტაციას და სამუშაოს დანაწილებას, დასაქმების წახალისებას, მხარდაჭერით დასაქმებასა და რეაბილიტაციას, სამუშაო ადგილის პირდაპირ შექმნასა და მეწარმეობის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში შრომის ბაზრის პოლიტიკა ექსკლუზიურად ფოკუსირდება შრომის ბაზარზე არსებულ კონკრეტულ ჯგუფებზე, როგორებიცაა: უმუშევრები, დასაქმებულები,

[1] https://www.geostat.ge/media/20612/samushao-dzalis-gamokvleva-%28geo%29.pdf

[2] საქართველოს მთავრობის დადგენილება 167, 2016 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი.

რომლებიც სამუშაოს არანებაყოფლობითი დაკარგვის რისკის წინაშე დგანან და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, რომელსაც სამუშაოს დაწყება სურს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) შრომის ბაზრის აქტიურ პოლიტიკას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა არის ნებისმიერი სოციალური დანახარჯი (განათლების სფეროს გარდა), რომელიც მიმართულია იმაზე, რომ ბენეფიციარს გაეზარდოს დასაქმების ან შემოსავლის მიღების შესაძლებლობა". ეს პოლიტიკა მოიცავს დასაქმების საჯარო სამსახურსა და ადმინისტრაციაზე გაწეულ ხარჯს, მომზადება/გადამზადების პროგრამებს, სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის წამახალისებელ სპეციალურ პროგრამებს ახალგაზრდებისათვის, პროგრამებს, რომლებიც უმუშევარ ადამიანებს ეხმარება სამუშაოს პოვნაში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალურ პროგრამებს.

დასაქმების პოლიტიკის ინდიკატორები. კონიუნქტურული ციკლის ცალკეული ფაზების ანალიზი შესაძლებელია მთელი რიგი ეკონომიკური სიდიდეების ცვლილებით (კონიუნქტურის ინდიკატორები). მათი კლასიფიკაცია იმის მიხედვით ხდება, უსწრებენ თუ არა ისინი კონიუნქტურული განვითარების ციკლს (ადრეული ინდიკატორები), ასახავენ თუ არა მიმდინარე განვითარებას (მიმდინარე ინდიკატორები) და განვითარების გრძელვადიან პერიოდს (გვიანდელი ინდიკატორები). ასეთი ინდიკატორების დადგენა და ანალიზი ეკონომიკური პოლიტიკის დიაგნოზის შემადგენელი ნაწილია. მათ, შრომის ბაზრის პოლიტიკის ინდიკატორებთან მიმართებით, ხშირად შემავსებელ ინდიკატორებად განიხილავენ. თუ დასაქმებაში მოსალოდნელი ცვლილებების გამოცნობა წინასწარ შესაძლებელია, მაშინ სასურველია, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები (თუკი ისინი საერთოდ მისაღები იქნება ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის თვალსაზრისით). თუ შრომის ბაზარი დროში დაყოვნებით რეაგირებს – საქმე ეხება ე.წ. გვიანდელ ინდიკატორს. აღმავლობის ფაზაში, ფირმები, პირველ რიგში, შეეცდებიან, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა გაზარდონ მეტი დამატებითი სამუშაო საათებით. დაღმავლობის ფაზაში სამსახურებიდან გათავისუფლება მაშინვე არ ხდება, რადგან, პირველ რიგში, ამ პროცესის ხანგრძლივობის გარკვევას ელოდებიან. ყოველი დათხოვნილი მუშაკი გარკვეული ღირებულების მატარებელია, მაგრამ, ასევე, ყოველი ახალდასაქმებული, ხელფასის გარდა, მისი შრომის პროცესში ჩართვის დამატებით ხარჯებს მოითხოვს. შეკვეთების პორტფელი ან/და ამ შეკვეთების მოქმედების პერიოდი ტიპური ადრეული ინდიკატორებია. ისინი გვიჩვენებენ, როგორი იქნება დასაქმება მომდევნო პერიოდში (თვეებში, წლებში). ადრეული ინდიკატორები ე.წ. ბიზნესის გარემოს ახასიათებენ. როდესაც ეკონომიკური აგენტები განსაზღვრავენ ბიზნესის ამჟამინდელ მდგომარეობას, დაგეგმილ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს და მოლოდინებს, მათ საფუძველზე კეთდება დასკვნები დასაქმების მოკლევადიან დინამიკაზე.

მნიშვნელოვანია ფასებსა და დასაქმებას შორის კავშირის საკითხი. ფასების ზრდა კონიუნქტურულ ციკლსა და დასაქმებას ნათლად ვერ ასახავს. იგი

დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკაში გაბატონებული საბაზრო ფორმა. ოლიგოპოლისტური და მონოპოლისტური ბაზრის პირობებში ფასების რეაქცია მოსალოდნელია დროში გარკვეული დაყოვნებით. თუ ეკონომიკა პოლიპოლისტური კონკურენციით ხასიათდება, მაშინ ფასების მისადაგება კონიუნქტურული პროცესის პარალელურად მიმდინარეობს. ფასები არსებითად დამოკიდებულია ფულად, საფინანსო, ვალის და სატარიფო ხელშეკრულების პოლიტიკაზე. ეკონომისტები დიდი ხანია, ცდილობენ, იპოვონ ის ინდიკატორები, რომლებიც დასაქმების მომავალ განვითარებას „იწინასწარმეტყველებენ", თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელია. პროგნოზების გაკეთება ძნელდება არა მხოლოდ საშინაო ეკონომიკური განვითარებით (სტრუქტურული გარდაქმნები და ღირებულებათა ცვლილება) და უსაფრთხო ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობით, არამედ ბაზრების შერწყმითა და გლობალიზაციით.

თეორიული საფუძველი

ნეოკლასიკურ მოდელში შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენების გასაანალიზებლად სრულყოფილი შრომის ბაზრის მთავარი მახასიათებელია ხელფასების ელასტიკურობა. საწარმოები დაინტერესებულნი არიან შრომის შესაძლებლობებით და მათი გამოყენების შედეგებით. ამასთან, დასაქმების ზრდის დამატებითი ხარჯების (ზღვრული ხარჯები) შედარება ხდება დამატებულ ღირებულებასთან (ზღვრული პროდუქტი). კაპიტალის ხარჯების აბსტრაჰირებას თუ მოვახდენთ, მაშინ საწარმოები შრომის გამოყენებას გაზრდიან მანამ, სანამ დამატებითი დასაქმებულის ზღვრული პროდუქტის ღირებულება მეტი იქნება ნომინალურ ხელფასთან შედარებით (შრომის დამატებითი ერთეულის ზღვრული ხარჯები). მოგების მაქსიმუმი მაშინ მიიღება, როდესაც შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულება ნომინალურ ხელფასს გაუტოლდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დამოკიდებულია:

- ზღვრულ პროდუქტზე;
- პროდუქტის ფასზე;
- ნომინალურ ანუ ფულად ხელფასზე.

ნომინალური ხელფასის შეფარდებას პროდუქტის ფასთან რეალურ ხელფასს უწოდებენ. როგორც წესი, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დამოკიდებულია რეალურ ხელფასზე. რადგან შემოსავლის კლებადი უკუგების კანონის მიხედვით (კაპიტალის გამოყენება მიჩნეულია, როგორც მუდმივი ცვლადი), შრომის ზღვრული პროდუქტი სამუშაო ძალის მზარდი გამოყენებით იკლებს, ამიტომ დამატებითი მუშის დასაქმება ხელსაყრელია მხოლოდ კლებადი რეალური ხელფასის პირობებში და, პირიქით, მზარდი რეალური ხელფასის პირობებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა იკლებს. როგორც წესი, რეალური ხელფასის ზრდისას შრომის მიწოდება იმატებს. ამასთან, შესაძლებელია კლებადი რეალური ხელფასის დროს მეტი მუშაკის საჭიროება გაჩნდეს. ინდივიდუალური

სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა კი განსაზღვრულია. სამუშაო დროის ალტერნატიული ხარჯები იმ თავისუფალი დროის დათმობაში მდგომარეობს, რომელიც სამუშაო დროის გახანგრძლივებით „სულ უფრო ძვირად ღირებული" ხდება. ამის გამო შეიძლება ისეთი მდგომარეობა შეიქმნას, როდესაც დასაქმებულნი, რომლებიც უკვე მაღალ რეალურ შემოსავალს იღებენ, თავიანთ სამუშაო დროს მზარდი რეალური ხელფასით კი არ გაზრდიან, არამედ შეამცირებენ.

თუ რეალური ხელფასის მოცემული განაკვეთის პირობებში შრომაზე დაგეგმილი მოთხოვნა და შრომის მიწოდება ტოლია, მაშინ შრომის ბაზარზე წონასწორობა მყარდება, რის გამოც იძულებითი უმუშევრობა არ არსებობს. ასეთ მდგომარეობას ეკონომიკურ თეორიაში სრულ დასაქმებას უწოდებენ.

ამრიგად, მოცემული მოდელის წინაპირობებია:

- სრულყოფილი შრომის ბაზარი მოქნილი ფულადი ხელფასის განაკვეთით;
- კლებადი ზღვრული პროდუქტი;
- წარმოების სხვა ფაქტორების გამოყენების მუდმივობა;
- პროდუქტის წონასწორული ფასის პოზიცია.

რეალობაში ზოგიერთი წინაპირობა კრიტიკული განხილვის საგანია, რასაც მოგვიანებით შევეხებით.

უმუშევრობის მიზეზები – ბაზრის არასრულყოფილება. შრომის ცალკეულ ბაზარზე მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდება შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება. თუ შრომის ბაზარზე მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, თავს იჩენს უმუშევრობა.

უმუშევრობის სახეებია: **ფრიქციული** (ბუნებრივი) უმუშევრობა – დროებითი ნებაყოფლობითი დაუსაქმებლობა, რაც დაკავშირებულია პიროვნების ადგილსამყოფლის ან პროფესიის შეცვლასთან და კვალიფიკაციის ამაღლებასთან. **სტრუქტურული** (ბუნებრივი) უმუშევრობა კი ჩნდება იმ დროს, როდესაც ეკონომიკური აგენტები (უმუშევრები და საწარმოები), ნაკლები მობილურობისა და მოქნილობის გამო, წარმოების ან დარგის სტრუქტურული ცვლილების დროს მზად არ არიან, ან არ შესწევთ უნარი, შეიცვალონ: პროფილი, ადგილსამყოფელი, სამუშაო ადგილი, პროფესია და დარგი. უმუშევრობის ეს სახეობა იძულებითი შინაარსისაა და გამოწვეულია ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნით, მოძველებული დარგებისა და პროფესიების ლიკვიდაციით, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონით და ა.შ.

რაც შეეხება **ციკლურ** უმუშევრობას, იგი საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის მკვეთრი დაცემის შედეგად ჩნდება. უმუშევრობის პირველ ორ სახეობას, რომლებიც ბაზრის არასრულყოფილებიდან გამომდინარეობს, ბუნებრივ უმუშევრობას უწოდებენ. „ბუნებრივი" უმუშევრობის ცნებამ მცდარ ინტერპრეტაციამდე არ უნდა მიგვიყვანოს. ბაზარი ამ მოდელის ამოსავალი კატეგორიაა, მაგრამ ის რეალობას ბოლომდე სწორად არ ასახავს. თუ ეკონომიკის რომელიმე რეგიონში არსებობს უმუშევრობა, სხვა რეგიონში კი სამუშაო ძალას ეძებენ, მაშინ უმუშევარმა შეიცვალოს თუ არა პროფესია

ან სამუშაო ადგილი, საბოლოოდ ვარაუდზე იქნება დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში უმუშევრობის დარეგულირება შესაძლებელია, ერთი მხრივ, ზოგადად უმუშევრობის კანონიერი დაზღვევის არსებობით, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივ ღირებულებებზე ორიენტაციით, რაც დასაშვებად შეიძლება იქნას მიჩნეული. მაგალითად, საცხოვრებელ ადგილსა და სამუშაო ადგილს შორის დაშორების შემთხვევა (არის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მოქალაქისათვის მისაღები?), ან არაპრესტიჟული საქმიანობის დაწყება მცირე ანაზღაურებით.

არასრულყოფილება არსებობს ბაზრის სტრუქტურაშიც, რომელიც შრომის ბაზარზე ისტორიულად ორმხრივად ჩამოყალიბდა დამსაქმებელთა მოთხოვნის „ბუნებრივი" მონოფსონიიდან პროფკავშირთა ორგანიზებული მიწოდების (შრომის) მონოპოლიის „გავლით". ბაზრის ეს ფორმა ძირითადად ძალაუფლების პოლიტიკით განისაზღვრება. ამასთან, მაგალითად, გერმანიაში გარკვეულ როლს ასრულებს ტერიტორიული (რეგიონული) სატარიფო ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია მთელი სატარიფო რეგიონისათვის. საცდელად დადებული სატარიფო ხელშეკრულების შედეგებს – ხშირად მხოლოდ მცირე მოდიფიკაციებით – იღებენ ასევე სხვა რეგიონებისა და დარგებისათვის. საწარმოების, ეკონომიკის დარგებისა და რეგიონების მიხედვით საჭირო დიფერენცირება არ ხდება. ამით დასაქმებულთა განსხვავებული კვალიფიკაციის პროფილსა და საწარმოთა ეკონომიკურ მდგომარეობას არასაკმარისი ყურადღება ეთმობა. ამრიგად, უმუშევრობა შესაძლებელია დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტების დიფერენცირებისა და მოქნილობის ნაკლებობამაც წარმოშვას.

როგორც ვხედავთ, შრომის ბაზარი რიგ არასრულყოფილებას ავლენს, რომელიც სამუშაო ძალის არასასურველ გადაადგილებაში, ინფორმაციის დეფიციტში და ა.შ. იჩენს თავს. ამას ხშირად ორგანიზაციული პრობლემებიც ემატება. სეგმენტაციის თეორია გვასწავლის, რომ შრომის ბაზრის მონაწილეებს შორის კონკურენცია ჩნდება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია დიდი საწარმოებისთვის, სადაც პერსონალის სეგმენტაცია თავს იჩენს ძირითად და დამხმარე პერსონალად არაერთგვაროვანი სამუშაო პირობებით დასაქმების გარანტიების საფუძველზე, დაწინაურების შესაძლებლობებიდან გამომდინარე და ა.შ., საწარმოთა ხელმძღვანელები უპირატესობას ანიჭებენ ძირითად პერსონალს საწარმოს სტაბილურობის და მოქნილობის შესანარჩუნებლად. ძირითადი პერსონალი შედგება თანამშრომლებისაგან, რომლებიც საწარმოში მრავალი წლის მანძილზე მუშაობენ. მათი დასაქმება საწარმოს შიგნით ხდება (მაგალითად, კონკურსის გამოცხადების გზით). გარედან ახალი თანამშრომლების მოზიდვა დაკავშირებულია მაღალ ხარჯებთან. ეს არ ეხება დამხმარე პერსონალს, რომელიც საწარმოს სამუშაო ადგილების იერარქიაში დაბალ პოზიციაზეა.

სეგმენტაციის თეორიის მსგავსია ინსაიდერ-აუტსაიდერის თეორია, რომლის მიხედვითაც დიდი ხნის მანძილზე დასაქმებულ მუშახელს (ძირითადი

პერსონალი ანუ ინსაიდერი) საკმაოდ დიდი საბაზრო ძალაუფლება გააჩნია (პროფკავშირის წევრობის სტაჟი) იმისათვის, რომ ხელფასის სიდიდის გადამწყვეტი თანაგანმსაზღვრელი იყოს. ამასთან, ხშირად პროფკავშირების დახმარებით დგინდება ისეთი ხელფასი, რომელიც წონასწორულ ხელფასზე უფრო მაღალია. შედეგად საწარმოებისთვის არ არის ხელსაყრელი დამატებითი სამუშაო ძალის (აუტსაიდერები) დასაქმება, თუნდაც ისინი დაბალი სახელფასო განაკვეთით მუშაობაზე მზადყოფნას აცხადებდნენ. ინსაიდერთა „საბაზრო ძალაუფლების“ მიზეზი შეიძლება იყოს შემცირებების (მაგალითად, დაუსაბუთებლად დათხოვნილის დაცვასთან დაკავშირებით) და დასაქმების (კონკურენციის, სამუშაო პროცესის გაცნობის და მასში ჩართვის) ხარჯები. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ინსაიდერებს შეუძლიათ წარმოებაში შრომის მწარმოებლურობაზე გავლენის მოხდენა. დასაქმების ზრდამ შეიძლება საწარმოო კლიმატის გაუარესება გამოიწვიოს, მაშინ როდესაც ინსაიდერებს შორის უკვე დამკვიდრებული კარგი თანამშრომლობა და კოლექტიური სულისკვეთება შრომის მწარმოებლურობაზე დადებით გავლენას ახდენს.

შრომის მიწოდება განსაკუთრებულად დამოკიდებულია დემოგრაფიულ ფაქტორებზე. თუ შობადობის ზრდა მაღალია, მაშინ მისი ეფექტი რამდენიმე წელიწადში შრომის მზარდ მიწოდებაში გამოვლინდება. ამას ემატება შრომის მზარდი მიწოდება იმიგრაციის დადებითი სალდოს შემთხვევაში (გადმოსახლებულები, პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლები და ა.შ.). დამქირავებლები ასეთ გარემოებებს არ ითვალისწინებენ და, შესაძლებელია, სამუშაო ძალის ჭარბმა მიწოდებამ იჩინოს თავი. ამ პროცესის შენელება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, როგორებიცაა: შრომის სამართლებრივი და სატარიფო ხელშეკრულების წესების მოქნილობის ხარისხი და განათლების სისტემის მდგომარეობა.

სამუშაო ძალის პოტენციალში განსახიერებული შრომითი შესაძლებლობების (ნიჭი, უნარი) მიზეზებსა და შედეგებს „ადამიან-კაპიტალის“ თეორია განიხილავს. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაში, სახელმწიფო არსებითად პასუხისმგებელია წარმოების სუბიექტურ ფაქტორში („ადამიან-კაპიტალში”) ძირითად ინვესტირებაზე. თუ განათლების სისტემა მოუქნელია და შრომის ბაზრის ახალ მოთხოვნებთან შეუსაბამობაშია, საშუალოვადიანი უმუშევრობა იჩენს თავს. დღეს შრომით ფაქტორს კაპიტალის ფაქტორთან შედარებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. განათლების სისტემას უნდა შეეძლოს მზარდი ეკონომიკისათვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება (სოციალური კომპეტენცია, ტექნოლოგიური უნარები და ა.შ.).

ხანგრძლივი მაღალი უმუშევრობის თვალსაჩინო ახსნას ჰისტერესის ჰიპოთეზა გვაძლევს (Hysteres Hypothese). ჰისტერესული სისტემები დამოკიდებულია იმ მოვლენებზე, რომლებიც ისტორიულად დიდი ხნის წინათ მოხდა, მაგრამ დღესაც მოცემულ ეკონომიკურ ფენომენზე გარკვეულ გავლენას ახდენენ (ინერციის მომენტი). აქედან გამომდინარე, მიმდინარე პერიოდისთვის

უმუშევართა კვოტა დამოკიდებულია წარსული მიწოდებისა და მოთხოვნის შოკზეც. ეს განსაკუთრებით ძნელად დასასაქმებელ უმუშევრებს ეხება. ისინი შრომითი მოწყობისათვის რიგ დამაბრკოლებელ თვისებებს ავლენენ, როგორიცაა, მაგალითად, სასკოლო და პროფესიული განათლების ნაკლებობა ან არარსებობა, ჯანმრთელობის პრობლემები და სხვა. რაც უფრო დიდი ხნით არის ვინმე უმუშევარი, მით უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ დასაქმდება. ასეთი პროცესები ძლიერდება იმ ფაქტით, რომ ხანგრძლივი უმუშევრობით პროფესიული და სოციალური კომპეტენციები იკარგება. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ხანგრძლივია უმუშევრობა, მით უფრო ძნელია მასთან ბრძოლა.

მინიმალური ხელფასის რეგულირება. როგორც აღინიშნა, რეალური ხელფასის სიდიდე არის შრომის უნარის მომხმარებლისა და მიმწოდებლისათვის გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. რეალურ ხელფასში ფულადი ხელფასის განაკვეთი არსებითი კომპონენტია, რომელიც გერმანიაში, ბელგიასა და საბერძნეთში სატარიფო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების შედეგად დგინდება. ამასთან, მიღებულია, რომ სატარიფო ხელშეკრულებათა მხარეები მინიმალურ ხელფასზე თანხმდებიან. საფრანგეთში, ნიდერლანდებში, პორტუგალიასა და ესპანეთში მისი დადგენა მთავრობის მიერ ხდება. მინიმალურმა ხელფასმა ხელი უნდა შეუშალოს შრომის ანაზღაურების საზოგადოებრივად მისაღებ დონეზე დაბლა დაწევას.

შრომის ბაზრის დამოკიდებულება სასაქონლო ბაზართან. შრომის ბაზარზე მხოლოდ ნომინალური ხელფასი განისაზღვრება. ამასთან, ეს ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით მოხდება თუ სატარიფო სახელშეკრულებო რეგულირებით, საკითხის შემდგომი განხილვისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დასაქმებულებს ან პროფკავშირებს რეალურ ხელფასზე ზემოქმედება მხოლოდ არაპირდაპირი გზით შეუძლიათ. თუ როგორ განვითარდება ფასწარმოქმნა – დამოკიდებულია სასაქონლო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე. მაგალითად, თუ საქონელი ისე არ გაიყიდა, როგორც დაგეგმეს, მაშინ დამქირავებელი ნაკლებ სამუშაო ძალას დაასაქმებს. რადგან წარმოება და დასაქმება შემცირდება, შესაბამისად, საქონელზე, დაგეგმილთან შედარებით, ნაკლები მოთხოვნა იქნება. ამდენად, თუ არსებობენ, ერთი მხრივ, დასაქმებულნი, რომლებიც ბევრს მუშაობენ და მეტ პროდუქციას შეიძენენ, უნდა იყვნენ, მეორე მხრივ, მწარმოებლები, რომლებიც ბევრს აწარმოებენ და მეტ სამუშაო ძალას დაასაქმებენ. როგორც წესი, ცალმხრივად ამის განხორციელება შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში არსებობს უმუშევრობა, რომელსაც კონიუნქტურულ უმუშევრობას უწოდებენ. ეს არის უმუშევრობა, რომელიც ერთნაირად ეხება ეკონომიკის ყველა სექტორსა და რეგიონს და, როგორც ჩანს, გამოწვეულია მოთხოვნის საყოველთაო შემცირებით. მისი ნამდვილი მიზეზი არის ფასების მექანიზმის გაუმართაობა.

ტექნიკური პროგრესი, ინვესტიციები და კაპიტალის დეფიციტი. ნეოკლასიკური თეორიის მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ კაპიტალის ფაქტორი

აღიქმება, როგორც მუდმივი ცვლადი. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება კი საპირისპიროს აჩვენებს: იგი ხასიათდება კაპიტალის მზარდი გამოყენებით და ტექნიკური პროგრესით. შრომაზე მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაადგილდება. ეს ნიშნავს, რომ შრომის საშუალო მწარმოებლურობა კაპიტალის მზარდი გამოყენებითა და ტექნიკური ცოდნით იზრდება და ამით შესაძლებელი ხდება მაღალი რეალური ხელფასის მიღება. მზარდი და დამატებითი სახელფასო ხარჯები კაპიტალის ფაქტორის ცვლილებების შესაბამისად შეიძლება მივიღოთ. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მზარდი ინვესტიციები. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა შესაძლებელია ინვესტიციების გაფართოებით. ამ გზით შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა განსაკუთრებით დამოკიდებულია ეკონომიკაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების უნარზე.

სხვა შემთხვევაა, როდესაც სამუშაო ადგილების მიწოდება მასზე მოთხოვნას ჩამორჩება. ეს ხდება მაშინ, თუ სამუშაო ადგილების მიწოდება, რომელიც კაპიტალის ფორმირება-დაზოგვითა და ინვესტიციებით მიიღწევა, არასაკმარისია. ამ შემთხვევაში ჩნდება კაპიტალის დეფიციტით გამოწვეული უმუშევრობა.

კონიუნქტურული თეორიები. მნიშვნელოვანია კონიუნქტურული თეორიის პოზიციიდან შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკაზე ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების საკითხის განხილვა. ამ პროცესზე არსებითად მოქმედებენ ეგზოგენური და ენდოგენური მიზეზები.

ეგზოგენური კონიუნქტურული თეორიები. ეგზოგენურ (გარე) მიზეზებში იგულისხმება ის ფაქტორები, რომლებიც საერთო ეკონომიკურ პროცესს აფერხებენ და რომელთა წინასწარ განჭვრეტა და მათზე უშუალო ზემოქმედება შეუძლებელია. ამ შემთხვევებში ეკონომიკური პოლიტიკა ნეგატიური მომენტის დადგომამდე პასიურია. ეგზოგენური მიზეზებით განპირობებულ დასაქმების ცვლილებებზე დიაგნოზის დასმა და რეაგირება მხოლოდ მოგვიანებით შეიძლება. მაგალითად, ბუნებრივმა კატასტროფებმა შესაძლებელია, სოფლის მეურნეობაში მოუსავლიანობა გამოიწვიოს. რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილი მთელი ეკონომიკის მასშტაბით შექმნილ ღირებულებაში საკმაოდ დიდია, ამან შეიძლება მთლიანი ეკონომიკური აგრეგატების რყევა გამოიწვიოს. თანამედროვე სტოქასტიკური (არაპროგნოზირებადი, ალბათობაზე დაფუძნებული) კონიუნქტურული თეორიები ურთიერთდამოუკიდებელი, არაკორელირებული შოკების ფენომენს ემყარება, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს პოლიტიკური არჩევნების ციკლის გავლენა ეკონომიკაზე.

კონიუნქტურული რყევების გამოწვევა ეგზოგენურ ეკონომიკურ შოკებსაც შეუძლია. მაგალითად, ნავთობის ორივე კრიზისი 1970-80-იანი წლების დასაწყისში OPEC-ში გაერთიანებულმა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების მიერ ნავთობზე ფასების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა. შედეგად, ბევრ ეკონო-

მიკაში საბაზრო სისტემის კონიუნქტურულ ცვლილებასა და ადაპტაციის მოქნილობას შორის შთამბეჭდავი შეუსაბამობა გამოვლინდა. იმ ეკონომიკებმა, რომლებსაც მოქნილობის მეტი უნარი აღმოაჩნდათ, რამდენიმე თვეში შეძლეს ხელის შემშლელი პირობების აღმოფხვრა.

და ბოლოს, კონიუნქტურული რყევები შეიძლება აიხსნას ლოკომოტივების თეორიით, რომლის მიხედვითაც თავისუფალი ვაჭრობის ზრდის პირობებში დიდი ეკონომიკების კონიუნქტურული ცვლილებები შეიძლება მცირე ეკონომიკებს გადაეცეს.

ენდოგენური კონიუნქტურული თეორიები. ენდოგენური კონიუნქტურული ეკონომიკური თეორიები ეკონომიკურ ცვლილებებს საბაზრო პროცესებზე დაყრდნობით ხსნიან – მხოლოდ ერთი მიზეზით (მონოკაუზალურად), ან მიზეზთა კომპლექსით (მულტიკაუზალურად). ეკონომიკური ანალიზის პროცესში წინ ყოველთვის საინვესტიციო გარემო დგას. მონეტარული მიდგომით ეკონომიკაში კონიუნქტურული რყევები აიხსნება საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე გრძელვადიანი პერიოდისთვის. ძირითადი კაპიტალის სრული დატვირთვა ერთობლივი მოთხოვნის გათვალისწინებით ხდება. იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთი – რა მიზეზითაც არ უნდა იყოს ის განპირობებული – იკლებს, საწარმოები დამატებითი საინვესტიციო საქონლის მოთხოვნის მიზნით ახალ კრედიტებს იღებენ. აღმავლობის პერიოდში საპროცენტო განაკვეთი გაზრდილი საკრედიტო მოთხოვნის შედეგად ტენდენციურად იმატებს, ხოლო მოთხოვნა საინვესტიციო საქონელზე კვლავ კლებას იწყებს.

ჭარბი ინვესტიციების თეორიის მიხედვით, კონიუნქტურული რყევების ახსნა აღმავლობის ფაზაში საინვესტიციო საქონლის მწარმოებელი სექტორის სწრაფი ზრდით (განვითარებით) ხდება. არამონეტარული, ჭარბი ინვესტიციების თეორია აღმავლობის ახსნას ინოვაციების ციკლებით ან ახალ ინსტიტუციურ ჩარჩო პირობებზე დაყრდნობით (მაგალითად, შრომის კოდექსის, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ცვლილებით, ან გარემოს დაცვის სამართლებრივი განკარგულებებით და ინსტრუქციებით) ცდილობს. ახალი ინვესტიციების განხორციელების დროს მოგების მიღების კარგი შესაძლებლობები იქმნება, რითიც საინვესტიციო საქონლის წარმოების სფერო არაპროპორციულად ფართოვდება. შედეგად, მოგების კლება და დაღმავლობა იწყება. თუ ხელფასები უფრო ნელა იზრდება, ვიდრე მოგება და მოგებით მიღებული შემოსავლის მფლობელთა დანაზოგის კვოტა უფრო მაღალია, ვიდრე ხელფასით მიღებული შემოსავლის მფლობელთა დანაზოგის კვოტა, მაშინ შესაძლოა დისპროპორცია წარმოიშვას სამომხმარებლო საქონლისა და საინვესტიციო საქონლის წარმოებაში.

ეკონომიკაში დაღმავლობის პროცესის დაწყებით, სამომხმარებლო საქონლის წარმოება იკლებს, რადგან ხელფასით მიღებული შემოსავლის მფლობელთა მოთხოვნა ეცემა. ამ პროცესს მოსალოდნელი მოგების კორექტირებამდე და, ამის შედეგად, საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნის შემცირებამდე

მივყავართ. აღნიშნული მიდგომით სატარიფო ხელშეკრულებების დადების დროს სარგებლობენ. მაგალითად, პროფკავშირები ეყრდნობიან მაღალი ხელფასების შედეგად მსყიდველობითუნარიანობის ზრდის არგუმენტს, მწარმოებლები კი, პირიქით – ხელფასების მომატების შედეგად ხარჯების ზრდის ეფექტს. კონიუნქტურულ ციკლში სამომხმარებლო ხარჯები (ინვესტიციების საპირისპიროდ) მკაფიოდ არ იცვლება. არსებობს ერთხელ მიღწეული მოხმარების დონის შენარჩუნების სურვილი. გარდა ამისა, კონიუნქტურულ ციკლში ხელფასები მოგებებთან შედარებით ნაკლებად იცვლება. აღმავლობის ეტაპზე კოლექტიურ სატარიფო ხელშეკრულებებში ხელფასები ძირითადად ხანგრძლივი პერიოდით (მაგალითად, ერთი წლით და მეტით) დგინდება, ხოლო პროფკავშირებს აღმავლობის პერიოდში მოგების ზრდის სიდიდის წინასწარ განჭვრეტა არ შეუძლიათ. თუ შემდგომში გაირკვევა, რომ მოგებები უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ხელფასები, მაშინ პროფკავშირები მომდევნო სატარიფო რაუნდში ჩამორჩენის გამოსწორებას შეეცდებიან. მათ მიერ წარმოებული მოლაპარაკებების სტრატეგია დაღმავლობის დროს ხელფასის უკვე მიღწეული დონის შენარჩუნებისკენ არის მიმართული. თუ უმუშევრობის დონე მაღალია, მიუხედავად მაღალი მოგებებისა, პროფკავშირებს უძნელდებათ ხელფასების ზრდაზე შეთანხმების მიღწევა, რადგან სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის პრობლემა ყოველთვის ხელფასის სატარიფო პოლიტიკაზე წინ დგას. მოგების ზრდას შეუძლია საინვესტიციო საქმიანობისათვის დამახასიათებელი უკუქმედების მექანიზმის მოტივირება.

ინვესტიციები დამოკიდებულია არა მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, არამედ არსებულ ან მოსალოდნელ მოგებაზე. მოგების სიდიდე, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, განსხვავებულია: (1) აღმავლობის პერიოდში საინვესტიციო საქონლის ფასები იზრდება უფრო მეტად, ვიდრე სამომხმარებლო საქონლის ფასები, რადგან ბევრი საწარმო ახალ ინვესტიციებს ახორციელებს. სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელ დარგებში მოგება შედარებით იკლებს ან უმნიშვნელო სიდიდით მატულობს. შესაბამისად, ამ სექტორში ინვესტიციებს კლების ტენდენცია აქვს. ძვირად ღირებული ინვესტიციები კი მოგვიანებით აისახება სამომხმარებლო საქონლის ფასებზე; (2) აღმავლობის ეტაპზე ცენტრალური ბანკის ნეიტრალური ფულადი პოლიტიკის დროს პროცენტი (სარგებლის განაკვეთი) მაღალი საკრედიტო მოთხოვნის გამო იზრდება და დაფინანსების ხარჯებიც იმატებს. თუ საინვესტიციო საქონელი მაღალ ფასში არ გაიყიდა, მაშინ ეს მოგების შემცირების ტოლფასი იქნება. შედეგად, საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა შემცირდება; (3) თუ აღმავლობის ფაზის დასასრულს სამუშაო ძალის (სპეციალისტების) დეფიციტი იჩენს თავს, მაშინ პროფკავშირები შეძლებენ მიაღწიონ ხელფასების გაზრდას. მაღალი სახელფასო ხარჯები მოგების შემცირებას ნიშნავს, რაც, თავის მხრივ, ინვესტიციებს ზღუდავს.

ამრიგად, ნათელია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით საერთო ეკონომიკური აქტივობის საბაზრო პროცესისათვის დამახასიათებელი რყევე-

ბის წინასწარ განჭვრეტა და მათი მართვა მარტივი არ არის. უმუშევრობის სიდიდე დამოკიდებული ხდება ბაზრის უნარზე – მოახდინოს ასეთი რყევების ნეგატიური შედეგების განეიტრალება. ამასთან, მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების კვალიფიკაციის შესაბამისობა დამსაქმებელთა საშუალოვადიან საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. არც შრომის ბაზრის და არც კონიუნქტურულ თეორიას უმუშევრობის ფენომენის ახსნა ცალ-ცალკე არ შეუძლია. შრომის ბაზრის თეორიების მიკროეკონომიკურ ნაწილში წინა პლანზე ხშირად შრომითი დანახარჯების ფაქტორს აყენებენ. ღირს თუ არა დამატებითი სამუშაო ძალის დასაქმება? ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა მცირე საწარმოებისთვის მარტივია, მაგრამ დიდ საწარმოებში თითოეული მუშის ზღვრული პროდუქტის განსაზღვრა ადვილი არ არის.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის მიზნები შემდეგი ძირითადი თვალსაზრისიდან გამომდინარეობს: შრომა, ეთიკური თვალსაზრისით, თვითდამკვიდრების მნიშვნელოვანი საშუალებაა. შრომით მიღებული შემოსავლით შეიძლება მოთხოვნილებათა იერარქიიდან მრავალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. შრომას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებების – თავისუფლების, სამართლიანობისა და უსაფრთხოების მიღწევაში. პოლიტიკური თვალსაზრისით, დასაქმების მაღალ დონეს პოლიტიკური სისტემის მასტაბილიზებელი ფუნქცია გააჩნია. მაგალითად, განვითარებად რეგიონებში კრიმინალური და ექსტრემისტული ქმედებებისადმი მიდრეკილება განსაკუთრებით მაღალია. დასაქმების ზრდით შესაძლებელია აღნიშნული პრობლემის შესუსტება. ამასთან, სრული დასაქმებით შესაძლებელია მოსახლეობის პროდუქციით უზრუნველყოფის მაღალი დონის მიღწევა და კეთილდღეობის ამაღლება.

უმუშევრობის ნეგატიურ ასპექტებს შორის განიხილება უმუშევრობის ხარჯები, რომელშიც, პირველ რიგში, მოიაზრება პოტენციური ბრუტო მსპ, რომლის წარმოებაც ვერ ხდება უმუშევრობის გამო; მეორე მხრივ, ამას ემატება უმუშევართა დახმარების და სოციალური დაზღვევის ხარჯები. ამასთან ერთად, ხანგრძლივი უმუშევრობა აქვეითებს უმუშევართა შრომით უნარჩვევებს, რითიც საერთო ეკონომიკური ხარჯები ორმაგად იზრდება. ჯერ ერთი, ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები იკარგება, მეორე მხრივ, უმუშევართა შრომის ბაზარში ხელახალი ინტეგრირებისათვის საჭირო დანახარჯები იზრდება.

1944 წელს ფილადელფიაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ სიღატაკე, სადაც კი ის არსებობს, საზოგადოებრივ კეთილდღეობას საფრთხეს უქმნის. გლობალიზაციის სოციალური შედეგების შესახებ გამართულ თანამედროვე დებატებში ამ

განცხადებას კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყველა ადამიანის უფლება მატერიალურ კეთილდღეობასა და სულიერ განვითარებაზე ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს. ამ მიზნის მიღწევის მთავარ პირობას კი შრომა წარმოადგენს.

მიზანთა იერარქია. დასაქმების მაღალი დონე შესაბამის ეკონომიკურ საზოგადოებაში უშუალოდ თავისუფლებას, სამართლიანობასა და უსაფრთხოებას უწყობს ხელს. დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად პოლიტიკის ცალკეულ სფეროებს საკუთარი მიზნები გააჩნია. მიწოდების პოლიტიკის შუალედური მიზანი ჩარჩო პირობების გაუმჯობესებაა, საიდანაც დასაქმების დადებით ეფექტებს ეკონომიკური ზრდის შედეგად საინვესტიციო საქონელზე მზარდი მოთხოვნის გამო უნდა ველოდოთ. მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკა კი, პირიქით, ძირითადი ეკონომიკური აგრეგატების: მოხმარების, ინვესტიციებისა და სახელმწიფო ხარჯების მართვისკენ არის მიმართული.

სატარიფო ხელშეკრულების პოლიტიკით სამუშაო ძალაზე საწარმოთა მოთხოვნის მნიშვნელოვანი ჩარჩო პირობები დგინდება. თუკი სატარიფო ხელშეკრულების შეთანხმებები საკმარისად მაღალ მოქნილობას გამოავლენენ, ამით შეიძლება სტრუქტურული ცვლილებები გაადვილდეს და შემცირდეს რეგიონული განვითარების დისპროპორციულობა.

მიზანთა კონფლიქტები. მაკროეკონომიკურ დონეზე აღსანიშნავია მიზანთა ,,კლასიკური'' კონფლიქტი, რომელიც სრულ დასაქმებასა და ფასების დონის სტაბილურობას შორის არსებობს. ნეოლიბერალური შეხედულებების შესაბამისად, სახელმწიფო ამ კონფლიქტის დარეგულირებაში რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს, რადგან ბაზარი პრობლემის გადაჭრის გზას თვითონ პოულობს. თუ მას უპირისპირდება ისეთი ინსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირებები, როგორიცაა სატარიფო ავტონომია და, აქედან გამომდინარე, შეთანხმებები მინიმალურ ხელფასზე (რომლებსაც თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური მიზანიც გააჩნიათ), ამ შემთხვევაში ნეოლიბერალური პოზიციის წარმომადგენლები თვით სატარიფო ავტონომიას ეჭვქვეშ აყენებენ. კეინზიანური კონცეფციის ფარგლებში კი, პირიქით, უმუშევრობის შემცირება შესაძლებელია მოთხოვნაზე ორიენტირებული პროგრამების საშუალებით. სატარიფო ხელშეკრულების პოლიტიკის ფარგლებში მიზანთა სხვა კონფლიქტებიც არსებობს. წარსულში გერმანიაში პროფკავშირები უპირატესობას ე.წ. ტერიტორიების მიხედვით სატარიფო ხელშეკრულებებს ანიჭებდნენ. დასაქმების კარგი მდგომარეობის მქონე და მაღალი მწარმოებლურობის სატარიფო რეგიონებში მოქმედებდა განსხვავებული სახელფასო შეთანხმებები.

დამატებითი სახელფასო ხარჯების შემცირებას დასაქმების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლია. თუმცა მან შეიძლება იქამდეც მიგვიყვანოს, რომ საწარმოებმა მხოლოდ თავიანთი მოგება გაზარდონ. ამ შემთხვევაში კონფლიქტები სოციალური დაცვის შესაბამისი პოზიციების სისუსტიდან გამომდინარეობს. თუ სახელმწიფო შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისათვის მზად

არის და ბიუჯეტის შეზღუდვის მიუხედავად შეუძლია სახსრები გაიღოს, მაშინ უნდა გადაწყდეს, უმუშევართა რომელი ჯგუფისათვის უნდა გატარდეს ღონისძიებები (ახალგაზრდების უმუშევრობასთან ბრძოლას ენიჭება უპირატესობა, თუ ყოფილ დასაქმებულთა შრომის ბაზარში რეინტეგრაციის საკითხებს).

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის გამტარებლები

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წარმართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული გამტარებლები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფიან საჯარო და კერძო გამტარებლებად. წამყვან როლს ასრულებენ შესაბამისი პროფილის სამინისტროები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შრომისა და დასაქმების პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაზე ეროვნულ დონეზე. ასევე, შესაძლებელია აღნიშნულ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა და კომპეტენცია მიენიჭოთ ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს.

შრომის ბაზრის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილის გამტარებლები ქვეყნების უმრავლესობაში პროფკავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებებია. ისინი კონსტიტუციის მიხედვით, როგორც წესი, ავტონომიურია. შრომის ბაზარზე ორმხრივი მონოპოლია არსებობს. საწარმოთა გაერთიანებები მოლაპარაკებებს წევრი საწარმოების სახელით, ხოლო პროფკავშირები — თავიანთი წევრების სახელით აწარმოებენ. სატარიფო მოლაპარაკებათა საფუძველზე დგება შემდეგი ხელშეკრულებები: ჩარჩო სატარიფო ხელშეკრულება; ანაზღაურების ანუ სახელფასო სატარიფო ხელშეკრულება; სახელმწიფო მოხელეებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების სატარიფო ხელშეკრულება. ჩარჩო სატარიფო ხელშეკრულებებში დგინდება შემდეგი ასპექტები: შრომის საყოველთაო პირობები (როგორიცაა: დასაქმება და სამუშაოდან დათხოვნა), სამუშაო დრო, ზედმეტი სამუშაო საათები, შვებულება, ხელფასისა და ანაზღაურების თანრიგები, შრომისა და მისი შედეგის შეფასება, ავადმყოფობის შემთხვევები და ა.შ. მათ აქვთ მრავალწლიანი მოქმედების ვადა. სახელფასო სატარიფო ხელშეკრულებების დროს არსებითად საქმე ეხება ხელფასის (შრომის ანაზღაურების) დადგენას. ამასთან, სატარიფო ხელშეკრულების მოლაპარაკებებში თანხმდებიან ხელფასის ძირითად განაკვეთზე (ხელფასის თანრიგი მოქმედებს, როგორც სარეკომენდაციო სიდიდე), რომელიც გამოიყენება შემდეგ ყველა სხვა სატარიფო თანრიგში ხელფასის გაზრდისათვის. გარდა ამისა, თანხმდებიან განათლების ხარჯებზე. ხელშეკრულებათა მოქმედების პერიოდი უმეტესად ერთ წელს შეადგენს, მაგრამ აქედან გადახრაც შესაძლებელია.

არსებობს სპეციალური სატარიფო ხელშეკრულებები, რომლებშიც უნდა განიმარტოს: დასაქმების გარანტიების, პენსიაზე ვადაზე ადრე გასვლის რეგულირების, სამუშაოდან გათავისუფლებისაგან დაცვის, საწარმოთა მიერ თანამშრომლების მოხუცებულობის ასაკში უზრუნველყოფის, სამუშაო დროის

მოქნილობის საკითხები და სხვა. სატარიფო ხელშეკრულების დადგენილებები არის მოქმედი კანონმდებლობა და წარმოადგენს მინიმალურ ნორმებს, რომლებიც ცალკეულ შრომით ხელშეკრულებებში მხოლოდ დასაქმებულთა სასარგებლოდ შეიძლება შეიცვალოს.

საერთაშორისო გამტარებლები: ევროკავშირი მისი წევრი ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრებისა და დასაქმების პირობების მუდმივ გაუმჯობესებას ხელს უნდა უწყობდეს, როგორც არსებით მიზანს. ევროკავშირში დასაქმებულთა თავისუფალი გადაადგილების უფლება გარანტირებულია. წევრი სახელმწიფოები მუშაობენ კოორდინირებული დასაქმების სტრატეგიის განვითარებაზე, განსაკუთრებით კი, დასაქმებულთა კვალიფიკაციის, განათლების, ადაპტაციის უნარიანობისა და შრომის ბაზრების სტიმულირებაზე. წევრი სახელმწიფოები, კანონმდებლობის მიხედვით, დასაქმების ხელშეწყობას საერთო ინტერესების საქმედ მიიჩნევენ და თავიანთ საქმიანობას საბჭოში ამ ინტერესებთან მიმართებით ათანხმებენ. ამასთან, სოციალური პარტნიორების პასუხისმგებლობასთან დამოკიდებულებაში ცალკეული სახელმწიფოების ჩვეულებებსა და ტრადიციებს ითვალისწინებენ. კონკრეტულად ევროკავშირს შეუძლია ხელშემწყობი პროგრამებითა და ფონდებით რეგიონებსა და წევრ ქვეყნებში დასაქმების სიტუაციაზე გავლენა მოახდინოს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გაერთიანებული ერების სპეციალიზებული ორგანიზაციაა, რომელშიც სამთავრობო დელეგაციებთან ერთად დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ცდილობს შრომის ბაზრის, შრომის უსაფრთხოებისა და პროფესიული განათლების საყოველთაო პრობლემების გადაჭრას, დასაქმებულთა გარკვეული ჯგუფების დაცვას და სოციალური პოლიტიკის სფეროში მინიმალური ნორმების განხორციელებას. კონვენციების მიღებითა (საერთაშორისო სამართლებრივი მოქმედებით) და რჩევებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ხელს უწყობს შრომის უფლების, შრომისა და სოციალური პოლიტიკის, ასევე ადამიანთა უფლებების ფუნდამენტურ საკითხებზე საერთაშორისო წესრიგის შექმნას.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები

შრომის ბაზრის პოლიტიკა ზოგადად აქტიური და პასიური პოლიტიკის სფეროებად იყოფა. დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები მოთხოვნის ან მიწოდების პოლიტიკას ექვემდებარება. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება განვასხვავოთ ორი კომპონენტი:

- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია შრომის ბაზრის წონასწორობისაკენ, როგორიცაა: სამუშაოთი უზრუნველყოფა, პროფესიული რჩევები, სამუშაოს შესწავლის დაფინანსება, რეგულაციები და სხვა;
- ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის მიწოდებაზე, როგორიცაა მოკლე ვადით დასაქმებულთა ანაზღა-

ურება, ქალთა დასაქმებისათვის ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ღონისძიებები და სხვა.

შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკის გატარების დროს საქმე ხელფასის შემცვლელი მომსახურების გარანტიებს ეხება. მასში განსაკუთრებით გამოყოფენ უმუშევრებისთვის ფულის გადახდას და უმუშევრების დახმარებას.

დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტები ძირითადად ორიენტირებულია მაკროეკონომიკურ ცვლილებებზე. მოთხოვნის სტიმულირების პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო ხარჯებისა და საგადასახადო განაკვეთების ვარიაციით სახელმწიფოს შეუძლია ერთობლივი მოთხოვნის ცალკეულ კომპონენტებზე პირდაპირ (სახელმწიფო ხარჯები) ან არაპირდაპირ გავლენა მოახდინოს (სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა, კერძო საინვესტიციო საქონელზე მოთხოვნა). ამასთან, ასეთი პოლიტიკის ქმედითუნარიანობა სადავოა.

ამის საწინააღმდეგოდ, მიწოდების გაფართოების პოლიტიკა, რომელიც მოსალოდნელია საწარმოთა მზარდი საინვესტიციო საქმიანობით, დასაქმების ეფექტის ჩარჩო პირობების გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ინსტრუმენტები ერთმანეთისაგან განსხვავდება იმის მიხედვით: (1) არიან თუ არა ისინი ორიენტირებული შრომის ბაზრის წონასწორობაზე ან (2) უწყობენ თუ არა ისინი ხელს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას (ანუ შრომაზე მოთხოვნის სტიმულირებას). ხოლო შრომის ბაზრის პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტები ხელფასის შემცვლელი მომსახურებებია, რომელიც უმუშევრობის დახმარების და დაზღვევის სახით არსებობს. აღნიშნულ ინსტრუმენტს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა სისტემის შესრულებაში და ხელს უწყობს სოციალურ მშვიდობას და ინტეგრაციას.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი

პრობლემებს, პირველ რიგში, შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის თეორიული საფუძველი ქმნის. პასუხები კითხვებზე, როგორიცაა: უმკლავდება თუ არა საბაზრო ეკონომიკა ენდოგენურად წარმოშობილ დასაქმების რყევებს, შესაძლებელია თუ არა ამოვიდეთ კერძო სექტორის სტაბილურობიდან (როგორც ამას ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა ვარაუდობს) და გამოიწვევს თუ არა კონიუნქტურულ ცვლილებებს ეკონომიკურ პროცესში სახელმწიფოს ჩარევა, დღემდე სადავო რჩება.

შრომის ბაზრის პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური სუბიექტების ქმედებაზე დაიყვანება. განსაკუთრებით ეს იმ საწარმოებს ეხება, რომლებიც სამუშაო ძალის ახალ დასაქმებას ერიდებიან და ცდილობენ არსებული შემადგენლობით – ზედმეტი სამუშაო საათებითაც – დასაქმების შიდა საწარმოო რყევები გაანეიტრალონ. შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებისას საზღვრები (შეზღუდვები) ვლინდება. ინსტრუმენტთა სიმრავლის მიუხედავად, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც

არ გამოიყენება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შრომის ბაზრის პოლიტიკის კომპეტენტური გამტარებლების დადგენა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ჩარჩო პირობების დადგენა ევალება, ხოლო კონკრეტული სატარიფო ხელშეკრულების წესები პარტნიორებმა უნდა შეათანხმონ. ამგვარი მდგომარეობა დამახასიათებელია განვითარებადი ეკონომიკებისთვის.

ინსტრუმენტების გამოყენებისას არსებული პრობლემები ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციებზე არანათელი წარმოდგენით ძლიერდება. შრომის ბაზარზე არსებობს პარადოქსი: ერთი მხრივ, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, მეორე მხრივ, ბევრი სამუშაო ადგილი თავისუფალია. ამის ახსნა მარტივია: საჭიროა კვალიფიციური თანამშრომლები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება მაღალი მოთხოვნის მქონე სამუშაო ადგილებს შეესაბამება. შრომისადმი საჭირო დამოკიდებულება და განათლება ბევრ ადამიანს არ გააჩნია. შრომითი შემოსავლები მათ მცირე მოცულობის ან დროებითი საქმიანობით შეუძლიათ მიიღონ.

და ბოლოს, შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემების გადაჭრაში პოლიტიკური სისტემაც დაბრკოლებას წარმოადგენს. ხელისუფლების სათავეში მყოფმა მთავრობამ არა მარტო კარგი პოლიტიკა უნდა გაატაროს, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს სისტემაში გარკვეულ კომპრომისებზეც უნდა წავიდეს. მაგრამ, როგორც წესი, მთავრობა უფრო მეტად ორიენტირებულია არა საკითხის წარმატებით გადაჭრაზე, არამედ ძალაუფლების შენარჩუნების სტრატეგიაზე.

შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში

1991-დან 1997 წლამდე პერიოდში, შრომის ბაზრის პოლიტიკის გატარების კუთხით, არსებობდა ორი ძირითადი უწყება: დასაქმების ფონდი და შრომის ბირჟები. პოლიტიკის შემუშავება ხდებოდა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში. შემუშავებული პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფდნენ შრომის ბირჟები დასაქმების ფონდის დაფინანსებით. 1997 წელს შრომის ბირჟები შეუერთდა დასაქმების ფონდს. ფონდმა გადაიბარა ბირჟების რეგიონალური ინფრასტრუქტურა და გააგრძელა იმ პროგრამების განხორციელება, რომელთაც თავადვე აფინანსებდა.

ადრეულ 90-იანებში საქართველოს სახელმწიფოს ნომინალურად გააჩნდა შრომის ბაზრის როგორც აქტიური, ისე პასიური პოლიტიკა. კერძოდ, ქვეყანაში არსებობდა უმუშევრობის შემწეობა, ხოლო აქტიური პროგრამების თვალსაზრისით ხორციელდებოდა დასაქმების შემდეგი სერვისები/პროგრამები: საზოგადოებრივი სამუშაოები, მომზადება-გადამზადების პროგრამა და მეწარმეობის მხარდაჭერა.[1] კორუფციის მასშტაბურობა უმთავრესი მიზეზი

[1] დეკანოიძე ანა, „შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში – ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა“, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, გვ. 73

იყო იმის, რომ მოსახლეობა, ფაქტობრივად, ვერ გრძნობდა ქვეყანაში შრომის ბაზრის ინსტიტუტების არსებობას, არც პასიური და არც აქტიური ზომები მათ ყოველდღიურ ცხოვრებამდე ვერ აღწევდა და, შესაბამისად, ვერც რაიმე ზეგავლენას ახდენდა მასზე.[1]

მინიმალური ხელფასის დონეს 1999 წლიდან არეგულირებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ის 20 ლარია. მოგვიანებით, 2005 წლის ბრძანებულებით საჯარო სექტორში დასაქმებულთა შრომის მინიმალური ანაზღაურება 135 ლარით განისაზღვრა. 2003-2012 წლებში საქართველოში დასაქმების შესახებ კანონის, მთავრობის მიერ მიღებული სათანადო დადგენილებებისა და პრეზიდენტის ბრძანებულებების საფუძველზე განისაზღვრა შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ძირითადი სუბიექტები და დასაქმების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის მარეგულირებელი ორგანოები. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებად დაისახა მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევართა სოციალური დაცვის სათანადო პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია. თუმცა დასაქმების პოლიტიკა ძირითადად პასიური ხასიათის ღონისძიებებს მოიცავდა. მოგვიანებით დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების დეპარტამენტი და პროფესიული ორიენტაციისა და მომზადება-გადამზადების ცენტრი გაერთიანდა. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბაზაზე, ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა დასაქმების ცენტრები. რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების სისტემატიზაციას და დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტას ერთიანი მიდგომის საფუძველზე.

შემდგომ ჩამოყალიბდა დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი სტრუქტურა, რომლის საქმიანობის ძირითად პრინციპად იქცა მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებაზე გადასვლა. ფონდმა უმთავრეს ამოცანად დაისახა უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების პერსპექტივის გაუმჯობესება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში – სტაბილური, ეფექტიანი დასაქმების მიღწევა. თუმცა ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მასშტაბების ფონზე, ზემოაღნიშნული პროგრამების რეალიზაციას მოსახლეობის დასაქმების გაუმჯობესების მიმართულებით რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია. შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუციონალური მხარის მოწესრიგებას ისახავდა მიზნად 2004 წლის ბოლოსათვის დასაქმების სამსახურის ნაცვლად სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შექმნა. ამ პერიოდიდან მთავრობის მიერ აღებული იქნა კურსი შრომის ბაზრის თვითრეგულირებაზე და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობაზე.

დღეისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ყოფილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) პასუხისმგებელია ჯანმრთელობის სისტემის რეგულირებაზე, შრომის

[1] იგივე.

საკითხებზე და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გამართულ მუშაობაზე საქართველოში. სამინისტროს ძირითადი ფუნქციაა, უზრუნველყოს მოსახლეობის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და ჯანდაცვა; დაარეგულიროს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა ქვეყანაში; სახელმწიფო პენსიის მართვა, სოციალური დაცვა, ბავშვთა უფლებების დაცვა. სამინისტროს აქვს უფლება, დაარეგულიროს ყოველი სამედიცინო საქმიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათი ხელმძღვანელობის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მთავარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა უმუშევრობაა, სამინისტროს ფუნქციებში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ფუნქცია. სამინისტროში შექმნილია შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი, რომლის ძირითად ამოცანებს და კომპეტენციას წარმოადგენს:

- შრომით კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით წინადადებების შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- შრომის სფეროში მოქმედი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად წინადადებების შემუშავება;
- შრომის სფეროში სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორობის მხარდაჭერა;
- კოლექტიური შრომითი დავების რეგულირებისთვის, სოციალურ პარტნიორებთან ერთად, მედიატორის ფუნქციების შესრულება,
- შრომისა და დასაქმების სფეროში საერთაშორისო კონვენციების, რეკომენდაციების, შეთანხმებების შესრულების მონიტორინგი; სახელმწიფოს მხრიდან აღებულ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე პერიოდული ანგარიშების მომზადება/წარდგენა;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და ამ სფეროში მოქმედ სხვა საერთაშორისო და სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობა;
- დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში წინადადებების შემუშავება; შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი;
- შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის (პროფორიენტაცია, პროფკონსულტირება, დასაქმებაში დახმარება) განვითარების მხარდაჭერა;
- სამუშაოს მაძიებლების (მ.შ. უმუშევრების) რეგისტრაციისა და აღრიცხვის მეთოდური მასალების შემუშავება;
- დასაქმების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- დასაქმების ხელშეწყობის განმახორციელებელი სამინისტროს სისტემის ერთეულების საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
- დასაქმების ფორუმების ორგანიზება;
- შრომითი მიგრაციის (შიდა და გარე) რეგულირებისათვის წინადადებების შემუშავება; შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

- დასაქმების კერძო სააგენტოების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში წვევამდელთა გაწვევის განხორციელება და მათი დასაქმების ორგანიზება;
- დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროში სამინისტროს მიერ დასადები საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და სხვა (https://www.moh.gov.ge).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 2012 წლის შემდგომი პერიოდიდან დღემდე კლების ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 1939,9 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 1694,2 ათასი ადამიანია დასაქმებული. 2018 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 12,5%-ია, რაც, 2012 წელთან შედარებით, თითქმის 4,5%-ით ნაკლებია.

მიუხედავად იმისა, რომ 2006-2016 წლებში საქართველოში დასაქმება გაიზარდა, უმუშევრობის დონე კვლავ მაღალია (იხ. დიაგრამა 2 და 3). მათ შორის ყველაზე მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობა (33,2%). მაღალი მწარმოებლურობისა და ხელფასის სექტორებში (როგორებიცაა მრეწველობა და მომსახურება) დასაქმება იზრდება, მაგრამ სამუშაო ადგილების 40%-ზე მეტი დაბალმწარმოებლურ სექტორში – სოფლის მეურნეობაში შეიქმნა. მაგრამ, მეორე მხრივ, ზრდა არ არის საკმარისად ინკლუზიური. ამასთან, საქართველოში ძალიან მაღალია სიღარიბე, რეგიონული უთანაბრო განვითარება და შემოსავლების უთანასწორობა. მოსახლეობის ნახევარი სიღარიბეში ცხოვრობს, ყოველი მეხუთე მოსახლე კი ღატაკია. გაიზარდა ჯინის კოეფიციენტი და 2018 წელს 40,0 შეადგინა. აღნიშნული შეუსაბამობა განპირობებულია დასაქმებულთა სტრუქტურით. მათი უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, ენერგოსექტორში და ტურიზმშია დასაქმებული, სადაც არ იქმნება მაღალი დამატებული ღირებულება. ისეთ სექტორებში, როგორებიცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები და ხელოვნება, 2017 წელს სამუშაო ადგილების შემცირება ფიქსირდება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2018 წლის კვლევის თანახმად, „საქართველოს ეკონომიკურმა რეფორმებმა მტკიცე ზრდა გამოიწვია, მაგრამ სარგებელი არ არის ფართოდ გაშლილი. საქართველოს ეკონომიკის ზრდის შედეგია სიღარიბე და შემოსავლების უთანასწორობა. იგი ძირითადად კონცენტრირებულია სასოფლო დასახლებებში და განსხვავდება რეგიონების მიხედვით. საქართველოს შრომითი რესურსის უმრავლესობა ჩაკეტილია დაბალ პროდუქტიულ სამუშაოებში, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების დიდი წილი უმუშევარია“.

დღეს საქართველოს ეკონომიკისათვის ერთ-ერთი კრიტიკული გამოწვევა შრომის ბაზრის მოწესრიგებაა. შრომის ბაზარზე მიწოდება არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, რაც არა მხოლოდ მნიშვნელოვნად ამცირებს ქვეყნის

დიაგრამა 2



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba (21.11.2019)

დიაგრამა 3



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba (21.11.2019)

პროდუქტიულობას, არამედ, ასევე, ზრდის ადამიანურ რესურსებზე გაწეულ ხარჯებს. ეს ყველაფერი კი ნეგატიურად აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე როგორც მსოფლიო, ისე რეგიონის მასშტაბით. შრომის ბაზრის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მის განვითარებისთვის საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება და მისი შესატყვისობაში მოყვანა ბაზრის მოთხოვნებთან;
- პროფესიული გადამზადების ეფექტიანი სისტემის შექნა და განვითარება.

შრომის ბაზრის ერთ-ერთი ნაკლოვანებაა სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შეუსაბამობა ბაზრის მოთხოვნებთან. ამ ნაკლოვანებას რამდენიმე გამომწვევი მიზეზი აქვს. ერთ-ერთია საგანმანათლებლო სისტემის არაეფექტიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით საქართველოს მოსახლეობისთვის უმუშევრობის და დასაქმების პრობლემა ყველაზე პირველხარისხოვანია, ინსტიტუციური მოწყობა და შრომის ბაზრის ინდიკატორების ანალიზი გვიჩვენებს დასაქმების პოლიტიკის, ამ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების სისუსტეს და არაეფექტიანობას.

„საქართველოს მთავრობის მიერ ათასწლეულის გამოწვევის ფონდთან ერთად ჩატარებული ანალიზი ასკვნის, რომ ადგილობრივ სამუშაო ძალას არ გააჩნია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნილი უნარები. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს საერთაშორისო კონკურენციის ინდექსის ანგარიშიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ბიზნესის კეთების რიგით მე-2 წინაღობა არასაკმარისად მომზადებული სამუშაო ძალაა. ევროკავშირის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობა ნაკლებად განათლებულ მუშაკებშია კონცენტრირებული, საქართველოში უმუშევართა 50 პროცენტს საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული, ხოლო 40 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის კონცეფციისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, სამინისტროს ინიციატივით, 2015 წელს ჩატარდა შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა, რომლის მთავარ მიზანს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სტრუქტურული შეუსაბამობების შესწავლა წარმოადგენდა. კვლევა მოიცავდა 6000 კომპანიას, ძირითადად მიკრო და მცირე საწარმოებს (75% და 19%, შესაბამისად). დასაქმების სტრუქტურის მიხედვით, იგი მოიცავდა სერვისებს (78%), ინდუსტრიასა (20%) და სოფლის მეურნეობას (2%). კვლევის შედეგები შეიწონა, რათა ეროვნული მასშტაბით რეპრეზენტატული შედეგები ეჩვენებინა. მსოფლიო ბანკის მიერ მომზადდა კვლევის პირველადი ანალიზი, რომელიც აჩვენებს, რომ ძირითადად შრომაზე მცირე მოთხოვნა და სამუშაო ძალის მიწოდების ნაკლებობა არ წარმოადგენდა მთავარ პრობლემას ქართულ შრომის ბაზარზე 2015 წელს. კვლევის წინა პერიოდში (წინა ერთი წლის განმავლობაში) კომპანიების 18%-მა გაზარდა დასაქმება და 50 000 სამუშაო ადგილი შექმნა. 13%-მა შეამცირა დასაქმება და გააუქმა 41 000 სამუშაო ადგილი, ხოლო საერთო დასაქმება გაიზარდა 1%-ით. თუმცა დასაქმების მაჩვენებელი დიდად განსხვავდებოდა სექტორებისა და რეგიონების მიხედვით, რაც გვაფიქრებინებს, რომ სტრუქტურული სხვაობა შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდებაში მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში“.[1] (იხ. დიაგრამა 4 და 5).

ამრიგად, შეჯამების სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შრომითი რესურსების მიწოდების მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში ადგილი აქვს მკვეთრ დემოგრაფიულ ცვლილებებს, რაც აისახება სამუშაო ძალის შემცირებაში. ყოველივე განპირობებულია ქვეყნიდან ადამიანების გადინებით და შობადობის არასტაბილური ცვლილებით. ამასთან, მიგრაცია შესაძლოა განვიხილოთ, როგორც დადებით, ასევე უარყოფით კონტექსტში. ერთი მხრივ, ქვეყნიდან „ტვინების გადინება“ მოკლევადიან პერიოდში აკარგვინებს ქვეყანას

[1] საქართველოს მთავრობის დადგენილება 167, 2016 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი.

დიაგრამა 4



დიაგრამა 5



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba (21.11.2019)

ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მეორე მხრივ, მიგრანტთა დაბრუნების შემთხვევაში ქვეყანას უბრუნდება უფრო მეტად კვალიფიციური კადრი და მათ მიერ საზღვარგარეთ მიღებული განათლების და შეძენილი უნარების ქვეყანაში ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

ბოლო პერიოდში მიგრაციის უარყოფითი სალდოს შემცირების მიუხედავად, მიგრაციის საკითხის შრომის ბაზართან მიმართებით განხილვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს (განსაკუთრებით ევროკავშირთან დაახლოების პირობებში) და, შესაბამისად, პოლიტიკის შემუშავების პროცესში აუცილებელია ამ ფაქტორის გათვალისწინება:

- დღევანდელ პირობებში, საქართველოში შრომის ბაზრის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, დასაქმების სტრუქტურა და თვითდასაქმებულების დაბალი პროდუქტიულობა. საქართველოში დასაქმების სექტორულ ჭრილში გაანალიზება იძლევა არაერთგვაროვან სურათს სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და მომსახურებაში დასაქმების მხრივ. ქალაქსა და სოფლად უმუშევრობის დონეებს შორის მკვეთრი სხვაობა აიხსნება სოფელში თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლით. სოფლად დაბალია ბიზნესის აქტივობა, შესაბამისად, დაბალია დაქირავებული შრომა და მაღალია თვითდასაქმება.
- ქალების უმუშევრობის დონე საგრძნობლად დაბალია მამაკაცების უმუშევრობის დონესთან შედარებით, რაც აიხსნება ქალებთან შედარებით მამაკაცების აქტიურობის დონის მაღალი მაჩვენებლით.
- საქართველოში აქტიურად ვითარდება მომსახურების სფერო, რაც იწვევს ამ მიმართულებით სამუშაო ძალის მოთხოვნას. შესაბამისად, ისეთი სექტორები, როგორიცაა: საფინანსო მომსახურება, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ტურიზმი ბოლო წლების განმავლობაში სწრაფად მზარდ დარგებს წარმოადგენენ. ამ კუთხით, ასევე საყურადღებოა ისეთი პრიორიტეტული სექტორის განვითარება, როგორიცაა Business Process Outsourcing (BPO). ამ სექტორების ზრდის ტენდენციებიდან და დაგეგმილი ინვესტიციებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ამ დარგების შემდგომი განვითარება, რაც, ერთი მხრივ, მოითხოვს სექტორში წარმოდგენილი დასაქმებულების კვალიფიკაციის დონის ამაღლებას პროდუქტიულობისა და ხარისხის ზრდისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მომავალში დამატებით გაზრდის მოთხოვნას სამუშაო ძალაზე;
- კაპიტალის ბაზრის რეფორმა და დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა, ასევე დაზღვევის სფეროში მიმდინარე ცვლილებები, თავის მხრივ, გაზრდის შრომის ბაზარზე შესაბამისი პროფილის მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნას;
- მაღალკვალიფიციური კადრების საჭიროება გაჩნდება ეკონომიკის რეალურ სექტორშიც, კერძოდ, დაგეგმილი ინვესტიციების და კაპიტალური ხარჯების ფონზე, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მნიშვნელოვანი პროექტები ენერგეტიკის სექტორში, დამამუშავებელ მრეწველობაში, ახალი სატრანსპორტო ქსელის მშენებლობასა და ქვეყნის ზოგად ინფრასტრუქტურაში გაზრდის მოთხოვნას კონკრეტული კვალიფიკაციის დასაქმებაზე, მათ შორის, ინჟინრებსა და არქიტექტორებზე.
- რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამ დარგში დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, დარგის პროდუქტიულობა ძალიან დაბალია და შედეგად მცირეა დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქტში. სოფლის მეურნეობისათვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც შესაძლოა, ერთი მხრივ, გამოიწვიოს კადრების

გადადინება სხვა სექტორებში, ხოლო, მეორე მხრივ, განაპირობოს მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა.[1]

2020 წლის დასაწყისიდან განვითარებული კოვიდ ინფექციის ეპიდემიის შედეგად 1 აპრილს მთავრობამ გამოაცხადა გადაწყვეტილება არსებული ბიუჯეტიდან ოპტიმიზაციისა და მომჭირნეობის საშუალებით 2 მილიარდი ლარის გამოყოფის შესახებ ეკონომიკის და სოციალური სფეროს მხარდასაჭერად. დამატებით გამოიყოფა 351 მილიონი ლარი უშუალოდ ჯანდაცვის სფეროსთვის. ამავდროულად, პრემიერმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია საბიუჯეტო ხარჯების შემცირება 3 მილიარდი ლარით. ყველა ის დაქირავებით დასაქმებული პირი, რომელიც ოფიციალურად მუშაობდა და კრიზისის პერიოდში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ დაკარგა სამსახური, შემოსავალი და ვეღარ იღებს ხელფასს, მიიღებს დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან 1200 ლარის ოდენობით, 6 თვის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ყოველთვიურად მიიღებენ 200 ლარს. დახმარებით სარგებლობას არსებული მონაცემებით და იმ ფონდებით, რომელიც სახელმწიფოს გააჩნია, შეძლებს საქართველოს მინიმუმ 350 000 მოქალაქე, რაც ბიუჯეტისთვის ნიშნავს 460 000 000 ლარის ხარჯს. ამ ღონისძიების ძირითადი მიზანია, რომ ის ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური, შეძლონ 6 თვის განმავლობაში ფინანსურად დახმარების მიღება.

არსებულმა მდგომარეობამ განსაკუთრებული ზიანი მოუტანა თვითდასაქმებულებს, არაფორმალურად ან არამყარი კონტრაქტებით დასაქმებულებს (უდანაზოგოები, მოვალეები, მომსახურების სფეროში (პრეკარიატი), განსაკუთრებით, ტურიზმის სფეროში დასაქმებულებს.

რა მდგომარეობაა საქართველოში?

ცხრილი №1

საქართველოში 2018 წლის მონაცემებით დასაქმებულია 1692,2 ათასი ადამიანი	მსპ 2019 წლის მაჩვენებლით 50 მლრდ. ლარია.
659 000 დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში	სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა – მსპ-ს 6,3%-ია.
187 600 – ვაჭრობა, პირად მომსახურებაში	საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების რემონტი – 11,7 %.
140 000 – მრეწველობაში	დამამამუშავებელი მრეწველობა – 18,3%.
98 000 – მშენებლობაში	მშენებლობა – 12,6%.
44 400 – სასტუმრო, რესტორნები	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა და საკვების მიწოდების საქმიანობები – 5,4%.
90000 – ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	ტრანსპორტი და დასაწყობება – 6.9%.

[1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შრომის ბაზრის ანალიზი 2018, 46-47.

ამასთან, მათი უმუშევრობა გამოწვეულია პანდემიის შედეგების მინიმიზაციისთვის აუცილებელი ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორებიცაა, საგანგებო მდგომარეობა და კარანტინი. უმუშევრობა გამოიწვია ფორსმაჟორულმა პირობებმა. ქვეყანაში უმუშევრობის დაზღვევის სისტემის არარსებობის გამო საზოგადოების დიდი ნაწილი შიმშილისთვის განწირული აღმოჩნდა.

ამასთან, ყველა ის ადამიანი, რომელიც შეინარჩუნებს სამუშაო ადგილს, ყველა ის კომპანია, რომელიც შეინარჩუნებს თითოეულ სამუშაო ადგილს, 6 თვის განმავლობაში 750 ლარამდე ხელფასის თვალსაზრისით მიიღებს სრულ სუბსიდირებას საშემოსავლო გადასახადის გადახდის კუთხით. აღნიშნული დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 250 მილიონი ლარით.

გარდა ამისა, იგივე სახის სუბსიდირებას 750 ლარის ოდენობის ხელფასზე მიიღებს ყველა სამუშაო ადგილი, რომელიც არის შენარჩუნებული და რომელზე ანაზღაურებაც არის 1500 ლარამდე. ფაქტობრივად, ამით მთავრობა ეხმარება როგორც საქართველოს მოქალაქეს, ასევე მეწარმეს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს სამუშაო ადგილი, ხოლო ჩვენმა მოქალაქემ შეინარჩუნოს შემოსავალი და ხელფასი. ამ ღონისძიების ბიუჯეტი გახლავთ 250 მილიონი ლარი.

ოჯახები, რომელთაც სოციალური სარეიტინგო ქულა არის 65 000-დან 100 000-მდე, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ოფიციალურად უკვე ეხმარება ამ მოქალაქეების ჯგუფს 65 000 ქულამდე, მაგრამ ყურადღების გარეშე არის დატოვებული 65 000-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები, რომლებსაც მთვრობა ეხმარება მრავალშვილიანების და არასრულწლოვნების ყოლის პირობებში. მთავრობის გადაწყვეტილებით, ასეთ ოჯახებს დაეხმარებიან 6 თვის განმავლობაში 600 ლარის ოდენობით. ასეთია საქართველოში 70 000 ოჯახი, დაახლოებით 190 000 მოქალაქე. ამასთან ერთად, იმ ოჯახებს, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100 000-მდე და ჰყავთ 3 და მეტი 16 წლამდე ასაკის შვილი, რაც ნიშნავს მრავალშვილიან ოჯახებს, სახელმწიფო დაეხმარება 6 თვის განმავლობაში 600 ლარის ოდენობით. ასეთი ოჯახების რაოდენობა დღეს საქართველოში არის 21 000 და ეს მოიცავს 130 000 მოქალაქეს.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ სოციალური დახმარების სამსახურების მეშვეობით და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა იდენტიფიცირების მაქსიმალური გამარტივების შემდგომ გაუწიოს მათ ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით. ამ ღონისძიების დაახლოებითი ბიუჯეტი იქნება 75 მილიონი ლარი.

ამასთან ერთად, 70 წელს ზემოთ პენსიონერები, გარდა ინფლაციის პროცენტული ოდენობის ზრდისა, მიიღებენ პენსიის ზრდის შესაძლებლობას ეკონომიკის ზრდის 80%-ის ოდენობით. ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ 2021 წლიდან გარანტირებულად ყველა პენსიონერს პენსია გაეზრდება

მინიმუმ 20 ლარით, ხოლო 70 წელს გადაცილებულებს – 25 ლარით. ამ შეღავათებით ისარგებლებს საქართველოს 410 ათასი პენსიონერი[1].

მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა ნათლად აჩვენებს, რომ კოვიდ პანდემიის პირობებში მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა თავისი მოქალაქეების წინაშე. ანტიკრიზისული გეგმა გულისხმობს, რომ კრიზისის პერიოდში არსებობს შემდეგი პრიორიტეტები: ჯანდაცვა და სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებებით უზრუნველყოფა (სურსათი, ენერგეტიკა). მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმა ნათლად აჩვენებს, რომ მთავრობას მოუწია წლების განმავლობაში არსებული პოლიტიკის გადახედვა, რაც გულისხმობს ე.წ. „მცირე მთავრობის“ იდეისა და პრაქტიკის უარყოფას.

მთავრობის პასუხისმგებლობა თავისი მოქალაქეების წინაშე, ნიშნავს რა სახელმწიფოს როლის აღიარებას და ეს არის პრინციპული სხვაობა იმასთან შედარებით, რაც იყო საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში.

ანტიკრიზისულ გეგმაში, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური გეგმაა, სწორი აქცენტები გაკეთდა კრიზისის პერიოდში არსებული პრიორიტეტების მიმართულებით (ჯანდაცვა და სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებებით უზრუნველყოფა (სურსათი, ენერგეტიკა). ამასთან, მნიშვნელოვანია, გეგმა და მისი რეალიზაციის მექანიზმები კონკრეტულად და დეტალურად იყოს წარმოდგენილი. ასევე,

1. აუცილებელია, შემუშავდეს კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამჭვირვალობის მაღალ დონეს, საზოგადოების ფართო მონაწილეობას და ყველა პასუხისმგებლიანი და კონსტრუქციული მოსაზრების გათვალისწინებას. ეს მნიშვნელოვანია იმისთვისაც, რომ მოხდეს საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება, არსებული ვითარების სიღრმისეულად გაცნობიერება, რათა ამ ახალმა წესებმა ეფექტურად იმუშაოს.
2. დეტალიზებას საჭიროებს უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისთვის სოციალური დახმარების ოდენობა და ამ ადამიანების იდენტიფიცირების წესი. რასაკვირველია, გასაწერია კონკრეტული მექანიზმები, რომლის საფუძველზეც გეგმით გათვალისწინებული მიზნები მიიღწევა.
3. პრობლემა გაჩნდა არაფორმალურ სექტორში დასაქმებულების მიმართ, რაც უნივერსალური საბაზისო შემოსავლის პრინციპით შეიძლება დაიძლიოს. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ეკონომიკის ჩრდილოვანი ნაწილის ფორმალიზების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება. ვფიქრობთ, პროგრესული საგადასახადო სისტემის საფუძველზე ეს პრობლემაც დაძლევადია.
4. უფრო სამართლიანი და ეფექტიანი იქნება, თუ სრულად იქნება გაზიარებული პროგრესულად მზარდი დაბეგვრის პრინციპი – დაბალი შემოსავლების მქონეთათვის გადასახადის შემცირებას უნდა მოჰყვეს მაღალი შემოსავლების მზარდი დაბეგვრაც, ამით დაკომპენსირდება ის მზარდი

[1] http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=541&info_id=75972 (10.05.2020)

ზემოგებები და შემოსავლები, რომლებსაც გარკვეული დარგები და ადამიანები მიიღებენ კრიზისის პერიოდში.

5. უმუშევრობის დახმარებას, დასაქმების აქტიურ პოლიტიკას და სწრაფ ინდუსტრიულ განვითარებას ესაჭიროება არა მცირე, არამედ დიდი და ძლიერი სახელმწიფო მზარდი ბიუჯეტით და ხარჯვით. ამიტომ სახელმწიფომ ეს პასუხისმგებლობები, რასაც კრიზისის პერიოდში იღებს, უნდა დაიტოვოს მის შემდგომ, რასაც ვერ გააკეთებს მომჭირნეობის პოლიტიკით.

უმუშევრად დარჩენილი ადამიანებისთვის სოციალური დახმარების ოდენობა და ამ ადამიანების იდენტიფიცირების წესი, რასაკვირველია, დეტალიზებას საჭიროებას. აუცილებელია გამოყოფილი თანხის ოპტიმალურად დახარჯვა, რათა, პირველ რიგში, მოხდეს იმათი უზრუნველყოფა, ვისაც ამის საჭიროება ყველაზე მეტად აქვს. ასევე მნიშვნელოვანია, ეს პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს. თუკი არსებობს შესაძლებლობა, უნდა მოხდეს საკომპენსაციო თანხების და სოციალური დახმარების გაზრდაც.

სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით დაბალ შემოსავლებზე საშემოსავლო გადასახადის შემცირება პოზიტიური გადაწყვეტილებაა. ეს თავის თავში გულისხმობს პროგრესული დაბეგვრის ელემენტს, რაც დაბალშემოსავლიანი ადამიანების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებაში გამოიხატება.

მთავრობის მიერ შემოთავაზებული სოციალური დახმარებების პაკეტი კრიტიკას იმსახურებს თვითდასაქმებულთა და, ასევე, არაფორმალურ სექტორში დასაქმებული ადამიანების მიმართ არასაკმარისი მზრუნველობის გამოჩენის გამო. ამასთან, მთავრობის პასიური პოლიტიკა წარმოჩინდა იმაში, რომ არ არსებობს ისეთი ტიპის აღწერა, რომელიც სახელმწიფოს ამ ადამიანების იდენტიფიკაციის საშუალებას მისცემდა. პროგრესული საგადასახადო და ადმინისტრაციული რეფორმა უნდა იყოს სტიმული ამ ადამიანების შრომის ფორმალიზაციისთვის, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს კრიზისების დროს და, ნორმალურ პირობებშიც, ასეთი ადამიანების იდენტიფიცირება სოციალური დაცვის თუ სხვა მიზნებით.

მისასალმებელია კომპენსაციის დაწესება მათთვის, ვინც ეპიდემიის შედეგად სამსახური დაკარგა. ეს ეფუძნება ლოგიკას, რომ ამ ადამიანების საკუთარი მოქმედებების ან უუნარობის შედეგად არ დაუკარგავთ სამსახური.

ამასთანავე, საქართველოში ეპიდემიის გარეშეც არსებობს ქრონიკული და მასობრივი უმუშევრობა, რაც ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემის შედეგს წარმოადგენს და ვირუსით გამოწვეული უმუშევრობის მსგავსად არაა იმ ადამიანების ბრალი და დანაშაული, რომლებიც სამსახურს ეძებდნენ ვირუსამდე და ვერ პოულობდნენ. ამიტომაც, საქართველოში, დასაქმების აქტიურ პოლიტიკასთან ერთად, უნდა გაფართოვდეს და დაინერგოს უმუშევრობის კომპენსაცია და მოიცვას ყველა სამუშაოს მაძიებელი. ეს უნდა იყოს არა დროებითი, არამედ მუდმივი პოლიტიკა.

პრობლემური საკითხები:

1. როგორ იზომება უმუშევრობა? იმსჯელეთ ამასთან დაკავშირებით გამოვლენილ უმუშევრობის კვოტაზე.
2. ჩამოთვალეთ და ახსენით უმუშევრობის სახეობები და მათი შინაარსი.
3. გააანალიზეთ მაღალი უმუშევრობიდან მიღებული კონკრეტული და საერთო ეკონომიკური შედეგები.
4. შრომის ბაზრის რომელი თეორიები არსებობს?
5. სატარიფო ხელშეკრულების პარტნიორებმა რა წვლილი შეიძლება შეიტანონ უმუშევრობის შემცირებაში?
6. რა არსებითი სტრატეგიული მიმართულებები შეიძლება გამოვიყენოთ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად?
7. რა იგულისხმება შრომის ბაზრის აქტიურ და პასიურ პოლიტიკაში?
8. როგორ შეიძლება შევამციროთ უმუშევრობა მოქნილი სამუშაო დროის პრინციპით?
9. რა გავლენას ახდენს გლობალიზაციის პროცესი შრომის ბაზრის განვითარებაზე?
10. რატომ არის დღეისათვის სახელმწიფოსათვის ძნელი, გაატაროს შრომის ბაზრის რაციონალური პოლიტიკა და რაში მდგომარეობს გრძელვადიან უმუშევრობასთან აქტიური ბრძოლის პრობლემები?
11. დაახასიათეთ შრომის ბაზრის და დასაქმების პოლიტიკის კერძო, სახელმწიფო და საერთაშორისო გამტარებლები.

თავი 8
საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების და ინტენსიური საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად საქართველოსთვის საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამ სულ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა. სამართლიანი ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში საერთაშორისო მასშტაბით ვაჭრობას შეუძლია ეროვნული ეკონომიკის წარმატებას ხელი შეუწყოს. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ღონისძიებებისა და აქტივობების ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია შექმნას ან შეცვალოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების მიმოქცევა) ჩარჩო პირობები, ასევე, ხელი შეუწყოს საშინაო და საგარეო ეკონომიკური მიზნების მიღწევას, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ტრანსაქციებზე. ეს, პირველ რიგში, წესრიგის პოლიტიკის ჩარჩოს (საგარეო ეკონომიკური წესრიგი) შექმნასა და შენარჩუნებას ეხება. საგარეო ეკონომიკური წესრიგი მოიცავს ყველა ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ წესებს, რომელთა ფარგლებშიც ეკონომიკურ სუბიექტებს საგარეო ეკონომიკური ტრანსაქციების განხორციელება შეუძლიათ. საგარეო ეკონომიკური წესრიგის კონკრეტული ფორმა არსებული შიდა ეკონომიკური წესრიგითა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციით განისაზღვრება (მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი). საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყნები საგარეო ეკონომიკაში ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებების შეუზღუდავ თავისუფლებას ანიჭებენ უპირატესობას. საგარეო სავაჭრო სახელმწიფო მონოპოლია კი ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკისათვის არის დამახასიათებელი.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისათვის საჭიროა, რომ წესრიგის ჩარჩო პროცესის პოლიტიკის სფეროსგან განსხვავდებოდეს. ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება საგარეო ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების დროს. წარმატებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა მხოლოდ ერთ ქვეყანას არ შეუძლია. მაგალითად, პროტექციონისტული ღონისძიებების გამოყენება სხვა სახელმწიფოების უკურეაქციას იწვევს. ასევე, ცალმხრივად ჩატარებულ ვალუტის დევალვაციას ყოველთვის „დევალვაციაში შეჯიბრი“ მოსდევს.

საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში სასაქონლო-ეკონომიკურ და მონეტარულ ასპექტებს განასხვავებენ. თუმცა ორივე სფეროს შორის მჭიდრო

ურთიერთკავშირი არსებობს. იგი მოიცავს **საგარეო სავაჭრო და სავალუტო პოლიტიკებს**. მაშინ, როდესაც საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლისთვის სახელმწიფო ღონისძიებების ერთობლიობას მოიცავს, სავალუტო პოლიტიკის ღონისძიებები, ვიწრო გაგებით, მიმართულია ვალუტის გაცვლის კურსის სტაბილურობისკენ. სავალუტო პოლიტიკა, ფართო გაგებით, დამატებით მოიცავს ეკონომიკაში ფულის მიმოქცევისა და კრედიტით უზრუნველყოფის წესების დარეგულირების ყველა ღონისძიებას. მასში, პირველ რიგში, შედის ყველა შიდა ეკონომიკური ღონისძიება, რომლებიც, მაგალითად, ლიკვიდურობისა და სარგებლის პოლიტიკის ფარგლებში ტარდება. სავალუტო პოლიტიკაში შეიძლება შევიდეს აგრეთვე ღონისძიებები, რომლებიც საგარეო-ეკონომიკურ ბრუნვასა და სავალუტო ბაზარს ეხება (მაგალითად, სავაჭრო, მომსახურების და ა.შ. სფეროებში ჩართვა).

საგარეო ეკონომიკურ სიტუაციაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას საგადასახდელო ბალანსი გვაწვდის. საქმე ეხება დროის გარკვეულ მონაკვეთში მოცემული ქვეყნის რეზიდენტებსა და უცხოელ რეზიდენტებს შორის ფულად ფორმაში გამოხატული განხორციელებული გარიგებების ერთობლიობას. საგადასახდელო ბალანსის სალდო ყოველთვის ნულის ტოლი უნდა იყოს. საგარეო ეკონომიკური ოპერაციების ხარჯთაღრიცხვა ორმაგი საბუღალტრო აღრიცხვის მეთოდით ხორციელდება. ყოველი პროცესი დებეტით და, ამავდროულად, კრედიტითაც განისაზღვრება. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საგარეო ეკონომიკური ბალანსი არსებობს. ბალანსის მიღწევა საგადასახდელო ბალანსის ფინანსურ ნაწილს ეხება.

საგადასახდელო ბალანსის სალდო ასევე დიდ როლს ასრულებს საგარეო ეკონომიკური პროცესების განხილვისას. პროფიციტური ან დეფიციტური საგადასახდელო ბალანსი ორივე შემთხვევაში დისბალანსია. ხანგრძლივი პროფიციტური საგადასახდელო ბალანსი ფასების სტაბილურობას საფრთხეს უქმნის (უცხოური ვალუტის შემოდინებით), მაშინ, როდესაც ხანგრძლივი დეფიციტური საგადასახდელო ბალანსი (უცხოური ვალუტის გადინება) თავის თავში საერთაშორისო დავალიანების საფრთხეს შეიცავს.

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია სავალუტო კურსის არსის განსაზღვრა. უცხოური ვალუტის ნომინალური გაცვლის კურსი, ანუ მოკლედ, სავალუტო კურსი ნიშნავს, პირველ რიგში, ორი ვალუტის გაცვლით თანაფარდობას. მაგრამ ანალიზისათვის საჭიროა, გათვალისწინებულ იქნას ფასების განსხვავებული დონე ქვეყნის შიგნით და გარეთ უცხოური ვალუტის რეალური სავალუტო კურსის მეშვეობით. იგი ტოლია უცხოური ფასების დონისა და უცხოური ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის ნამრავლის გაყოფით მოცემული ქვეყნის შიგნით არსებულ ფასების დონეზე.

უცხოური ვალუტის რეალური სავალუტო კურსის ცვლილება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას, რადგან იგი ქვეყნის შიგნით არსებულ საქონელს აიაფებს ან აძვირებს უცხოურ საქონელთან მი-

მართებით. ნომინალური სავალუტო კურსი გამოხატავს უცხოური ვალუტის ფასს ადგილობრივ ვალუტაში. ასე რომ, სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი ვალუტით გამოხატული ფასების შედარება შესაძლებელია. სავალუტო კურსი შეიძლება მოცემული იყოს პირდაპირი ან უკუკოტირების გზით. 1999 წლის 1 იანვრისათვის ევროს სივრცის ყველა ქვეყანა უკუკოტირების მექანიზმზე გადავიდა. პირდაპირი კოტირება გვიჩვენებს, თუ რამდენი ეროვნული სავალუტო ერთეულია საჭირო ერთი აშშ დოლარის შესაძენად. უკუკოტირება გვიჩვენებს, თუ რამდენ აშშ დოლარს მივიღებთ ქვეყნის შიდა ვალუტის ერთი ერთეულით. თავისუფალი სავალუტო კურსის სისტემის პირობებში (თავისუფალი ცურვის სავალუტო რეჟიმი) ვალუტის ფასი სავალუტო ბაზარზე ამ ვალუტაზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე ყალიბდება.

სავალუტო კურსის აწევა (რევალვაცია) ვალუტის ღირებულების გაზრდას გულისხმობს. ადგილობრივი ვალუტის უკუკოტირებისას ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ვალუტის გაცვლის კურსი იზრდება. ამას ექსპორტის შეზღუდვა მოჰყვება, რადგან მზარდი სავალუტო კურსის მქონე ქვეყნის ექსპორტი საზღვარგარეთ სხვა თანაბარ პირობებში უფრო ძვირია. სამაგიეროდ, უცხოური იმპორტი იაფდება. **კურსის დაწევაში (დევალვაცია)** ვალუტის ღირებულების შემცირება იგულისხმება. შიდა ვალუტის უკუკოტირებისას ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ვალუტის გაცვლის კურსი ეცემა. აქედან მოგებას საექსპორტო დარგები იღებენ, რადგან ქვეყნის ექსპორტი საზღვარგარეთ იაფდება. თუმცა, ამავდროულად, უცხოური საქონელი (იმპორტი) უფრო ძვირი ხდება.

სავალუტო პოლიტიკაში ძირითადი გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნას საწყის პოზიციებთან დაკავშირებით. პირველი რიგის გადაწყვეტილება ვალუტის კონვერტირებასა და სავალუტო კონტროლს (რეგულირებას) შორის არჩევანს ეხება. თავისუფალი კონვერტირება ნიშნავს ქვეყანაში სამეწარმეო ურთიერთობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებების შეუზღუდავ გადახდას. მაგრამ ის, ამავდროულად, გარკვეული ასპექტებით შეიძლება შეზღუდული იქნას (მაგალითად, მხოლოდ შიდა კონვერტირების დაშვებით).

ამის საპირისპიროდ, სავალუტო კონტროლი (რეგულირება) საერთაშორისო ანგარიშსწორების კონტროლისა და შეზღუდვების სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით ხასიათდება (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რეგლამენტირება). ცალკეულ შემთხვევაში ეს ვალუტის კონვერტირებადობის შეზღუდვასა და საერთოდ გაუქმებაში ვლინდება. ხშირად პრობლემა საზღვარგარეთ მიღებული ვალუტის ცენტრალიზებულად მიწოდებაში მდგომარეობს. იმპორტისათვის საჭირო ვალუტაზე განაცხადის გაკეთება უნდა მოხდეს. ვალუტის რეგულირების სისტემა კონტროლს საჭიროებს, რასაც ხშირად „შავი ბაზრის“ ჩამოყალიბება მოსდევს.

მეორე რიგის გადაწყვეტილება სავალუტო სისტემის არჩევას ეხება. ვალუტის თავისუფალი კონვერტირების დროს არსებობს ორი ალტერნატივა: (1) მოქნილი სავალუტო კურსის (თავისუფალი ცურვის) და (2) ფიქსირე-

ბული (მყარი) სავალუტო კურსის სავალუტო სისტემა (გარკვეული დიაპაზონის პირობებში). თავისუფალი გაცვლითი კურსი სავალუტო ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის საფუძველზე წარმოიქმნება. ვალუტის რევალვაცია ან დევალვაცია მიწოდების ან მოთხოვნის მერყეობის შედეგია. სახელმწიფო ინტერვენციის გავლენის გარეშე სავალუტო კურსის სიდიდეს მხოლოდ ბაზრის მონაწილეთა პოზიციების ცვლილება განსაზღვრავს. ფიქსირებული გაცვლითი კურსი (პარიტეტული კურსი) მთავრობის მიერ დგინდება. ხშირად, ტექნიკური მიზეზების გამო, არსებულ დიაპაზონში მცირე რყევას დასაშვებად მიიჩნევენ. თუ სავალუტო კურსი ამ ზღვარს გადააჭარბებს (ინტერვენციის პუნქტები), მაშინ ცენტრალური ბანკი, შესაბამისი ვალუტის ყიდვით ან გაყიდვით, კურსის გამყარებაში ერევა.

ამრიგად, მყარი სავალუტო კურსების სისტემაში ინტერვენციის მიზანი წონასწორული კურსის ცვლილებაზე ზეგავლენაა, მოქნილი (თავისუფალი ცურვის) სავალუტო კურსების სისტემაში კი – სავალუტო კურსის სტაბილურობის მიღწევა. საგადასახდელო ბალანსის უწონასწორობის შედეგად საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი ან პროფიციტი შეიძლება მივიღოთ. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი მაშინ გვაქვს, თუ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა მის მიწოდებას აჭარბებს და პირიქით, საგადასახდელო ბალანსის პროფიციტს (სიჭარბეს) ადგილი აქვს მაშინ, როდესაც უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა მცირეა, ვიდრე მისი მიწოდება. დეფიციტის შემთხვევაში ცენტრალურმა ბანკმა უცხოური ვალუტის დამატებითი მიწოდება უნდა უზრუნველყოს. სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნება შესაძლებელია სხვა ეკონომიკური ღონისძიებებითაც. საგადასახდელო ბალანსის პროფიციტის არსებობის შემთხვევაში ცენტრალური ბანკი უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნას ზრდის. თანმხლები ფულადი და საფინანსო პოლიტიკის ღონისძიებები აქაც გარდაუვალია.

არსებული მდგომარეობის ანალიზი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკამ არსებითი ცვლილებები განიცადა. შეიცვალა საერთაშორისო სავაჭრო და საგადასახდელო შეზღუდვების არსებული პრაქტიკა. ამ პროცესს მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება, კონფერენციები და ეკონომიკურ-საფინანსო ინსტიტუტების დაარსება მოჰყვა, რამაც შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. **მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი** მოიცავს საკანონმდებლო და სახელშეკრულებო მოქმედების ნორმების და, ასევე, ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ტრანსაქციათა ჩარჩო პირობებს განსაზღვრავენ. ამ პერიოდში აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პირობების შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებების ინიცირება მოახდინეს. პირველი ხელშესახები შედეგები 1944 წელს გაეროს ბრეტონ ვუდსის სავალუტო და საფი-

ნანსო პრობლემებისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ მოგვცა. **საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF)** დაარსებით, რომელმაც 1947 წელს გაეროს განსაკუთრებული ორგანიზაციის სტატუსი მიიღო, საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების ახალი წესრიგი იქნა მიღებული. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სავალუტო პოლიტიკის მხარდაჭერით, საშინაო და საგარეო სავალუტო სტაბილურობის გამყარებისა და საგადასახდელო ბალანსის მოკლევადიანი პრობლემების დროს დაკრედიტების მექანიზმით მსოფლიო ვაჭრობის გაფართოებას შეუწყო ხელი. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად გადაწყდა **რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD)** დაარსებაც, რომელმაც 1946 წლის ივნისში თავისი საქმიანობა დაიწყო. იგი გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციაა და როგორც ოფიციალურ მრავალმხრივ ინსტიტუტს, შესწევს ძალა საფინანსო სახსრები კაპიტალის ბაზრებიდან ხელსაყრელი პირობებით მიიღოს და თავის დებიტორებზე გასცეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ბანკი უპირატესად დასავლეთ ევროპის აღმშენებლობის პროცესს ემსახურებოდა, დღეისათვის კი არის განვითარების პოლიტიკისა და დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშე. საფინანსო სფეროში შეიქმნა სხვა ინსტიტუტები: **საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)** (განვითარებად ქვეყნებში კერძო ეკონომიკური სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით), **განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)** (ხელსაყრელი კრედიტების გაცემის მიზნით), ასევე **მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიის სააგენტო (MIGA)** (კერძო ინვესტიციების რისკისაგან დაცვის მიზნით). ერთობლივად ისინი ე.წ. მსოფლიო ბანკის ჯგუფს წარმოადგენენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკის ჯგუფთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება **მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO)**. მან 1995 წლის დასაწყისში (1994 წელს მარაკეშში (მაროკო) მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე) დაიწყო ფუნქციონირება. იგი შეიქმნა ურუგვაის ე.წ. მრგვალი მაგიდის ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად. მასში გაწევრიანებულია 164 ქვეყანა. იგი წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარების ინსტიტუციურ ჩარჩოს წარმოადგენს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), როგორც ევროპული თანამშრომლობის ორგანიზაციის მემკვიდრე, 1961 წელს დაარსდა. მისი წევრები არიან უმდიდრესი განვითარებული ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო პროდუქტის დაახლოებით 2/3-ს აწარმოებენ. თუმცა მასში აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც შედიან.

მნიშვნელოვან პოზიციას მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში მსოფლიო **ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია იკავებს (UNCTAD)**, რომელიც 1964 წელს დაარსდა, როგორც გაეროს სპეციალიზებული ორგანო. მისი უპირატესი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის. 1990-იანი წლების შუა პერიოდამდე იგი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის „ჩრდილოეთ-სამხრე-

თის დიალოგის“ ცენტრალურ ფორუმს წარმოადგენდა. შემდგომ განვითარებადი ქვეყნებისა და ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკის (გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები) მსოფლიო ვაჭრობაში ლიბერალურ ინტეგრაციას უწყობდა ხელს. ახლა მისი საქმიანობა ვაჭრობის მიზნების მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაზე ორიენტირებაა.

საერთაშორისო ლიკვიდურობა: საგარეო ეკონომიკური პროცესები, გადახდის ტექნიკის თვალსაზრისით, იმ ვალუტაში უნდა განხორციელდეს, რომელიც აღიარებულია გადახდის საშუალებად საერთაშორისო მასშტაბით (საერთაშორისო ლიკვიდურობა). საერთაშორისო ლიკვიდურობას განასხვავებენ ოფიციალური და კერძო ლიკვიდურობის მიხედვით. კერძო ლიკვიდურობა კომერციული ბანკებისა და საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი მეწარმეების სავალუტო რეზერვებია. ისინი, როგორც წესი, არ შედის რომელიმე ქვეყნის ოფიციალურ სავალუტო რეზერვში, რადგან ცენტრალურ ბანკებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ. რაც შეეხება ოფიციალურ საერთაშორისო ლიკვიდურობას, მასში იგულისხმება დაფინანსების პოტენციალი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს გააჩნია. იგი არსებობს იმისათვის, რომ ხორციელდებოდეს ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე, მიღწეულ იქნას სავალუტო კურსის სტაბილურობა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა.

საერთაშორისო ლიკვიდურობის ცნების განსაზღვრა მკაფიო და სრულყოფილი არ არის. როგორც წესი, მას რომელიმე ქვეყნის ოფიციალურ სავალუტო რეზერვებთან აიგივებენ. საერთაშორისო ლიკვიდურობაში შედის ცენტრალური ბანკის ისეთი აქტივები, რომლებიც უშუალოდ ინტერვენციისათვის ან მოკლევადიანი გარდაქმნებისათვის გამოიყენება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, ეს არის ოფიციალური რეზერვები ოქროში, ვალუტაში და საერთაშორისო სავალუტო ფონდზე დამოკიდებულ აქტივებში. საერთაშორისო ლიკვიდურობაზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით იზრდება, რაც განპირობებულია (1) საერთაშორისო ვაჭრობის ზრდით, რომელიც შესაბამის საგადასახდელო საშუალებებზე (ვალუტებზე) მოთხოვნას ზრდის და (2) კაპიტალის საერთაშორისო მიმოქცევის ზრდით.

ქვეყნებს, რომლებსაც საგადასახდელო ბალანსის მუდმივი დეფიციტი აქვთ, საერთაშორისო ლიკვიდურობაზე უფრო მაღალი მოთხოვნა უყალიბდებათ. თუმცა ასეთი დეფიციტი შეიძლება გარკვეული საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის, ან საერთო ეკონომიკური მიზნების (მაგალითად, სტაბილურობასთან მიმართებით დასაქმების პოლიტიკის უპირატესობა) განსხვავებული შეფასების შედეგი იყოს.

საერთაშორისო ლიკვიდურობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებული საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში განისაზღვრა, როცა დოლარის სტანდარტი მყარი სავალუტო კურსით იქნა შეთანხმებული. აშშ დოლარი ოქროს გარკვეული რაოდენობით განისაზღვრებოდა. ამასთან, ოქრო-დოლარის პარიტეტით დადგინდა, რომ 1 უნცია ოქრო (28,3 გრამი) 35 აშშ დოლარს უდრიდა. ცენტრალურ ბანკებს ჰქონდათ სრული უფლება

თავიანთი დოლარების მარაგი ოქროში გადაეცვალათ. სხვა ქვეყნებმა განსაზღვრეს თავიანთი ვალუტის თანაფარდობა დოლართან და ოქროს შემცველობასთან მიმართებით. ამდენად, აშშ დოლარი საერთაშორისო სავალუტო ფონდის სისტემაში მოქმედებდა, როგორც წამყვანი ვალუტა და საერთაშორისო ლიკვიდურობის საკითხში მნიშვნელოვანი საშუალება გახდა. ბრეტონ-ვუდსის სისტემა ორი ათწლეულის მანძილზე ფუნქციონირებდა და მსოფლიო ვაჭრობის ზრდას უწყობდა ხელს.

აშშ დოლარის წამყვანი პოზიციები აშშ-ის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ზრდას იწვევდა, რადგან ამერიკის გარეთ ცენტრალურ ბანკებში იზრდებოდა აშშ დოლარის მარაგი. 1960-იან წლებში დამატებითი საერთაშორისო ლიკვიდურობა ამ გზით შეიქმნა. აშშ-მ ბიუჯეტის დეფიციტი თავისი დოლარით დაფარა, რომელიც კრედიტორმა ქვეყნებმა აღიარეს და გამოიყენეს როგორც საერთაშორისო საგადასახდელო საშუალება. აშშ დოლარის წამყვანი და სარეზერვო ვალუტის პოზიციის გამო, ფედერალური სარეზერვო სისტემის ცენტრალურ ბანკებს საკუთარი სახელმწიფო ბიუჯეტის დასაფინანსებლად საგადასახდელო ბალანსის მზარდი დეფიციტის „შექმნით“ პარტნიორების მოძებნა შეეძლოთ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ვალუტა, რომელიც სხვა ქვეყნების მიერ იქნა მოპოვებული, გამოუყენებელ ფულს წარმოადგენდა. ეს იყო ჭარბი რეზერვები, რომლებიც არ გამოიყენებოდა საქონლის ან მომსახურების შესაძენად და არც ინვესტიციებისთვის. ასე დაიწყო პროცენტების შემომტანი დაბანდების შესაძლებლობათა ძიება, რომლებიც ისევ აშშ-ის ბაზარზე აღმოჩნდა და სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტულად მაღალი დეფიციტის გამო უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე იყო დამოკიდებული.

1971 წლის აგვისტოში აშშ-მა ბრეტონ ვუდსის სისტემის მონაწილე ქვეყნების ცენტრალური ბანკების დოლარის მარაგის კონვერტირება ოქროზე გააუქმა. ეს ნაბიჯი მოქნილ გაცვლის კურსზე (თავისუფალი ცურვის სავალუტო რეჟიმი) გადასვლას ნიშნავდა. 1973 წლის მარტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემა მოქნილი სავალუტო კურსის სისტემით შეიცვალა. სავალუტო კურსის სისტემის არჩევანი ყველა ქვეყანაში თავისუფალია. თუმცა განვითარებადი ქვეყნების ნაწილს მართვადი ცურვის სავალუტო კურსის რეჟიმი აქვს. საერთოდ, განვითარებულ და უმრავლეს განვითარებად ქვეყანაში თავისუფალი სავალუტო კურსის პოლიტიკა ხორციელდება, რაც მათ სტაბილური სავალუტო კურსის მისაღწევად ეროვნული წანამძღვრების შექმნას აკისრებს.

საგარეო ეკონომიკური კავშირები: წარსულში საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა. თანამედროვე ეტაპზე სწრაფად იზრდება საერთაშორისო ვაჭრობაში მომსახურების წილი (საბანკო და სადაზღვევო სამსახურები, საერთაშორისო ტურიზმი, ლიცენზიებით ვაჭრობა და ა.შ.); საერთაშორისო კაპიტალის ტრანსაქციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს (პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ, ოპერაციები ფულისა და კაპიტალის საერთაშორისო

ბაზრებზე); აქტუალური გახდა მიგრაციის საკითხები და პოლიტიკა; იზრდება ცოდნისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ნაკადები.

აღნიშნული ტენდენციების ზრდას გლობალიზაციის კონტექსტით განიხილავენ. მასში იგულისხმება არა მხოლოდ სასაქონლო ბაზრების ინტეგრაცია, არამედ აგრეთვე საწარმოთა პირდაპირი საერთაშორისო შერწყმა ან საწარმოთა სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბება, რომლებიც ქვეყნების საზღვრებს გარეთ პირდაპირი ინვესტიციების ფორმით იქმნება. მზარდი გლობალიზაციის მიზეზები განვითარების ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტენდენციათა თანხვედრაში უნდა დავინახოთ. გლობალიზაციამ ეკონომიკურ ურთიერთობათა მზარდი ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკული შესაძლებლობები შექმნა, თუმცა, მეორე მხრივ, გააღრმავა უთანასწორობა ქვეყნებს შორის.

მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ანალიზი შესაძლებელია ექსპორტისა და იმპორტის მოცულობისა და სტრუქტურის საფუძველზე. ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურის შესწავლა შრომის საერთაშორისო დანაწილებისა და მსოფლიო ვაჭრობის შეცვლილი ნაკადების სტრუქტურულ ცვლილებებზე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ამის საფუძველზე ცალკეული ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფების კონკურენციული პოზიციები შეიძლება გავაანალიზოთ. **სავაჭრო პირობები** საგარეო ვაჭრობის მთავარ ეკონომიკურ ინდიკატორს წარმოადგენს. რეალობაში საერთაშორისო მასშტაბით მრავალი საქონლის გაცვლა ხდება. ამიტომ პრაქტიკაში რეალური სავაჭრო პირობების გამოსათვლელად ინდექსები გამოიყენება. სავაჭრო პირობები განისაზღვრება, როგორც მოცემული ქვეყნის ეკონომიკასა და უცხოეთს (დანარჩენ მსოფლიოს) შორის რეალური სავალუტო პირობა. იგი საექსპორტო საქონლის ფასების დონის საიმპორტო საქონლის ფასების დონესთან შეფარდებით გამოიხატება (გარკვეულ ვალუტაში, ადგილობრივ ან უცხოურ ვალუტაში). მაშასადამე, სავაჭრო პირობები საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ფასთა ინდექსების თანაფარდობით განისაზღვრება. მასზე ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის რაოდენობისა და ფასების, ასევე სავალუტო კურსის ცვლილებები ახდენენ გავლენას. ცალკე აღებული სავაჭრო პირობების სიდიდე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მცირე ინფორმაციას გვაძლევს, ვიდრე დროში მიმდინარე მისი ცვლილება. თუ საექსპორტო ფასები უცვლელი (ან შემცირებადი) საიმპორტო ფასების პირობებში იზრდება ან მუდმივი საექსპორტო ფასების დროს საიმპორტო ფასები იკლებს, მაშინ სავაჭრო პირობები უმჯობესდება. ეს ნიშნავს, რომ თანაბარი რაოდენობის საექსპორტო საქონელი უფრო მეტი საიმპორტო საქონლის შემოტანის საშუალებას იძლევა, ან იგივე რაოდენობის საიმპორტო საქონელი შემოტანილი იქნება საექსპორტო საქონლის უფრო მცირე რაოდენობით. თუ სავაჭრო პირობები უარესდება, მაშინ შეიძლება ერთი და იგივე რაოდენობის საექსპორტო საქონლით ნაკლები იმპორტის შემოტანა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოცემულ ქვეყანაში კეთილდღეობის შემცირების პრობლემა წარმოიქმნება. ვაჭრობის

პირობების გაუმჯობესება ნიშნავს, რომ შესაბამის ქვეყანაში იმპორტული საქონლით მომარაგება გაიზარდა (იმპორტის ნამატი). ამასთან, გაუთვალისწინებელი რჩება, როგორ ხდება იმპორტის ნამატის დაფინანსება, რაც მნიშვნელოვანია კეთილდღეობის ამაღლებისათვის. სავაჭრო პირობები საქონლის ხარისხისა და სტრუქტურის ცვლილებების შესახებ ნათელ წარმოდგენას არ გვაძლევს. სამაგიეროდ, მისი ზრდის საფუძველზე შეიძლება საგადასახდელო ბალანსის შესახებ დასკვნა გავაკეთოთ. სავაჭრო პირობების გაუარესება აიძულებს მოცემულ ქვეყანას, ინტენსიურად გაზარდოს ექსპორტი და/ან შეზღუდოს იმპორტი (საგადასახდელო ბალანსის არსებული სალდოს შენარჩუნებისათვის) და პირიქით, მისი გაუმჯობესება სალდოს ცვლილებების გარეშე, იმპორტის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, სავაჭრო პირობები ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ინდიკატორს წარმოადგენს.

სავაჭრო პირობები, როგორც რომელიმე ქვეყნის კეთილდღეობის ზრდის ინდიკატორი, ნაკლებად გამოიყენება. უფრო ხშირად ახორციელებენ **იმპორტის მოცულობის ექსპორტით გადაფარვის ინდექსის ან ექსპორტით მიღებული შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსის გაანგარიშებას**. საგარეო სავაჭრო შეფასების თვალსაზრისით, იგი უფრო მრავლისმთქმელია, რადგან გვიჩვენებს მიღებული საექსპორტო შემოსავლიდან იმპორტის მოცულობის დაფინანსების შესაძლებლობის სიდიდეს.

განსაკუთრებულ საგარეო ეკონომიკურ ინდიკატორს სავალუტო კურსის ცვლილება წარმოადგენს. ქვეყნის შიგნით და მის გარეთ არსებული ფასების თანაფარდობის ანალიზისას გამოიყენება **რეალური სავალუტო კურსი**. იგი ხშირად ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ინდიკატორის როლშიც გამოდის, რადგან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ნაკადის მიმართულების დასადგენად. თუ, მაგალითად, ქვეყნის რეალური სავალუტო კურსი იზრდება (ეროვნული ვალუტის გაძვირება), მაშინ მოცემული ქვეყნის საქონელი საზღვარგარეთ უცხოურ ვალუტაში უფრო ძვირდება, რის გამოც ექსპორტი შესაძლებელია, შეიზღუდოს. სავალუტო კურსის ცვლილების მიმართულებები (მაგალითად, ორი ქვეყნის ეკონომიკის სოციალური პროდუქტის შედარებისას) ხშირად მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (PPP) თეორიიდან გამომდინარეობს. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტი გვიჩვენებს, თუ ეროვნული ვალუტის რამდენ ერთეულს აქვს ქვეყნის შიგნით იგივე მსყიდველობითი უნარი, როგორიც უცხოური ვალუტის ერთ ერთეულს საზღვარგარეთ.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი ფორმაა **კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა**. კაპიტალის მოძრაობის ბალანსში ვლინდება კომერციული ბანკების, კერძო და საზოგადოებრივი საწარმოების კაპიტალის მოძრაობა, ხოლო ცენტრალური ბანკის კაპიტალის მოძრაობა სავალუტო ბალანსში აისახება. კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მექანიზმებთან კავშირში და სხვა ცენტრალური

ბანკებისათვის კრედიტების გადაცემისას ვლინდება. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ოპერაციებზე, რომლებიც კაპიტალის მოძრაობის ბალანსში აისახება. აქ წარმოდგენილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები, ფასიან ქაღალდებში დაბანდებები (საპორტფელო ინვესტიციები). საპორტფელო ინვესტიციებში, ზოგადად, ფასიან ქაღალდებში კაპიტალის დაბანდება იგულისხმება (აქციები, ფულის ბაზრის მოკლევადიანი სესხები, საფინანსო დერივატივები და საინვესტიციო სერტიფიკატები). პორტფელის მოცულობასა და, უწინარეს ყოვლისა, სტრუქტურაზე გავლენას ისეთი ფაქტორები ახდენენ, როგორიცაა: პროცენტების საერთაშორისო განსხვავება, ფასებისა და სავალუტო კურსების მოსალოდნელი ცვლილებები, დაბანდებათა რისკი და სხვა.

კრედიტის გაცემის დროს საფინანსო და სავაჭრო კრედიტებს განასხვავებენ. ბანკების კრედიტები წმინდა საფინანსო ოპერაციებია, რომელთა მოტივიც, ისევე, როგორც ფასიან ქაღალდებში დაბანდებისას, შემოსავლის მიღებაა. აქაც პროცენტების საერთაშორისო განსხვავებას და სავალუტო კურსის მოსალოდნელ ცვლილებებს გადამწყვეტი გავლენა აქვს. თუმცა შესაძლებელია უფრო რთული ეკონომიკური ტრანსაქციების განხორციელებაც. მაგალითად, უცხოეთს შეუძლია, მეტი საქონლის იმპორტირებისათვის ექსპორტიორი ქვეყნის საფინანსო საშუალებები გამოიყენოს კრედიტის აღების გზით. ეს კავშირები უფრო მეტად საწარმოებს შორის ვაჭრობის დაკრედიტების დროს, საქონლის ექსპორტთან ან იმპორტთან კავშირში ვლინდება (მაგალითად, საანგარიშსწორებო მიზნების გარანტია, საქონლის მიწოდებაზე წინასწარი გადახდა).

საგარეო ეკონომიკური მაჩვენებლებია **სატარიფო გადასახადები** (პირველ რიგში, ბაჟები) და **სავაჭრო არასატარიფო შეზღუდვები** (კონტინგენტის შემოტანის შეზღუდვა, საიმპორტო კვოტები, უსაფრთხოების ნორმების განსაზღვრა, სახელმწიფო შეკვეთების მეთოდი, სახელმწიფოს მიერ ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები და სხვა). სატარიფო ღონისძიებები ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნის შიგა წარმოების ხარჯების უპირატესობა უცხოეთის ბაზარზე ფასებში გამოხატულ უპირატესობად გადაიქცეს. ამჟამად საერთაშორისო ვაჭრობისათვის დაბრკოლებების შექმნა უფრო მეტად არასატარიფო ღონისძიებებით ხდება. მათი ზემოქმედება იმპორტზე, როგორც მოცულობის შეზღუდვის, ასევე სხვა თვალსაზრისითაც (ბაჟების საპირისპიროდ) ძნელი გასაანალიზებელია. არასატარიფო ღონისძიებათა გამოყენების ინტენსიურობის ცვალებადობა შეიძლება მოკლევადიანი და ძლიერი იყოს.

თეორიული საფუძველი

საგარეო ეკონომიკური კავშირების თეორიული საფუძვლები შეგვიძლია რეალურ (სასაქონლო-ეკონომიკურ) და მონეტარულ საგარეო ეკონომიკურ თეორიებად განვიხილოთ. რეალური საგარეო ეკონომიკური თეორია – საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული საფუძვლები ადამ სმიტის ნაშრომიდან

(„ხალხთა სიმდიდრე“) იღებს სათავეს. ავტორის აზრით, თუ უცხო ქვეყანა საქონელს უფრო იაფად აწარმოებს, ვიდრე ჩვენ შეგვწევს მისი წარმოების უნარი, მაშინ უმჯობესია, რომ ჩვენ უცხო ქვეყნის მიერ წარმოებული საქონელი ვიყიდოთ საკუთარი ნაწარმიდან მიღებული შემოსავლის იმ ნაწილით, რომლის წარმოებაშიც უპირატესობა გაგვაჩნია. სმიტი საერთაშორისო ვაჭრობაში აბსოლუტურ უპირატესობას წარმოების განსხვავებული ხარჯებით ასაბუთებს, რომელიც საბოლოოდ განსხვავებულ საშინაო ფასებში ვლინდება.

საგარეო ვაჭრობის მომგებიანობა ძალაშია იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებსაც ყველა საქონლის წარმოების ხარჯების ან/და ფასების თვალსაზრისით აბსოლუტური უპირატესობა არ გააჩნიათ. ეს საქონლის წარმოების შეფარდებით დანახარჯებში არსებული უპირატესობებით აიხსნება. კლასიკური სკოლის წარმომადგენლების თვალსაზრისით, საერთაშორისო ვაჭრობის არსებობისა და მისგან სარგებლის მიღების საფუძველს საერთაშორისო გაცვლაში მონაწილე საქონლის წარმოების ხარჯებში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის არსებობა წარმოადგენს. დევიდ რიკარდოს (1772-1823) დიდ მეცნიერულ წარმატებას საერთაშორისო ვაჭრობაში შეფარდებითი უპირატესობის მნიშვნელობის დამუშავება წარმოადგენს. მისი მეცნიერული მოსაზრება შეფარდებითი უპირატესობის კანონის (1817) შესახებ შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: საერთაშორისო ვაჭრობასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა ისეთი ქვეყნებისთვისაც კი მომგებიანია, რომლებსაც არ შეუძლიათ რომელიმე საქონლის უფრო მცირე დანახარჯებით (აბსოლუტური უპირატესობა) წარმოება, ვიდრე საზღვარგარეთის ქვეყნებს. საერთაშორისო ვაჭრობიდან სარგებლის მისაღებად ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ გარკვეული საქონლის წარმოებაში შეფარდებითი უპირატესობა, ანუ სხვა სიტყვებით: ქვეყნებს საექსპორტოდ გააქვთ საქონელი, რომლის წარმოება სხვა საქონელთან შედარებით, ამ ქვეყანაში უფრო დაბალი დანახარჯებით ხდება, ვიდრე საზღვარგარეთ, და პირიქით, ქვეყანა ახდენს საქონლის იმპორტს, თუ მისი წარმოება ქვეყნის შიგნით არ არის შესაძლებელი ან არასაკმარისი რაოდენობით ხორციელდება. ამას, თავის მხრივ, სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს: მაგალითად, ქვეყანაში შეიძლება არ არსებობდეს ამისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები (გეოგრაფიული, კლიმატური), მას აგრეთვე წარმოების შესაბამისი ტექნოლოგიები შეიძლება არ გააჩნდეს ან სამუშაო ძალას შესაბამისი კვალიფიკაცია არ ჰქონდეს.

თუმცა, შეფარდებითი უპირატესობის თეორიის საფუძველზე გაძლიერებულმა ლიბერალურმა სტრატეგიებმა ბევრი ღარიბი ქვეყანა მარადიული ეკონომიკური ჩამორჩენილობის და სიღარიბის მახეში გააბა. მათ მოახდინეს სპეციალიზაცია სიღარიბეზე (პრიმიტივიზაცია) (რეინერტი, 2008).

განსხვავებული რაოდენობის ან ხარისხის საქონლის არსებობა სავაჭრო პროცესის ერთადერთი ხელისშემშლელი მიზეზი რომ იყოს, მაშინ შესაბამის ქვეყანაში ზოგიერთი საქონელი მხოლოდ იმპორტული, დანარჩენი კი საექსპორტო იქნებოდა. პროდუქტთა დიფერენცირება ერთი და იმავე სახის

საქონლის ფარგლებში, საერთაშორისო ვაჭრობაში (შიგადარგობრივი საგარეო ვაჭრობა), განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებს შორის, მზარდ მნიშვნელობას იძენს და მოთხოვნის დივერსიფიკაციას იწვევს. მყიდველი ინდივიდუალურად სამომხმარებლო უპირატესობის მინიჭების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას (მყიდველის ინდივიდუალური სამომხმარებლო უპირატესობის არსებობა) სუბიექტური შეფასების საფუძველზე.

საგარეო ვაჭრობის თეორიაში საქონლის წარმოების არგუმენტს (მწარმოებლის უპირატესობა) და პროდუქტთა დიფერენცირებას (მყიდველთა უპირატესობა) დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა დროის ფაქტორისა (მწარმოებლის უპირატესობა) და შეფასების წმინდა სუბიექტური კრიტერიუმების (მყიდველთა უპირატესობა) გამო, ერთიანი თეორიული მოდელის წანამძღვრები არ არსებობს. სწორედ ამიტომ დიფერენცირებული ფასების საერთაშორისო ასპექტი საგარეო ვაჭრობის თეორიის ყურადღების ცენტრშია. თავისუფალი ვაჭრობის თეორიის მიხედვით, მიზანშეწონილია, საქონელი ვიყიდოთ იმ ქვეყანაში, სადაც მათი ყველაზე იაფად წარმოება შეიძლება. ყველა ქვეყანა ფლობს წარმოების განსხვავებული ფაქტორების შეზღუდულ რაოდენობას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერმა ქვეყანამ შრომის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში უნდა აწარმოოს ისეთი საქონელი და მოახდინოს მისი ექსპორტი, რომლის უფრო მცირე ხარჯებით წარმოებას თვითონვე შეძლებს და განახორციელოს იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ქვეყნის შიგნით უცხოეთთან შედარებით წარმოების უფრო მაღალ ხარჯებს საჭიროებს.

განსხვავებები ხარჯებსა და ფასებში განპირობებულია წარმოების სხვადასხვა პირობებით (წარმოების პროცესი და წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა). კერძოდ, (1) წარმოების ბუნებრივი პირობებით (მაგალითად, წარმოების ზრდის განსხვავებული ბუნებრივი შესაძლებლობებით, მიწის ხარისხით), (2) ტექნოლოგიების ათვისების განსხვავებული დონით და (3) საშინაო ბაზრის სიდიდით. თუ ადრე ფასთა დონეში საერთაშორისო განსხვავებები მხოლოდ მწარმოებლურობაში არსებული განსხვავებით აიხსნებოდა, აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობა შეიძლება მომგებიანი იყოს მაშინაც, თუ ქვეყნები შრომის მწარმოებლურობით თანაბარ დონეზე იმყოფებიან. ქვეყნებს შორის განსხვავება წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფის მხრივ, საგარეო ვაჭრობიდან სარგებლის მიღების წინაპირობას წარმოადგენს. საერთაშორისო სასაქონლო ნაკადის სტრუქტურა და მიმართულებები ამ მიდგომით ახსნა 1919 წელს შვედმა მეცნიერმა ე. ჰეკშერმა, რომელიც მოგვიანებით ბ. ოლინმა განავრცო (1933). ჰეკშერ-ოლინის თეორია (ფაქტორთა პროპორციის/შესაბამისობის თეორია) გვიჩვენებს, რომ წარმოების ფაქტორებით შედარებით უკეთესი აღჭურვა საერთაშორისო სასაქონლო ნაკადის მიმართულებისა და საგარეო ვაჭრობის მოცულობის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი სიდიდე შეიძლება გახდეს.

ჰეკშერ-ოლინის თეორიის მიხედვით, ზოგადად ძალაშია ის, რომ ქვეყანა ჭარბად არსებული ფაქტორების ინტენსიური გამოყენების შედეგად წარმოე-

ბული პროდუქციის ექსპორტსა და დეფიციტური ფაქტორების ინტენსიური გამოყენების შედეგად წარმოებული პროდუქციის იმპორტს ახდენს. მართალია, ამ თეორიის ემპირიული დადასტურება სრულად ვეღარ ხერხდება სხვადასხვა ქვეყნის ჯგუფებს შორის მიმდინარე ვაჭრობის საფუძველზე, მაგრამ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მაინც იკვეთება შესაბამისი საქონლის ნაკადების მიმართულებები. განვითარებული ქვეყნები განვითარებად ქვეყნებში თითქმის მხოლოდ კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტს ახორციელებენ და ამ ქვეყნებიდან ის საქონელი შემოაქვთ, რომლებიც განსაკუთრებით შრომატევადი წარმოების შედეგია. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო ურთიერთობათა დახასიათებისას ასეთი ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება შეუძლებელია (რასაც ლეონტიევის პარადოქსი ადასტურებს).

ამრიგად, საერთაშორისო ვაჭრობა მონაწილე თითოეულ ქვეყანას საშუალებას აძლევს, გააფართოვოს წარმოების მოცულობა (რესურსების ეფექტიანი გამოყენება) და ამით მოხმარების შესაძლებლობები გაზარდოს (კეთილდღეობის ამაღლება). ხარჯებში აბსოლუტურ და შეფარდებით უპირატესობებთან ერთად საგარეო ვაჭრობის არსებობის სხვა მიზეზიც უნდა დავასახელოთ. თავისუფალ ვაჭრობას უცხოური კონკურენციისათვის ეროვნული ბაზრების გახსნა მოსდევს. გაძლიერებული კონკურენციის შედეგად მაღლდება და ჩქარდება ეკონომიკური განვითარების დინამიკა, ინოვაციური პროცესები და მათთან ადაპტაციის უნარი. პროდუქტების მზარდი მიწოდებით (პროდუქტების დიფერენცირება) მომხმარებელთა არჩევანის შესაძლებლობებიც ფართოვდება. ყოველივე ეს თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობებს ადასტურებს. თავისუფალი ვაჭრობა ნიშნავს საქონლისა და მომსახურების გაცვლას, რომელიც სახელმწიფო საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებით არ იზღუდება.

თავისუფალი ვაჭრობის ზრდის სარგებლიანობა, თეორიული თვალსაზრისით, უდავოა. თუმცა ღიად რჩება საკითხი, ყველა ქვეყანას შეუძლია თუ არა აქედან ერთნაირი შედეგების მიღება. საგარეო ვაჭრობის ზრდის დღემდე არსებულმა პროცესებმა მიგვიყვანა სხვა შედეგამდე: **ქვეყნები, რომლებიც აგრარული ნაწარმის ან ნედლეულის ექსპორტზე არიან დამოკიდებულნი, უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც მზა სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ**. აგრარული პროდუქტებისა და ნედლეულის ფასების დონეთა ცვლილების განსხვავება სამრეწველო ნაწარმის ფასების დონისგან ძალზე გაიზარდა; იგივე შეეხება ამ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასაც. განვითარებად ქვეყნებში ეს ინდუსტრიალიზაციის პროცესს აძნელებს. მაგრამ თუ თავისუფალი ვაჭრობა ამ ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას ხელს არ შეუწყობს, მაშინ მათ მხოლოდ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა რჩებათ. პროტექციონიზმი, თავისუფალი ვაჭრობის საწინააღმდეგოდ, მოიცავს სახელმწიფო ღონისძიებათა ერთობლიობას (ბაჟები, კვოტები, არასატარიფო

შეზღუდვები, სუბსიდიები, სუბვენციები, სავალუტო კონტროლის პოლიტიკა), რომლებსაც ადგილობრივი მრეწველობის ან განსაზღვრული ეკონომიკური დარგების უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად ატარებენ. **თავისუფალი სავაჭრო პრინციპის ფუძემდებლები მიხვდნენ, რომ გარკვეულ პირობებში სახელმწიფოს ჩარევა და ამით თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვა გამართლებულია**. მაგალითად, დროის მოკლევადიან მონაკვეთში განვითარებული ქვეყნების ძლიერი კონკურენციისაგან განვითარებადი ქვეყნების დაცვა ბაჟებით ან სუბვენციებით მათ ადგილობრივ მრეწველობას გადაარჩენს. ეს არის ფრიდრიხ ლისტის (1789-1846) დამცავი ბაჟის არგუმენტი. მე-19 საუკუნეში, გერმანიასა და ინგლისს შორის არსებული ძლიერი კონკურენციის პირობებში, დამცავი ბაჟების გამოყენებით შესაძლებელი გახდა გერმანიის ინდუსტრიალიზაციის პროცესის ხელშეწყობა.

პროტექციონისტურ ღონისძიებათა გატარების სხვა მიზეზებს წარმოადგენს: (1) „სტრატეგიული" ეკონომიკური დარგების დაცვა (სწრაფვა ავტარკიისაკენ); (2) სტრუქტურული ადაპტაციის პროცესების დაცვა; ან (3) განვითარებად ქვეყნებში მოხმარებისა და ფუფუნების საგნებზე საიმპორტო ბაჟების დაწესება (ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნებისთვის სახელმწიფო შემოსავლების წყარო, ვალუტის გადინების შეზღუდვა). განვითარებად ქვეყნებში, ზოგადად, დასაშვებია მოკლევადიან პერიოდში განვითარებული ქვეყნების ძლიერი კონკურენციისაგან ეკონომიკის დაცვა, მაგრამ ასეთი გამონაკლისები გრძელვადიან პერიოდში არ უნდა დაკანონდეს.

თავისუფალი ვაჭრობის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპული აღიარების მიუხედავად, ადგილობრივი ეკონომიკის უცხოური კონკურენციისაგან დასაცავად პროტექციონისტულ ღონისძიებებს განვითარებული ქვეყნებიც მიმართავენ. მაგალითად, ევროკავშირის აგრარული ბაზრის რეგულირების პოლიტიკა სხვა ქვეყნებიდან აგრარული ნაწარმის იმპორტს ხელს უშლის. პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის რაციონალურ თანაფარდობას გვიჩვენებს. თავისუფალი საგარეო ვაჭრობა, მართალია, ეფექტიანია, მაგრამ განვითარებად ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკის სტრუქტურის ხანგრძლივი ოპტიმალური განვითარების გარანტიას არ აძლევს.

საბაჟო თეორია და საბაჟო კავშირის თეორია: ბაჟები საგარეო სავაჭრო პროტექციონისტული პოლიტიკის კლასიკური ინსტრუმენტია. საიმპორტო ან საექსპორტო ბაჟები სახელმწიფოს მიერ დაწესებულ გადასახადებს წარმოადგენს. მათი აკრეფა ხდება რომელიმე ქვეყნის ან საბაჟო მხარის (საბაჟო კავშირის ტერიტორიაზე წარმოებული) საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთის დროს. ბაჟები ერთმანეთისგან განსხვავდება მისი დაწესების მიზნებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვან განმასხვავებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს სავაჭრო ნაკადების (საიმპორტო ან საექსპორტო ბაჟები) მიმართულება და გაზომვის საფუძველი (ღირებულების ბაჟი – ადვალორული ან საცალო ბა-

ჟი). დღეისათვის მეტწილად მხოლოდ ღირებულების შესაბამისი საიმპორტო ბაჟები წესდება, საექსპორტო ბაჟები კი შედარებით უმნიშვნელო და იშვიათია. საიმპორტო ბაჟები ყველა ქვეყანასთან მიმართებით შეიძლება იყოს თანაბარი ან განსხვავებული (მაგალითად, შეღავათიანი ბაჟები განვითარებადი ქვეყნებისთვის, საჯარიმო ბაჟები, როგორც რეაქცია სხვა სახელმწიფოების საიმპორტო შეზღუდვებზე). გარდა ამისა, მოგებიდან ე.წ. ამოღებები (დამატებითი ბაჟი) და საფინანსო ბაჟები გამოიყენება (როგორც სამომხმარებლო არაპირდაპირი გადასახდელები იმ საქონელზე, რომელიც ქვეყნის შიგნით არ იწარმოება). იმპორტზე დამატებითი ბაჟები თავისი არსით ცვალებადი ბაჟებია, მათი სიდიდე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ ფასთა სხვაობის მიხედვით განისაზღვრება. თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დამატებითი ბაჟები ევროკავშირის იმპორტზე, რომელიც ევროკავშირის აგრარულ პროდუქტებზე უმაღლესი საორიენტაციო ფასებისა და მსოფლიო ბაზრის ფასებს შორის სხვაობით დგინდება. საბაჟო თეორიაში ბაჟების დაწესება (პროტექციონიზმის მომხრეთა არგუმენტები) სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილება (მაგალითად, ეკონომიკური ზრდა, დასაქმება, შემოსავლების განაწილება, საგადასახდელო ბალანსი). ბაჟები ითვლება დამხმარე საშუალებად, რადგან ისინი საიმპორტო საქონელს აძვირებს ადგილობრივთან შედარებით, ამიტომაც ამ უკანასკნელზე მოთხოვნა იზრდება. ეს მულტიპლიკატორის ეფექტით მოსახლეობის უფრო მაღალ შემოსავლებსა და დასაქმებას უზრუნველყოფს.

პროტექციონიზმის მომხრეთა სხვა არგუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბაჟების გამოყენების შედეგები ეკონომიკურად ყოველთვის არ არის დამაჯერებელი და წინ ხშირად მხოლოდ მოკლევადიანი ინტერესები დგას. მაგალითად, ბაჟები ხელს უშლის შეფარდებითი ხარჯებისა და ფასების უპირატესობათა ჩამოყალიბებას, შესაბამისად სპეციალიზაციას, ამცირებს კონკურენტუნარიანობას და ამით ინოვაციისათვის მზადყოფნას ასუსტებს. ზოგადად, ბაჟები ნაწილობრივ ეფექტიანად აღიქმება და გამოიყენება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის დანაკარგების თავიდან ასაცილებლად (დამცავი ბაჟი), აგრეთვე, უცხოეთის პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკის მოსაგერიებლად. სხვა მხრივ, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს ბაჟების დაწესების მოჩვენებითი ეფექტების მიღწევა რამდენად შესაძლებელია, მაგალითად, ფულადი და საფინანსო პოლიტიკის ღონისძიებებით, ეკონომიკური ზრდის იმპულსების გამყარებით ან სავაჭრო ბარიერების გაუქმებით.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით, განიხილება საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციით არსებული შეზღუდვების გაუქმება. ინტეგრაციის სიღრმის შესაბამისად განასხვავებენ თავისუფალ სავაჭრო ზონას, საბაჟო კავშირს, საერთო ბაზარს, ეკონომიკურ, სავალუტო და პოლიტიკურ კავშირს. ამ შემთხვევაში საბაჟო კავშირის განხილვით შემოვიფარგლოთ. საბაჟო კავშირი არის დამოუკიდებელი ქვეყნების ჯგუფის ტერიტორიულ საზღვრებში ხელშეკრულებით დარეგულირებული ერთიანი საბაჟო პოლიტიკა. მისი მიზანია კავშირის მონაწილე ქვეყნებში სავაჭრო ლიბერალიზაცია არსებული

დაბრკოლებების გაუქმებით. ეს არა მარტო საშინაო ბაჟების გაუქმებას (წევრ ქვეყნებს შორის), არამედ აგრეთვე სხვა შეზღუდვებსაც (კვოტები) ეხება. მესამე ქვეყნებთან მიმართებით საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნები ერთიან საგარეო ბაჟს აწესებენ (საბაჟო კანონმდებლობისა და საბაჟო ტარიფების ერთნაირი ფორმები). შემოსავლები ნაწილდება შეთანხმებული წესით და, როგორც ევროკავშირის შემთხვევაში, ერთიან ბიუჯეტში მიემართება (შემოსავლის კომპეტენცია).

საბაჟო კავშირის შედეგები შემდეგი სახისაა:

- საშინაო ბაჟების გაუქმებისა და ერთიანი გარე ბაჟების დაწესების შედეგად მესამე ქვეყნების საქონელი შედარებით ძვირდება. უნდა ველოდოთ, რომ ამით მოთხოვნა შეიცვლება, ანუ იგი გადაინაცვლებს, გადაადგილდება საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების საქონლის სასარგებლოდ (ვაჭრობის მიმართულების შეცვლის ეფექტი);
- საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებიდან იმპორტული საქონლის საშინაო ფასებმა შეიძლება დაიწიოს (საბაჟო ხარჯების გაუქმება), რაც მათზე მოთხოვნის ზრდას გამოიწვევს (ვაჭრობის ხელშემწყობი ეფექტი);
- ვაჭრობის ხელშემწყობი ეფექტი, როგორც წესი, აუმჯობესებს წარმოების ფაქტორების განაწილებას საბაჟო კავშირის ფარგლებში ხარჯების მინიმიზაციისა და მწარმოებლურობის ამაღლების თვალსაზრისით (წარმოების ეფექტი). უფრო დიდი საერთო ბაზარი საწარმოო ხარჯების დამატებითი შემცირების შესაძლებლობას იძლევა (მასშტაბის ეკონომია);
- საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების საქონელზე მოთხოვნის ზრდა, გაძლიერებული კონკურენცია, სავაჭრო პოლიტიკის საფრთხეების აღმოფხვრა, წარმოების მასშტაბის ეკონომიის უპირატესობის გამოყენება უფრო მაღალ ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს (ზრდის ეფექტი);
- შეფარდებითი ფასების ცვლილება მოთხოვნის ცვლილების შედეგად მოხმარების ცვლილებაზე გავლენას ახდენს (სამომხმარებლო ეფექტი);
- საგარეო ბაჟის გაზრდა მესამე ქვეყნებთან მიმართებით, როგორც წესი, სავაჭრო პირობებს აუმჯობესებს;
- საბაჟო კავშირის დაარსებით, სავარაუდოდ, საწყის ეტაპზე, კონკურენტთა რაოდენობა გაიზრდება (კონკურენციის ეფექტი);
- სავაჭრო ნაკადების მიმართულების შეცვლას წევრი ქვეყნების სასარგებლოდ, შეიძლება მთელ საბაჟო კავშირში კეთილდღეობის ამაღლება მოჰყვეს (კეთილდღეობის ეფექტი), მაგრამ ეს შეიძლება უმნიშვნელო იყოს, თუ საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების ნაწარმზე ფასები (შიდა ბაჟების გაუქმების შემდეგ) მესამე ქვეყნების ბაჟგარეშე ფასზე (საერთაშორისო ფასი) ბევრად მაღალი იქნება. კეთილდღეობის შემცირება შესაძლებელია საბაჟო შემოსავლების შემცირების საფუძველზეც, ვაჭრობის მიმართულების შეცვლის ეფექტის გამო (მაგალითად, შემოსავლების დანაკლისის დაფარვა გადასახადების გაზრდით ან ბიუჯეტში ხარჯების შემცირებით). ამ მდგომარეობის საპირისპიროდ, ვაჭრობის ხელშემწყობ

ღონისძიებათა მოქმედების შედეგად, კეთილდღეობის ზრდას ვიღებთ. კეთილდღეობის ამაღლებასთან გვექნება საქმე, თუკი ვაჭრობის ხელშეწყობის ეფექტი მთლიანობაში განსაკუთრებით ძლიერია და მესამე ქვეყნებიდან შემოსული იმპორტის ჩანაცვლება საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნების შედარებით ძვირი საქონლით (ვაჭრობის მიმართულების შეცვლის ეფექტი) მაქსიმალურად მცირეა.

ასეთი დასკვნა არასრულყოფილი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ განაწილების ასპექტსაც. საბაჟო კავშირის შექმნას რეგიონულ განვითარებაში არსებული განსხვავებების თანდათანობით შემცირება უნდა მოჰყვეს. შეიძლება, პირიქით, წევრი ქვეყნების განსხვავებული კონკურენტუნარიანობის შემთხვევაში, რეგიონული უთანაბრობის შემდგომი გამწვავებაც კი მოხდეს. ინტეგრაციის პროცესს საფრთხე რომ არ შეექმნას, უნდა გატარდეს ისეთი დამატებითი ღონისძიებები, როგორიცაა: განვითარების რეგიონული ფონდებისა და საინვესტიციო რეგიონული პროგრამების შექმნა.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მონეტარული თეორია: საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მონეტარული თეორია ძირითადად საგადასახდელო ბალანსს და მისი გავლენის სფეროებს განიხილავს. განმსაზღვრელ სფეროებად ითვლება: (1) სავალუტო კურსი, (2) ფასები (ინფლაციის სხვადასხვა დონის გავლენა სავაჭრო ნაკადების მიმართულებაზე) და (3) მოსახლეობის შემოსავლის სიდიდე (იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილების ნორმის შესაბამისად). მოცემულ თავში ყურადღებას გავამახვილებთ ვალუტის გაცვლითი კურსის თეორიაზე, რომელიც საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მონეტარული თეორიის მთავარი ნაწილია. იგი ხსნის სავალუტო კურსების მდგომარეობასა და ცვლილებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქნილი (მცურავი) სავალუტო კურსის სისტემაში.

სავალუტო კურსი ვალუტის მიწოდებითა და მოთხოვნით განისაზღვრება, მაგრამ მასთან ერთად გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე სხვა სიდიდეები (ფასების თანაფარდობა, საპროცენტო განსხვავებანი, ვალუტის მოსალოდნელი სავალუტო კურსი, საარბიტრაჟო და სპეკულაციური ოპერაციები). სწორედ ისინი, ცენტრალური ბანკის ინტერვენციებთან ერთად, განსაზღვრავენ ვალუტის გაცვლითი კურსის სიდიდეს. საარბიტრაჟო საქმიანობის დროს საქმე ეხება ტრანსაქციებს, რომლებიც კონკრეტული პირობების შემოწმების შემდეგ სხვადასხვა ბაზრებზე მიმდინარეობს. ამით ფასების ფართო მასშტაბით გათანაბრება და საერთაშორისო ბაზრის ნაწილების (სეგმენტების) კოორდინაცია ხდება. სავალუტო კურსის საარბიტრაჟო ოპერაციებს სხვადასხვა სავალუტო ბაზრებზე (მაგალითად, ლონდონის, ნიუ-იორკის, ტოკიოს, ციურიხის და სხვა) სავალუტო კურსებს შორის არსებული განსხვავება განაპირობებს. ვალუტებს ყიდულობენ „იაფ“ ბაზარზე და „ძვირ“ ბაზარზე მოგების მიღების მიზნით ყიდიან (ვალუტით სპეკულაცია). თუ ქვეყნის შიდა და გარე საპროცენტო განაკვეთებს შორის განსხვავება არსებობს, მაშინ ბაზრის მონაწილენი ამ სხვაობას იყენებენ (საპროცენტო არბი-

ტრაჟი), რათა გაზარდონ შემოსავლები ან საკრედიტო ხარჯები შეამცირონ. ასეთი მიდგომის დროს ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი უნდა იქნას გათვალისწინებული.

კაპიტალის დაბანდება აშშ-ის ფასიან ქაღალდებში მომგებიანია, თუ საპროცენტო განაკვეთები აშშ-ში უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის სივრცეში. მეორე მხრივ, პროცენტების სახით მიღებული მოგების კომპენსირება აშშ დოლარის სავალუტო კურსის შემცირების შემთხვევაში მისი ევროზე გაცვლით შეიძლება. სპეკულაციური ოპერაციები საარბიტრაჟო ოპერაციებისაგან არსებითად განსხვავდება. მათი მოტივი ფასების ან სავალუტო კურსების ცვლილებათა საფუძველზე მოგების მიღებაში მდგომარეობს. სავალუტო სპეკულაციის შემთხვევაში ბაზრის მონაწილენი სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებებიდან მოგების მიღების მიზნით ვალუტას ყიდულობენ ან ყიდიან. მაშასადამე, ამას სავალუტო არბიტრაჟის საპირისპიროდ, ვალუტის გაცვლის კურსის სუბიექტური მოლოდინი უდევს საფუძვლად. ამ მოლოდინის „ვექტორის“ შესაბამისად, სპეკულაციას შეუძლია სავალუტო კურსებზე მასტაბილიზებელი ან დესტაბილიზაციის გამომწვევი ზემოქმედება მოახდინოს. მაგალითად: 1. თუ მოსალოდნელია სავალუტო კურსის ზრდის ტენდენციის განვითარება, მაშინ ამ ვალუტის გაყიდვა უნდა ხორციელდებოდეს, საპირისპირო შემთხვევაში კი – ყიდვა. ამ პროცესების შედეგად სავალუტო კურსების რყევის შენელებას ვიღებთ (სავალუტო კურსის სტაბილიზაციის, დარეგულირების ფუნქცია); 2. და პირიქით, სავალუტო კურსის ზრდის, ან დაცემის შემთხვევაში, შესაბამისად, თუ ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა ხორციელდება, მაშინ მწვავდება სავალუტო კურსების რყევათა სიხშირე, ხოლო მათი ამპლიტუდა იზრდება (სავალუტო კურსის დესტაბილიზაცია).

სავალუტო არბიტრაჟი და სპეკულაცია იშვიათად გვხვდება „სუფთა“ ფორმით. უფრო ხშირად სპეკულაციური ოპერაციები საარბიტრაჟო ოპერაციებთან არის გადაჯაჭვული (განსაკუთრებით საპროცენტო არბიტრაჟთან). ეს ოპერაციები საკასო (სპოტ) და ვადიან (ფორვარდ) ბაზრებზე ერთდროულად მიმდინარეობს. საკასო ბაზარზე ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა პრაქტიკაში ორ სამუშაო დღეში, 48 საათში უნდა მოხდეს (საკასო კურსით). ვადიან ბაზარზე ვალუტის ყიდვა/გაყიდვის თაობაზე ოპერაციების შესრულება ორიენტირებულია მომავალზე (მაგალითად, ერთთვიანი, სამთვიანი ან ექვსთვიანი ფორვარდ კურსით). მაშასადამე, ვადიან ბაზარზე ხდება გარიგებები, რომელთა დროსაც პირობები (ოპერაციის განხორციელების ვადა, ვალუტა, ფორვარდ კურსი) გარიგებისას დგინდება, ვალუტის გაცვლა კი მოგვიანებით გარკვეულ ვადაში განხორციელდება. მაგალითად, საპროცენტო არბიტრაჟის ოპერაციების დროს ეკონომიკურ აგენტს, რომელიც თავის ფულს დღეს აშშ-ის ფასიან ქაღალდებში აბანდებს, შეუძლია აშშ-ის დოლარი, თუ მოსალოდნელია მისი კურსის შემცირება, ერთდროულად გაყიდოს დღევანდელი სპოტ კურსით და იყიდოს მომავალი ხელსაყრელი ვადიანი კურსით (სავალუტო სვოპი). ამით ის სავალუტო კურსის რისკს თავიდან აიცილებს. ფასების

ადგილობრივი დონისა და სავალუტო კურსების ურთიერთქმედების თეორია გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ, თუ რატომ იცვლება მკვეთრად სავალუტო კურსები დროის გარკვეულ (რამდენიმე წლიან) პერიოდებში.

ვალუტის გაცვლის კურსის განსაზღვრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეალური და მონეტარული ასპექტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ვალუტის მიწოდება და მასზე მოთხოვნა საბოლოოდ გამომდინარეობს კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებიდან, რომლებიც სასაქონლო ნაკადების მოძრაობას მოწყვეტილია და საერთაშორისო ფასების დონეთა შორის არსებულ განსხვავებაში მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს. ეს ნიშნავს, რომ, უპირველეს ყოვლისა, სავალუტო კურსზე კაპიტალის მოძრაობის ზემოქმედება უნდა იქნას გათვალისწინებული. სავალუტო კურსის სიდიდე (მოკლევადიანი) საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება. სავალუტო კურსის მისადაგება ხდება ისე, რომ ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ საფინანსო აქტივების შემოსავლიანობის პროცენტული სხვაობა ეფექტიან (ფაქტობრივ) და მოსალოდნელ სავალუტო კურსს შეესაბამება. ამასთან, უშვებენ, რომ ქვეყნის შიდა და უცხოური საფინანსო აქტივები საუკეთესო სუბსტიტუტებია და რომ არსებობს კაპიტალის შეუზღუდავი საერთაშორისო გადაადგილება. თუ ამ პირობებში უცხოური საფინანსო აქტივების საპროცენტო განაკვეთი აიწევს ქვეყნის შიგნით საფინანსო აქტივების შემოსავალთან შედარებით, მაშინ კაპიტალის საზღვარგარეთ გადინება მოხდება. ამ დროს მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე იზრდება, რასაც ეროვნული ვალუტის გაუფასურება მოჰყვება.

ვალუტის გაცვლის კურსზე გავლენას კურსის ცვლილების მოლოდინიც ახდენს. იგი მნიშვნელოვანი ობიექტური ინფორმაციისა და ბაზრის მონაწილეთა სუბიექტური შეფასებების საფუძველზე იქმნება.

სავალუტო პოლიტიკის გატარებაში თანამშრომლობის ფორმები: ფულადი და საფინანსო პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებებით ცალკეულ ქვეყანას შეუძლია მოიპოვოს კონკურენციული უპირატესობა, რომელმაც შეიძლება სხვა ქვეყნებში ეკონომიკური და საფინანსო პრობლემები შექმნას. ასეთი პროცესების განვითარება საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას ხელს უშლის. ამიტომ ბოლო ათწლეულებში ეროვნული სავალუტო პოლიტიკის გატარებაში საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებზე ხშირად საუბრობენ. ამან კი, განსაკუთრებით ევროკავშირის შიგნით, მიგვიყვანა ერთობლივი სავალუტო პოლიტიკის შექმნამდე, რომელიც თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმით განხორციელდა და 1999 წლის იანვარში ერთიანი ევროპული ვალუტის — ევროს შემოღებით დაგვირგვინდა.

საერთაშორისო თანამშრომლობა სავალუტო პოლიტიკის სფეროში შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ფორმად: ერთიანი სავალუტო სისტემის ჩამოყალიბება და სავალუტო კავშირის შექმნა. პირველი ფორმის სავალუტო თანამშრომლობის დროს (მაგალითად, ერთიანი სავალუტო სისტემა) მონაწილე ქვეყნების ეროვნული ვალუტები შენარჩუნებულია და ხდება ფულადი პოლიტიკის მეტ-ნაკლებად შეთანხმება, თუმცა შეზღუდული ფორმით იგი მაინც

ეროვნული ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება. ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისითაც თანამშრომლობის მონაწილე ქვეყნები ავტონომიური არიან. ამის საპირისპიროდ, სავალუტო ინტეგრაციის მომხრე ქვეყნებში ეროვნული სავალუტო პოლიტიკის ავტონომიაზე უარს ამბობენ და გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციას ერთობლივ ცენტრალურ ბანკს გადასცემენ. დამატებით ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებში შეზღუდული ავტონომიისათვისაც მზად უნდა იყვნენ (მაგალითად, საფინანსო პოლიტიკა).

სავალუტო კავშირის შექმნა ხასიათდება:

- ვალუტის შეუზღუდავი კონვერტირებით;
- აბსოლუტურად მყარი სავალუტო კურსით;
- კაპიტალის მოძრაობისა და საგადასახდელო პროცესების სრული თავისუფლებით.

ეროვნული ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკის მომავლის ამოცანა სავალუტო კავშირის ფარგლებში კონფლიქტებისაგან თავისუფალი არ არის. მრავალმხრივ საბაზრო ინტეგრაციასა და მისი წევრი ქვეყნების საერთო ეკონომიკურ მიზნებს შორის შეიძლება კონფლიქტები წარმოიშვას. ამიტომ უნდა გაირკვეს, რომელი ქვეყნისათვის და რა პირობებში არის სავალუტო კავშირი ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებული (ოპტიმალური სავალუტო სივრცე). ოპტიმალური სავალუტო სივრცე მაშინ არსებობს, თუ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შიგნით მყარი სავალუტო კურსების (ან ერთიანი ვალუტის) და მესამე ქვეყნებთან მიმართებით მოქნილი სავალუტო კურსების პირობებში, საერთო ეკონომიკური მიზნების ფართოდ განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები ეკონომიკური პოლიტიკის საერთო მიზნებიდან გამომდინარეობს. საგარეო ეკონომიკური წონასწორობა თვითმიზანი კი არ არის, არამედ აუცილებელი წინაპირობაა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების (ეკონომიკური ზრდა, დასაქმება, ფასების სტაბილურობა და ა.შ.) მისაღწევად. საერთაშორისო ვაჭრობის განმსაზღვრელი დებულებებიდან შეიძლება მივიღოთ ძირითადი საგარეო ეკონომიკური მიზანი: კეთილდღეობის ამაღლება (კეთილდღეობის მიზანი) შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა გამოყენების საფუძველზე. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, ერთი მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკით, მეორე მხრივ, პროტექციონიზმის და ექსტრემალურ შემთხვევაში ავტარკიული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკაც შეიძლება ამის საფუძველს ქმნიდეს. რადგანაც საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ეროვნულ ფარგლებში, ასევე რეგიონული გაერთიანებების (მაგალითად, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი) ან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინს-

ტიტუტების პასუხისმგებლობის ქვეშ ხორციელდება, ამიტომ, სასურველია, საგარეო ეკონომიკური მიზნების დიფერენციაცია მოვახდინოთ ამ ასპექტის გათვალისწინებით.

კეთილდღეობის მიზნის, როგორც ნაციონალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უზენაესი მიზნის ოპერაციონალიზება შეუძლებელია. ამიტომ უნდა მოინახოს ისეთი მიზნები, რომლებიც კეთილდღეობის ამაღლებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ კავშირშია. რომელიმე ქვეყნის საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები, აგრეთვე, ეროვნულ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს განსაზღვრავს. ამასთან, უნდა დავასახელოთ ტიპური საგარეო ეკონომიკური მიზნები: (1) საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა, (2) სავალუტო კურსის სტაბილურობა, (3) მიმდინარე ოპერაციების ბალანსის განსაზღვრული სალდო ან (4) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდე. ეს მიზნები ძირითადად ინსტრუმენტების ხასიათს ავლენენ, რადგან ისინი საშინაო ძირითადი ეკონომიკური მიზნების მიღწევაზე არიან მიმართული.

საგარეო ეკონომიკური წონასწორობის მიზანი, პირველ რიგში, მიმდინარე ოპერაციების ბალანსის დახმარებით განისაზღვრება (საქონელზე და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის სალდო). კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ, როდესაც ქვეყნის საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიზანია სავაჭრო ბალანსის პროფიციტი, მხოლოდ მაშინ შეიძლება მომსახურების ბალანსში ქრონიკულად ჩამოყალიბებული დეფიციტური სალდოს გამოთანაბრება და კაპიტალის ექსპორტის დაფინანსება. საგადასახდელო ბალანსის გამოთანაბრების საპირისპიროდ, სავალუტო კურსის სტაბილურობის მიზანი სადავოა. სამართლიანად მიუთითებენ იმაზე, რომ ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემის პირობებში არ არსებობს შესაძლებლობა (წონასწორული სავალუტო კურსის ცვლილების გარეშე) საერთაშორისო განსხვავებები ფასებსა და ხარჯებში გათანაბრდეს ისე, რომ საშინაო ეკონომიკურ მიზნებს ზიანი არ მიაყენოს.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს არა მხოლოდ კეთილდღეობის ზრდის ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, არამედ მას შეუძლია თავისი წვლილი გარე ეკონომიკური მიზნების (როგორიცაა თავისუფლება, უსაფრთხოება, სამართლიანობა) მიღწევაშიც შეიტანოს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ შემდეგი მიზნები: (1) ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით ომისა და კრიზისების დროს) პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად **სტრატეგიული საქონლით თვითუზრუნველყოფას** ესწრაფვიან (ავტარკიის მდგომარეობა). **სამხედრო პოლიტიკის არგუმენტებიც** ხშირად განსაზღვრულ როლს ასრულებს. (2) **საგარეო ეკონომიკური ბოიკოტის** პოლიტიკით ცდილობენ, სხვა ქვეყნებში პოლიტიკურ სისტემებზე მოახდინონ გავლენა. (3) საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ძალისმიერი პოლიტიკის ინსტრუმენტი მსოფლიოში საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, საერთაშორისო კომუნიკაციების კონტროლისათვის ან ნედლეულის ბაზრების და-

საცავად. საერთაშორისო საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს მსოფლიო ეკონომიკის ისეთი მოწესრიგება, რომ ყველა ქვეყნის ან სხვადასხვა საერთაშორისო ინტეგრაციული (რეგიონული) გაერთიანებების წევრი ქვეყნების კეთილდღეობა გაიზარდოს.

რეგიონული ინტეგრაციის მიზნები: წარმატებული ინტეგრაციის პოლიტიკა კონცენტრირდება ეკონომიკურ აქტივობებზე იქ, სადაც უკეთესად ხელმისაწვდომია სუბეროვნული, ეროვნული თუ რეგიონული ბაზრები. ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოებს შორის შემოსავლის განსხვავება რეგიონულ დონეზე მცირე ხნით, ვიდრე ჩამორჩენილი ქვეყნები შეუერთდებიან განვითარების ტალღას.

რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებები, კომპლექსური მოლაპარაკებები, რეალობაში განხორციელება და განვითარება ითხოვს ადმინისტრაციული რესურსების ინტენსიურ გამოყენებას. რეგიონული ინსტიტუტების გაერთიანებამ ასეთი შეთანხმებების მეშვეობით, შეიძლება მოითხოვოს შიდა ადმინისტრაციული დანახარჯების ზრდა და ცალმხრივი ლიბერალიზაცია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ინტეგრაციას დანარჩენი მსოფლიოსთან. რეგიონული შეთანხმებები ხელს უშლის ზოგიერთ სახელმწიფოს სწრაფ გლობალურ ინტეგრაციას, როცა რეგიონის სხვა წევრები ნელი ინტეგრირებით ხასიათდებიან.

რეგიონული და გლობალური ინტეგრაციის საკითხზე დებატების ერთი მხარე მიიჩნევს რეგიონალურ ინტეგრაციას გლობალურის მხარდამჭერ პროცესად, ხოლო მეორე დეზინტეგრაციის ინსტრუმენტად განიხილავს. ამ დებატებზე შეთანხმება ადვილად ვერ მიიღწევა. მაგრამ ახალი ეკონომიკური გეოგრაფიის ობიექტივი განსხვავებულ პერსპექტივას გვთავაზობს. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ფიზიკური გეოგრაფია მოიცავს სავაჭრო მოდელებს, რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები შეიძლება იყოს უფრო მეტად კეთილდღეობის გაუმჯობესების მომტანი, ვიდრე მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებები კონტინენტთაშორის სატრანსპორტო ხარჯებზე. რეგიონალურ ინტეგრაციას გააჩნია არაეკონომიკური მიზნებიც, როგორიცაა: მეტი მშვიდობა და უსაფრთხოება, ისევე, როგორც, გაზრდილი როლი საერთაშორისო დონეზე. ხანდახან, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების მიღებისას, არაეკონომიკური მოტივი ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეკონომიკური.

რეგიონალურ ინტეგრაციას შეუძლია მიიღოს ბევრი ფორმა, დაწყებული ფორმალური ხელშეკრულებებით, რომელიც ეკონომიკური გაცვლის სხვადასხვა ასპექტს არეგულირებს, დასრულებული არაფორმალური, დეფაქტო თანამშრომლობით კერძო სექტორთან. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური შეთანხმებები ყოვლისმომცველი და იშვიათია, რეგიონული შეთანხმებები შეიძლება დაიწყოს გადაადგილების მცირე ტემპით და მასშტაბით, რომელთაგანაც თითოეული მათგანი მოსახერხებელია. თითოეულ რეგიონს სჭირდება იპოვოს ის ნაწილი, რაც საშუალებას მისცემს, რომ ისარგებლოს რეგიონული და გლობალური ინტეგრაციით.

ევროპის წარმატებული „სამეზობლოების“, ჩრდილოეთ ამერიკისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის გამოცდილება გვაძლევს რეგიონული და გლობალური ინტეგრაციის ინიციატივების განხორციელების სამ მოდელს – იფიქრე გლობალურად, დაიწყე მცირედით და კომპენსაცია გაუწიე ნაკლებად იღბლიანს:

- იფიქრე გლობალურად. ყველა განვითარებადი სივრცისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზრები რეგიონის გარეთ მდებარეობენ. ნებისმიერი რეგიონული ინტეგრაციის პროცესის მიზანია ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. მართლაც, რეგიონული ინტეგრაციის შეთანხმებების წარმატების ფაქტორია „ღია რეგიონალიზმი“, დაბალი გარე ტარიფები და შიდა ტარიფების ჩახშობა (World Bank, 2004; United Nations, 2007). ეს არის მთავარი განსხვავება რეგიონალიზმის პირველი ტალღისგან, რომელიც 1970-იანი წლებში დაიწყო და მოიცავდა იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკას რეგიონებში.
- დაიწყე მცირედით. რეგიონული ინტეგრაციის ინიციატივები არ საჭიროებს დაუყოვნებლივ ყველა საკითხის ორიენტაციას ამ პრიორიტეტზე. მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს, რომ ყოვლისმომცველი შეთანხმებები ქვეყნების დიდი რაოდენობისთვის რჩება მხოლოდ „ფურცელზე“. ხშირად რეგიონული ინტეგრაცია შეიძლება დაიწყოს ფორმალურობის გარეშე, ნებისმიერი სახის შეთანხმებით, მაგრამ განცხადება სტრატეგიულ თანამშრომლობაზე იძლევა საშუალებას, რომ ნებისმიერი დავა გადაწყდეს სწრაფად და სამართლიანად.

რეგიონული ინტეგრაცია გულისხმობს პოლიტიკის დამატებით მოქმედებებს ქვეყნების მონაწილეობით. რაც უფრო მეტია მონაწილეთა რაოდენობა, უფრო რთულია კოორდინაცია და მაღალია მარცხის რისკი. კონკრეტულ შეთანხმებებს, რომლებიც ეფუძნება სახელმწიფო ინტერესს, შეუძლია სხვადასხვა სტრუქტურის რეგიონული ინტეგრაციის დაჩქარების გაღრმავება. ასეთი თანამშრომლობა ვაჭრობისა და არა მხოლოდ ვაჭრობის საკითხებზე ეტაპობრივად აყალიბებს ძლიერ სამეზობლოს.

- კომპენსაცია გაუწიე ნაკლებად იღბლიანს. რეგიონალურ ინტეგრაციას შეუძლია დროის მოკლე პერიოდში წარმოადგინოს გამარჯვებული და დამარცხებული სახელმწიფოები (Venables, 2003). თუ ხდება ორი სხვადასხვა ქვეყნის შიდა ინფრასტრუქტურის ინტეგრირება, ამათ შორის უკეთესი ინფრასტრუქტურა ბევრად მიმზიდველია სამრეწველო საქმიანობისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნებს შორის განსხვავებები შემოსავლებსა და დასაქმებაში. საფუძვლიანი თანამშრომლობის მშენებლობა მეზობელ სახელმწიფოებს შორის უნდა წარმოადგენდეს დახმარებისა და ინტეგრაციის მიღწევების თანაბარი გაზიარების მექანიზმს. მაგალითად, ევროკავშირში მდიდარი წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ სუბსიდირებას ნაკლებად განვითარებულ წევრ ქვეყნებში (მსოფლიო ბანკი, 2009).

სახელმწიფოს საზღვრების გადალახვის სირთულე განვითარებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს. იზოლაციით ბაზრების შორის ეკონომიკური მანძილი იზრდება. ზოგიერთ სამეზობლოში შედიან მცირე ქვეყნები, რომელთა ადგილობრივი ბაზრები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოახდინონ ინდუსტრიალიზაცია, ან არ გააჩნიათ დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. ამგვარად, სახელმწიფოები დგანან განსხვავებული პრობლემების წინაშე და სჭირდებათ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური რეაგირება მათ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირებისთვის. ინტეგრაცია დიდწილად ვაჭრობაში კერძო საქმიანობას და ფაქტორთა მობილურობას ეფუძნება. თუმცა, ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის უმრავლესობას სჭირდება საზოგადოებრივი საქონელი რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დასაკავშირებლად, რაც მოითხოვს ერთობლივ ქმედებებს შიდა და გარე პრობლემების დასაძლევად.

რეგიონული ინტეგრაციისთვის შეიძლება გამოვიყენოთ სამი ტიპის პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც გლობალურ ინტეგრაციასაც დაეხმარება:

- **ინსტიტუციური თანამშრომლობა**, რომელსაც სამეზობლოს შიგნით არსებული პრობლემების კოორდინირება და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა შეუძლია;
- **რეგიონული ინფრასტრუქტურა**, რეგიონის სტრატეგიულ კავშირს მსოფლიოს წამყვან ბაზრებზე შეუძლია შეამციროს სატრანსპორტო დანახარჯები;
- **კოორდინირებული წახალისება**, რომელიც მოიცავს სამეზობლოს ყველა დაინტერესებულ მხარესა და დონორებს მსოფლიოს წამყვანი ბაზრებიდან, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს ფაქტორთა მობილურობასა და ცხოვრების დონის „კონვერტაციას“ წამყვან და ჩამორჩენილ სახელმწიფოებს შორის.

ინსტიტუციური თანამშრომლობა, როგორიცაა ორმხრივი შეთანხმებები ტექნიკურ და ბიზნესპროცედურებზე, საერთაშორისო სტანდარტების მიღება და მაკროეკონომიკური კონვერგენცია – რეგიონული ბაზრების ზომას აფართოებს. მართლაც, საინვესტიციო შესაძლებლობების შიდა და გარე შეფასებები და მასთან დაკავშირებული სამთავრობო პოლიტიკა და ბიზნესგარემო – როგორიცაა საკუთრების უფლებები, რეგულირება, გადასახადები, ინფლაცია, ინფრასტრუქტურა, კორუფცია და მაკროეკონომიკური სტაბილურობა – განსაზღვრავს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას (მსოფლიო ბანკი, 2004). **რაც უფრო ნაკლებად მიმზიდველია ქვეყნის სამეზობლო, მით ნაკლებად მიმზიდველია კონკრეტული ინდივიდუალური სახელმწიფო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი ადგილობრივი ბაზარი მცირეა**.

სატარიფო ბარიერების შემცირების პირობებში, სასაზღვრო ბარიერები ვაჭრობაში ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტი გახდა. ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით ინსტიტუტებს შეუძლიათ თავიანთი სახელმწიფოს მიმზიდველობა გაუმჯობესონ უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის და ვაჭრობის შესაძლებლობები გაზარდონ. განსაკუთრე-

ბით მნიშვნელოვანია რეგიონული გლობალური წარმოების ქსელებისა და ბაზრების დაკავშირება.

ფინანსური და მონეტარული თანამშრომლობა აუმჯობესებს კაპიტალის მობილობასა და ზრდის რეგიონის მიმზიდველობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის, განსაკუთრებით კი მცირე ქვეყნების შემთხვევაში (მსოფლიო ბანკი, 2007). მცირე ბაზრები ნაკლებად კონკურენტულები და ნაკლებად ეფექტიანები არიან. იმისათვის, რომ გამოიყენონ ფინანსურ ბაზრებზე არსებული ეკონომიკის მასშტაბები, ზოგიერთი საბაზრო სეგმენტი შეიძლება დაიკარგოს ან მისთვის იყოს ნაკლებად შესაძლებელი ინვესტიციების დივერსიფიკაცია და საოპერაციო რისკები. მარეგულირებელი სტრუქტურა უფრო ძვირია დაბალი ხარისხის ბაზრებზე და დამხმარე მომსახურება, როგორიცაა საკრედიტო ინფორმაცია, რთულად არის ხელმისაწვდომი. რეგიონული და გლობალური ვაჭრობა საუკეთესო გზაა, გავიდნენ ეროვნული ბაზრები უცხოურ ფინანსურ შუამავლებზე. რეგიონალურ ფინანსურ სისტემასთან სრულად ან ნაწილობრივ ინტეგრირება ეტაპობრივად გახსნის ეროვნულ ბაზრებს საერთაშორისო კაპიტალისთვის. რეგიონული ფინანსური ინტეგრაციისგან მიღებული სარგებელი იზრდება, როცა ქვეყნების ჯგუფი შეთანხმდება, რომ ჰქონდეთ ერთი ვალუტა, ერთი ცენტრალური ბანკი და ანალოგიური რეგულაციები ფირმების ლიცენზირებისა და მარეგულირებელი სისტემის შესახებ, მაგრამ ასეთი ინტეგრაცია ამცირებს პოლიტიკურ რეაგირებას შოკებზე.

ანალოგიურად, რეგიონული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ამცირებს მანძილს ეკონომიკურ სავაჭრო პარტნიორებს შორის, როგორც სამეზობლოში, ასევე სამეზობლოსა და მსოფლიო ბაზრის ლიდერებს შორის. ელექტროენერგიის, წყლის, კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ამაღლებს პროდუქტიულობას, თუმცა, შეუსაბამოა ბევრ განვითარებად ქვეყანაში.

რეგიონული ინფრასტრუქტურა რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, მაგრამ ხშირად საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას, რადგან ხარჯები შეიძლება მაღალი იყოს. საზღვართშორისი პროექტების მომზადება კომპლექსურია და ინდივიდუალურ ქვეყნებს არ შეიძლება ჰქონდეთ შესაძლებლობები, ჩამოაყალიბონ ტექნიკური დიზაინი და მიაღწიონ შეთანხმებას.

სამი ტიპის რეგიონალურ ინფრასტრუქტურასა და მასთან დაკავშირებულ სერვისებს შეუძლიათ მასშტაბის ეკონომიის, ფაქტორთა მობილურობის და ქვეყნებს შორის ვაჭრობის ფორმირება:

1. რეგიონული ინფრასტრუქტურის გაზრდა – სიმძლავრე, მობილური ტელეფონები, ინტერნეტით დაკავშირება და ძირითადი მაგისტრალური გზები – ამ ყველაფრისგან შეიძლება შემოსავლის გამომუშავება საფასურის გადახდით. პროდუქტიულობა ზრდის ამ ინფრასტრუქტურულ მომსახურებაში გადახდის სურვილს. კერძო კომპანია უზრუნველყოფს რეგიონულ ინფრასტრუქტურას, როდესაც ის შემოსავლიანია.
2. რეგიონული ინფრასტრუქტურის გაძლიერება – თანამშრომლობა უმაღლესი განათლების სფეროში და ტრენინგები მოქმედებს არა მარტო სამუ-

შაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არამედ ხელს უწყობს შრომის მობილობას, რადგანაც სტუდენტები განსხვავებული ქვეყნებიდან ქმნიან სახელმწიფოთაშორისო ქსელებს, რაც ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას.

3. სავაჭრო მოდელები – ქვეყნებს შორის ვაჭრობა აჩვენებს, რომ სახელმწიფოთაშორის გზებში ჩადებული რეგიონული ინვესტიციები ხელს უწყობს რეგიონთაშორის ვაჭრობის ზრდას.

ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს **კოორდინაცია, თანმიმდევრულობა, დროითი ოპერაციონალიზება და ურთიერთკონტროლი**, რომელიც, ამავდროულად, ხელს არ უნდა უშლიდეს პოლიტიკის გამტარებლებისა და ინსტიტუტების დამოუკიდებელ საქმიანობას და გადაწყვეტილებებს. მდგომარეობა უფრო რთულ ხასიათს იძენს რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის შემთხვევაში. სირთულე არ არის დამოკიდებული იმაზე, განვითარებული ქვეყნები არიან ინტეგრაციის წევრები, განვითარებადი, თუ ორივე დონის ქვეყნები არიან წარმოდგენილი ინტეგრაციაში. ამ პროცესებთან დაკავშირებულია რეგიონული ინტეგრაციული პოლიტიკის წარმატება. მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიის არსებობის მიუხედავად, წარმატების მიღწევა შეუძლებელი ხდება დროში შეუთავსებელი და არაკოორდინირებული ქმედებების მიზეზით. ამასთან, კოორდინირებულ სტიმულებს შეუძლია გადაწყვიტოს დაპირისპირება სახელმწიფოებსა და რეგიონალურ ასოციაციას შორის. მსგავსი ინიციატივების რისკს ამცირებს კომპენსაციის მექანიზმები, უკეთესი კომუნიკაცია და მონაწილეთა შეთანხმება გრძელვადიან პერსპექტივაში თანამშრომლობაზე.

ინტეგრაციის თითოეული წევრი თანაბრად მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში საზოგადოებრივი კეთილდღეობა დამოკიდებულია ყველაზე სუსტ ან ძლიერ წევრზე, ან მათ კომბინაციაზე. ეს დაყოფა მიუთითებს, რომ რეგიონული თანამშრომლობის მრავალფეროვანი ბუნება დამოკიდებულია ინტეგრაციის მიზანზე.

რეგიონალურ თანამშრომლობაში ნდობის ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საერთაშორისო ორგანიზაციებს შეუძლიათ დახმარება ნდობის ჩამოყალიბებაში დიპლომატიის გზის გამოყენებით.

კონკრეტული რეგიონული შეთანხმებები შესაძლებელია სხვა შეთანხმების საფუძველი გახდეს, ისევე, როგორც ეს მოხდა ევროკავშირის შემთხვევაში, როდესაც რეგიონული საწარმოო ინტეგრაციული შეთანხმება (ქვანახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანება) შემდგომ სახელმწიფოთაშორის რეგიონული ინტეგრაციის საფუძველი გახდა (ევროკავშირი). განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში ხშირია მრავალჯერადი და გამარტივებული შეთანხმებები, თუმცა სუსტია კოორდინაცია. ამიტომ უმჯობესია შეთანხმებების და აქტივობების რაციონალიზაცია რეგიონალურ ეკონომიკურ თემებზე. თუმცა ფართო/ქოლგა შეთანხმებას შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე შეთანხმებებს, ან შესაძლებელია მცირე შეთანხმებების კონსოლიდაცია ქოლგა შეთანხმებების ქვეშ. გზის მოძებნა ტაქტიკური არჩევანია.

ევროკავშირი, მიუხედავად არსებული პრობლემებისა, არის ინტეგრაციის მაღალი დონის მქონე ყველაზე წარმატებული რეგიონული გაერთიანება. მსოფლიოში მან აშშ-ს შემდეგ ყველაზე დიდი შიდა ბაზარი შექმნა. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უფრო მეტი რამ აერთიანებს, ვიდრე მხოლოდ ერთობლივი ეკონომიკური მიზანდასახულობაა. ევროკავშირის ცალკეული მიზნებია:

- ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და მაღალი დასაქმებისათვის ხელშეწყობა, კარგად გააზრებული და გრძელვადიანი განვითარების დაგეგმვა, განსაკუთრებით შიდა საზღვრების გარეშე სივრცის შექმნით, სოციალური სოლიდარობის გაძლიერებით, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შემოღებით;
- იდენტურობის დამკვიდრება საერთაშორისო დონეზე, განსაკუთრებით ერთობლივი საგარეო და უშიშროების პოლიტიკით, რაც შესაძლებელია ერთობლივი თავდაცვითი ორგანიზაციის შექმნით დასრულდეს;
- წევრი ქვეყნების მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის გაძლიერება ევროკავშირის მოქალაქის სტატუსის შემოღებით;
- ევროკავშირის, როგორც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის სივრცის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, რომელშიც კონტროლი საგარეო საზღვრებზე, კრიმინალებთან ბრძოლა, თავისუფალი მიმოსვლა და ა.შ. შესაბამისი ღონისძიებებით უზრუნველყოფილია;
- ერთობლივი ქონების სრული დაცვა და მისი შემდგომი ზრდა.

ევროკავშირის ეკონომიკური მიზნები და მოტივები ევროგაერთიანების ხელშეკრულებით არის გამყარებული. ევროეკონომიკურ სივრცეში პიროვნების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მოძრაობაში თავისუფლება არსებობს. თუმცა, ბოლო პერიოდში განვითარებულმა დეზინტეგრაციულმა პროცესებმა ევროკავშირის პოლიტიკის კრიტიკული გააზრების მოთხოვნები წარმოშვა.

საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ინტეგრირება. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დამყარებული ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე. წარმატებული ინტეგრაციისთვის არსებითია ევროკავშირის განვითარებულ წევრ ქვეყნებთან თუ რეგიონებთან არსებული განსხვავებების შემცირება. თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რეგიონები გადაიქცნენ წამყვან მოთამაშეებად საერთო ერთიანი წარმატების მიღწევაში, ვინაიდან ექსტერნალიები და მზარდი უკუგება – როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებლები – სწორედ რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე წარმოიშობა.

რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ ქვეყნებს რეგიონული ინტეგრაციის, უკეთესი სამეზობლოს ჩამოყალიბებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიმართულებით?

• **ინტეგრაციის ვარიანტები მსოფლიო ბაზრებთან ახლოს მყოფი ქვეყნებისთვის:** ბაზრის ხელმისაწვდომობა აუცილებელია ზრდისთვის, ხოლო ბაზართან სიახლოვე წარმოებისთვის. მალფუჭებადი საქონლის (ახალი ხილი და ბოსტნეული) ექსპორტისთვის მისაღებია ახლომდებარე ბაზრები. სავაჭრო მომსახურებისთვის – როგორიცაა მარკეტინგი, კვლევა და ტექნოლოგიური ამოცანების შესახებ კომპლექსური ინფორმაცია – არსებითია პირისპირ ურთიერთობა და ახლოს მყოფი მომხმარებელი. ამდენად, მსოფლიო ბაზრებთან ახლოს მყოფ სახელმწიფოებს აქვთ თანდაყოლილი უპირატესობა, კავშირი ჰქონდეთ ბაზრებთან, მიმწოდებლებთან და იდეებთან. და პირიქით, მდიდარი მსოფლიო რეგიონებისთვის – ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა და ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია – განვითარებად რეგიონებთან ახლომდებარეობა ზრდის მათ პოტენციალსა და ქმნის პლატფორმებს მათი კომპანიების საქმიანობისთვის. არსებობს ერთობლივი მიღწევები რეგიონული თანამშრომლობისთვის და ინტეგრაცია მიმდინარე პროცესების შემდგომი გაღრმავებაა.

ამასთან, მსოფლიო ბაზრებთან დაახლოებული ქვეყნებისთვის ინსტიტუციონალური რეფორმებისა და შიდა მმართველობის გაუმჯობესების ამოსავალი წერტილია ახლოს მდებარე მსხვილ ბაზრებთან სრული ინტეგრირება. მარტო თავისუფალი ვაჭრობა ინტეგრაციის სარგებელს ბოლომდე არ მოიტანს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს ჰქონდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან მრავალი წლის განმავლობაში, ძირითადი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებამდე არ დაწყებულა ასოცირების შესახებ მოლაპარაკებები. მსოფლიო ბაზრებთან დაახლოებული სახელმწიფოების პოლიტიკა და მმართველობის სტანდარტები უნდა გავრცელდეს მათთან ახლოს მდებარე მაღალი შემოსავლის მქონე რეგიონზე. დიდ ბაზართან მდებარეობა არის ძლიერი სტიმული, უზრუნველყოს მისი სამეზობლოს სტაბილურობა. ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივამ გაზარდა რეფორმების ტემპი ევროპის ცენტრალურ ნაწილში.

ინსტიტუციური რეფორმები მოიცავს მაკროეკონომიკურ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ინფლაციასა და ეფექტურ ფისკალურ სისტემასთან. ისინი, ასევე, მიმართულია ინსტიტუციონალური ჩარჩოს გაუმჯობესებისკენ, რომელიც კორუფციას ზღუდავს და მმართველობის ეფექტიანობას ზრდის.

მცირე ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე შესვლისთვის სჭირდებათ ეფექტიანი სატელეკომუნიკაციო სისტემა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა. ხშირად ვხვდებით რეგიონულ მხარდაჭერას მცირე ქვეყნებისათვის ამ ტიპის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ხშირად კოორდინაციის არარსებობასაც ვაწყდებით.

• **ინტეგრაციის ვარიანტები ქვეყნებისთვის, რომელთაც ჰყავთ დიდი მეზობლები, მაგრამ შორს არიან მსოფლიო ბაზრებიდან:** დიდი შიდა ბაზარი მიმზიდველია სამრეწველო საქმიანობისთვის. თუ ეს უკანასკნელი კარგად არის დაკავშირებული მსოფლიო ბაზართან, უპირატესობა ძლიერდება. მაგრამ ქვეყნების მეორე ჯგუფი შორს არის მსოფლიო ბაზრებისგან. მათ შეუძლიათ გლობალური ინტეგრაციის შევსება უფრო ძლიერი რეგიონული ბაზრის შექმნით.

დიდი ქვეყნებისთვის სამეზობლოების კონკურენტული უპირატესობა არის დიდი ადგილობრივი ბაზრები, უხვი კაპიტალი, მნიშვნელოვანი ფულადი გზავნილები. მასშტაბური ეკონომიკა, როგორიცაა ნავთობისა და ქვანახშირის პროდუქცია, ფარმაცევტული წარმოება, ელექტრონული მანქანები, რკინის და ფოლადის წარმოება. ინტეგრაციის ინსტრუმენტია კონცენტრირება წამყვან ქვეყნებზე, რომლებსაც აქვთ ძლიერი ეკონომიკა და უკეთესი ხელმისაწვდომობა ბაზარზე. მსგავსი გამოწვევები მოითხოვს ისეთი ინსტიტუტების უზრუნველყოფას, როცა პოლიტიკა და მთავრობა ორიენტირებულია ვაჭრობის, ფაქტორთა მობილურობის, რეგიონული ზრდის, წამყვანი და ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების ინფრასტრუქტურის დაკავშირების და რეგიონული ეკონომიკური კავშირების ხელშეწყობაზე. ასევე, რეგიონული წარმოების ქსელების ინტეგრირებაზე გლობალურ ეკონომიკასთან.

საზოგადოებრივი კეთილდღეობა რეგიონის ფარგლებში დამოკიდებულია მის თითოეულ წევრზე განსხვავებული ხარისხით. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან რეგიონული თანამშრომლობა განიხილება როგორც ძლიერი წევრების მიერ მართული პროცესი, ეს ვალიდურია მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში და დამოკიდებულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის ტიპზე, სამშვიდობო პროცესებზე, კვლევაზე, საერთო ინფრასტრუქტურასა და სხვა ფაქტორებზე. სხვა შემთხვევაში – ინსტიტუციური რეფორმებზე, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია რეგიონის სუსტ წევრებზე. ამ შემთხვევებში, ზოგ სუსტ წევრ სახელმწიფოთა შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა ზრდის საერთო რეგიონული ინტეგრაციის განვითარებას.

მსოფლიო ბაზრებისგან მოშორებით მდებარე დიდი სახელმწიფოების მეზობელი მცირე ქვეყნების ინფრასტრუქტურაში ინვესტირების ხარჯები და სარგებელი განსხვავებულია. საერთაშორისო სატრანზიტო შეთანხმებები ხშირად საერთაშორისო თანამეგობრობიდან, ან რეგიონული ინსტიტუტებიდან მხარდაჭერას საჭიროებს. მაგალითად, სამხრეთი აზიის სუბრეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა (SASEC) და აზიის განვითარების ბანკი ხაზს უსვამს, რომ ასეთი სასაზღვრო თანამშრომლობა შეიძლება სასარგებლო იყოს ყველა ქვეყნისთვის.

• **ინტეგრაციის ვარიანტები მსოფლიო ბაზრებისგან შორს მყოფი ქვეყნებისთვის დიდი მეზობლის გარეშე**. იზოლირებული ქვეყნების სამეზობლოს გამოწვევაა რეგიონული და გლობალური ინტეგრირება. მათი გეოგრაფიული მდებარეობა მიანიშნებს, რომ ინტეგრაციის ხარისხი იშვიათად იქნება სხვა ქვეყნების მსგავსად მაღალი. ასე რომ, წარმატებული ვაჭრობის პერსპექ-

ტივები თითქოს უფრო შეზღუდულია. თუმცა, პირიქით – მათი იზოლაცია მთავარი ბაზრებიდან მათ ბუნებრივ დაცვას უზრუნველყოფს.

ამრიგად, მსოფლიო ბაზრებიდან შორს მყოფი მცირე ქვეყნებით დაკომპლექტებულმა სამეზობლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ სპეციფიკურ ინსტიტუტებზე, რომელთა საქმიანობაც მიმართულია თანამშრომლობის განვითარებაზე. მართალია, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, მაგრამ რეალობაში მათი გატარება ვერ ხდება და დაბალეფექტიანია. ამასთან, შეთანხმებების მონაწილეთა ადმინისტრაციული ხარჯები ძალიან მაღალია.

ასეთი ქვეყნების რეგიონულ გაერთიანებებს აქვთ დამატებითი ეკონომიკური შესაძლებლობები: საერთაშორისო და რეგიონული აეროპორტები, სპეციალიზებული უნივერსიტეტები და ტრენინგცენტრები სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში, რკინიგზებისა და პორტის მეშვეობით ქალაქებს შორის კავშირი, საფეიქრო მრეწველობა და ა.შ. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული მრეწველობის განვითარების ფარგლებში საფეიქრო წარმოების პროდუქცია შეიძლება გახდეს კონკურენტუნარიანი გლობალურ ბაზარზე. ასეთი ინიციატივებიც მონაწილე ქვეყნების, რეგიონული ასოციაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას მოითხოვს. მცირე იზოლირებული ქვეყნები რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელოვან გარე მხარდაჭერას საჭიროებენ. არსებითია საჯარო და კერძო პარტნიორობის შესაძლებლობები ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებაში. არსებობს მხარდაჭერის შესაძლებლობები რეგიონული განვითარების ბანკებიდან და გლობალური ფინანსური ინსტიტუტებიდან.

სავალუტო კურსის პოლიტიკა

სავალუტო კურსის პოლიტიკა, პირველ რიგში, სავალუტო კურსის რეჟიმის არჩევაში (წესრიგის პოლიტიკა) და ფიქსირებული სავალუტო კურსის შემთხვევაში სავალუტო პარიტეტის ცვლილებაში მდგომარეობს (რევალვაცია ან დევალვაცია). სავალუტო კურსის თავისუფალი ცურვის სისტემაში ცენტრალური ბანკი ვალდებულია, სავალუტო კურსის სტაბილიზაციისათვის სავალუტო ინტერვენცია მოახდინოს. სავალუტო პოლიტიკის სპეციალურ ინსტრუმენტს მცოცავი მიმაგრება წარმოადგენს. იგი ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო კურსის კონტროლირებად მოკლე დროით საფეხურებზე ცვლილებისათვის გამოიყენება. ინტერვენციები ხდება უპირატესად მაშინ, თუ სავალუტო კურსი ერთ ან რამდენიმე უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით არასასურველი მიმართულებით იცვლება, მაგრამ მართვადი სავალუტო კურსების შემთხვევაშიც ცენტრალური ბანკის ინტერვენციები მუდამ მეორდება (მართვადი ცურვა).

ფიქსირებული სავალუტო კურსის პოლიტიკის პირობებში ეროვნული ვალუტის რევალვაციას ან დევალვაციას სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს. პირველ რიგში, საქონლის ნაკადებზე რევალვაციის გავლენა გავაანალიზოთ ევროს რევალვაციის

პირობებში აშშ-ის დოლართან მიმართებით. როგორ გაიზრდება ევროს რევალვაციის შედეგად ექსპორტ-იმპორტი გერმანიაში? მყარი საშინაო ფასების გათვალისწინებით (ეროვნულ ვალუტაში), ევროს რევალვაციის შემთხვევაში ამერიკული საქონლის ფასები ევროში იკლებს და გერმანული საქონლის ფასები აშშ-ის დოლარში იმატებს. შედეგად გერმანიის იმპორტი აშშ-დან იზრდება და გერმანიის ექსპორტის მოცულობა აშშ-ში მცირდება, რადგან გერმანული საქონლის ფასი გაძვირდა. რა გავლენას ახდენს ეს ცვლილებები ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებაზე? პასუხის გაცემისას საკმარისია აშშ-ის დოლარის ღირებულებით შემოვიფარგლოთ. იგი პროდუქციის რაოდენობითა და ფასით განისაზღვრება. იმპორტის რაოდენობის ზრდის შემთხვევაში გერმანიის იმპორტის ღირებულება აშშ დოლარში იზრდება. გერმანიის ექსპორტის ღირებულება აშშ დოლარში განსხვავებულად წარმოგვიდგება. როგორც ცნობილია, გერმანიის საექსპორტო ნაწარმზე (აშშ დოლარში) ფასების ზრდის დროს ექსპორტის რაოდენობა მცირდება. გერმანიის ექსპორტის ღირებულებისათვის (აშშ დოლარში) გადამწყვეტია აშშ-ის მოთხოვნის ელასტიკურობა გერმანული საქონლის ფასების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ თუ აშშ-ში მოთხოვნის ელასტიკურობა აბსოლუტურად მეტია ერთზე (>1), მაშინ გერმანიის ექსპორტის ღირებულება (აშშ დოლარში) მცირდება (ნორმალური შემთხვევა). როდესაც <1-ზე, პირიქით ექსპორტის ღირებულება (აშშ დოლარში) იზრდება.

სრულიად საპირისპიროა ევროს გაუფასურების ზემოქმედება. ერთი და იგივე პირობებში გერმანიის იმპორტი აშშ-დან დაიკლებს, რადგან იმპორტის ფასი აშშ დოლარში უცვლელი რჩება, ხოლო ევროში იზრდება, მცირდება აგრეთვე იმპორტის ღირებულება აშშ დოლარში. ამავდროულად, გერმანიის ექსპორტის მოცულობა მატულობს, ხოლო ექსპორტის ღირებულება აშშ დოლარში იზრდება. ექსპორტის ღირებულების ზრდა აშშ დოლარში აქაც გერმანული საქონლის ფასების მიმართ აშშ-ში მოთხოვნის ელასტიკურობაზე იქნება დამოკიდებული.

ამრიგად, სავალუტო კურსის ცვლილებების შედეგად მონაწილე ქვეყნებში ფასთა თანაფარდობა იცვლება, რაც სასაქონლო ნაკადებზე ახდენს გავლენას (რაოდენობა და ღირებულება).

სავალუტო კურსზე საპროცენტო განაკვეთის ზემოქმედების მექანიზმის გასაგებად დავუშვათ, რომ გერმანიაში საპროცენტო განაკვეთის დონე უფრო დაბალია, ვიდრე უცხოეთში, მაგალითად, აშშ-ში (R ქვეყნის შიგნით<R ქვეყნის გარეთ), ამას მოჰყვება ისეთი მდგომარეობა, როდესაც გერმანელები თავიანთ ფულს უფრო მეტად აშშ-ში დააბანდებენ, ანუ კაპიტალის ექსპორტი გაიზრდება. გერმანელი მეანაბრეები გაზრდიან ევროს მიწოდებას აშშ დოლარზე გასაცვლელად. ამავდროულად, ამერიკელებისათვის ნაკლებად ღირებული იქნება თავიანთი ფულის გერმანიაში დაბანდება. ამით გერმანიაში მოთხოვნა ევროზე და კაპიტალის იმპორტი მცირდება, რის შედეგადაც ევროს სავალუტო კურსი ეცემა (ევროს გაუფასურება). ეს კი გერმანიაში საპროცენტო განაკვეთს ამცირებს, რაც ზემოქმედებს აშშ-დან გერმანიაში კა-

პიტალის ექსპორტის კლების და გერმანიიდან აშშ-ში კაპიტალის იმპორტის ზრდის მიმართულებით.

სტაბილური ფასებისა და სავალუტო კურსის პირობებში სავალუტო კურსზე შემოსავლის გავლენის მექანიზმის ანალიზში ექსპორტი არის ერთობლივი მოთხოვნის ერთ-ერთი კომპონენტი. იგი ისევე, როგორც სხვა კომპონენტები, ეროვნული შემოსავლის სიდიდეზე ახდენს გავლენას. საექსპორტო მოცულობის გაფართოებით ეროვნული შემოსავალი იზრდება. საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორის მოქმედება განაპირობებს იმას, რომ საქონლის ექსპორტიდან შემოსავლის ზრდა ეკონომიკის ყველა სფეროში მოგების მიღებას უზრუნველყოფს. ზოგადად, რომელიმე ქვეყნის ექსპორტის სიდიდე ქვეყნის შიგნით ეროვნული შემოსავლის ცვლილებებს უშუალოდ არ უკავშირდება, ის უფრო მეტად უცხოეთის ქვეყნის ეროვნულ შემოსავალზეა დამოკიდებული. იმპორტის შემთხვევაში კი ეროვნული შემოსავლის ზრდით მოთხოვნა იმპორტზე მაღლდება და, პირიქით. ამ შემთხვევაში სავალუტო კურსი საქონლის ცვალებად ნაკადებს შეესაბამება.

ამრიგად, ევროს კურსის ზრდას (რევალვაციას) ექსპორტის შემცირებამდე და კაპიტალის იმპორტის ზრდამდე მივყავართ. ევროს კურსის შემცირებას (დევალვაციას) კი პირიქით, ექსპორტის ზრდისა და კაპიტალის იმპორტის შემცირებისაკენ.

მცურავი სავალუტო კურსის სისტემაში ჩვენ შედარებით არასტაბილურ სავალუტო კურსს ვიღებთ. ფასების და/ან საპროცენტო განაკვეთების განსხვავებათა კომპენსირება ან კორექტირება სავალუტო კურსით ხდება.

როდესაც მცურავი სავალუტო კურსის სისტემაში წონასწორული კურსი ავტომატურად მყარდება, ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმმა შესაძლებელია საგადასახდელო ბალანსის უწონასწორობა წარმოშვას.

საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი წარმოიშობა მაშინ, თუ წონასწორული კურსის დროს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა აჭარბებს მის მიწოდებას. მათი გათანაბრებისათვის ცენტრალურმა ბანკმა უცხოური ვალუტის მიწოდება უნდა გაზარდოს. ამასთან, როგორც წესი, უცხოური ვალუტის საკუთარი მარაგი და საერთაშორისო ლიკვიდურობა შეზღუდულია. ამ დროს წინა პლანზე ლიკვიდურობის პრობლემა დგება. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურმა ბანკმა უცხოური (სარეზერვო) ვალუტა უნდა მოიპოვოს (საერთაშორისო ლიკვიდურობა). ამისათვის მას გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები:

- „სტენდ ბაი“ კრედიტი (stand-by-credit – მოკლევადიანი კრედიტი ეროვნული ვალუტის განსამტკიცებლად) ცენტრალური ბანკებისათვის;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება (SDR-ნასესხობის სპეციალური უფლება);
- ევროპული სისტემის ცენტრალური ბანკების ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე.

თუ საქმე ეხება საგადასახდელო ბალანსის არა გარდამავალ, არამედ გრძელვადიან დეფიციტს, მაშინ კორექტირების პრობლემა გვაქვს. ეს ნიშნავს, რომ სხვა ზომები უნდა იქნას მიღებული. რადგან საგარეო ეკონომიკურ

პრობლემებს ხშირად საშინაო ეკონომიკური მიზეზები წარმოშობს, ღონისძიებები აქაც უნდა გატარდეს, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის სტრუქტურული ადაპტაციის პროგრამები პასუხობს. ისინი მაკროეკონომიკური აგრეგატების წონასწორობაში მოყვანისკენ არის მიმართული. გრძელვადიანი დეფიციტი შეიძლება დავძლიოთ შემდეგი შესაძლებლობებით:

1. თუ გამოვიყენებთ შემზღუდავ ფულად და ფისკალურ პოლიტიკას (მაგალითად, სახელმწიფო ხარჯების შემცირებით, გადასახადების გაზრდით, საპროცენტო განაკვეთის დონის გაზრდით ან ფულის რაოდენობის შემცირებით), მაშინ, პირველ რიგში, ზემოქმედების ორი ჯაჭვი არის მოსალოდნელი. ერთი მხრივ, ფასების დონეზე, მეორე მხრივ კი, ეროვნულ შემოსავალზე გავლენა. მოცემული კავშირები მოკლედ შემდეგნაირად წარმოდგება: კლებადი საშინაო ფასები ექსპორტის ზრდასა და იმპორტის შემცირებას უზრუნველყოფს, რომელიც ეროვნული შემოსავლის შემცირების შედეგადაც იკლებს (იმპორტის ფუნქცია). ქვეყნის შიგნით საპროცენტო განაკვეთის უფრო მაღალი დონე, პირიქით, კაპიტალის იმპორტს უწყობს ხელს;
2. შიდა ვალუტის დევალვაცია (მას იყენებდნენ ადრინდელი ევროპული სავალუტო სისტემის ფარგლებში, ევროს შემოღებამდე);
3. სავალუტო კურსის თავისუფალი ცურვის პოლიტიკის შემოღება. რომელიმე სავალუტო კავშირში ან იმ ქვეყნებში, რომლებმაც ვალდებულება აიღეს ფიქსირებული სავალუტო კურსის პოლიტიკის შენარჩუნებაზე, ეს შესაძლებლობა არ გამოდგება;
4. სავალუტო კონტროლის პოლიტიკის გატარება.

საგადასახდელო ბალანსის პროფიციტთან გვაქვს საქმე, როდესაც წონასწორული კურსის პირობებში უცხოური ვალუტის მიწოდება მის მოთხოვნაზე მეტია. ამ შემთხვევაში ცენტრალურმა ბანკმა უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა უნდა გაზარდოს. აქ ლიკვიდურობის პრობლემა უკვე სხვაგვარად დგას, ვიდრე დეფიციტის პირობებში. ცენტრალური ბანკი უცხოური ვალუტის შესყიდვას ეროვნული ვალუტით ახდენს (ლიკვიდურობის პრობლემის ასიმეტრიულობა). უცხოური ვალუტის შესყიდვით კი ქვეყნის შიგნით ფულის რაოდენობა იზრდება, რასაც შეიძლება ფასების აწევა მოჰყვეს (ინფლაციის საშიშროება).

პროფიციტის კორექტირების პრობლემის გადაჭრა გრძელვადიან ექსპანსიურ ფულად და ფისკალურ პოლიტიკას მოითხოვს. მაგრამ აქაც, საწყისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანთა კონფლიქტები შეიძლება მოხდეს (საგარეო ეკონომიკური წონასწორობა ფასების დონის სტაბილურობის საწინააღმდეგოდ). თუ ამ შემთხვევაში ვალუტის შემოდინების გარკვეულწილად გასანეიტრალებლად გამოვიყენებთ შემზღუდავ ფულად პოლიტიკას, მაშინ მოხდება საპროცენტო განაკვეთის აწევა, რასაც შედეგად კაპიტალის შემოდინების ზრდა მოჰყვება. რაც უფრო დიდხანს ატარებს ცენტრალური ბანკი შემზღუდავ ფულად პოლიტიკას, მით უფრო მეტი კაპიტალი შემოედინება უცხოეთიდან. გარდა ამისა, ასეთი პოლიტიკა საწარმოთა საინვესტიციო

საქმიანობასა და ეკონომიკის ზრდაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამის ალტერნატივად ეროვნული ვალუტის რევალვაცია ან ფიქსირებული სავალუტო კურსის პოლიტიკის ნაცვლად თავისუფალი ცურვის სავალუტო პოლიტიკაზე გადასვლა გვევლინება.

სავალუტო კურსის პოლიტიკის ფარგლებში სპეციალურ ინსტრუმენტს ე.წ. სავალუტო საბჭო წარმოადგენს (Currency Board). ამასთან, რომელიმე ქვეყნის ვალუტა ფიქსირებული სავალუტო კურსით სარეზერვო ვალუტასთან მკაცრად არის მიბმული (მეტწილად აშშ დოლართან). ეროვნული ცენტრალური ბანკის მიერ ფულის შექმნა ან მისი შეზღუდვა მხოლოდ „წამყვან ვალუტაზე" გაცვლით შეიძლება მოხდეს.

საერთაშორისო ვალის პოლიტიკა

საერთაშორისო დავალიანების პრობლემის გადასაწყვეტად განვითარებადმა ქვეყნებმა მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში შემდეგი სახის ღონისძიებები გაატარეს:

(1) საგარეო ვალების კონვერსია, რომლის მიზანია არსებულ სასესხო ვალდებულებათა სტრუქტურული გარდაქმნა. ვალების კონვერსიის ხელშეკრულების მიზანი მდგომარეობს შემდეგში: (ა) დაფარვის ვადის გახანგრძლივება, (ბ) ძირითადი ვალის დაფარვისაგან თავისუფალი წლების რაოდენობის გაზრდა, (გ) საპროცენტო განაკვეთების სიდიდის ცვლილება. ასეთი შეთანხმებებით შეიძლება მხოლოდ მდგომარეობის დროში შემსუბუქება, ვალების დაფარვა კი ტვირთად მომავალ პერიოდზე გადავა;

(2) ვალის გადახდისგან დროებით ან მთლიანად გათავისუფლება, რომელიც უღარიბესი განვითარებადი ქვეყნებისათვის მრავალგზის იქნა გამოყენებული, მაგრამ მისგან საერთოდ გათავისუფლება სხვადასხვა მიზეზის გამო მდგომარეობიდან გამოსავალს არ წარმოადგენს (მაგალითად, ასეთ შემთხვევებში კერძო კრედიტორები მაღალი დავალიანების მქონე ქვეყნებს მომავალში ახალ კრედიტებს აღარ შესთავაზებენ);

(3) ვალების გარდაქმნა: პირველ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო კრედიტებზე წარმოქმნილი ვალდებულებების გარდაქმნას გრძელვადიან სესხებად, რომლებზეც შეიძლება მყარი და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთები არსებობდეს. მეორე შემთხვევაში, დავალიანების მქონე ქვეყნებში კრედიტებზე წარმოქმნილი ვალდებულებები საწარმოთა კაპიტალში მონაწილეობად ან პირდაპირ ინვესტიციებად გარდაიქმნება.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები

ეროვნული გამტარებლები

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა ეროვნულ გამტარებლებს, მაგალითად, საქართველოში წარმოადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროები. ისინი ახორციელებენ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების

საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობების, ევროპასთან ინტეგრაციის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტებთან ერთად.

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების დროულ და ეფექტიან განხორციელებას. კომიტეტი აქტიურად მუშაობს ევროპასთან ინტერაციის მიმართულებით საპარლამენტო საქმიანობის გაძლიერებასა და პოპულარიზაციაზე საინფორმაციო, საგანმანათლებლო, ანალიტიკურ-ექსპერტული საქმიანობით და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების გზით.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ქვეყნის პოზიციების განმტკიცება, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შენარჩუნება და მოქალაქეების კეთილდღეობა.

საქართველოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი კი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკონტროლო და საკანონმდებლო საქმიანობას, მონაწილეობს ქვეყნის საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განსაზღვრაში, რომელიც არ შეიძლება განხილულ იქნას საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისგან მოწყვეტით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკური ზრდის და მდგრადი განვითარების, დარგობრივი ეკონომიკის და სხვა საკითხებთან ერთად წარმოდგენილია ვაჭრობის და ინვესტიციების, კაპიტალის ბაზრის განვითარების, ინვესტიციების მოზიდვის და სხვა საკითხები, ხოლო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმართავს ეკონომიკური დიპლომატიის საკითხებს, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებას, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ეროვნულ გამტარებლებში, ასევე განიხილება საქართველოს ეროვნული ბანკი[1], რომელიც მარეგულირებელი და მონეტარული ინსტრუმენტებით უზრუნველყოფს მასზე კანონმდებლობთ დაკისრებული ძირითადი ფუნქციებისა და მიზნების შესრულებას. იგი პასუხისმგებელია, საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის საფინანსო და საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა; უზრუნველყოს ქვეყანაში საგადასახადო სისტემების ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება; საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნების მთავრობებს, ცენტრალურ ბანკებს და ფულად-საკრედიტო ორგანოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. საქართველოს ეროვნული ბანკი იმ ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობს, რომელთა მიზანიც საერთაშო-

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=130 (20.07.20)

რისო თანამშრომლობის გზით მაკროეკონომიური და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობაა.

საერთაშორისო გამტარებლები

ევროკავშირის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ევროპული საბჭო ქმნის საჭირო იმპულსებს თანამეგობრობის შემდგომი განვითარების საქმეში და ამისათვის ზოგად მიზნებს ადგენს. ევროკავშირის საბჭო არის ცენტრალური საკანონმდებლო ორგანო. მას ევალება ძირითადი გადაწყვეტილებების მიღება. საბჭო შედგება წევრი ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებისაგან შესაბამისი დარგობრივი მინისტრების დონეზე (ხშირად მას მინისტრთა საბჭოდ მოიხსენიებენ). სავაჭრო და სავალუტო პოლიტიკების მიზნების თვალსაზრისით, ძირითად გადაწყვეტილებებს ევროკავშირის ეკონომიკისა და ფინანსების (ECOFIN) საბჭო იღებს, განსხვავებით ფულადი პოლიტიკისა, რომელიც ევროპის ცენტრალური ბანკის კომპეტენციაა. მას შეუძლია (ევროკავშირის სავალუტო კავშირში მონაწილე ქვეყნების შემადგენლობაში) მესამე ქვეყნებთან სავალუტო კურსის სისტემაში ევროს მონაწილეობის შესახებ შეთანხმებებს მიაღწიოს და შესაბამისი სავალუტო კურსი კვალიფიციური უმრავლესობით დაადგინოს. ამის გარდა, მან შეიძლება მესამე ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით სავალუტო კურსის პოლიტიკის ზოგადი ორიენტირები მოგვცეს. იგი გადაწყვეტილებებს ევროკავშირის კომისიის რეკომენდაციით იღებს.

ევროკომისია არის ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო და მან გაერთიანების კანონმდებლობის გამოყენებასა და დაცვაზე უნდა იზრუნოს. ამასთან, იგი საკანონმდებლო და სამართლებრივი ნორმების მიღებაში მონაწილეობს, როგორც ინიცირების, ასევე აღსრულების უფლებების საფუძველზე, რომელიც მას მინიჭებული აქვს. ევროკავშირის კომისიის კომპეტენციები ერთობლივი სავაჭრო პოლიტიკის ფარგლებში ევროგაერთიანების ხელშეკრულებით რეგულირდება. ამის მიხედვით იგი საბჭოს წარუდგენს წინადადებებს ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გასატარებლად. ამასთან, გასცემს რეკომენდაციებს სხვა სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადებაზე. ევროკავშირის საბჭო, რომელიც ამ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს კვალიფიციური უმრავლესობით იღებს, კომისიას საჭირო მოლაპარაკებების დაწყების უფლებამოსილებას აძლევს.

ევროპარლამენტს მინიჭებული აქვს კონტროლის რიგი უფლებები (შეკითხვის და მოსმენის უფლება, ევროკავშირის კომისრების დასახელებისას ვეტოს უფლება, კომისიის მიმართ უნდობლობის გამოცხადება) და ბიუჯეტზე გარკვეული ზემოქმედების უფლებაც (ევროკავშირის ბიუჯეტის მიღება და მასზე კონტროლი). ევროსაბჭო ხელშეკრულებების გაფორმებას უზრუნველყოფს მხოლოდ ევროპარლამენტში საკითხის მოსმენის და თანხმობის შემდეგ.

ეკონომიკისა და სოციალურ საქმეთა კომიტეტს მნიშვნელოვანი სათათბირო ამოცანა ეკისრება (ზემოქმედების გამტარებლები). მასში წარმოდგენილნი

არიან ეკონომიკური და სოციალური სფეროს წარმომადგენლები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, რომლებიც წევრი ქვეყნების ეროვნულ ინტერესთა დელეგირებას ახდენენ. გაერთიანების სამართლებრივ უზრუნველყოფას ხელშეკრულებების დადებისა და გამოყენების დროს ევროკავშირის სასამართლო პალატა უზრუნველყოფს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია[1] (WTO)

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსების მიზანი მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის ხელშეწყობაა. ამ ორგანიზაციის საფუძველს საგარეო ვაჭრობის საბაჟო და სავაჭრო ხელშეკრულებათა დარეგულირება წარმოადგენს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიზანია „ინტეგრირებული, ფუნქციონირებისუნარიანი და ხანგრძლივი მრავალეროვნული სავაჭრო სისტემის შექმნა“ (WTO-ს დაარსების შესახებ შეთანხმების პრეამბულა). საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებით წევრ ქვეყნებში უნდა მოხდეს ცხოვრების სტანდარტის ამაღლება, რეალური შემოსავლის ზრდა და სრული დასაქმების უზრუნველყოფა. განსაკუთრებული მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნების პროგრესისათვის ხელშეწყობას ენიჭება. WTO-სთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის პოლიტიკა. იგი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად კოორდინაციაში მუშაობს, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, სადაც საერთაშორისო ორგანიზაციების ამოცანები და WTO-ს კომპეტენციის თანაკვეთა ხდება (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ამოცანები).

WTO-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც წევრი ქვეყნების (მინისტრთა დონეზე) წარმომადგენლებისაგან შედგება. სხდომებს შორის, რომლებიც სულ მცირე ორ წელიწადში ერთხელ იმართება, ამოცანების განხორციელება ერთობლივ საბჭოს ევალება. ორივე ორგანოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და სამდივნო. აგრეთვე, არსებობს კონფლიქტთა დაძლევის ორგანოები (დავის ამოწურვის წესებსა და მეთოდებზე შეთანხმებები), მაკონტროლებელი მექანიზმები (სავაჭრო პოლიტიკის შემოწმების მექანიზმი) და რამდენიმე კომიტეტი სპეციალური დავალებებით (მაგალითად, ვაჭრობისა და განვითარების, ვაჭრობისა და გარემოს კომიტეტები). გადაწყვეტილებების მიღება WTO-ში თანასწორობის საფუძველზე ხდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ან მსოფლიო ბანკისგან განსხვავებით, გადაწყვეტილების მიღებისას არ მოქმედებს ხმების „დამრგვალების“ პრინციპი. გადაწყვეტილებები მიიღება უბრალო უმრავლესობის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევებში საჭიროა განსაზღვრული კვოტა (მაგალითად, ხმების 3/4 ხელშეკრულებათა საკითხების განხილვის დროს).

ორგანიზაციის მთავარი სამართლებრივი დოკუმენტებია ყველა წევრი ქვეყნისათვის სავალდებულო მრავალმხრივი შეთანხმებები: ძირითადი შეთან-

[1] https://www.wto.org/ (20.07.20)

ხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT), ძირითადი შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (GATS), ასევე, ძირითადი შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობასთან დაკავშირებული უფლებათა ასპექტების შესახებ (TRIPS).

განვიხილოთ მრავალმხრივი ხელშეკრულებების რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

1) GATT-ის (ძირითადი შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობის შესახებ) მთავარი მიზანი სავაჭრო წესრიგის განსაზღვრა იყო, ყველაზე მეტად კი – უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საკითხი. წევრმა ქვეყნებმა ყოველ-გვარი „უპირატესობანი, შეღავათები, უფლებები ან რაღაცისგან გათავი-სუფლება", რომლებსაც ისინი რომელიმე ქვეყანას ანიჭებენ ბაჟების, საგა-დასახადო შეღავათების და იმპორტ-ექსპორტის სახით, უპირობოდ უნდა მიანიჭონ სხვა სახელშეკრულებო პარტნიორებსაც (ხელშეკრულების I-ლი მუხლი). თუმცა გათვალისწინებულია სხვადასხვა გამონაკლისიც (საბაჟო კავშირი, თავისუფალი ვაჭრობის ზონა). მაგალითად, სახელმ-წიფოებს, რომლებიც არ შედიან ევროკავშირის ხელშეკრულებაში, არ შეუძლიათ საშინაო ბაზარზე მოქმედი საბაჟო შეღავათები მოითხოვონ. სხვა განსაკუთრებული წესებით განვითარებადი ქვეყნების სპეციფიკურ ინტერესებს ანგარიში უნდა გაეწიოს. უპირატეს ხელშეწყობასთან ერთად გათვალისწინებულია სატარიფო და არასატარიფო სავაჭრო ბარიერები. ურუგვაის რაუნდის ფარგლებში GATT-ს დაემატა ხელშეკრულება ვაჭ-რობის ხელშემწყობ საინვესტიციო ღონისძიებათა შესახებ. მასში პირ-ველად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნებართვის აუცილებელი წესები აისახა. გარდა ამისა, მოხდა მთელი რიგი მრავალმხრივი შეთანხ-მებების დადება, რომლებიც მხოლოდ იმ სახელმწიფოებს აერთიანებს, რომლებმაც ხელშეკრულებათა რატიფიკაცია მოახდინეს;
2) GATS-ის შეთანხმებას მომსახურების ყველა სფერო ექვემდებარება. ის აგებულია იმავე პრინციპზე, როგორც GATT-ი. იგი მოიცავს სამ ძირით-ად შემადგენელ ნაწილს: ჩარჩო ხელშეკრულებას, სექტორისათვის რეგ-ულირების სპეციფიკურ წესებს (მაგალითად, საფინანსო მომსახურების წარმატებისათვის) და ქვეყნებისათვის სპეციფიკურ სიებს, რომლებიც ყველა ქვეყნის მიერ აღებულ ლიბერალიზაციის ვალდებულებებს ასახავს.
3) TRIPS-ის მიზანი არსებული საერთაშორისო კონვენციების ქმედითუნარი-ანობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. შეთანხმების საფუძველზე ისინი WTO-ს ყველა წევრი ქვეყნისათვის სავალდებულოა. თუმცა განვითარე-ბად ქვეყნებს ეროვნული კანონმდებლობის კონვენციების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად გარდამავალი პერიოდის ვადა მისცეს.

მიუხედავად უდავოდ დიდი პროგრესისა მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალ-იზაციის საქმეში, WTO ამჟამად კრიზისშია. თანამედროვე პირობებში მისი ქმედითუნარიანობის გაზრდა დიდ დაფიქრებასა და ძალისხმევას საჭიროებს. ამასთან, განვითარებადი ქვეყნების ინტერესები მოქნილი რეგულირებისა და

მრავალი გამონაკლისის განმსაზღვრელი წესებით განსაკუთრებით ფართოდ უნდა იქნას გათვალისწინებული.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი[1] (IMF)

საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაწევრიანებულია 184 ქვეყანა. ორგანიზაციის ვალდებულებაა საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკის (მაგალითად, სავალუტო კურსის რეჟიმის არჩევა) და საგადასახდელო ურთიერთობების საკითხებში თანამშრომლობა, ასევე, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტების აღმოსაფხვრელად საფინანსო დახმარებების გაწევა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საფინანსო საშუალებები წევრი ქვეყნების შენატანებიდან ყალიბდება. შენატანების სიდიდის გაანგარიშება ეროვნული ეკონომიკის მონაცემების გათვალისწინებით ხდება (ბრუტო მსპ, სავალუტო რეზერვები, საგარეო ეკონომიკური წონასწორობა). ფონდს საფინანსო საშუალებების მოზიდვის ორი შესაძლებლობა აქვს: (1) ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია, გადასცეს ფონდს თავისი ეროვნული ვალუტის გარკვეული რაოდენობა ნასესხობის სპეციალური უფლებით (SDR); (2) ფონდს აგრეთვე შეუძლია წევრ ქვეყნებში ან საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე კრედიტები აიღოს.

მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის სწრაფი ზრდის ფაზაში საერთაშორისო ლიკვიდურობის დეფიციტთან დაკავშირებული სიძნელეების დასაძლევად 1970 წლის 1 იანვარს სპეციალური ნასესხობის უფლება შემოიღეს (SDR). იგი წარმოადგენს საერთაშორისო ანგარიშსწორების საფუძველს, რომელიც ცენტრალურ ბანკებს შორის საგადასახდელო საშუალების ფუნქციას ასრულებს. მისი ფორმირება წევრი ქვეყნების შენატანების მიხედვით ხდება. სპეციალური ნასესხობის უფლება უცხოური ვალუტის შესყიდვის საშუალებას იძლევა, რომელიც, პირველ რიგში, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარად გამოიყენება. სპეციალური ნასესხობის უფლებების გადაანგარიშება ეროვნულ ვალუტაში სავალუტო კალათის საფუძველზე ხდება.

1973 წლის გაზაფხულამდე საერთაშორისო სავალუტო ფონდის საფუძველს ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემა წარმოადგენდა. ყველა წევრი ქვეყანა ფონდთან ათანხმებდა პარიტეტს თავისი ვალუტისათვის ოქროში, პირდაპირ ან არაპირდაპირ (აშშ დოლარით). თითოეული ქვეყანა ვალდებულებას იღებდა, რომ თავისი ვალუტის საბაზრო კურსის გადახრა დადგენილი პარიტეტიდან მოცემული რყევის ფარგლებში განეხორციელებინა. პარიტეტების შეცვლა მხოლოდ საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის სერიოზული დარღვევის დროს შეიძლებოდა. ბრეტონ ვუდსის სისტემის გაუქმების შემდეგ, ფონდის წევრებს შეუძლიათ თავიანთი სავალუტო კურსის დარეგულირება თვითონ მოახდინონ, მაგრამ, ამავდროულად, ფონდის მიერ სავალუტო კურსის პოლიტიკის კონტროლს ექვემდებარებიან. მნიშვნელოვან

[1] https://www.imf.org/external/index.htm (20.07.20)

როლს ასრულებს ყოველწლიური კონსულტაციები წევრ ქვეყნებთან, რომლის საფუძველზეც ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის გადამოწმება ხდება ეროვნული და საერთაშორისო ხედვის გათვალისწინებით. სავალუტო კურსის პოლიტიკის კონტროლთან ერთად, ფონდის მთავარი ამოცანაა ვალუტის სახელმწიფო კონტროლისაგან თავისუფალი საერთაშორისო საგადასახდელო ურთიერთობების დაცვა. შეზღუდვები (როგორიცაა ვალუტის კონვერტირების არარსებობა, კაპიტალის მოძრაობის კონტროლი) ფონდის ნებართვასა და კონტროლს ექვემდებარება. მოგვიანებით, აზიაში, რუსეთსა და ლათინურ ამერიკაში სავალუტო და საფინანსო კრიზისებიდან გამომდინარე, ფონდის რეფორმირების მოთხოვნები გაძლიერდა. ყურადღების ცენტრშია განსაკუთრებით შემდეგი პრობლემები: (1) უფრო გამჭვირვალე პირობები კრედიტების გაცემისათვის, (2) უფრო მეტი ტრანსპარენტულობა და ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ განვითარებად და სწრაფად მზარდ ქვეყნებზე, (3) რისკების უფრო ზომიერი განაწილება და ასევე, (4) ფონდის საქმიანობის კონცენტრაცია თავის ძირითად კომპეტენციაზე (სტაბილური გლობალური საფინანსო ბაზრების შექმნა). ყოველივე ეს მსოფლიო ბანკთან მიმართებით ამოცანების ნათლად გამიჯვნასაც მოიცავს.

საერთაშორისო მასშტაბით ზემოქმედების გამტარებლები

არსებობენ რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, ინსტიტუტები და დაჯგუფებები, რომლებიც საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაზე უდიდეს გავლენას ახდენენ. ასეთია „დიდი შვიდიანის“ ჯგუფი, რომელიც აერთიანებს აშშ-ს, იაპონიას, გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, დიდ ბრიტანეთს და კანადას. საერთაშორისო პოლიტიკურ კონსულტაციებში 1998 წლიდან ოფიციალურად რუსეთიც მონაწილეობდა, მაგრამ 2014 წლიდან ყირიმის ანექსიის საკითხის საფუძველზე, იგი გაირიცხა ჯგუფიდან. ბრეტონ ვუდსის სისტემის გაუქმების შემდეგ წამყვან განვითარებულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა უფრო ინტენსიური გახდა. იგი დღევანდელი შემადგენლობით მუდმივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. სახელმწიფოების მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრებზე (უმაღლესი დონის შეხვედრები) კეთდება განცხადებები მონაწილე ქვეყნების მომავალი ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის განვითარების შესახებ. თანამშრომლობის თავდაპირველი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ განვითარებული ქვეყნები „იძულებული გაეხადათ“, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში ლოკომოტივის ფუნქცია შეესრულებინათ.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები

მიმოხილვა

დასახული საგარეო ეკონომიკური კურსისა და მიზნების განსახორციელებლად საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს მრავალი ინსტრუმენტი გააჩნიათ. ამასთან, შეიძლება ერთმანეთისაგან უხეშად განვასხვავოთ

ეკონომიკური და არაეკონომიკური საშუალებები (პოლიტიკისა და სამხედრო ძალის გამოყენება, პოლიტიკური სანქციების დაწესება, ბოიკოტები, ემბარგო, ბლოკადები). ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებას ეკონომიკურ ინსტრუმენტებზე გავამახვილებთ.

პირველ რიგში, წესრიგის პოლიტიკისა და პროცესის პოლიტიკის ინსტრუმენტები უნდა გავმიჯნოთ. წესრიგის პოლიტიკის ინსტრუმენტებით (მაგალითად, WTO-ს ხელშეკრულება, GATT-ის, GATS-ის, TRIPS-ის მრავალეროვნული შეთანხმებები) დგინდება ჩარჩო, რომელშიც ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ. პროცესის პოლიტიკის ინსტრუმენტები კი უშუალოდ ამ წესრიგის ჩარჩოდან გამომდინარეობენ. ისინი მოიცავენ ყველა ღონისძიებას, რომლებიც ეკონომიკური წესრიგის ზრდის ხელშეწყობისათვის ხორციელდება. ამასთან, ინსტრუმენტების გამოყენება საგარეო ეკონომიკური პოლიტიკითა და, აქედან გამომდინარე, საგარეო ეკონომიკური წესრიგით განისაზღვრება.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები არ შეიძლება წესრიგის პოლიტიკის გადაწყვეტილებებისაგან იზოლირებულად წარმოვიდგინოთ. ამასთან, უფრო მეტად უნდა განვასხვავოთ ინსტრუმენტები, (1) როგორც საკუთრივ მოქმედების ძირითადი პარამეტრები და (2) ქმედებანი, რომლებიც მათი საფუძვლიდან – წესრიგის პოლიტიკის კონცეფციიდან მიიღება.

ზოგადად, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები შეიძლება დაიყოს ინსტრუმენტებად, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობაზე (სასაქონლო-ეკონომიკური ღონისძიებები) ან საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობაზე (მონეტარული ღონისძიებები). სავალუტო კურსის პოლიტიკა, როგორც ინსტრუმენტთა მესამე ჯგუფი, როგორც მონეტარულ, აგრეთვე რეალურ სფეროსაც ეხება (სასაქონლო-ეკონომიკური სფერო). ამას ემატება ღონისძიებები, რომლებიც საერთაშორისო დავალიანების პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება. საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ბაჟები. საქმე ეხება გადასახადებს, რომელსაც სახელმწიფო საქონლის მიმოქცევის დროს საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში იღებს. მათი მიზანია, მოუტანოს სახელმწიფოს შემოსავლები (საფინანსო ბაჟი) ან ადგილობრივი ეკონომიკის დარგები უცხოური კონკურენციისგან დაიცვას (დამცავი ბაჟი).

ევროკავშირისთვის სპეციფიკურია საბაჟო კავშირის შექმნით დაწესებული ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფი. ის უზრუნველყოფს ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების ექსპორტის დაბეგვრას ერთიანი საბაჟო განაკვეთით.

და ბოლოს, სატარიფო ბარიერებში შედის დემპინგი, რომელიც გვხვდება იმ შემთხვევაში, თუ პროდუქცია საზღვარგარეთ ისეთ ფასად იყიდება, რომელიც არ ფარავს მისი წარმოების ხარჯებს. დემპინგი ევროკავშირის შიგნით და GATT-ის მიერ აკრძალულია. დემპინგის საწინააღმდეგოდ აწესებენ ანტიდემპინგური ბაჟს.

არასატარიფო ინსტრუმენტებს, პირველ რიგში, მიეკუთვნება კონტინგენტები. საქონლის (იმპორტის კონტინგენტები) შემოტანის რაოდენობრივი შეზღუდვით ცდილობენ, დაიცვან ადგილობრივი ეკონომიკა უცხოური კონკურენციისაგან. შედარებით იშვიათია ექსპორტის კონტინგენტები. ისინი გამოიყენება, მაგალითად, ნედლეულზე საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში ან სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწარმზე. GATT-ის მიხედვით ისინი არსებითად აკრძალულია, თუმცა გათვალისწინებულია ზოგიერთი გამონაკლისი მათი არამადისკრიმინირებელი გამოყენების დროს. იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვებსა და მსგავს ყველა ღონისძიებას წევრ ქვეყნებს შორის კრძალავს ევროგაერთიანების ხელშეკრულებაც. იგი ძალაშია ექსპორტის შეზღუდვებზეც.

რადგანაც ბაჟებისა და კონტინგენტების გამოყენება ზოგადად ტრანსპარენტულია, ბევრი ქვეყანა გადავიდა არასატარიფო პროტექციის სხვა ფორმებზე. სავარაუდოდ, დღეს არასატარიფო სავაჭრო დაბრკოლებები ფასების მექანიზმს უფრო მეტად ამახინჯებს, ვიდრე ბაჟები, რადგანაც ისინი ნაწილობრივ ფარული ფორმით გვევლინება და არსებით გავლენას ახდენს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე. მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: (1) ადმინისტრაციული ინსტრუქციები (როგორიცაა ნებართვის მიღების ხანგრძლივი პროცედურა, ბაჟები), (2) იმპორტთან დაკავშირებული სპეციფიკური დადგენილებები (მაგალითად, ტექნიკური ინსტრუქციები ან სასურსათო სამართლებრივი ნორმები) და (3) უცხოელ ექსპორტიორთათვის იძულებითი თვითშეზღუდვები. ამ ღონისძიებებთან ერთად სახელმწიფო ხელს უწყობს საკუთარ ექსპორტს საექსპორტო პრემიების გაცემით, დახმარებებით, საექსპორტო რისკების საკუთარ თავზე აღებით, ეროვნული ვალუტის რევალვაციის დაყოვნებით და ა.შ.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კიდევ ერთ ინსტრუმენტს სავაჭრო ხელშეკრულებები წარმოადგენს. მათში ზოგადად საგარეო ვაჭრობის სფეროში ორმხრივი და მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისი კონტრაქტები იგულისხმება. სავაჭრო ხელშეკრულებებს ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებისა და წარმართვისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ისინი გრძელვადიანია. სავაჭრო ხელშეკრულების არსი პირდაპირ კავშირშია საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ა.შ. მოძრაობის რეგულირებასთან (მაგალითად, სავაჭრო პოლიტიკაში ურთიერთხელსაყრელი შეღავათების დადგენა, კაპიტალდაბანდებათა ორმხრივი დაცვის ღონისძიებები, ანდა ტნკ-ს ფილიალების უფლებათა განსაზღვრა). ამისგან განსხვავებით, სავაჭრო შეთანხმებებს უფრო მოკლევადიანი მოქმედება ახასიათებს. როგორც წესი, სავაჭრო შეთანხმებებთან ერთად გადახდის შესახებ შეთანხმებაც ფორმდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ყველაზე ხელსაყრელი (უპირატესი) შეღავათების თაობაზე არსებულ შეთანხმებას ენიჭება. მისი მთავარი უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს: (1) უცხოელი კონკურენტების კონკურენციის პირობების გათანაბრება, (2) ბაჟებისა და არასატარიფო ღონისძიებათა მხრი-

დან ვაჭრობის შემზღუდავი ზემოქმედების შემცირება, ან (3) ბაზრის ტრანსპარენტულობის გაუმჯობესება.

შემდგომ ძირითად პირობას ე.წ. ურთიერთთანამშრომლობის, იგივე ორმხრივობის პრინციპი წარმოადგენს. ამ პრინციპის მიხედვით, მოცემულ ქვეყანაში მეწარმეებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დასაქმდნენ, თუ საწარმოებს ბაზარზე თავისუფალი შეღწევისა და განვითარების უფლება ეძლევათ.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე ზემოქმედების ინსტრუმენტები

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე რიგი ინსტრუმენტებით შეიძლება ზემოქმედება. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ინსტრუმენტები, რომლებსაც ტრანზაქციათა მოცულობაზე პირდაპირი გავლენა აქვთ. ამ ინსტრუმენტებში კაპიტალის ექსპორტზე/იმპორტზე დაწესებული აკრძალვები და ნებართვები, ასევე უცხოური ვალუტის გამოყენება შედის. ამასთან, საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა და ფულადი პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების მიმართულებებზე ახდენენ გავლენას. საფინანსო პოლიტიკის ინსტრუმენტებიც ახდენენ ზეგავლენას ამ პროცესზე (მაგალითად, უცხოურ კაპიტალდაბანდებებზე ან შემოსავლებზე გადასახადების დაწესება). ასევე, მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომლებიც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ჩარჩო-პირობებს ადგენენ (კონვერტირების შეზღუდვები, პირდაპირ ინვესტიციებზე სახელმწიფოს მიერ მეურვეობის აღება ან კაპიტალდაბანდებებზე სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტიები).

შესაძლებელია ცალკე გამოვყოთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც თავიანთი პროტექციონისტული შინაარსით კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვებზე ახდენენ გავლენას. ისინი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება (საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის აღდგენა, სავალუტო კურსის სტაბილურობა, კაპიტალის ექსპორტით დასაქმების შეზღუდვის ნეგატიური ეფექტების თავიდან აცილება). ანალიზისათვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

(1) ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემაში უცხოური ვალუტის შემოტანა ან გატანა პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით ფულის მასაზე, რითიც ფულის სტაბილურობის მიზანს „საფრთხე“ ექმნება. ლიკვიდურობის სიჭარბის დროს წარმოიშობა ინფლაციის იმპულსები, რაც ფასების სტაბილურობის მიზანთან შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს. ამგვარად ქვეყნისათვის კაპიტალის იმპორტის შეზღუდვით არასასურველი მოვლენების აკრძალვის ცდუნება დიდია (ასეთი მოვლენებია, მაგალითად, აკრძალვები, ქვეყნის საშინაო წარმოებაში უცხოელთა მონაწილეობის მკვეთრი შეზღუდვები, უცხოურ კაპიტალზე გადასახადები, დამატებითი სარეზერვო გადარიცხვები უცხოურ შენატანებზე);

(2) კაპიტალის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვების ძირითადი მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგლამენტაცია, რაც ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შიშით არის ნაკარნახევი;

(3) კაპიტალის ექსპორტის მაღალ დონეს ხშირად ქვეყნის შიგნით დასაქმების შემცირებაში „ადანაშაულებენ“. ამ შემთხვევაში დომინირებს აზრი, რომ

კაპიტალის ექსპორტს მოცემულ ქვეყანაში კაპიტალის ნაკლებობა შეუძლია გამოიწვიოს. საპროცენტო განაკვეთის მექანიზმით და საკრედიტო მოცულობის შეკვეცით ქვეყნის შიგნით ინვესტიციებზე მოთხოვნა მცირდება. კაპიტალის ექსპორტის შეზღუდვა (მაგალითად, აკრძალვებით, უცხოურ ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთების გამათანაბრებელი გადასახადებით) ქვეყნის შიგნით საინვესტიციო საქმიანობასა და შრომის ბაზარზე მასტიმულირებელ ზეგავლენას მოახდენდა. ამასთან, უგულებელყოფენ კაპიტალის ექსპორტის მთავარ მიზეზებს (წარმოების მზარდი ხარჯები, ადმინისტრაციული დაბრკოლებები), რომელთა აღმოფხვრა კაპიტალის მოძრაობის სახელმწიფოებრივი რეგლამენტირებით შეუძლებელია.

კაპიტალის მოძრაობის შეზღუდვის ინსტრუმენტებს კაპიტალის ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვამდე მივყავართ. ამასთან, აკრძალვები და მსგავსი ინსტრუმენტები თავიანთი ზემოქმედებით შეიძლება სავაჭრო შეზღუდვების ინსტრუმენტებს შევადაროთ. კაპიტალის შემოსავალზე დაწესებული გადასახადები, დამატებითი მინიმალური რეზერვების გადარიცხვები ან საპროცენტო განაკვეთების გამათანაბრებელი გადასახადები ბაჟების მსგავსად ზემოქმედებს. ისინი საერთაშორისო კაპიტალდაბანდებების ან კრედიტების ხარჯებსა და საპროცენტო გადასახდელებზე გავლენას ახდენენ.

ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, საგადასახადო ოაზისებში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. აქ ხდება საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვა, რაც ეროვნულ ფულად პოლიტიკას მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. ასეთი ცენტრები ჩამოყალიბდა, მაგალითად, კაიმანის კუნძულებზე, ბაჰამაში, ბერმუდზე, პანამაში, ბაჰრეინში, ლიბერიაში და ა.შ. ოფშორული ბაზრები თავისუფალია ნაციონალური რეგლამენტაციებისაგან (მაგალითად, სავალუტო კონტროლი, მაღალი საპროცენტო განაკვეთი) და არსებითად დაბალი ან ნულოვანი გადასახადების დაწესებას ექვემდებარება. მინიმალური სარეზერვო ვალდებულებიდან გათავისუფლება მათ საშუალებას აძლევს, დაბალი საპროცენტო განაკვეთები დააწესონ. კრედიტებზე გადასახდელი საპროცენტო განაკვეთები დაბალია, ხოლო კრედიტებიდან მიღებული პროცენტები კი ეროვნულ განაკვეთებზე უფრო მაღალი. კაპიტალის შეზღუდული მიმოქცევის მქონე ქვეყნებისათვის ოფშორული ბაზრები ხელსაყრელი დაბანდებისა და საკრედიტო შესაძლებლობების სფეროებს წარმოადგენს. კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის დროსაც კი საარბიტრაჟო საქმიანობისა და გაუკონტროლებელი სავალუტო სპეკულაციების შედეგად მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობათა გამო ისინი უცხოურ კაპიტალს იზიდავენ.

შემდეგი ინსტრუმენტი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, არის ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმება. ამასთან, საქმე ეხება შემოსავლებისა და ქონების ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც, ამავდროულად, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს საგადასახადო კომპეტენციებს ანიჭებს. ამ გზით შესაძლებელია გადასახადებს დაქვემდებარებული

საქმიანობისა და მისი შედეგის – მრავალჯერადი დაბეგვრის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.

ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან შეიძლება სვოპი გამოვყოთ. მისი გამოყენებით ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალური ბანკი სავალუტო პოლიტიკის საშუალებით მოცემულ ქვეყანასა და უცხოეთს შორის კაპიტალის მიმოქცევაზე ზემოქმედებს. მისი მიზანია ფულის გამოშვებაზე ან მის შეზღუდვაზე ზემოქმედება, რაც საგარეო ეკონომიკური მიზეზებით არის განპირობებული (ფულის რაოდენობის რეგულირება).

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი

გლობალიზაციის პირობებში იკვეთება საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში განვითარების ჰარმონიზაციის საჭიროება. ამ მიმართულებით აქტიური საქმიანობა დიდი ხანია, მიმდინარეობს, თუმცა მაღალი დონის ეკონომიკური ინტეგრაცია აქამდე მხოლოდ რეგიონულად დაყოფილ სივრცეებში მოხდა. განვითარების გლობალურ ჰარმონიზაციას მრავალმხრივი ეროვნული ინტერესები აძნელებს.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის კურსის განხორციელებისას წინააღმდეგობებს იქ ვაწყდებით, სადაც საქმე სხვა ქვეყნების ინტერესებს ეხება. ზოგიერთი ინსტრუმენტის გამოყენების დროს საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სინთეზი ვლინდება: საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები (ბოიკოტი, ემბარგო) პოლიტიკის მიზნებისათვის გამოიყენება და პირიქით.

რა მიზნებისა და ნორმებისაკენ უნდა იყოს მიმართული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა? ცხადია, რომ აქ საქმე მხოლოდ თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის ჩამოყალიბებას არ ეხება. უფრო მეტიც, გრძელვადიან პერიოდში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გზით მიღებული მოგების განაწილება უფრო სამართლიანად უნდა მოხდეს

სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები რიგი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით არის შეზღუდული. მაგალითად, ევროკავშირის შიგნით ბაჟები და კვოტები, როგორც ნაციონალური ეკონომიკის დაცვის ღონისძიებები, აღარ გამოიყენება. საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში მოქმედი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (როგორიცაა, მაგალითად, საკრედიტო საშუალებები, სპეციალური ნასესხობის უფლებები) ან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ინსტრუმენტების არსებობაც კრიტიკულად უნდა იქნას განხილული. ეკონომიკური და საფინანსო კრიზისების გამო, სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის არსებული ინსტრუმენტებით მზარდი გლობალიზაციის პირობებში მსგავსი სიტუაციების დაძლევაში შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. რეფორმების გატარებაზე მოთხოვნა სულ უფრო ძლიერდება.

მსოფლიო ვაჭრობა შეიძლება ქმედითუნარიანი საერთაშორისო სავალუტო წესრიგის საფუძველზე განვითარდეს. ამასთან, როგორც ცნობილია, საქმე ეხება: (1) სავალუტო კურსის სისტემის არჩევას, ასევე (2) ფიქსირებული სავალუტო კურსის შესახებ შეთანხმებების დროს დაფინანსების შესაძლებლობებსა და საგადასახდელო ბალანსში წონასწორობის მდგომარეობის კორექტივებს. გლობალური მასშტაბით სავალუტო კურსის სტაბილურობის იმედი არ გამართლდა. ფიქსირებული სავალუტო კურსები (როგორიც გათვალისწინებული იყო თავდაპირველად საერთაშორისო სავალუტო ფონდში) საერთაშორისო მასშტაბით განხორციელებადი არ აღმოჩნდა. სავალუტო კურსის რყევები კი საქონლისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში რისკებს წარმოშობს. მოკლევადიანი რყევების რისკები შეიძლება ეკონომიკური განვითარების ცვლილებათა შესაძლებლობებით იყოს გამოწვეული, მაგრამ, ცხადია, ეს რეალური სავალუტო კურსის გრძელვადიან ცვლილებას არ ეხება. მოლოდინი, რომ სავალუტო კურსები თავისუფალი ცურვის სავალუტო რეჟიმის სისტემაში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტს გრძელვადიან პერიოდში შეესაბამება, არ დადასტურდა. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ცვლილებები საერთაშორისო კონკურენციაში უამრავი კაპიტალის ნაკადის ჩართვას იწვევს. ამის შედეგად, გრძელვადიან პერიოდში სავალუტო კურსის არასტაბილურ მდგომარეობას ვღებულობთ. ბოლო პერიოდში სავალუტო ბაზარზე მიმდინარე გაძლიერებული ინტერვენციები ან ცენტრალური ბანკების პროტექციონისტული ინსტრუმენტების გამოყენება სავაჭრო ნაკადებისა და წარმოების სტრუქტურების დამახინჯების საფრთხეს ქმნის.

დასასრულს, ევროპულ სავალუტო კავშირთან მიმართებით არსებულ პრობლემას უნდა შევეხოთ. ევროს შემოღებით, ევროსავალუტო სივრცის ქვეყნებს შორის განსხვავებული ეკონომიკური და/ან სტრუქტურული განვითარების სავალუტო კურსებით გათანაბრებისა და შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობა აღარ არსებობს. ამდენად, ევროკავშირის ერთიანი ვალუტის სტაბილურობა და წარმატება მონაწილე ქვეყნების ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაციის შემდგომ პროგრესზე არის დამოკიდებული.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარებაში გამოიხატება.[1]

[1] მასალა დამუშავებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდის მონაცემებზე დაყრდნობით http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12 (20.07.20)

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა რეფორმა როგორც სატარიფო პოლიტიკის, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. ეს უკანასკნელი გამოიხატება საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებში, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებაში.

საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0, 5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85%-ზე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები. იმპორტირებულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ოცდამერვე თავის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი საქართველოდან დღგ-თი არ იბეგრება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონმდებლობით საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვები (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატები გაიცემა 2010 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №420 დადგენილებით, დამტკიცებული წესის შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებზე და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულ საქონელზე გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. სხვა დანარჩენ შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატები გაიცემა როგორც შემოსავლების სამსახურის, ასევე საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favored-Nation)

საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და, შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან

(164 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) საფუძველზე.

- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences – GSP)

პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველო არის აშშ-ს, იაპონიის და კანადის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან და ევროკავშირთან. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA). დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით და, ასევე, ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: რუსეთის ფედერეცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი. 2016 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. 2017 წლის სექტემბრიდან შეთანხმება ძალაში შევიდა ნორვეგიისთვის და ისლანდიისთვის, ხოლო შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან 2018 წლის პირველი მაისიდან; მოქმედებს საქართველო-ჰონგ-კონგ, ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.

საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის ფარგლებში მოქმედი „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა.

ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით საქართველოში შექმნილია სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ორი მიმართულებით – ექსპორტის პოპულარიზაციისა და განვითარების საკითხებზე მუშაობს.

ექსპორტის პოპულარიზაციის კუთხით სააგენტო ახორციელებს საერთაშორისო გამოფენების, შიდა და გარე სავაჭრო მისიების ორგანიზებას. ამასთანავე, სააგენტოს შექმნილი აქვს სავაჭრო პორტალი და საექსპორტო პროდუქციის ონლაინკატალოგი. შესაბამისად, www.tradewithgeorgia.com

ვებგვერდის „Business Inquiry“ ფუნქციის მეშვეობით კომპანიებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში განათავსონ საკუთარი წინადადებები და შეთავაზებები.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (DCFTA) შეთანხმება. საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ინტეგრირება. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრირების პოლიტიკის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დამყარებული ასოცირების ხელშეკრულება წარმოადგენს. ხელშეკრულებამ ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს შორის პოლიტიკურ ასოცირებასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ღირებულებებსა და მჭიდრო კავშირებზე. წარმატებული ინტეგრაციისთვის არსებითია ევროკავშირის განვითარებულ წევრ ქვეყნებთან თუ რეგიონებთან არსებული განსხვავებების შემცირება. თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს რეგიონები გადაიქცნენ წამყვან მოთამაშეებად საერთო ეროვნული წარმატების მიღწევაში, ვინაიდან ექსტერნალიები და მზარდი უკუგება – როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ძირითადი მამოძრავებლები – სწორედ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე წარმოიშობა (ლეკაშვილი 2018).

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ის, რომ მთლიანი ვაჭრობის თითქმის მეოთხედი სწორედ ევროკავშირზე მოდის. ეს ურთიერთობა გამყარდა 2016 წლის პირველ ივლისს მიღებული თავისუფალი სავაჭრო სივრცის დაწესებით და საქონლისა და მომსახურების თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის მიცემით.

ევროკავშირისთვის საქართველო მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური კრიტერიუმებით საინტერესო ქვეყანა არ არის, თუმცა, საქართველოსთვის ევროკავშირი ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით რეგიონთან და მსოფლიო ბაზართან ინტეგრირებისათვის სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს (ლეკაშვილი, 2018).

რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებს, საქართველოში საინვესტიციო ნაკადების კლების ტენდენცია განპირობებულია ისეთი ნეგატიური ფაქტორებით, როგორებიცაა მცირე სამომხმარებლო ბაზარი, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია, კონფლიქტური რეგიონების არსებობა, არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა. თუმცა ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, პოზიტიურ ფაქტორებად განიხილება საკანონმდებლო ბაზის მუდმივი გაუმჯობესება, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ბიზნესის წამომწყების სიმარტივე და სხვ.

საქართველო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, უცხოელი ინვესტორები საქართველოში ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირე-

ბული დარგების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას. თუმცა ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო ინვესტიციების მოსაზიდად არ არის საკმარისი. ინვესტორებს სჭირდებათ მყარი გარანტიები გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებისთვის, რაც მოიცავს საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, ქმედითუნარიან სახელმწიფო რეგულაციებს, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას, საფინანსო ბაზრების განვითარებას და ა.შ.

ახალი კორონავირუსის და მისი გავრცელების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანას მოუწია ეკონომიკის გახსნილობის ხარისხის შემცირება, რაც, უპირველესად, აისახა მგზავრთა საერთაშორისო თავისუფალი გადაადგილების მკაცრ შეზღუდვაში. შეზღუდვა არ შეხებია სატვირთო გადაზიდვებს, თუმცა ზოგიერთმა სავაჭრო პარტნიორმა ქვეყანამ თვითონ შეზღუდა გარკვეული საქონლის ექსპორტი, რაც აისახა საქართველოს იმპორტის მოცულობაზე. ამას თან დაერთო ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური აქტივობის გაჩერებით მრავალ ინდუსტრიაში, გლობალური მიწოდების ჯაჭვში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2020 წლის პირველი კვარტლის მიხედვით შემდეგი სახისაა (მლნ. აშშ დოლარში):

ცხრილი №2

საგარეო სავაჭრო ბრუნვა	2019 *	2020 * (იანვარი-აპრილი)
	12 886.7	3 463.5
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	3 677.4	1 001.3
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	9 120.4	2 462.2
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 354.0	-1 460.8
ექსპორტი რეექსპროტის გარეშე	2 332.5	713.0

პანდემიის პირობებში თვალსაჩინო გახდა პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების ზრდის რისკი, რადგან პანდემია სულ უფრო და უფრო გლობალურ ხასიათს იღებდა და სახელმწიფოებმა თავიანთი ბაზრების ჩაკეტვის და საექსპორტო, განსაკუთრებით, პირველადი მოთხოვნის სასურსათო პროდუქტებზე ექსპორტის შეზღუდვის გადაწყვეტილება მიიღეს. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, დაეზღვია 9 ძირითად პროდუქტზე ფასების ზრდის რისკი, რისთვისაც დახარჯა 15 მილიონი ლარი და ძირითად მსხვილ იმპორტიორ კომპანიებთან გააფორმა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მათ

მყარად ჰქონდათ დაზღვეული ფასების ზრდის რისკი. სწრაფი დახმარების კონტექსტში, მნიშვნელოვანი იყო ავტოიმპორტიორებისათვის საბაჟო გადასახადის გადავადებაც: 50 მლნ ლარი გამოიყო ამ პაკეტისთვის და დღეის მდგომარეობით, 38 000-მა იმპორტიორმა ისარგებლა ამ შეღავათით.

პანდემიის შედეგად მსოფლიო ბაზარზე განვითარებულმა პროცესებმა დასვა კითხვა ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის საჭიროებასთან დაკავშირებით, რადგან ეს პანდემია არ არის ერთჯერადი და მას შეიძლება ჰქონდეს განმეორებითი ხასიათი. ახალი წესები გაჩნდება მგზავრების გადაყვანასთან დაკავშირებით, რაც გაართულებს საერთაშორისო ტურისტული ბაზრის ძველ ჩარჩოში აღდგენის შესაძლებლობას. ქვეყნები უფრო მეტად იქნებიან ორიენტირებულნი, განავითარონ სასურსათო, ენერგეტიკული და ჯანდაცვის ეროვნული წარმოებები, რათა ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი სხვა ქვეყნებზე. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პანდემიამ შეასუსტა სოციალურ-ეკონომიკური გლობალიზაციის ხარისხი, თუმცა მნიშვნელოვანი გახდა საერთაშორისო სოლიდარობის ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროება პანდემიის შედეგების დასაძლევად.

პრობლემური საკითხები:

1. ახსენით გაცვლის კურსის შინაარსი და მისი მნიშვნელობა ეკონომიკურ პროცესებთან მიმართებით.
2. რომელი ინდიკატორები გვაწვდიან ინფორმაციას რეალური და მონეტარული სექტორების შესახებ?
3. განსაზღვრეთ ურთიერთკავშირი რეალურ და მონეტარულ საგარეო ეკონომიკურ ფენომენებს შორის.
4. დაასაბუთეთ საგარეო ვაჭრობის უპირატესობა და ახსენით შემთხვევები, რომლებსაც რეალობაში პროტექციონისტურ ღონისძიებებამდე მივყავართ.
6. დაასახელეთ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები. რა კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას მათ შორის?
7. რომელი ორგანიზაცია ან ინსტიტუტი შეიძლება იყოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი?
8. მოიძიეთ ინფორმაცია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ამოცანები და ინსტიტუციური სტრუქტურის შესახებ.
9. მოახდინეთ სხვადასხვა საგარეო ეკონომიკური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია.
10. ახსენით საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და საზღვრები.

თავი 9
გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა

შესავალი

XXI საუკუნეში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს გარემოს დაცვის პრობლემა წარმოადგენს. უკვე დიდი ხანია, რაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გარემოს დაცვის პრობლემის გადაჭრას კაცობრიობის გადარჩენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. გარემოს დაცვასთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა არსებობს, მათ შორის მნიშვნელოვანია: ტყეების გაჩეხვა, კლიმატის ცვლილება, რადიაქტიური ნარჩენები, ნაგავსაყრელები, ხმაური და სხვა. XX საუკუნეში არსებული მიდგომა – დავიმორჩილოთ ბუნება და ჩავაყენოთ იგი საზოგადოების სამსახურში – წარსულს ჩაბარდა. ნაცვლად ამისა, უნდა შევიცნოთ და შევეწყოთ ბუნებას.

მსოფლიო ეკონომიკა უკვე დიდი ხანია, ინტენსიურად ვითარდება და გარემოს პროდუქტები შეზღუდული გვაქვს (მაგალითად, სუფთა წყალი, ჰაერი, ტყეები, მიწის საფარი და სხვა). ყველაფერი, რაც წინა საუკუნეებში კაცობრიობას თავისუფლად და უფასოდ ჰქონდა, დღეს ფასიანია და შეზღუდულად მიეწოდება საზოგადოებას. გარემოს პროდუქტებიდან ბევრი რამ დიდი დანახარჯებითა და დაბალი ხარისხით გვეძლევა.

გარემოს დაცვის ცნება სივრცობრივ და ბიოლოგიურ ასპექტებს გულისხმობს. ბუნებრივი გარემო არის სპეციფიკურ პირობებში ერთობლივი რაციონალური თანაარსებობის კომპლექსი. იგი მუდმივ მიმართებაშია ცოცხალ არსებებთან, ბიოლოგიურ სისტემებთან და მათგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს ან არ გამოიყენება. გარემოს მთელი სისტემა ქვესისტემებად, ეკოსისტემებად იყოფა. **ბუნებრივი გარემო**, რომლის შემადგენელი ნაწილებია ჰაერი, წყალი და მიწა (გარემოს მედიები), ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციებს:

- ის ბუნებრივი რესურსების მოპოვების საფუძველზე წარმოებისა და მოხმარების გაფართოების საშუალებას (წარმოების ფუნქცია) გვაძლევს, რომლითაც ადამიანთა მოთხოვნილებები კმაყოფილდება;
- იგი ადამიანის მიერ წარმოებისა და მოხმარების პროცესში წარმოშობილი მავნე ნივთიერებებისა და ნარჩენების მიმღებია (გამტარებლის ფუნქცია);
- ბუნებრივი ეკოსისტემები, როგორც ავტონომიური დარეგულირების სისტემები, ეკოლოგიური წონასწორობისათვის ზრუნავს (რეგულირების ფუნქცია). ბუნების საქმეში ადამიანის გაუთვალისწინებელმა და უხეშმა ჩარევამ (ნივთიერებათა ცვლა) შეიძლება მნიშვნელოვანი საბედისწერო შედეგები გამოიწვიოს;
- და ბოლოს, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა გვაწვდის ინფორმაციას არსებობის ბუნებრივ საფუძველთან ადამიანთა დამოკიდებულების შესახებ (საინფორმაციო ფუნქცია).

ბუნებრივი გარემო მაშინ ასრულებს ამ ფუნქციებს, თუ ხორციელდება გარემოს დაცვის შესაბამისი პოლიტიკა. საზოგადოდ, გარემოს დაცვის პოლიტიკა გულისხმობს გარემოს მიმართ მიყენებული ზიანის პრევენციისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა სისტემის გატარებას. ადამიანთა საზოგადოების საქმიანობის მიზანდასახულობიდან (როგორიცაა: შეუპოვრობა, კეთილდღეობის ამაღლებისაკენ სწრაფვა, ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების დანახარჯების შესაბამისად გონივრული გამოყენება და სხვა) გარემოს დაცვის რაციონალური პოლიტიკის არსებითი ელემენტები გამომდინარეობს. გარემოს კონკრეტული განსაზღვრა გარემოს დაცვის ცნებას ეფუძნება. რაც უფრო ფართოდ განიხილება ეს ცნება, მით უფრო კომპლექსური უნდა იყოს გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების, ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების კატალოგი. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობათა გარემოს დაცვის პოლიტიკა ეფუძნება ბუნებრივი გარემოს ცნებას, რომელიც ძირითადად მოიცავს გარემო-მედიებს, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს (გარემოს დაცვის ძირითად სფეროებს).

ევროკავშირში სახელმწიფოს გარემოს დაცვის პოლიტიკას განსაზღვრავენ, როგორც ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გარემოს მდგომარეობას ისე ინარჩუნებს და აუმჯობესებს, რომ

- ხდება მისი მომავალი თაობებისა და ასევე მრავალფეროვანი ველური სახეობების განვითარებისათვის თავისუფალი სივრცეების შენარჩუნება და გაფართოვება (ზიანის პრევენციის ღონისძიებები);
- ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეებისათვის, ბუნებისა და ლანდშაფტისათვის, გარემოს მედიებისა და პროდუქტებისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკები მცირდება (ზიანის პრევენციის ღონისძიებები);
- გარემოსადმი მიყენებული ზიანი მცირდება (ზიანის შეზღუდვის ღონისძიებები);
- გარემოსადმი მიყენებული ზიანი აღმოიფხვრება (ზიანის ლიკვიდაციის ღონისძიებები).

სახელმწიფოში გარემოს დაცვის პოლიტიკა სამი ცენტრალური პრობლემის წინაშე დგას, ესენია: გარე ხარჯების ინტერნალიზაციის პრობლემა (ანუ ტრანსაქციური ხარჯების პრობლემა), ინფორმირების პრობლემა და კონტროლის პრობლემა[1]. გარემოს დაცვის ეფექტიანმა და ქმედითმა პოლიტიკამ ტრანსაქციური ხარჯების პრობლემა უნდა დაძლიოს. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, თუ გარემოს დაცვის პოლიტიკის ღონისძიებათა საშუალებით (ინსტრუმენტთა გამოყენება) ბაზარზე შეიქმნება ისეთი სიტუაციები, რომლებიც ნებაყოფლობით არ ყალიბდება. ამის წინაპირობა არსებობს, თუ გარემოს პოლიტიკის გამტარებლები ბუნებრივი რესურსების, წარმოების, ტექნოლოგიისა და გარემოს ზემოქმედების ურთიერთკავშირის შესახებ საკმაო რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას ფლობენ. სხვაგვარად

[1] L. Wicke, Umweltoekonomie, 4., ueberarb. u.

როგორ უნდა გამოვავლინოთ ან დავადგინოთ, თუ რომელი დამბინძურებელი რა მავნე ნივთიერებას და რა რაოდენობით გამოყოფს? (მაგალითად, გარემოს დაბინძურების ზღვრული სიდიდეების დადგენა). ჯერჯერობით მთელ მსოფლიოში არსებული მდგომარეობით, გარემოს დაცვის ეროვნული სამსახურის მოხელეების მიერ ინფორმაციის მოპოვებისა და მასზე რეაგირების შესაძლებლობათა დიდი დეფიციტი არსებობს. გაურკვეველია აგრეთვე სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური სუბიექტების მიერ კანონიერების დაცვის შემოწმების შესაძლებლობათა არსებობის საკითხი (კონტროლის პრობლემა). დისკუსია რადიაქტიური დასხივების სიდიდის (ზომის) შესახებ კვლავ აქტუალურია. ეკონომიკური სუბიექტების მიერ გარემოს დაბინძურების შესახებ საკანონმდებლო ნორმების დარღვევის შემთხვევაში მაკონტროლებელი სისტემა ეფექტურ სანქციებს უნდა აწესებდეს (დამრღვევთა ხარჯები უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე დარღვევებით მოსალოდნელი სარგებელი).

გარემოს დაცვის პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია:

- ბუნებრივი რესურსების მოხმარების შეზღუდვა (მიწა, სასარგებლო წიაღისეული, წყლები, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო და ა.შ.);
- წარმოებისა და მოხმარების დროს წარმოქმნილ მავნე ნივთიერებათა შემცირება (მავნე გამონაბოლქვი, ნარჩენები, ჩამდინარე წყლების დაბინძურება, ნაგავი, რადიაქტიური გამოსხივება და ა.შ.);
- ეკოსისტემის რეგენერაციის უნარის გაუმჯობესება შესაბამისი ღონისძიებებით (მაგალითად, ტყეების გაშენება, დაცვის პოლიტიკის შინაარსის ხელოვნურად ჟანგბადის შეტანა დაბინძურებულ წყლებში);
- ძველი ნარჩენების გამოყენება წარმოების პროცესში (როგორიცაა: მინა, ქაღალდი, გამონაბოლქვი გაზების სითბო), რითიც, როგორც ბუნებრივი რესურსების მოხმარება, ასევე მავნე ნივთიერებების გამოფრქვევა შემცირდება.

გარემოს ეკონომია არის ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც იკვლევს გარემოსა და ეკონომიას შორის არსებულ კავშირებს და ახდენს მათ სისტემატიზაციას, ამასთან, მას თავის თეორიებში, ანალიზებსა და ხარჯების გაანგარიშებებში შეაქვს ეკოლოგიური პარამეტრები.

გარემოს ეკონომიის საგანია გარემოს რაციონალური გამოყენება, როგორც საწარმოების მიერ, ასევე მთელი ეკონომიკის მასშტაბით, ანუ წარმოების, მომსახურებისა და მოხმარების პროცესების ისეთი ორგანიზება, რომ გარემოს ზიანი არ მივაყენოთ. მეცნიერ ვიკეს მიხედვით, გარემოს საერთო ეკონომიკური ეკონომიის ამოცანები სამ სფეროდ ჯგუფდება:

პირველი – უნდა შემოწმდეს, რამდენად შეუძლია გარემოს ეკონომიას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებასთან დაკავშირებით, ეკონომიკაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ამ შემთხვევაში იგი უფრო მეტად პრაქტიკაზე ორიენტირებული ამოცანის წინაშე დგას; მეორე – ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ხარჯების მინიმიზაციას გარემოს დაცვის პოლიტიკის განხორციელების დროს; მესამე – გარემოს ეკონომიის ოპტიმალური ეკონომიკური

პოლიტიკის შერჩევის ფუნქცია. ამ თვალსაზრისით საქმე ეხება მიზეზების გამოწვევის ადეკვატური ინსტრუმენტების განვითარებას და შეფასებას; შესაბამისი ხარჯებისა და მოხმარების ანალიზის ჩატარებას გარემოს ზიანისა და გარემოს დაცვის ღონისძიებათა შესაფასებლად; გარემოს დაცვის სხვა სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებზე ზემოქმედების განსაზღვრას და ასევე, ურთიერთობათა კვლევას, რომლებიც არსებობენ გარემოს დაცვის პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის „მოსაზღვრე" სფეროებს შორის (მაგალითად, აგრარული პოლიტიკა, სატრანსპორტო პოლიტიკა, ენერგეტიკული პოლიტიკა, ასევე სტრუქტურული და რეგიონული პოლიტიკა)[1].

არსებული მდგომარეობის ანალიზი

ზოგადი მდგომარეობა

მსოფლიოში ცნობილი საინფორმაციო სააგენტოები ყოველდღიურად გვაუწყებენ ბუნებრივ გარემოში მიმდინარე არასასურველ, საშიშ ცვლილებებსა და კატასტროფებზე, რომლებიც ადამიანის აქტივობისგან მომდინარეობს. შედეგად ხშირად გარემოს რეგიონულ ან გლობალურ გადატვირთვას ვღებულობთ:

- მიწის საფარს აზიანებს დიდი რაოდენობით სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება. ეროზიას საკვები ნივთიერებებით, მძიმე მეტალებითა და ორგანული ქიმიკატებით მიწის დაბინძურება იწვევს;
- გამონაბოლქვი ამცირებს ჰაერში ჟანგბადის კონცენტრაციას. პრობლემებს ქმნის აგრეთვე დროებით გაზრდილი ოზონი და აზოტის ოქსიდები. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში ზღვრულ სიდიდეებზე ლოკალური გადაჭარბება ხორციელდება;
- გამდინარე წყლებისა და ტბების თვითგაწმენდის უნარი ხშირად დაქვეითებულია. მარილების კონცენტრაციის ზრდა, ტემპერატურის მომატება, ფოსფორი და ბევრი სხვა ნივთიერებები საშიშროებას უქმნის ბუნებრივ წონასწორობას. განსაკუთრებით მაღალია ფოსფორით, ქლორიდებით, ამონიუმითა და ხსნადი ნახშირწყლებით დაბინძურება. გრუნტის წყალი ყველაზე მეტად ნიტრატებით ბინძურდება;
- გარემოს მიერ მავნე ნივთიერებათა და ხმაურის შთანთქმის უნარი გარემოში არსებული ქიმიკატების მაღალი კონცენტრაციის გამო შეზღუდულია. ცოცხალი ორგანიზმებისათვის ზიანის მიყენება პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება დაბინძურებული საკვებით მოხდეს.

აღნიშნული მოვლენები და პროცესები მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რომლებიც გარემოს დაცვის პოლიტიკით უნდა გადაიჭრას. ამ პოლიტიკის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პირობებზე, რომლებიც ბოლო წლებში არადამაკმაყოფილებლად შეიცვალა.

---

[1] L. Wicke, Umweltoekonomie, 4., ueberarb. u.

1990-იან წლებში მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების შედეგად (როგორიცაა: გლობალიზაცია, მასობრივი უმუშევრობა, გერმანიის გაერთიანებით გამოწვეული საფინანსო დანახარჯები, სოციალური დაცვის სისტემის მზარდი ხარჯები, ევროპული სავალუტო კავშირის ჩამოყალიბება და სხვა) მოხდა პოლიტიკის პრიორიტეტების ცვლილება, რომლებმაც გარემოს დაცვის პოლიტიკაზეც მოახდინა გავლენა. გარდა ამისა, მზარდმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოს დაცვის საყოველთაო მხარდაჭერა.

გარემოს დაცვის პოლიტიკის ინდიკატორები

გარემოს დაცვის პოლიტიკის ინდიკატორები საშუალებას გვაძლევენ, კომპლექსურად ავსახოთ და დავახასიათოთ ამ სფეროში არსებული ვითარება. ამისათვის საჭიროა ადეკვატურ მონაცემთა ბაზა, რომელიც ეყრდნობა გარემოზე დაკვირვებას, გარემოს შესახებ საინფორმაციო სისტემასა და გარემოზე უკვე არსებულ ინფორმაციას. გარემოს დაცვის პოლიტიკის გამტარებელთა გადაწყვეტილებების საფუძველი არის ინფორმაცია, როგორც არსებული მდგომარეობის დიაგნოზი (მაგალითად, გარემოზე ზეგავლენის ინტენსიურობა, რესურსების მოხმარება), რომელიც განვითარების მიმართულების სავარაუდო პროგნოზის გაკეთების საშუალებას იძლევა.

გარემოზე დაკვირვების მიზანია გარემოს არსებული მდგომარეობისა და წინანდელი ვითარების პერიოდული, მაგრამ სისტემური გამოკვლევა. იგი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: გარემოზე დაკვირვება და კონტროლი.

გარემოს ინდიკატორებს, როგორც გარემოს პოლიტიკის დამხმარე საშუალებებს, შემდეგი ამოცანები აქვს შესასრულებელი:

- გარემოს მომავალი დაბინძურების პროგნოზები (თრენდს);
- გარემოს დაბინძურების და გარემოს მდგომარეობის შეფასება (შედარება საერთაშორისო მასშტაბითაც);
- გარემოს ხარისხისა და გარემოში მოქმედების მიზნების ფორმულირება და დაზუსტება;
- რესურსების მოხმარების ასახვა;
- გარემოს სიტუაციის შესახებ საზოგადოებისათვის მდგომარეობის გაცნობა (ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ);
- პოლიტიკური ნების ფორმირების გაადვილება და გადაწყვეტილების მიღება (პრიორიტეტების დასახვა);
- გარემოს დაცვის სტრატეგიების ტესტები, ცალკეული გეგმების, გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და შედეგის კონტროლი.

ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია, თუ არსებობს საზოგადოებრივი და გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა სიცხადე, რომლებზეც გარემოს ინდიკატორები არის დამოკიდებული. ეს ინდიკატორები ორიენტირებული უნდა იყოს გარემოს დაცვის მიზნებზე და მათ კონკრეტიზაციაზე (დაზუსტებაზე).

სრულიად ნათელია, რომ გარემოს ინდიკატორთა სისტემების კომპლექსური შემუშავება პრაქტიკაში რთულია, ამიტომ გარემოს დაცვის პოლიტიკის მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებად კიდევ ცალკეული ინდიკატორები გამოიყენება (მაგალითად, ზღვრული სიდიდეები). ამით შესაძლებელია, მავნე ნივთიერებებით გამოწვეული გარემოს დაბინძურება (მაგალითად, ხმაური, გამონაბოლქვები, გამოსხივება და ა.შ) შევამციროთ, ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა თვალსაზრისი:

- გარემოს ფაქტიური დაბინძურების სტანდარტი მდგომარეობს მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვების მინიმუმამდე დაყვანით ბუნებისათვის მიყენებული ზიანის ლიკვიდირებაში. ამას უნდა მივაღწიოთ იმით, რომ ყველა მაიმიტირებელი მოწყობილობა აღჭურვილი უნდა იყოს მაკონტროლებელი ხელსაწყოებით, რომლებიც ტექნიკის უახლეს დონეს შეესაბამება;
- ემისიის სტანდარტის განსხვავებული თვალსაზრისი კი დაფუძნებულია თეზისზე, რომ გარემოზე ზეგავლენის გასაანალიზებლად გადამწყვეტია არა ემისიები, არამედ იმისიები. ემისიებს პრინციპულად შეუძლიათ მოგვცენ ინფორმაცია მხოლოდ მავნე ნივთიერებების პოტენციალის საწყისი მდგომარეობის შესახებ. ამის მიზეზია გამოყოფილი მავნე ნივთიერებების გარემოზე, ადამიანებსა და ცხოველებზე მათი გავრცელების პროცესების შემდეგ განხორციელებული მოქმედება (მაგალითად, გამოყოფილი გოგირდის დიოქსიდი ჰაერში თუ შეუერთდა წვიმის წყალს გოგირდის მჟავა ე.წ. „მჟავე წვიმა“ წარმოიშობა).

გარემოს დაცვის პოლიტიკის თვალსაზრისით, იმისიის სტანდარტი უფრო ეფექტურია, რადგან ნორმები წესდება მხოლოდ გარემოს დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ისე, რომ ტექნიკის მდგომარეობას არ ითვალისწინებენ. ამასთან, თუ მთლიანად დაცული იქნება გარემოზე იმისიით გამოწვეული გავლენის ნორმები, მაშინ დასაშვებია, რომ ყველა მაემიტირებელ მოწყობილობაზე ტექნიკური სტანდარტი არ შესრულდეს. ასეთი მიდგომა გარემოს დაცვის საბაზრო-ეკონომიკურ პრინციპებს აძლიერებს. ამასთან, არასწორად გვეჩვენება იმისიების ზემოქმედების შესახებ შეზღუდული ცოდნის არსებობა და არაერთმნიშვნელოვანი, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება (მაგალითად, ტყის დაზიანების სიდიდის დადგენა, რომელიც ავტომანქანების გამონაბოლქვითაა გამოწვეული, შეუძლებელია და სადავო). ემისიის სტანდარტის თვალსაზრისი ხისტ მიდგომას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მავნე ნივთიერებების ზეგავლენა გარემოზე „დადგენილია მყარად და ზუსტად“, რაც გარემოს დაცვის სფეროში ყოველგვარ სხვა პროგრესულ მიდგომას ამუხრუჭებს. გარემოსათვის უვნებელი ახალი ტექნოლოგიები იწვევს ემისიის ნორმების შემცირებას, რაც ხშირად მზარდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ დანახარჯებზე თავის არიდების მიზნით ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების იგნორირება ხდება.

ზღვრული სიდიდეების დადგენით არ უნდა მოხდეს იმისიის გავლენით გამოწვეული სიდიდის (იმისიის ზღვრული სიდიდე) გადაჭარბება და ამასთან

ერთად, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ემისიის თავიდან ასაცილებლად ტექნიკურ საშუალებათა ყოველმხრივი გამოყენება (ემისიის ზღვრული სიდიდე). ზღვრული სიდიდეები გარემოს დაბინძურების ხარისხის შესახებ დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, ჰაერის სისუფთავის დაცვის ტექნიკური განყოფილება აწესებს მავნე ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციის სიდიდეს.

გარემოს ინდიკატორები დიდ როლს ასრულებენ გარემოს დაზიანების მთლიან ეკონომიკურ გაანგარიშებაში. **გარემოს დაზიანების მთლიანი ეკონომიკური გაანგარიშების** მიზანია ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარების შედეგად წარმოქმნილი ცვლილებების მიყენებული ზარალის გარკვეულ ეკონომიკურ საქმიანობაზე დაყვანა. გარემოს არსებულ მდგომარეობასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას გარემოს დაცვის ღონისძიებები, მატერიალური, ენერგეტიკული რესურსებისა და ნედლეულის მოხმარების დონის განსაზღვრა და სხვა. ეკონომიკაში ყველა ეკოლოგიური ხარჯი ციფრებში არ აისახება. ამიტომ სტატისტიკის სამმართველოები გარემოს ბალანსის შედგენისას კონცენტრაციას ქვესფეროებზე ახდენენ. დგება სია 3000 მავნე ნივთიერების რაოდენობის შესახებ, რომელიც შესაბამის ეკონომიკურ ცირკულარში შეაქვთ.

თეორიული საფუძველი

გარემოს დაბინძურების მიზეზები

ბუნებრივი გარემოს პრობლემების წარმომშობ მიზეზთა ცოდნა გარემოზე აქტიური ზემოქმედების პოლიტიკის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება მზარდი პრობლემების გადაჭრის საქმეში წარმატების მიღწევა. გარემოს დაზიანება მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფები არ არის ადამიანის საქმიანობით გამოწვეული (მაგალითად, ვულკანთა ამოფრქვევები, ცუნამი და სხვა). განვიხილოთ მიზეზები, რომლებზეც პასუხისმგებლობა თვითონ ადამიანებს ეკისრებათ. გარემოს დღევანდელ პრობლემებზე ადამიანი არის პასუხისმგებელი. იგი თავისი ეკონომიკური და სხვა აქტივობით იმ დოზით აზიანებს გარემოს, რომ ეკოლოგიური წონასწორობა (რეგულირების ფუნქცია) ირღვევა. ადამიანის ჩარევა ნივთიერებათა ბუნებრივ მიმოქცევაში, გარემოს მიერ მავნე ნივთიერებათა შთანთქმის უნარზე ახდენს გავლენას. ამ შემთხვევაში ეკონომიკური მიზეზების ორ ჯგუფს ვასხვავებთ: პირველი – განვითარებით, ხოლო მეორე სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით არის განპირობებული.

განვითარებით გამოწვეული მიზეზები

განვითარებით გამოწვეულ მიზეზთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის ზრდა. 1950 წელს მსოფლიოში მხოლოდ 2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა, 1980 წელს – 4 მილიარდი. ამჟამად კი დედამიწაზე დაახლოებით 7,8 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. ტენდენცია მზარდია. გარემოს

გაუარესების პრობლემები ამ ვითარებიდან გამომდინარეობს (განსაკუთრებით მესამე სამყაროს ქვეყნებში). მოსახლეობის ზრდას მოჰყვება სურსათის წარმოების გაფართოება (პირველადი სექტორი). ამასთან დაკავშირებით სახნავ-სათესი ფართობის გაზრდით და მიწის გამოყენების ინტენსიფიკაციით იზრდება სასუქებისა და მავნებლებთან ბრძოლის საშუალებათა გამოყენება. ენერგიის მოხმარებასთან ერთად იმატებს ნიადაგის ეროზია და მარილის შემცველობა.

ასევე **ეკონომიკურმა ზრდამ** მეორად სექტორში გარემოზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მიზეზებს შორის მნიშვნელოვანია ენერგიის დიდი რაოდენობით მოხმარება; არარეგენერირებული ნედლეულის შემცირება; სამრეწველო შენობა-ნაგებობებით, ასევე ინფრასტრუქტურით მიღებული დიდი ზიანი (როგორიცაა ხმაური და გარემოში მავნე ნივთიერებების გამოყოფა); სამრეწველო ნარჩენები, გამონაბოლქვები და ჩამდინარე წყლები; აღსანიშნავია, რომ მესამეულ სექტორშიც მსგავსი ტენდენციები გვაქვს. მაგალითად, ავიღოთ ე.წ. „თეთრი მრეწველობა“. მასობრივმა საერთაშორისო ტურიზმმა გამოიწვია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, როგორიცაა, ლანდშაფტების შეცვლა, გაუკაცრიელება და ნგრევა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავასახელოთ ცვლილებები ალპების ეკოსისტემაში (გზები, სასტუმროები, ავტოსადგომები, სათხილამურო ლიფტები) ან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. დამატებით იზრდება ტურიზმის ინდუსტრიის „წარმოებით განპირობებული“ ზეგავლენა გარემოზე, გაჩნდა გრუნტის წყლებისა და ჩამდინარე წყლების პრობლემები, ნაგვის მთები და ასევე ტრანსპორტის ზრდის გამო ხმაურისა მავნე ნივთიერებების ემისია.

მოსახლეობის ზრდას მივყავართ **ურბანიზაციის პროცესის გაძლიერებისაკენ (ქალაქებში მოსახლეობის კონცენტრაციის ზრდა)**. პროვინციებიდან და სოფლებიდან წასვლა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, არ შეჩერებულა. ეკონომიკური ზრდაც დაკავშირებულია ეკონომიკური აქტივობის სივრცობრივ კონცენტრაციასთან (სამრეწველო ცენტრებში კონცენტრაცია), შედეგად კი გარემოს დაცვის პრობლემებიც იზრდება. აღსანიშნავია აგრეთვე **წარმოების ტექნოლოგიებისა და მოხმარების ჩვევების გარდაქმნა,** რომელიც სამრეწველო განვითარებასთან ერთად ხდებოდა. ახალი თაობის სამომხმარებლო პროდუქტებში უფრო მეტად გამოიყენება ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ცოცხალი ორგანიზმებისათვის საშიშია (მაგალითად, ერთჯერადი ბოთლებისა და შესაფუთი მასალების მოხმარება, ფოსფატების გამოყენება სარეცხ საშუალებებში, აზოტის შემცველი სასუქების გამოყენება სოფლის მეურნეობაში და სხვა). ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მზარდი ტენდენცია გარემოს დამაზიანებელი ფაქტორების შეზღუდვისაკენ, რაც გარემოს დაცვის ორგანიზაციებისა და ევროკავშირის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის უდავო წარმატებაა.

ამგვარად, გარემოს დაბინძურების ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან პრობლემათა პირველ სამ ველს შეიძლება ვუწოდოთ **რაოდენობრივი მიზე-**

ზები. ამ პრობლემათა გამწვავების თავიდან აცილება შეიძლება, თუ ეკონომიკური ზრდის უარყოფითი რაოდენობრივი ეფექტები განეიტრალდება და მოსახლეობის სამომხმარებლო ჩვევები შეიცვლება. გარემოს დაცვის პოლიტიკისათვის ამ პრობლემათა გადაწყვეტა პროპაგანდისა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან მჭიდრო კავშირის გარეშე შეუძლებელია. გარემოსათვის უვნებელი საწარმოო ტექნოლოგიების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სამომხმარებლო ჩვევების შექმნა და დანერგვა შესაბამისი **ეკონომიკური სტიმულების სისტემის** გარეშე (გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტები) არ მოხერხდება.

სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები

გარემოს პრობლემების დიდი რაოდენობა, რომლებიც გარემოს პროდუქტების დეფიციტითაა გამოწვეული, ადამიანებმა შექმნეს. გარემოს პროდუქტები (დაუბინძურებელი წყლები, ჰაერი, მიწა და სხვა) დღეს უკვე შეუზღუდავად აღარ გვაქვს. ისინი რესურსების ინტენსიური ხარჯვის შედეგად ხელახალი საწარმოო და სამომხმარებლო მიზნებისათვის შეიძლება მრავალგზის გამოვიყენოთ. სუფთა გარემოს, როგორც სამომხმარებლო პროდუქტისა და წარმოების ფაქტორის, შენარჩუნება დიდ ხარჯებს იწვევს. მიუხედავად ამისა, გარემოს პროდუქტებს არა აქვთ ფასი, ისინი ბაზარზე არ იყიდება. გარემოს პროდუქტებზე, როგორც წესი, კერძო მფლობელობა (საკუთრების უფლება) არ არსებობს. ისინი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ეკონომიკური სუბიექტებისადმი მიკუთვნების მექანიზმს არ ექვემდებარებიან. ამიტომ თავისუფალ პროდუქტს მომჭირნეობით ხარჯვისა და ფრთხილი მოპყრობისათვის ეკონომიკური სტიმულები არ გააჩნია. ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზთა შორის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა სამი სფერო გვაქვს:

1. გარემოს პრობლემების დიდი ნაწილი, პირველ რიგში, საზოგადოებრივი პროდუქტების ანდა კოლექტიური პროდუქტების ხასიათიდან გამომდინარეობს. საზოგადოებრივი პროდუქტი ორი არსებითი ნიშნით ხასიათდება: ის არც გამორიცხვადია და არც მეტოქეობისუნარიანი. საზოგადოებრივი პროდუქტი ერთდროულად გამოიყენება მრავალი ეკონომიკური სუბიექტის მიერ, როგორც წესი, ინტერესთა დაპირისპირების გარეშე და საბაზრო ფასებით მისი მოხმარებისაგან არავინ გამოირიცხება (მაგალითად, პოლიციის, თავდაცვის სახელმწიფო სამსახური და სხვა).

გარემოს პროდუქტები უნდა მივაკუთვნოთ საზოგადოებრივ პროდუქტებს, ამასთან, დასაზუსტებელია მათი სპეციფიკურობა, რომლის საფუძველზეც მათი მოხმარების ფორმები განსხვავებულია და ისინი ერთმანეთთან კონკურენციაში იმყოფებიან (მაგალითად, სუფთა გარემოში, როგორც სამომხმარებლო პროდუქტი ან მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსი). ყოველი განსხვავებული მოხმარების ფორმისათვის საზოგადოებრივი პროდუქტის ფორმები უცვლელია. რადგან გარემოს პროდუქტებზე არ არსებობს საბაზრო

ფასი, ამით პრეფერენციებს ვერ გამოავლენენ. საზოგადოებრივი პროდუქტი – გარემო მოიხმარება ან გამოიყენება წარმოების პროცესში უფასოდ. საბაზრო მექანიზმის არარსებობის გამო გარემოს პროდუქტების მომჭირნეობითი მოხმარება არ ხდება.

ერთი ეკონომიკური სუბიექტის მიერ გარემოს პროდუქტის მოხმარება სხვა ეკონომიკურ სუბიექტს გარემოს იმავდროული მოხმარების დროს არ აბრკოლებს.

მაგრამ მაშინაც კი, თუ გარემოს პროდუქტების გამოყენება წარმოების ან მოხმარების დროს, ეკონომიკის ცალკეული დარგის პოზიციიდან მცირე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, მთლიანობაში შესაძლებელია გარემო მაინც მნიშვნელოვნად დაზიანდეს.

2. გარემოს, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის, ხასიათიდან შეიძლება შემდგომი კავშირები გამომდინარეობდეს. წარმოებისა და მოხმარების დროს გვერდითი მოვლენები წარმოიშობა, მათ გარე ეფექტებს (ექსტერნალიებს) უწოდებენ. გარე ეფექტები ჩნდება მაშინ, როდესაც სარგებელი, რომელსაც ეკონომიკური სუბიექტები იღებენ, მათ საკუთარ გადაწყვეტილებებზე ბოლომდე არ არის დამოკიდებული. ზოგჯერ სარგებლის სიდიდეზე ბაზრის ჩარევის გარეშე სხვა ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობა ახდენს გავლენას. შეიძლება წარმოიშვას, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გარე ეფექტები, რომელთა საფუძველზე ეკონომიკური სუბიექტები იგებენ ან აგებენ, მაგრამ არც არაფერს იხდიან და არც არაფერს იღებენ დანაკარგთა კომპენსაციისათვის.

გარე ეფექტებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ხარჯები წარმოიქმნება ისე, რომ ისინი საწარმოო ან სამომხმარებლო შიდა ანგარიშგებაში ხარჯებად არ გვევლინებიან (ჰაერის დაბინძურება სამრეწველო საწარმოების და მანქანების გამონაბოლქვით, სასმელი წყლის ხარისხის გაუარესება, საცხოვრებელ სახლებში ცხოვრების პირობებისა და ხარისხის შემცირება, ტრანსპორტის მოძრაობა ქუჩაში ან თვითმფრინავის ხმაური და ა.შ.). ამ ხარჯებს უწოდებენ დამატებით სოციალურ ხარჯებს და ისინი კერძო ხარჯებს დამატებით ტვირთად აწვება. პროდუქტი, რომლის წარმოების ან მოხმარების დროსაც წარმოიშობა უარყოფითი გარე ეფექტები, უფრო იაფად იყიდება ან ნაკლებად მოიხმარება. დადებითი ეფექტების არსებობის დროს საპირისპირო შედეგები გვაქვს.

ეკონომიკურ სუბიექტებს აქვთ გარემოს პროდუქტების (როგორც საზოგადოებრივი პროდუქტების) უფასოდ გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, სურთ პროდუქტის დამზადებაში (ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესება) რაც შეიძლება ნაკლები წვლილი შეიტანონ. რა შედეგებს ვიღებთ ასეთი ქმედებისაგან? რადგან გარემოს პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ფასი ძალზე დაბალია, ხოლო მათი დაბინძურებისა და განადგურების დონე – მაღალი, ამიტომ ეკონომიკური ზეწოლა მათი მომჭირნეობით გამოყენებისათვის არასაკმარისია. გარემოს დაზიანებით დაზარალე-

ბულები იძულებული არიან, გადაიხადონ გარემოსათვის მიყენებული ზარალის საფასური მაშინაც კი, როდესაც ისინი ამაში არ მონაწილეობდნენ.

3. გარემოს პროდუქტების მოხმარების დროს (ზუსტად ისე, როგორც სხვა საზოგადოებრივი პროდუქტების მოხმარებისას) ეკონომიკური სუბიექტების მოქმედება მიმართულია მხოლოდ საკუთარი უპირატესობის მოპოვებისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ცალკეული ეკონომიკური სუბიექტები გარემოს მიმართ სწორი მოქმედებით ან გარემოს დაცვის ღონისძიებებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, ისინი ამისათვის მაინც არაფერს აკეთებენ. თითოეული მათგანი ელოდება, რომ ამ საქმეს (ან ამ საქმის დაფინანსებას) სხვები განახორციელებენ. ამ შემთხვევაში იგებენ ისინი, ვინც არაფერს არ ხარჯავს (ინდივიდუალური სარგებლის მაქსიმიზაცია).

დღესაც განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებულია პრეტენზიული მენტალიტეტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მატერიალური პროდუქტებით ბაზრის მზარდი მომარაგების სასარგებლოდ გარემოს დაცვის ასპექტებს უგულებელყოფდა. დამაიმედებელია ბოლო წლებში გარემოს მიმართ მოსახლეობის ფართო ფენების პასუხისმგებლობის დონის (განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის) საგრძნობი ამაღლება. სამწუხაროდ, დღესაც ღიად რჩება საკითხი, თუ რამდენად დიდია მოხმარების შეზღუდვის მზადყოფნა გარემოს პროდუქტების სერიოზული დაზიანების შემთხვევაში. განვითარებად ქვეყნებში გარემოს პრობლემების მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია. რადგან აქ საქმე ეხება მოსახლეობის ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამდენად ეს ხშირად ბუნების შეუბრალებელი ძარცვით (მაგალითად, ხანძრები ინდონეზიის კუნძულებზე ან ამაზონის აუზში) ხდება. როგორი არგუმენტირებულიც არ უნდა იყოს ბუნებისადმი უსულგულო დამოკიდებულების მოტივები, შედეგები მაინც ერთნაირია. ბუნებრივი გარემო გრძელვადიან პერიოდში ზარალდება ან საერთოდ ნადგურდება.

ბუნებრივი გარემოს პრობლემების არსებობის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები შემდეგში მდგომარეობს:

- პირველი – ეკონომიკურ სუბიექტებს დანახარჯების გარეშე შეუძლიათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მეორე – ეკონომიკური სუბიექტები გარე ეფექტებით გამოწვეულ ხარჯებს საზოგადოებას აკისრებენ და, ამავდროულად, თვითონ საზოგადოებრივი პროდუქტის – ჯანმრთელი გარემოს მოხმარებით მოგების მიღებას ცდილობენ;
- მესამე – ეს პრინციპი ძალაშია, როგორც ცალკეული მომხმარებლისათვის, ასევე საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო დროს ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მიმდინარეობს გარემოს დაცვის ქმედითი პოლიტიკის შემუშავების აქტიური მცდელობა.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ამოცანაა, შექმნან წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობები, რომლებიც ეკონომიკური სუბიექტების მიერ გარემოს გონივრულ გამოყენებაზე გავლენას მოახდენენ. გარემოს დაცვა

სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს. ამდენად გარემოს ამჟამინდელი პრობლემების მრავალფეროვნება სახელმწიფოს გარემოს დაცვის პოლიტიკის წარუმატებლობაზე მეტყველებს. მიუხედავად მზარდი პრობლემებისა, გარემოს დაცვის პოლიტიკის ღონისძიებები ხშირად სერიოზული დაყოვნებით ტარდება.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები

ისეთი პრობლემები, როგორიცაა კლიმატური ცვლილებები, ადამიანის საქმიანობით გამოწვეული მასშტაბური კატასტროფების შესაძლებლობა, სხვადასხვა სახეობათა გაქრობა, ოზონის ხვრელი და ა.შ., მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს პრობლემა არ არის. ისინი მთელი კაცობრიობისათვის არსებობის საფრთხეს ქმნიან. პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობა საერთაშორისო მასშტაბით მის ძიებაშია. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით 1970-იანი წლების დასაწყისიდან გადაიდგა. მნიშვნელოვან მოვლენას 1972 წლის კონვენცია წარმოადგენდა. კონვენცია მიეძღვნა მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს, მასში გარემო აღიარებული იქნა, როგორც განსაკუთრებული ღირებულება, რომელიც უნდა დავიცვათ. კონვენციის გადაწყვეტილებებში ნათქვამია: „...კულტურათა და ბუნებრივი მემკვიდრეობის ნაწილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ და ამიტომ ისინი შენარჩუნებული უნდა იქნას, როგორც მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილი“.

გარემოს დაცვის პრობლემების გლობალური ხასიათის გამო აუცილებელია საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევა, თუმცა, ეს მარტივი არ არის.

2002 წელს იოჰანესბურგში უმაღლესი დონის შეხვედრა შედგა, რომლის მთავარ საკითხს წარმოადგენდა გრძელვადიანი განვითარების კურსი მზარდი გლობალიზაციის პირობებში. მიღებულ იქნა გრძელვადიანი განვითარების სამოქმედო გეგმა სიღარიბის დაძლევის, კლიმატისა და რესურსების დაცვის მიმართულებით.

გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების განსაზღვრას, როგორც ეკონომიკური გადაწყვეტილებების ორიენტაციას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, საქმე ყოველთვის გარემოს არა მაქსიმალურ დაცვას, არამედ უმეტეს შემთხვევაში მისი ოპტიმალური დაცვის პოლიტიკას ეხება. თუ გარემოსათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ხარჯები აჭარბებს გარემოს დაზიანების ხარჯებს, მაშინ ეკონომიკური თვალსაზრისით ზიანის აღმოფხვრა არ ღირს.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მის ძირითად პუნქტს, პირველ რიგში, წარმოების სფეროში ერთობლივი სტანდარტი წარმოადგენდა (მაგალითად, მსუბუქ ავტომანქანებზე, საწვავზე, რადიაქტიურ გამოსხივებაზე და სხვა). ცალ-ცალკე დარეგულირდა მოთხოვნები სამრეწველო დანადგარების მიმართ, გარემოს მედიების დაცვის

საკითხები და გარემოზე ზემოქმედების მიზეზთა კონტროლი. 1987 წელს ერთიანი ევროპული აქტით გარემოს დაცვის პოლიტიკის სამართლებრივი საფუძველი შეიცვალა. აღნიშნული დოკუმენტი გარემოს პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის კომპეტენციას ადგენს. ევროკავშირის ხელშეკრულებას დაემატა ახალი პუნქტი – „გარემო", ამით ევროკომისიისა და ევროპარლამენტის როლი წევრი ქვეყნების მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა. მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებით ევროგაერთიანების კომპეტენციები შეიცვალა და გაფართოვდა. ხელშეკრულებით შესაძლებელია, გარემოს დაცვის პოლიტიკაში უმრავლესობის გადაწყვეტილებები იქნას მიღებული. ერთხმად მიღების (უარყოფის) პრინციპი ძალაშია მხოლოდ განსაკუთრებული სფეროებისათვის (მაგალითად, საგადასახადო ღონისძიებები, მიწის გამოყენება და სხვა). დამატებით ევროპარლამენტი გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს თანამონაწილეობის უფლებას. ევროკავშირში გარემოს დაცვის პოლიტიკის მოქმედების პრინციპად გარემოზე ზრუნვის პრინციპს იღებენ.

ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულებამ დაადგინა გარემოს დაცვის პოლიტიკის ინტეგრაცია ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებთან. დამატებით ევროპარლამენტმა გარემოს პოლიტიკის საკითხების გადაწყვეტის უფლება გააფართოვა.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნებია:

- გარემოს შენარჩუნება და დაცვა და მათი ხარისხის გაუმჯობესება;
- ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა;
- ბუნებრივი რესურსების ფრთხილი და რაციონალური გამოყენება;
- საერთაშორისო დონეზე გარემოს რეგიონული და გლობალური პრობლემების დასაძლევად გასატარებელ ღონისძიებათა ხელშეწყობა.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკა არ არის მხოლოდ მის დაქვემდებარებაში. ცალკეულ წევრ ქვეყნებს მოქმედების ვრცელი არეალი რჩებათ. მათ შეუძლიათ გარემოს დაცვის სფეროში, ერთობლივი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის შემდეგაც, მიიღონ ან გამოიყენონ ეროვნული კანონმდებლობა. რადგან არსებობს „კონკურენციული დაქვემდებარება", ამიტომ გამოიყენება სუბსიდირების პრინციპი. ევროკავშირს აქვს უფლება, ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, თუ წევრი ქვეყანა რომელიმე ღონისძიებით დასახულ მიზანს ვერ აღწევს ან ამისათვის ფინანსები არ ყოფნის. ევროკავშირმა გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად ბოლო წლებში მთელი რიგი გადაწყვეტილებები, განკარგულებები და გარემოს დაცვისათვის სამოქმედო პროგრამები მიიღო.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებები დასახული მიზნების გათვალისწინებით სავალდებულოა ყველა წევრი ქვეყნისათვის. მათი გამოყენება თვითონ სახელმწიფოების პრეროგატივაა. ამან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ზოგჯერ მიუხედავად პოლიტიკის საერთო მიმართულებისა, განსხვავებული ეროვნული კანონები იქნას მიღებული. ევროკავშირში გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში ეროვნული უფლებების განსაზღვრი-

სას ყველასათვის სავალდებულოა, გაითვალისწინონ: გარემოს დაცვასთან მიმართებით მყოფი პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების მიმართულებები, ევროკავშირის ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები.

1973-2000 წწ. ევროკავშირმა გარემოს დაცვის ხუთი პროგრამა მიიღო. გარემოს დაცვის მეხუთე სამოქმედო პროგრამა (1993-2000 წწ.) ორიენტირებული იყო ეკოლოგიური განვითარების ხელშეწყობაზე. ამ პროგრამაში ყურადღების ცენტრში გარემოს ცალკეული მედიის ნაცვლად იდგა ეკოლოგიის პრობლემათა გადაწყვეტა ისეთ სფეროებში, როგორიცაა: მრეწველობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, სოფლის მეურნეობა, ენერგომატარებლების მოხმარების შემცირება და ტურიზმი. პროგრამა ორიენტირებული იყო გრძელვადიან პერიოდზე და მოიცავდა პრობლემების ანალიზს, კონკრეტულ მტკიცებულებებს მავნე ნივთიერებების ემისიის შემცირებაზე და ასევე გარემოს დაცვის პოლიტიკაში გასატარებელ სხვა ღონისძიებებს. გარემოს დაცვის მე-6 სამოქმედო პროგრამის (2001-2010 წწ.) ძირითად ამოცანას კლიმატის დაცვასთან ერთად ჯანმრთელობის დაცვა, სახეობათა მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი და აგრეთვე ახალი წევრი ქვეყნების პრობლემები წარმოადგენდა.

გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების ფორმულირება რთულია, რამდენადაც საქმე გვაქვს არა ერთ მიზანთან, არამედ განსხვავებულ სიბრტყეზე მყოფ მიზანთა სისტემასთან.

გარემოს დაცვის პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ადგენს მოქმედების ჩარჩოს და ძირითადი კურსის განხორციელებისაკენ არის მიმართული. შემდგომი კონკრეტიზაცია გარემოს ცალკეული სფეროს მიზნების განსაზღვრისას ხდება. ისინი ემსახურებიან გარემოს არსებული მდგომარეობის და მისი თანმხვედრი პროცესების ანალიზს (მაგალითად, იმისიები, მავნე ნივთიერებათა შეტანა ნიადაგში, ასევე გრუნტისა და გამდინარე წყლებში და ა.შ.). ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარებით შეიძლება მივიღოთ გარემოს დაცვის პოლიტიკის „ქმედებები“ (გარემოს დაცვისათვის მიმართული მოქმედების მიზნები), რომლებიც კვალიფიცირებული უნდა იყოს და მათი გადამოწმებაც უნდა შეიძლებოდეს. გარემოს ხარისხისა და მისი დაცვისათვის მოქმედების მიზნებს (შუალედური მიზნები) გარემოს დაცვის სტანდარტები (დაქვემდებარებული მიზნები) ემატება. დადგენილი სტანდარტების მოქმედების დროს საქმე ეხება ადამიანსა და ბუნებაზე მავნე ნივთიერებათა ზემოქმედების რაოდენობრივი შეზღუდვის დადგენას (მაგალითად, ზღვრული სიდიდეების დადგენა). გარემოს ინდიკატორები გვაჩვენებენ, გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა საფუძველზე რამდენად შეიძლება გარემოს გარდაქმნა. ისინი მნიშვნელოვან საინფორმაციო ბაზას წარმოადგენენ.

ამრიგად, გარემოს დაცვის მიზანთა სისტემა შემდეგნაირად წარმოდგება: გარემოს დაცვის ნიმუში (იდეალი) – მისი დაცვისათვის ძირითადი მიმართულებები – გარემოს ხარისხის მიზნები – გარემოს დაცვისათვის მოქმედების მიზნები – გარემოს დაცვის სტანდარტები.

გარემოს დაცვის პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებზე (ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა, სატრანსპორტო პოლიტიკა, ენერგეტიკის პოლიტიკა, აგრარული პოლიტიკა და ა.შ.), რომლებიც, თავის მხრივ, აგრეთვე მასზე ზემოქმედებენ. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების განხორციელებას სხვა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან კავშირში უნდა ვხედავდეთ. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ეს კავშირი კონფლიქტისაგან თავისუფალი არ არის. მიზანთა კონფლიქტები ყოველთვის მძაფრი დისკუსიის საგანია. 1990-იანი წლებიდან ისევ დაიწყო მწვავე დისკუსია გარემოს დაცვის მიზნებს, მოსახლეობის ზრდისა და დასაქმების მიზნებს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. ეკონომიკური სტაბილურობა თუ ეკონომიკური ზრდა? (ეკონომია ეკონომიკური ზრდის წინააღმდეგ?) განვითარებული ქვეყნების ეკონომისტები, და არა მარტო ისინი, დღესაც ამ საკითხების გარშემო კამათობენ, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვის მიზნებს, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მიზნებს შორის დაპირისპირებაზე. ეკონომიკური ზრდის მომხრენი გვაფრთხილებენ გარემოს დაცვის ხარჯების ზრდის ნეგატიურ შედეგებზე და გარემოს დაცვას „Jobkiller"-საც (სამუშაო ადგილების გამანადგურებელს) უწოდებენ. მოკლევადიან პერიოდში მართლაც შეიძლება ნეგატიური ეფექტები წარმოიშვას, მაგრამ ემპირიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ გარემოს დაცვა და ეკონომიკური ზრდა გრძელვადიან პერიოდში ერთმანეთს განაპირობებენ (მიზნის დამატება). გარემოს დაცვა არა იმდენად ხარჯების ფაქტორს, რამდენადაც უფრო მეტად ძლიერ ინოვაციურ პოტენციალს წარმოადგენს. გარემოს მაღალი სტანდარტების რეალიზებას საშუალო და გრძელვადიან პერიოდში ბაზარზე კონკურენციულ უპირატესობათა ზრდამდე მივყავართ. გარემოს დაცვა თანდათანობით ხდება მარკეტინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში შესაძლებელია გარემოს დაცვის, მოსახლეობის ზრდისა და დასაქმების მიზნებს შორის კონფლიქტები წარმოიშვას, მაგრამ ამასთანავე, დასაქმების პოლიტიკის დადებითი ეფექტებიც არის შესაძლებელი. სამუშაო ადგილების ზრდაზე გარემოს დაცვის ინოვაციების ზემოქმედებათა გამოკვლევამ მოგვცა შემდეგი შედეგი: 1500 საწარმოს (გერმანიიდან, იტალიიდან, გაერთიანებული სამეფოდან, ნიდერლანდებიდან და შვეიცარიიდან) გამოკითხვა ადასტურებს, რომ გარემოს დაცვის ინოვაციები დასაქმების სიტუაციაზე ძირითადად დადებით გავლენას ახდენს (გამოკითხულთა 70%-ის აზრით, დასაქმებაზე დადებითად ზემოქმედებს, ხოლო 30%-ის აზრით – უარყოფითად). ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანაა მიზანთა კონფლიქტების მინიმუმამდე დაყვანა.

გარემოს დაცვის პოლიტიკის პრინციპები

გარემოს დაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები გარემოზე ზეგავლენის მიზეზებიდან გამომდინარეობენ. ამავდროულად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვაზე განკუთვნილი ხარჯების გადანაწილებას.

საკითხი დგას ასე: ვინ უნდა გასწიოს ეს ხარჯები? საზოგადოების იმ ნაწილმა, ვინც დააზიანა გარემო, თუ მან, ვინც სარგებელი მიიღო გარემოს დაცვის პოლიტიკის მოქმედებიდან? ამ საკითხისადმი მიდგომის ოთხი ძირითადი პრინციპი არსებობს. ეს პრინციპებია: 1. ხარჯების გამომწვევთა პრინციპი; 2. ხარჯების ერთობლივი ტვირთის პრინციპი; 3. უზრუნველყოფის პრინციპი და 4. კოოპერაციის პრინციპი.

ხარჯების გამომწვევთა პრინციპის მიხედვით, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის ხარჯები ეკისრება ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებმაც ეს ხარჯები გამოიწვიეს. ვინც ემისიებით სხვა ადამიანების ჯანმრთელობას აზიანებს ან გარემოს მედიებში ზარალს იწვევს, ხარჯებიც მან უნდა გაიღოს. ბუნების პროდუქტების საზრიანი და მომჭირნე გამოყენება მიღწეული იქნება, თუ გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ხარჯები გამომწვევს დაეკისრება.

ერთობლივი ტვირთის პრინციპით მოქმედება იწვევს იმას, რომ გამომწვევს გარემოს დაზიანების თავიდან აცილების სტიმული არ აქვს (ან ნაკლებად აქვს). ხარჯების ერთობლივი ტვირთის პრინციპი, როგორც ერთადერთი სტრატეგია, უნდა უარვყოთ. რადგან, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ფინანსური საშუალებები შეზღუდულია, მეორე მხრივ, ამ პრინციპით გატარებული ღონისძიებები (როგორიცაა: დაფინანსების სტიმული გარემოსათვის უვნებელი ინვესტიციებისათვის, ფინანსური დახმარებები კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად) რესურსების არაეფექტიანი გამოყენების საშიშროებას ქმნის.

ხშირად ხარჯების ერთობლივი ტვირთის პრინციპთან კავშირშია ე.წ. სარგებლის მიმღებთა პრინციპი. ამ შემთხვევაში გამომწვევთა პრინციპი პირიქითაა: გარემოს დაცვის ღონისძიებებით შეღავათის მიმღებნი კომპენსაციას აძლევს მათ, ვინც გარემოსადმი სწორი მოპყრობით ზარალდება. მაგალითად, განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის ტროპიკული ტყეების დასაცავად გაცემული დახმარებები. სარგებლის მიმღებთა პრინციპით გარემოს დაცვის ხარჯები გაღებული იქნება არა საზოგადოების, არამედ შეღავათის მქონე სპეციალური ჯგუფის მიერ. როგორც გარემოს საყოველთაო პოლიტიკის ძირითად პრინციპს, სარგებლის მიმღებთა პრინციპს, ხშირად უარყოფენ, რადგანაც ის, ერთი მხრივ, განაწილების პოლიტიკის მოსაზრებებს ეწინააღმდეგება და, მეორე მხრივ, არაეფექტიანია და პრაქტიკაში ვერ ტარდება (მაგალითად, გარემოს, როგორც კოლექტიური პროდუქტის ხასიათი).

აქამდე დასახელებული პრინციპებიდან უზრუნველყოფის პრინციპი განსაკუთრებით იმით გამოირჩევა, რომ მისი მოქმედების საფუძველზე გარემოს ზიანი საერთოდ არ უნდა მიადგეს. ამასთან, გარემოს დაცვის პრევენციულმა პოლიტიკამ უფრო მეტად უნდა გაითვალისწინოს გარემოს მედიათა ყოვლისმომცველი მნიშვნელობა და გადაწყვეტილებათა გრძელვადიანი შედეგები. უზრუნველყოფის პრინციპის მიხედვით, გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები ისე უნდა მიიღონ და გაატარონ, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენება თავიდანვე იქნას აცილებული.

უზრუნველყოფის პრინციპით უნდა გამყარდეს ადამიანთა მიერ ბუნებრივი გარემოს დაცვის საშუალებათა ისეთი გამოყენება, რომ მომავალ თაობებს რაც შეიძლება დაუზიანებელი გარემო დავუტოვოთ. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ადამიანები ტენდენციურად დღევანდელ პროდუქტებთან შედარებით მომავლისას უფრო ნაკლებად აფასებენ. ამ პრინციპის გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს ამ „არასწორი მოქმედების" გამოსწორებას.

უზრუნველყოფის პრინციპით მოქმედება როგორც შინაარსობრივად, ასევე ინსტრუმენტების თვალსაზრისით, რთული არ არის. მაგალითად, იმისიის დაცვის ფედერალურ კანონში, წყლის ბალანსის კანონში და გარემოს დაცვის სხვა საკანონმდებლო აქტებში უზრუნველყოფის ასპექტი გათვალისწინებულია.

კოოპერაციის პრინციპით გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა განხორციელება საზოგადოებრივი ძალების დროული და ყოვლისმომცველი მონაწილეობით (საწარმოთა გაერთიანებები, პროფკავშირები, გარემოს დაცვის კავშირები, მოქალაქეთა ინიციატივები) უნდა მოხდეს. სახელმწიფომ ამ დროს მნიშვნელოვანი წამყვანი როლი უნდა შეასრულოს.

კოოპერაციის პრინციპში იგულისხმება დაზარალებულთა პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა (მაგალითად, ნაგვის დასაწვავად ნაგებობათა აშენება, გზების მშენებლობა) და გარემოს დაცვის გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა შესრულების პროცესში აქტიური მონაწილეობით იზრდება ეკონომიკური პრობლემების გაცნობიერება. მაგალითად, საწარმოებისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო სამსახურების თანამშრომლობით დარგთაშორისი შეთანხმებები იქმნება. მათში განსაზღვრულია გარემოს დაცვის მიზნები, რომლებიც დროის გარკვეულ მონაკვეთში უნდა იქნას მიღწეული.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა გაერთიანებები, პროფკავშირები, მოქალაქეთა ინიციატივები და ბუნებრივი გარემოს დაცვის ორგანიზაციები, როგორიცაა „მწვანეთა კავშირი" და სხვა ინტერესთა ჯგუფები მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობენ, ევროკავშირის წევრი ქვეყნების გარემოს დაცვის პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ.

ევროკავშირში გარემოს დაცვის პოლიტიკის ამოცანებით ბევრი სამინისტროა დაკავებული. გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი გამტარებელი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არის ცენტრალური მთავრობა. გერმანიაში, მაგალითად, ფედერალურ მთავრობასთან ერთად, გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა განხორციელება ტრანსპორტის, მშენებლობისა და ბინათმშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა სამინისტროებსაც ევალება. უმეტეს დარგობრივ სამინისტროებში გარემოს დაცვის სპეციალური განყოფილებები შეიქმნა. გარდა ამისა, ხდება ცალკეულ სამინისტროთა თვალსაზრი-

სის განხილვა, რომელზეც საბოლოოდ გარემოს დაცვის ფედერალურ მინისტრთან მსჯელობენ.

გარემოს დაცვის ფედერალური სამინისტრო წამყვანია ფედერალური მთავრობის გარემოს დაცვის პროგრამის განხორციელებაში. იგი არის გარემოს საკითხებში მთავრობის წარმომადგენელი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში. გარემოს დაცვის სამინისტროს **ამოცანებია:** გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებები და სტრატეგიები; ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და განვითარება ახალ ფედერალურ მიწებზე; საერთაშორისო თანამშრომლობა; ატმოსფეროს დაცვა; ჰაერის სისუფთავის შენარჩუნება; შიდა წყლების და ზღვების დაცვა; გრუნტის წყლების დაცვა; გამდინარე წყლების დამუშავება; ნიადაგის დაცვა და ძველი პრობლემების აღმოფხვრა; ნარჩენების ლიკვიდაცია, გამოყენება და გადატანა; ხმაურთან ბრძოლა; ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა საშიში ნივთიერებებისაგან; სამრეწველო საწარმოებში ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრაზე ზრუნვა; მოსახლეობასთან გარემოს დაცვის საკითხებზე საკანონმდებლო მუშაობა; გარემოს ტექნოლოგია; ბუნების დაცვა, ლანდშაფტის მოვლა და დაგეგმვა; ატომური დანადგარების უსაფრთხოება და გამოსხივებისაგან დაცვა, რადიოაქტიური ნარჩენების გატანა.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის განხორციელების საქმეში ცენტრალური როლი **ევროკომისიას** ეკისრება. მისი ამოცანებია: „ბიძგი მისცეს“ ევროკავშირის პოლიტიკას, ჩამოაყალიბოს რეკომენდაციები (ძირითადი მიმართულებებისა და დადგენილებების პროექტები) და პოზიციები. იგი საკუთარი პასუხისმგებლობით ღებულობს გადაწყვეტილებებს და მონაწილეობს ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტის საქმიანობის განხორციელებაში.

გარემოს დაცვის გენერალური დირექციის ძირითადი ამოცანაა, მოახდინოს გარემოს სფეროში სამართლებრივი ნორმების ინიცირებისა და შემუშავების უზრუნველყოფა. წევრი სახელმწიფოების მიერ მათ განხორციელებას გარემოს დაცვის გენერალური დირექცია აკონტროლებს. ამასთან, პირველი რიგის ამოცანებია: უწყვეტი განვითარებისათვის ხელშეწყობა, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებში მაღალი სტანდარტის მიღწევა, ეკოეფექტიანობისათვის ხელშეწყობა და რესურსების ერთობლივი ეფექტიანი მოხმარება.

გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღების ცენტრი არის **ევროკავშირის საბჭო** (ევროკავშირის მინისტრთა საბჭო), რომელიც მინისტრთა დონეზე წევრი ქვეყნების ერთი წარმომადგენლისაგან შედგება. თუ მინისტრთა საბჭოს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე სამართლებრივი აქტის მიღება სურს, მაშინ მას საფუძვლად უნდა ედოს ევროკომისიის წინადადება. ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკაში ერთობლივ გადაწყვეტილებათა მიღების წესი გამოიყენება. ევროსაბჭო და ევროპარლამენტი ერთობლივ სამართლებრივ აქტებს იღებენ. პარლამენტის პოზიციასთან ერთად ევროკომისიის წინადადების მიწოდება ხდება მინისტრთა საბჭოს მიერ. თუ მინისტრთა საბჭოს პრეტენზია არა აქვს და არსებობს მისი კვალიფიციური უმრავლე-

სობის თანხმობა, მაშინ სამართლებრივი აქტი მიღებულია. ეს ეხება გარემოს დაცვის სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა: გარემოს დაცვა, სატრანსპორტო პოლიტიკა, გარემოს საკითხში აქტივობის პროგრამები. სხვა სფეროებში, მაგალითად, „ეკოგადასახადები" ან მიწის გამოყენება, გადაწყვეტილებები მხოლოდ ერთხმად მიიღება (ამ საკითხების გადაწყვეტისას ვეტოს უფლება არსებობს). როდესაც რომელიმე ქვეყანა თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეული წინადადების წინააღმდეგ მისცემს ხმას, მაშინ იგი არ გავა (დაიბლოკება).

ევროპარლამენტს გარემოს დაცვის პოლიტიკაში ერთობლივ გადაწყვეტილებათა წესის უფლებით გარემოს დაცვის პოლიტიკის კანონმდებლობაზე გავლენა აქვს. 1973 წელს შეიქმნა **გარემოს დაცვის კომიტეტი** (ამჟამად – გარემოს საკითხების, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის კომიტეტი). მას ევალება, შეამოწმოს ევროკომისიის წინადადებები და აუცილებლობის შემთხვევაში ევროკავშირის მინისტრთა საბჭოსთან დიალოგის პროცესში ცვლილებები შეიმუშაოს. კენჭისყრა ამ საკითხზე პარლამენტში ხორციელდება.

გარემოს დაცვის ერთობლივი პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია **ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს დაარსება** (1993 წლის დეკემბერში). ევროპის გარემოს დაცვის სააგენტო მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, რომლებმაც, თავის მხრივ, ეროვნული საკონტაქტო სამსახურები შექმნეს. ამ სამსახურებით გარემოს დაცვის ევროპული სააგენტოსა და ნაციონალური საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლობის კოორდინირება ხდება.

გარემოს დაცვის ევროპული სააგენტოს მიზანია გარემოზე ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებების მიმღებთათვის სანდო და შედარებადი ინფორმაციის მომზადება. ის აგრეთვე მოსახლეობასთან საგანმანათლებლო მუშაობასაც მოიცავს. გარემოს დაცვის ევროპული სააგენტო პასუხისმგებელია გარემოზე ინფორმაციის წარდგენის შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური პირობების გაუმჯობესების საქმეში. მის სხვა ფუნქციებს წარმოადგენს: გარემოს დაცვის ღონისძიებათა გაკონტროლება, გარემოს მონაცემთა ბაზის შედარება და გარემოს პროგნოზირების მეთოდების განსაზღვრისათვის ხელშეწყობა.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტსა და 1999 წლიდან რეგიონების კომიტეტს ეკისრება. გარემოს დაცვის პოლიტიკის კანონმდებლობის მოსმენა ორივე კომიტეტში ხდება, ამავდროულად, მათ არა აქვთ უფლება, კანონმდებლობის მიღებას ხელი შეუშალონ.

ევროკავშირის გაზრდილი კომპეტენცია გარემოს დაცვის პოლიტიკაში – წევრ ქვეყნებში სამართლებრივი წესების ინტენსიფიკაციასა და გავრცელებაში გამოიხატება (მაგალითად, გარემოს დაცვის ერთიანი ევროპული მიმართულების ეროვნულ ინტერესებში გადატანა). ამ პროცესების შედეგად ევრო-

კავშირის სასამართლო ექსპერტიზის მნიშვნელობა იზრდება. ევროკავშირის სასამართლო ექსპერტიზა მიჰყვება პრინციპს, რომლის თანახმად ევროკავშირის მოქალაქეები ჩივილის უფლებით გარემოს დაცვის ერთიანი მიმართულებების განხორციელების „მეთვალყურეებად“ უნდა იქცნენ. ამ თვალსაზრისით ევროკავშირის სასამართლო ექსპერტიზა გარემოს დაცვის ევროპული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. მიმდინარე პროცესების შედეგად ევროკავშირის სასამართლო ექსპერტიზის მნიშვნელობა იზრდება.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები

გარემოს დაცვის პოლიტიკის გამტარებელ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს: ეკონომიკური კოოპერაციისა და დასაქმების ორგანიზაცია (OECD). მას 1970 წლიდან გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი გააჩნია. გაეროს ფარგლებში არსებობს მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებიც გარემოს დაცვის საკითხებით არიან დაკავებული. ასეთი ორგანიზაციებია: კვებისა და აგროკულტურების ორგანიზაცია (FAO), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), გაერთიანებული ერების ეკონომიკისა და სოციალური საბჭო (ECOSOC), გაეროს კომისია განვითარების დაჩქარებისათვის (CSD) და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP). გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP) 1972 წელს სტოკჰოლმში გარემოს საკითხებზე გაეროს კონფერენციაზე შეიქმნა. გარემოს დაცვის პროგრამის რეზიდენცია ნაირობში (კენია) არის განთავსებული. მისი ძირითადი ამოცანაა გლობალური, რეგიონული და განვითარებადი ქვეყნების გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტა. ამ პროგრამის ამოცანას აგრეთვე გარემოს დაცვის საქმიანობაში გაეროს დანარჩენი ორგანიზაციების კოორდინირება წარმოადგენს. ორგანიზაციების ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ გარემოს საერთაშორისო დაცვის საკითხში საჭიროა ძირეული რეფორმის გატარება იმისათვის, რომ მიღწეული იქნას გარემოს დაცვის ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება.

ასეთი და მსგავსი საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობა შეზღუდულია. მათ, მართალია, პოლიტიკის კონკრეტულ ღონისძიებათა გასატარებლად კომპეტენცია გააჩნიათ, მაგრამ, როგორც წესი, ძალაუფლება აკლიათ. ხშირად მათ მხოლოდ რჩევების მიცემა შეუძლიათ, რომელთა განხორციელება კი ჯერჯერობით მხოლოდ სახელმწიფოთა ეროვნული ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენს.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები

მიმოხილვა

გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია გარემოს დაცვა და მისი ინტენსიური გამოყენების შემცირება. გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტებით ცდილობენ როგორც დასახული მიზნის მიღწევას, ასევე მასთან დაკავშირებული ახალი შესაძლებლობების გამოვლენას.

გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტები მოიცავენ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელსაც სახელმწიფო იყენებს გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. ეს ინსტრუმენტები არსებული სოციალური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩოებს უნდა შეესაბამებოდეს. სოციალური ჩარჩო პირობების სრულყოფა უნდა მოხდეს ეკოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების ეფექტიანი განხორციელება მხოლოდ წესრიგის სამართლებრივი და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენებითაა შესაძლებელი. ბუნებრივი გარემოს რესურსებს საზოგადოებრივი პროდუქტის ხასიათი აქვთ, რის გამოც ეკონომიკაში მარტო დეცენტრალიზებული ბაზრის არსებობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ პროცესების რეგულირების ფუნქცია შეასრულოს.

გარემოს დაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტების სისტემატიზაცია სხვადასხვა თვალსაზრისით ხდება. წესრიგის სამართლებრივი და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების გარდა, ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომელი სტრატეგია ხორციელდება: რაოდენობის თუ ფასების დაფიქსირების. რაოდენობის დაფიქსირების საფუძველზე პრობლემის გადაჭრა (მაგალითად, გარემოს დაბინძურების რეგლამენტირება და ლიცენზიები) ითვალისწინებს მავნე ნივთიერებათა ემისიის და მათი გამოსხივების შეზღუდვას, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასების სტრატეგიით გარემოს რესურსებით სარგებლობის ფასი (მაგალითად, ხარჯები) დგინდება.

წესრიგის სამართლებრივი ინსტრუმენტები

წესრიგის სამართლებრივი ინსტრუმენტები გარემოს დაცვის პოლიტიკის ტრადიციულ საშუალებას წარმოადგენს, რომელთა მნიშვნელობა ყოველდღიურად იზრდება. მათი ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და მასთან ერთად გარემოს დაცვის პოლიტიკის წარმატებებს გამჭვირვალეს ხდიან. სამართლებრივი წესრიგის ინსტრუმენტების ნაკლია, პირველ რიგში, არასაკმარისი მოქნილობა, ინოვაციისა და ასევე ხარჯების არადამაკმაყოფილებელი დონე. წესრიგის სამართლებრივი ღონისძიებები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების განხორციელების ხელსაყრელ დანახარჯებს. პრაქტიკაში არსებობს ამ ინსტრუმენტთა დიდი რაოდენობა, რომლებიც შეიძლება გარკვეული კრიტერიუმებით განვასხვავოთ (როგორიცაა ინტენსიურობა, ამოსავალი მდგომარეობა, დროის მონაკვეთი და სხვა). გარემოს დაცვის პოლიტიკის **მთავარი ინსტრუმენტებია**: გარემოს დაცვის ვალდებულებები, ნორმები, წინადადებები, წესები, აკრძალვები, პროდუქციის სტანდარტი, პროდუქციის ნორმები, რაოდენობის ლიმიტირება, დასახელების აკრძალვა და ა.შ. სახელმწიფო გავლენა მათი გამოყენების შემთხვევებზე შედარებით დიდია. ამჟამად არსებობს დაახლოებით 7000 ასეთი საკანონმდებლო აქტი გარემოს დაცვის

პოლიტიკის სფეროში. ისინი დაზიანების გამომწვევთა პრინციპს ეფუძნებიან. ამ პრინციპის მიხედვით, გარე ხარჯები უნდა შემცირდეს, სრულებით აღმოიფხვრას და გამომწვევთა ხარჯებში იქნას ინტეგრირებული.

გარემოს დაცვის ნორმები არის ინსტრუქციები მოქმედების შესახებ, რომლებიც გარემოს დამზიანებელს აიძულებს, გარემოსათვის ზიანის მიმყენებელი ქმედებები (მოწოდებები) შეამციროს ან საერთოდ შეწყვიტოს ისინი (აკრძალვები). აკრძალვების დროს აბსოლუტურად გამორიცხულია ეკონომიკური სუბიექტების მიერ გარემოსათვის ზიანის მიმყენებელი ქმედებები. ინსტრუქციებით, რომელთა უმნიშვნელოვანესი ფორმა ემისიის ზღვრული სიდიდეებია, ეკონომიკური სუბიექტებისათვის მითითებულია გარემოზე დასაშვები ზეგავლენის გარკვეული მოცულობა. ემისიის დასაშვები მოცულობის განსაზღვრისათვის დგინდება იმისიის (გარემოზე ზემოქმედების) სიდიდეები და ამის საფუძველზე განისაზღვრება მიზანმიმართული ემისია. ემისიის ზღვრული სიდიდეები, მავნე ნივთიერებათა დასაშვები მოცულობის თვალსაზრისით, ისეთი რაოდენობით უნდა იქნას გამოყენებული, რომ გამომწვევები ვაიძულოთ, მისი თავიდან აცილების ქმედითი ღონისძიებები გაატარონ. ემისიებთან ერთად გარემოს დაცვის ნორმების დადგენის საწყის მდგომარეობად გვევლინება წარმოების პროცესი, საწარმოო და სამომხმარებლო ნარჩენების დამუშავება და ა.შ., ასევე პროდუქციის სამომხმარებლო თვალსაზრისით გამოყენება. საემისიო განაწესები ჰაერის დამაბინძურებელ ნივთიერებებზე, მაგალითად, გერმანიაში, ჩადებულია დადგენილებაში მაღალაალებადი მოწყობილობების შესახებ და მათ ტექნიკურ ინსტრუქციებში. ამ შემთხვევაში ამოდიან ტექნიკის შესაბამისი მდგომარეობიდან. საემისიო განაწესი გვხვდება აგრეთვე კანონში წყლის ბალანსის შესახებ (WHG). წარმოების პროცესის განაწესების ნიმუშად უნდა დავასახელოთ გარემოს ძლიერ დამზიანებელი მავნე ნედლეული და საწარმოო მასალების გამოყენება, გარემოსათვის უვნებელი (ან ნაკლებად მავნე) მასალების გამოყენება, ასევე დადგენილებები ტექნოლოგიის დაცვისათვის საექსპლოატაციო ნორმის თვალსაზრისით (მაგალითად, გათბობის დანადგარები ფუნქციონირების გარკვეულ ხარისხს უნდა ავლენდნენ) და სხვა.

გარემოს განაწესებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ წარმოებაზე მავნე ნივთიერებების შემცველი საქონლის წარმოების მოცულობის ლიმიტირებით (ასეთი საქონლის წარმოების აკრძალვის ჩათვლით), ასევე ამ ტერიტორიებზე მოსახლეობის დასახლების აკრძალვით. გარემოს დაცვის ნორმების გამოყენების სასარგებლოდ გარკვეული არგუმენტები არსებობს. ზოგადად მათი გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს: სწრაფ ეფექტიანობაში, დასახული მიზნის მისაღწევად რეაგირების მაღალ საიმედოობაში (დანახარჯებთან შედარებით) და ასევე მათი პრაქტიკული გამოყენების დიდ შესაძლებლობებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ დაბინძურების მწვავე საშიშროების შექმნის დროს ნორმების მოქმედებას სწრაფად მოაქვს შედეგი. გარდა ამისა, ისინი საშუალებას იძლევიან, მოხდეს ემისიებთან დაკავშირებით დასახული

მიზნების რეალიზება. მაგალითად, დაბინძურების გამომწვევებმა უნდა დაიცვან ემისიათა ზღვრული სიდიდეები, რასაც მივყავართ მავნე ნივთიერებების ემისიის პირდაპირ შემცირებამდე. ამის წინაპირობა, დარღვევების შემთხვევაში, არის საგრძნობი სანქციების მექანიზმის ამოქმედება. გარემოს დაცვის დასახული მიზნების მიღწევა შეუძლებელია იძულების დაბალი ხარჯების საფუძველზე, რაც გარემოს დაცვის ნორმების გამოყენების ნაკლს წარმოადგენს. მართალია, გამომწვევებს აქვთ ზიანის თავიდან აცილების შესაძლებლობათა თავისუფალი არჩევანი, მაგრამ ამ დროს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა ინდივიდუალური ზღვრული ხარჯები გაუთვალისწინებელი რჩება. სრულიად ნათელია, რომ გარემოს დაცვის მიზნების განხორციელება დაბალი საერთო ეკონომიკური ხარჯებით შეუძლებელია. ტექნიკურ საშუალებათა არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მყოფი – დამატებითი ახალი სამართლებრივი ნორმების მისაღებად არავითარი სტიმული არ არსებობს (ამ შემთხვევაში ხიბლი არსებობს მხოლოდ საზოგადოების ნაციონალურ ინტერესს აქვს, რომელსაც, სამწუხაროდ, საკანონმდებლო ორგანოში ლობისტური ჯგუფი არ გააჩნია). სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვა გარემოს დაცვის სფეროში აღნიშნული მიზეზების გამო დიდი დაგვიანებით ან საერთოდ არ მიმდინარეობს, რასაც ზოგჯერ „გარემოსათვის უვნებელი“ ტექნიკური პროგრესის შენელება მოჰყვება. და ბოლოს, ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ გარემოს დაცვის ხარჯებიდან კონკურენციის პროცესში წარმოქმნილი დარღვევებიც არ უნდა გამოირიცხოს.

სამართლებრივი ჩარჩო პირობები

გარემოს დაცვის პოლიტიკაზე დადებითი გავლენა ნორმებთან ერთად სამართლებრივი ჩარჩო პირობების ცვლილებამაც შეიძლება მოახდინოს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, მაგალითად, კონტროლი გარემოზე ზემოქმედების აქტივობის დაწყებამდე (დაშვების, რეგისტრაციის და განცხადებების ფორმები), გარემოს უსაფრთხოების დაცვის აუცილებელი შემოღება, გარემოს დაცვაზე კერძო სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, ასევე გარემოს პირობების ქმედითი კონტროლი და ინფორმაციის მიწოდება. გარემოს დაცვის პოლიტიკის შესამჩნევი ეფექტები განსაკუთრებით პასუხისმგებლობის სამართლებრივი მოწესრიგებიდან შეიძლება მივიღოთ. მაგალითად, გარემოს დაზიანების საფრთხის შექმნაზე პასუხისმგებლობას და ზიანის ფაქტორის არსებობას (სულ ერთია, დაზიანება არსებობს თუ არა) მივყავართ ზარალის ანაზღაურების ვალდებულებების წარმოქმნამდე. რასაკვირველია, ზარალის ანაზღაურების პოტენციურ მოთხოვნებს ან მისი დაზღვევის პრემიებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ გარემოს დაზიანების რისკების თავიდან აცილებას და ზიანის მიყენებულ ქმედებათა შემცირებას. ასეთ შემთხვევებში ამ ინსტრუმენტთა სწრაფ მოქმედებას უპირატესობა უნდა ჰქონდეს „სამომავლო დინამიკურ მოქმედებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობასთან“ შედარებით.

წესრიგის სამართლებრივი ინსტრუმენტები მომავალშიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ გარემოს დაცვის საქმეში. მათი გამოყენება სწორედ იქ არის აუცილებელი, სადაც საქმე სერიოზული ზიანის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება. მიუხედავად ამისა, მოწოდება ეკონომიკური ან საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების შესახებ სულ უფრო ხმამაღლა და ხშირად გაისმის. ამასთან, საქმე არ შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ წესრიგის სამართლებრივი ინსტრუმენტები შეიცვალოს ეკონომიკური ინსტრუმენტებით. ამ მოწოდების მიზანია არსებული წესრიგის პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის შევსება, მისი ეკონომიკური ეფექტიანობის უპირატესი გათვალისწინებით.

ეკონომიკური და საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტები

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ინსტრუმენტების (ძირითადად იგულისხმება გარემოს დაცვის ნორმები) გამოყენება მავნე ნივთიერებათა ემისიის შემცირებას იწვევს, მაგრამ ეს დაბალი საერთო ეკონომიკური დანახარჯებით არ ხდება. გარდა ამისა, მოქმედებენ ეკონომიკური თუ საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტები. პირველ რიგში, აქ საქმე ეხება გარემოს დაცვის დანახარჯებისა და ლიცენზიების (გარემოს დაცვის სერტიფიკატების) ქმედითუნარიანობას.

ეკონომიკური ინსტრუმენტების მიზანია, მინიმალური დანახარჯებით შევინარჩუნოთ და მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი გარემო ან შეზღუდული საფინანსო საშუალებები გამოვიყენოთ ისეთი ღონისძიებებისათვის, რომლებიც სავარაუდოდ დიდ ეკონომიკურ სარგებელს მოგვიტანს.

გარემოს დაცვის დანახარჯების შემთხვევაში საქმე ეხება ინსტრუმენტს, რომლის გამოყენების შედეგად იქმნება დაფინანსების შესაძლებლობების სტიმული გარემოს დაცვის პოლიტიკის დასახული მიზნებისა და ნორმების შესრულებისათვის. ამასთან დაკავშირებით, უნდა დავასახელოთ აგრეთვე გარემოს დაცვის გადასახადები (პიგუს გადასახადები) და მათი საფინანსო ეკონომიკური განხილვის წესი. ამ შემთხვევაში გამოიყენება ცნებები – ეკოგადასახადები, გარემოს დაცვის ხარჯები და გარემოს დაცვის სპეციალური ხარჯები. მათი განსხვავება ხდება ცალკეულ ღონისძიებათა მიზნის განსაზღვრით. მნიშვნელოვანია ასევე მიზნის განსაზღვრის კატეგორია (საერთო ბიუჯეტისათვის, გარემოს დაცვის საერთო და სპეციალური ამოცანებისათვის). სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას გარემოს დაცვის ამოცანებთან დაკავშირებით არ აქვს ადგილი, ისე, როგორც ეს ხდება წესრიგის სამართლებრივი ნორმების დროს. გამომწვევს არაპირდაპირ უფრო მეტად უნდა დაეკისროს გარემოს მიმართ სწორი მოპყრობა (მართვის ფუნქცია). ამის საფუძველია წარმოებაში ეკონომიკის სხვა სფეროებიდან შეტანილი რესურსები, ნედლეული, საწარმოო პროცესი (მეთოდი, ტექნოლოგიები), პროდუქციის რაოდენობა, ემისიები და ა.შ. დანახარჯების მიზანი, პირველ რიგში, ემისიების შემცირებაში მდგომარეობს. სტიმულირების თვალსაზრისით, გარემოს დაზიანების პოტენციური გამომწვევი პირი იძულებული ხდება, გარემოს პროდუქტების გამოყენებისას

მაღალი ფასი გადაიხადოს ან გარემოს დაზიანების აქტივობა შეამციროს. ასე რომ, გარემოს პროდუქტები ხარჯების ფაქტორი ხდება წარმოების ან მოხმარების ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღების დროს. გამომწვევი პირი ხარჯებს მხოლოდ ემისიის შემცირებით აიცილებს, სანამ ის უფრო იაფია, ვიდრე დანახარჯების დაფარვა. თუ დასახული მიზანი განვითარების შემდგომ პერიოდში გადაჭარბებული იქნება ან პირიქით, მაშინ ხარჯები შესაბამისად იქნება მისადაგებული.

დანახარჯების სიდიდის განსაზღვრას საფუძვლად უდევს გარემოს დაცვის პოლიტიკის შემდეგი კონცეფცია: დგინდება იმისიის ზღვრული ღირებულება, შემდეგ განისაზღვრება ემისიის სიდიდე, რომელიც ამ ღირებულებასთან ჯერ კიდევ თავსებადია. გარემოს დაზიანების ხარჯები, რომელ კონკრეტულ სახეზეც უნდა იყოს მიმართული, უკვე ისეთი მაღალი სიდიდისაა, რომ ამით გარემოს დაცვის ღონისძიებებს სტიმული ეძლევა. ასეთი მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ გარემოს დაცვის ხარჯები ამ ასპექტში ეკონომიკურად ეფექტიანია. გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების ან შემცირების „ჰონორარებით“ ხდება, ერთი მხრივ, მოგების გაზრდა და, მეორე მხრივ, გარემოს დამცავი ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა. მაშასადამე, კონკურენციის ასპექტი ძლიერდება (საბაზრო კონფორმიზმი), მაგრამ ხარჯების საკითხის გადაჭრაში ნაკლიც უნდა აღვნიშნოთ. ხარჯების სიდიდე, საბოლოოდ, არის ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შედეგი. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში ამოქმედდება ძალები, რასაც ხარჯების შემცირებისაკენ მივყავართ. უნდა ველოდოთ აგრეთვე გადამხდელთა მხრიდან ხარჯების გაწევაზე წინააღმდეგობას. ამას ემატება ისიც, რომ გარემოს პროდუქტებზე ფიქსირებული ფასების არსებობის შემთხვევაში – მათი (ფასების) სიდიდე თვითონ არის დამოკიდებული ბაზარზე. ემისიის რაოდენობა არა მარტო ხარჯების წილზე, არამედ ეკონომიკის განვითარებაზეც არის დამოკიდებული. ემისიის რა მოცულობა გვექნება საბოლოოდ – თვითონ ბაზარს უნდა ვანდოთ. ეს კი ნიშნავს, რომ გარემოს პოლიტიკის მიზნების მიღწევა, როგორიცაა იმისიის ზღვრული სიდიდე ან გარემოს სტანდარტები, ზუსტად მიღწევადი არ არის (ცდებისა და შეცდომების საფუძველზე მიღებული დასკვნები).

შევაჯამოთ ზემოთ მოყვანილი შეხედულებები: გარემოს დაცვის ნორმების გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს მათი მაღალი ეკოლოგიური ეფექტიანობა, გარემოს დაცვის ხარჯები კი, პირიქით, ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით უპირატესობის მომცემია. გარემოს ნორმების და ხარჯების უპირატესობებმა და ნაკლოვანებებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ გარემოს გამოყენების ლიცენზიის (გარემოს სერტიფიკატები) შემოღებამ მზარდი მნიშვნელობა მოიპოვა. გარემოს ლიცენზიები, ანუ გარემოს გამოყენების სამოქმედო უფლებები, ასევე საბაზრო-ეკონომიკურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავის თავს განიხილავს, როგორც გარემო მედიების „მესაკუთრედ“ და ადგენს, თუ რა სიდიდემდე შეიძლება ეკონომიკური

სუბიექტების მიერ გარემოს გამოყენება (ემისიის ზღვრული სიდიდე, გარემოს ხარისხის სტანდარტების შენარჩუნება).

გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილება მდგომარეობს გარემოს გამოყენების დასაშვები საზღვრების (მოცულობის) დადგენაში. გარემოს გარკვეული სიდიდით გამოყენებაზე სერტიფიკატები გაიცემა სახელმწიფოს მიერ, შემდეგ კი ისინი ეკონომიკურ სუბიექტებს შორის მოძრაობს. მათი შეძენა ბირჟაზეც შეიძლება. ამ გზით წარმოიშობა ბაზარი, რომელზეც ფასი მიწოდებითა და მოთხოვნით მოწესრიგდება. მიწოდება და მოთხოვნა, თავის მხრივ, დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტების მიერ გარემოზე ზემოქმედების, მისი გამოყენების განსხვავებულ ხარჯებზე. თუ ისინი გარემოს ლიცენზიის ფასებზე მეტია, მაშინ გარემოს სერტიფიკატებზე (ლიცენზიებზე) მოთხოვნა იზრდება, საპირისპირო შემთხვევაში სერტიფიკატების მიწოდება ბაზარზე (ბირჟაზე) იზრდება. ამით სასურველ გარემოს ხარისხის შენარჩუნებასთან ერთად საერთო ეკონომიკური ხარჯების შემცირება ხდება.

ამ მიდგომის უპირატესობა, როგორც ეკოლოგიურ, ისე ეკონომიკურ ეფექტიანობაში და „დიდ“ საბაზრო კონფორმიზმში უნდა ვეძებოთ. ამასთან დაკავშირებით, უნდა დავასახელოთ აგრეთვე „ღია ბაზრის პოლიტიკის“ შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს უნდა შეეძლოს მოთხოვნის მიხედვით გარემოს ლიცენზიების მოცულობის შემცირება ან გაზრდა. ამ მიდგომის ნაკლი მდგომარეობს პრაქტიკული გამოყენების მრავალმხრივ პრობლემებში (სერტიფიკატებზე ვადების დაწესება, სერტიფიკატის თავისუფალი გადაცემა, აუქციონი, ეკოლოგიური რეგიონების გამიჯვნა და ა.შ.). გარდა ამისა, ლიცენზიებით შეიძლება ბაზარზე შესვლის დაბრკოლებები შეიქმნას, რომლებიც კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის ტენდენციებს ხელს შეუწყობდნენ (კონკურენციის პრობლემები). ჩვენ, აგრეთვე, გარემოს ლიცენზიებით ვაჭრობის წინააღმდეგ ემოციური არგუმენტი უნდა გავითვალისწინოთ. არგუმენტია ის, რომ ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძვირფასი განძი (საზოგადოებრივი პროდუქტი) – ბუნებრივი გარემო არ უნდა გაიყიდოს. უმეტეს შემთხვევაში ხელისუფლებას თვალთახედვის არედან „რჩება“, რომ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული ყოველი ნებართვით ეკონომიკური სუბიექტების მიერ გარემოზე უფრო დიდი ზეწოლა ხდება, ვიდრე გაცემული ლიცენზია ითვალისწინებს.

ემისიების უფლებებით ვაჭრობა პირველად 1998 წლის იანვრიდან აშშ-ში შემოიღეს (ნახშირორჟანგის ემისიების შესამცირებლად). 2002 წლის 9 დეკემბერს მიღებულ იქნა ევროკავშირის დირექტივა ემისიით ვაჭრობის შესახებ, რომელიც 2005 წლიდან ძალაში შევიდა. ამით ევროკავშირი იმედოვნებს, რომ შეიქმნა ახალი ინსტრუმენტი CO_2-ის გამოდევნის შესამცირებლად. კიოტოს პროტოკოლის მონაცემებით, კლიმატის დაცვის მიზანი საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტებით უნდა იქნას მიღწეული. არსებითად საქმე ეხება საწარმოებში ენერგიის დამზოგავი პროდუქციის წარმოების სტიმუ-

ლირებას და ამით საწარმოებიდან CO_2-ის გამოყოფის შემცირებას (ვიდრე ეს ევროკავშირის მიერაა ნებადართული). ასეთ საწარმოებს შეუძლიათ გამოუყენებელი ლიცენზიების გაყიდვა, ხოლო მათ, რომლებიც აჭარბებენ CO_2-ის გამოყოფის დასაშვებ მოცულობას, უნდა განახორციელონ ინვესტიციები მავნე ნივთიერებათა შემზღუდავ ტექნოლოგიებში ან ემისიის ლიცენზიები იყიდონ. ევროკავშირში ეს კანონი, პირველ რიგში, შეეხო დაახლოებით 5000 საწარმოს ისეთი დარგებიდან, როგორიცაა ენერგეტიკა, შავი მეტალურგია, კერამიკა, ქაღალდის და ქიმიკატების წარმოება.

მრავალი ქვეყნის მთავრობა მოუწოდებს კანონის მოქმედების გავრცელებას ეკონომიკის სხვა სფეროებზე (განსაკუთრებით ტრანსპორტის სექტორზე). ევროკავშირის წევრი ქვეყნები ევროკომისიის წინაშე ანგარიშვალდებული არიან. გარემოს გამოყენების მინიჭებული უფლებების გადაჭარბების შემთხვევაში მათ სანქციები ელით.

2005 წლიდან არალიცენზირებული ყოველი ტონა CO_2-ის გამოყოფაზე 40 ევრო ფულად ჯარიმას იხდიდნენ. 2008 წლიდან ჯარიმა 100 ევრომდე გაიზარდა. ევროპარლამენტის წინადადება, რომ ეს წესი გავრცელდეს ყველა სასათბურე გაზებზე, ჯერ არ გამოიყენება. ლიცენზიებით ვაჭრობასთან ერთად შეიქმნა სხვა ინსტრუმენტებიც, რომლებიც მსგავს პირობებს აყენებენ. განვიხილოთ ორი მაგალითი:

1. აშშ-ში ე.წ. „ზარების პოლიტიკით“ (Bubblepolitic) განვითარდა ინსტრუმენტი, რომლის მიზანია გარემოს დაცვის ღონისძიებებზე ხარჯების შემცირება. ერთ-ერთი გარკვეული რეგიონის ფარგლებში მავნე ნივთიერებათა განსაზღვრულმა მოცულობამ (ემისიის სიდიდე) ნორმას არ უნდა გადააჭარბოს. ამავდროულად, არ არის დაწესებული, საწარმოებმა რა ღონისძიებები უნდა გაატარონ და ერთმანეთში როგორ უნდა შეთანხმდნენ. ეს პოლიტიკა მათ მოქმედების ფართო არეალს აძლევს. ზარის ქვეშ მყოფი მთლიანი ემისია ცალკეული ემისიების ჯამს არ გადააჭარბებს, რომელიც საწარმოთა მიერ ნორმების გამოყენებისას წარმოიქმნება. ამით ხელსაყრელ ფასებში დაწესებული ზღვრული სიდიდეების დაცვა შესაძლებელი ხდება. საწარმოებს შორის წარმოქმნილი პრობლემები ადვილად გადაიჭრება;

2. ეკოლოგიურად ძალიან მოქნილი ინსტრუმენტია ე.წ. გათანაბრების, დაბალანსების პოლიტიკა (offsetpolitic). ამ შემთხვევაში ემისიის ახალი მოცულობის დასახელება ან სამრეწველო ობიექტების გაფართოება შესაძლებელია, თუ ამით გამოწვეული გარემოს დაზიანების ზრდის კომპენსირება სხვა ადგილებზე ემისიის ხარჯების შემცირებით მოხდება. ასეთი მოთხოვნების საფუძველზე ყოველი ახალი ობიექტით მავნე ნივთიერებათა ემისია მცირდება.

ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რომლებიც გარემოს მიმართ კანონის ფარგლებში მოქმედებენ, მონეტარული ან სხვა სახის სტიმულები იქმნება. ამასთან, მათ გარემოს დაცვის პოლიტიკის საზღვრებში დაწესებული წესრიგის სამართლებრივი ინსტრუმენტების მეშვეობით საშუალება ეძლევათ, გარემოს დაცვის მზარდ მოთხოვნებს ხარჯების შემცირებით უპასუხონ.

საბაზრო ეკონომიკის „თამაშის წესების“ შესაბამისად, გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, ცალკეულ პირთა ინტერესებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის პოლიტიკაში საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ მაინც საერთო მიზანი აკავშირებთ.

სხვა ინსტრუმენტები

გარემოს დაცვის პოლიტიკაში წესრიგის სამართლებრივ და საბაზრო ეკონომიკურ ინსტრუმენტებთან ერთად სხვა მრავალი ინსტრუმენტი არსებობს. ამ მიზეზით ერთ-ერთ ჯგუფზე მათი დაქვემდებარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ყველაზე დიდი მნიშვნელობა იმ ფისკალურ ინსტრუმენტებს ენიჭებათ, რომლებიც საზოგადოებრივ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მათში, გარდა გარემოს პირდაპირი დაცვისა (ერთობლივი ხარჯების განხორციელების პრინციპი), შედის საზოგადოებრივ-სამართლებრივი ინსტიტუტები (მაგალითად, ისეთი ღონისძიებების დაფინანსებით, როგორიცაა საერთაშორისო თბოსისტემების შექმნა ან გარემოს დამცავი გზების მშენებლობა, ხმაურისაგან დაცვა, წყლების გაჯანსაღება და კომუნალური ნარჩენების გატანა), ასევე რელევანტური გარემოს კვლევისა და განვითარების პროექტების შექმნა და გარემოს ინსტიტუციონალური დაცვის დაფინანსება (გარემოს დაცვის ფედერალური სამსახური, გარემოს დაცვის კავშირები). აქვე უნდა დავასახელოთ გარემოს დაცვის სფეროს სუბსიდიები. ამ შემთხვევაში სახელმწიფო თავისი შემოსავლებიდან გარემოს დაცვის ხარჯებს მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებს. გამონაკლის შემთხვევებში გარემოს დაცვის პოლიტიკის სუბსიდიები შეიძლება ეკონომიკურად გამართლებული იყოს (თუ ისინი გარემოს მდგომარეობას აუმჯობესებენ).

მაგრამ, როგორც წესი, საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, ისინი არაეფექტიანია. ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთა მიზანია წარმოებასთან მიმართებით გარემოს დაცვის პოლიტიკის მოთხოვნათა განხორციელება, მზარდ მნიშვნელობას იძენენ (საწარმოს გარემოს მენეჯმენტი). ამ შემთხვევაში საქმე ეხება ორგანიზაციული პირობების შექმნას იმ საწარმოებში, რომლებიც საკანონმდებლო წესების დაცვის გარანტიას იძლევიან (როგორიცაა განკარგულებები გარემოს დაცვაზე პირადი მეთვალყურეობის შესახებ, უსაფრთხოების ანალიზი ან გარემოს დაცვის სხვა მნიშვნელოვანი პროცესები). საწარმოში გარემოს დაცვის ზედამხედველობის საზღვრებში შესაძლებელია დავასახელოთ: ნარჩენების შესახებ კანონი, განკარგულება დასხივებისაგან დაცვის შესახებ, საკანონმდებლო ინსტრუქციები ან საწარმოში გარემოს უსაფრთხოების ორგანიზაციის დაფუძნება (საქმიანობის განმხორციელებლის ანგარიშვალდებულება შესაბამისი ორგანოებისადმი). ასეთი ორგანიზაციული ჩარევები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მარტო კანონით გათვალისწინებული დაცვისა და უზრუნველყოფის მოვალეობების შესრულებით. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის შესაბამისი პროცესების ინოვაციებისათვის ხელშეწყობის

მიზნით, საწარმოებსა და ორგანიზაციებზე გავლენა უნდა მოახდინონ. საწარმოს გადაწყვეტილებათა მიხედვით, ისეთ ინსტრუმენტებად, რომლებიც გარემოს დაცვის უზრუნველყოფას ემსახურება, ითვლება: ხელმძღვანელობაში გარემოს დაცვის პასუხისმგებელი წევრის ვალდებულება, დოკუმენტაციის წარმოება, გარემოს კომპლექსური ბალანსები (რომლებიც საწარმოს მთელი ენერგეტიკული და ნედლეულის მოხმარების დაბალანსებას ახდენენ) ან ნაწილობრივი ბალანსები (მაგალითად, ნარჩენების ბალანსი) და ასევე, გარემოს აუდიტი. ევროკავშირმა გარემოს აუდიტი შემოიღო, როგორც ახალი საინფორმაციო და მაკონტროლებელი ინსტრუმენტი. იგი გამოიყენება ნებაყოფლობითობის საფუძველზე და, პირველ რიგში, თვითკონტროლსა და საწარმოს რეკლამას ემსახურება. გარემოს აუდიტით საწარმოებს უნდა დაეგალოს გარემოს დაცვის კონკრეტული მიზნების განხორციელება, საქმიანობის კომპლექსური პროგრამის შედგენა და გარემოს დაცვის მაკოორდინირებელ ღონისძიებათა გატარება. ეს ინსტრუმენტები, პირველ რიგში, საწარმოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის შესაფასებლად შეიძლება იქნას გამოყენებული. ისინი ნაკლებად გამოსადეგია გარემოზე საკუთარი ზეგავლენის დაბალანსებისათვის (განსაკუთრებით ენერგიისა და ნედლეულის მოხმარების საქმეში).

ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თეორიულად ძალზე საინტერესოა ის პირობები, რომლებიც გარემოს დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას მოლაპარაკებათა გზით ცდილობს (Coase Theorem – ქოუზის თეორემა). რონალდ ქოუზის მიხედვით, „ბაზრის წარუმატებლობა“ უნდა გამოსწორდეს არა სახელმწიფოს ჩარევით (გადასახადები ან სუბსიდიები), არამედ გარე ეფექტების ნებაყოფლობითი ინტერნალიზებით. მაგალითად, თუ სახელმწიფო გარემოს პროდუქტებზე კერძო საკუთრების უფლებებს განსაზღვრავს (მაგალითად, სერტიფიკატების სახით) და მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობას დამზიანებელს აკისრებს, მაშინ ორივე მხარეს შეუძლიათ გარემოს დაცვის სასურველ ხარისხზე და შესაბამისი კომპენსაციის გადახდაზე მოილაპარაკონ. ოპტიმალური თვალსაზრისით საკითხის გადაჭრას ასე შეიძლება მივაღწიოთ. ამ პირობის მთავარი პრობლემა მდგომარეობს მაღალ ტრანსაქციურ ხარჯებსა და „Free-rider“-ის პოზიციაში, რომელიც ეკონომიკურ სუბიექტებს უჭირავთ გარემოს დაცვის ხარისხის დადებითი გარე ეფექტების დროს. სხვა ღონისძიებებია ნებაყოფლობითი გარემოს დამცავი დამოკიდებულებისათვის ხელშეწყობა და ბუნებრივი გარემოს მოპყრობისადმი შეგნების მაღალი დონის დამკვიდრება (გარემოს დაცვის ეთიკა).

ამის მიღწევა შესაძლებელია: გარემოს შესახებ გაუმჯობესებული ინფორმაციით, მოწოდებებითა და სტიმულებით (სოციალური აღიარება, გარემოს დაცვის ნიშნის „მწვანე წერტილის“ მინიჭება), გარემოს დაცვისათვის სწორი სამეწარმეო საქმიანობით, გარემოსათვის უვნებელ პროდუქტებზე მომხმარებელთა მოთხოვნის პირობების შექმნით, სოციალური სანქციებით გარემოს დამზიანებელი საქმიანობისათვის (გაკიცხვის ფორმით), გარემოს დაცვის შესახებ განათლების პოლიტიკით და სხვა.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი

გარემოს დამცავი საქმიანობის მთავარი პრინციპების განხორციელებასთან ერთად გარემოს დაცვის რაციონალურ პოლიტიკაში იგულისხმება: ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინვენტარიზაცია, გარემოს დაცვის რაციონალური პოლიტიკის მიზნების ნათლად ჩამოყალიბება და დაგეგმვა, მათი ადგილისა და როლის პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრა, ხოლო ამ მიზნების მისაღწევად ეკოლოგიურ-ეკონომიკურად ეფექტიანი სამართლებრივი და ადმინისტრაციული პოლიტიკის დამამკვიდრებელი ინსტრუმენტების გამოყენება, ამავდროულად, აუცილებელია გატარებული ღონისძიებების გაზომვა გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნების განხორციელების სიდიდით და მათი წვლილი ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიზანთა სტიმულირებაში.

დღეს განვითარების პროცესების განსაკუთრებული სირთულეა ის, რომ გარემოს დაცვის უამრავმა პრობლემამ საერთაშორისო ან გლობალური განზომილება მიიღო. ჰაერის, წყლების დაბინძურება და ა.შ. მხოლოდ ნაციონალური საზღვრებით არ შემოიფარგლება. გლობალური მასშტაბით ნივთიერებათა ცვლა და რესურსების დაზიანება გარემოს მზარდი პრობლემების გადაჭრაში ერთობლივ საერთაშორისო ძალისხმევას მოითხოვს. საჭიროა საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და სტანდარტების საფუძველზე მოქმედება, მაგრამ, ამავდროულად, გარემოს დაცვის საერთაშორისო პოლიტიკის სუსტ მხარეს სწორედ ეს წარმოადგენს. საერთაშორისო მასშტაბით არ არსებობს გარემოს დაცვის პოლიტიკის გამტარებელი, რომელსაც კომპეტენციასთან ერთად გარემოს დაცვის გლობალური პოლიტიკის დამკვიდრების ძალაუფლებაც ექნება. მართალია, გარემოს დაცვის საკითხებზე 180-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება არსებობს, მაგრამ მათი ქმედითუნარიანობა ძალზე დაბალია. მის სუსტ მხარეებად ითვლება ძალისხმევის მიმართვა გარემოს შერჩეული ასპექტებისაკენ, ინტეგრაციული წინაპირობის არარსებობა, გარემოს დაცვის სტანდარტების „შერბილების“ ტენდენცია (დაბალი სტანდარტები, სპეციალური დადგენილებები, გამონაკლისების რეგულირება) და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გარემოს დაცვის სფეროში დარღვევები ან არ ისჯება სანქციებით, ან ეს უმნიშვნელოდ ხდება. ამდენად, შეთანხმებათა ქმედითუნარიანობა ცალკეული ქვეყნების მთავრობათა ნებაზეა დამოკიდებული.

დღეს განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს გამწვავებული კონფლიქტი საერთაშორისო ვაჭრობასა და გარემოს დაცვას შორის. გარემოს დაცვის საერთაშორისო პოლიტიკის უახლეს კონვენციებში ვაჭრობის შეზღუდვები გათვალისწინებულია, როგორც გარემოს დაზიანების წინააღმდეგ ზრუნვა (აკრძალვები საშიში ნივთიერებების ექსპორტზე, იმპორტზე, ნარჩენებსა და ტექნოლოგიებზე და ა.შ.), მაგრამ ასეთი ქმედება, რომელიც მესამე სახელმწიფოს (ანუ ხელის არმომწერ სახელმწიფოს) აყენებს ზარალს, ნა-

წილობრივ წინააღმდეგობაშია WTO-ს დადგენილებებთან. ამდენად, გარემოს დაცვა, როგორც ვაჭრობის შეზღუდვები, მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი. WTO-ს ხელშეკრულება გარემოს დაცვის პოლიტიკის თვალსაზრისით არ არის შედგენილი, რითიც მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოიქმნა. მაგალითად, აკრძალვები იმპორტზე, რომლებიც გარემოს სპეციფიკურ პროდუქტთა ნორმებთან არის დაკავშირებული, WTO-ს შეთანხმებათა საზღვრებში არ მოქმედებს. წინაპირობა არის მხოლოდ ის, რომ ადამიანის, ცხოველის ან მცენარეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა მხოლოდ მეცნიერულად შეიძლება იქნას დასაბუთებული.

გარემოს დაცვის გრძელვადიანი განუხრელი პოლიტიკის გატარება ეკონომიკის განვითარების მდგომარეობასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება (კონფლიქტი ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებს შორის). მასობრივი უმუშევრობის, სოციალური უსაფრთხოების სისტემების დაფინანსების პრობლემების ან ბრუტო მსპ-ს დაბალი მაჩვენებლებით ზრდის პირობებში გარემოს დაცვის ფინანსური ხარჯები თითქმის უყურადღებოდ რჩება. ეს პოლიტიკის გადაწყვეტილებათა გამტარებლებზე გავლენას ახდენს. აღსანიშნავია, რომ განვითარებად ქვეყნებში ძალზე სუსტია კავშირი ეკონომიკურ-საფინანსო შესაძლებლობებსა და გარემოს დაცვისათვის მზადყოფნას შორის, ამიტომ აუცილებელია ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული სფეროები (როგორიცაა, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების პოლიტიკა, განვითარების, ვაჭრობისა და გარემოს დაცვის პოლიტიკა) უფრო გაძლიერდეს და ინტეგრაციულად ამოქმედდეს.

როგორც ნაციონალურ, ასევე ინტერნაციონალურ დონეზე გარემოს დაცვის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამასთან, საქმე ეხება საკითხს, გარემოს დაცვის პრობლემები გარემოს დაცვის პოლიტიკის როგორ გადაწყვეტილებებამდე და რა გზით მიგვიყვანს. არცთუ იშვიათად გარემოს ბუნებრივი კატასტროფები ან პოლიტიკის ზეწოლა, რომელიც საჯარო დისკუსიებით წარმოიშობა (მაგალითად, მასობრივ მედიაში), გადაწყვეტილებათა გამტარებლებში რეაქციას იწვევს. გარემოსადმი ზრუნვაზე ორიენტირებულ და გარემოს დაცვის სისტემატურ პოლიტიკაზე ეს კარგად არ ზემოქმედებს. ექსტრემალური მოვლენებითა და შემთხვევებით ნაკარნახევი გარემოს დაცვის სელექციური პოლიტიკა ნაკლებად მისაღებია საზოგადოების ყოფითი პრობლემების გადაჭრისათვის. ამას ემატება ისიც, რომ ინსტიტუციური ჩარჩო, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე, გარემოს დაცვის რაციონალური პოლიტიკის განვითარებას არასაკმარისად უწყობს ხელს. პირიქით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკავშირის შიგნით ნაკლებ ტრანსპარენტულია და საზოგადოებრივი კონტროლი გადაწყვეტილებებზე თითქმის შეუძლებელი. ევროპული გარემოს დაცვის პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლებიც ნაწილობრივ გაუმჭვირვალე და რთულია. ამ შეფასებიდან გამომდინარეობს უფრო მეტი ინსტიტუციური საჯაროობის მოთხოვნები, უფრო უკეთესი მონაწილეობის

შესაძლებლობები და უფრო ძლიერი დემოკრატიული ლეგიტიმაცია. ამასთან დაკავშირებით, დასაშვებ ღონისძიებებად მოიაზრება: ევროპარლამენტისათვის უფრო მეტი უფლებების მინიჭება (გადაწყვეტილებებში აქტიური თანამონაწილეობა, ევროკავშირის კომისიის ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე), მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების პროცედურის შეცვლა (ვეტოს უფლების შეზღუდვა), გარემოს დაცვის გენერალური დირექტორატის და გარემოს განყოფილებების გაძლიერება სხვა გენერალურ დირექციებში და ასევე ევროკავშირის კომიტეტების ღიაობა გარემოს დაცვის საქმეში გაერთიანებისათვის. ამსტერდამის ხელშეკრულებით ამ მიმართულებით მდგომარეობა გაუმჯობესდა.

გარემოს დაცვის რაციონალურ პოლიტიკაში ღონისძიებათა გატარების წინაპირობას ინდიკატორების მეშვეობით გარემოს პრობლემების ეკოლოგიურ-ეკონომიკური დახასიათება წარმოადგენს. გარემოს ფაქტიური დაზიანების შესახებ ხშირად არასაკმარისი, მეცნიერულად არაზუსტი გაანგარიშების გამო (ადამიანებისა და ცხოველებისათვის საფრთხის შექმნაზე, კომპლექსური მოქმედების კავშირებზე, მავნე ნივთიერებების ემისიებზე და სხვა) გარემოს დაცვის პოლიტიკისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას ინდიკატორები ვერ გვაწვდიან, რადგან ინდიკატორები ორიენტირებულია გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნებზე, ხოლო ისინი (მიზნები) კი კომპრომისებით მიღებულ გადაწყვეტილებათა პროცესის შედეგია. ამიტომ არსებობს მცირედი საშიშროება, რომ გარემოს არსებითი დაზიანებული სფეროები უგულებელყოფილი იქნება. პრობლემები შეიძლება ემისიების გაზომვასა და კონტროლთან კავშირშიც წარმოიშვას. ტექნიკურად მათი გადაჭრა რთული საქმე არ არის, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად არიან პოლიტიკოსები და თვით საზოგადოებაც მზად გარემოს დაცვის პრობლემათა გადაწყვეტის პიროვნული და ფინანსური წანამძღვრების შექმნისათვის.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს გარემოს დაცვის პრობლემათა ეთიკური ასპექტი. წარმატებები გარემოს დაცვის პოლიტიკის გატარებაში მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივი შეგნების დონესა და ტრადიციებთან. საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიერ საკუთარი მოქმედების გადამოწმება და მისი შეცვლისათვის მზადყოფნა დამოკიდებული უნდა იყოს არა იმდენად საკანონმდებლო დადგენილებებზე და ეკონომიკურ სტიმულებზე, რამდენადაც კულტურასა და აღმსარებლობაზე. ნებისმიერმა პიროვნებამ თვითონ უნდა გადაამოწმოს თავისი ქმედებები, თუ რამდენად არის ისინი გარემოს დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ცნობილი ეკონომისტის მაქს ვებერის თვალსაზრისით, „პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებაზე გულისხმობს გონიერებისა და მოვალეობის ერთიანობის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციას“[1]. ბუნებასთან მიმართებით თითოეული სუბიექტი კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებელია გარემოს დაცვის შედეგებზე.

[1] M. Weber, Politik als Beruf, Stuttgart, 1992.

გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში

გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესება და მათ შესაბამისად მოქმედება უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ზრდის, მდგრადობის და ადამიანების კეთილ-დღეობისთვის. ის ასევე მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის.

გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების ხუთი მთავარი გამომწვევი მიზეზია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

დიდი ხნის მანძილზე ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწის გარდა, თავისუფალ საქონელს წარმოადგენდა. მათი ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოების პროცესში გამოყენება ყოველგვარი ხარჯების გარეშე შესაძლებლად მიიჩნეოდა. გარემოს მზარდმა დაბინძურებამ, რომელიც სცილდება ეროვნულ ფარგლებს, გაამძაფრა იმის გაგება, რომ ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია. სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი გარემოს დამზოგველ მოპყრობას დღეისათვის უამრავი სამეცნიერო კვლევა თუ პოლიტიკური პროგრამა ეძღვნება. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა არა მხოლოდ ერთი თაობის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც აუცილებელია.

ბუნებრივი გარემოს რესურსებს საზოგადოებრივი პროდუქტის ხასიათი აქვთ, რის გამოც ეკონომიკაში მარტო დეცენტრალიზებული ბაზრის არსებობით გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით. გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზანთა განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ ამ პროცესების რეგულირების ფუნქცია შეასრულოს.

2010 წელს გაერომ შეიმუშავა გარემოს დაცვის პროგრამა, რომელიც განიხილავს მწვანე ეკონომიკას, როგორც ეკონომიკურ მოდელს, რომელიც აუმჯობესებს ადამიანის ცხოვრებას, უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას, სოფლის მეურნეობაში უფრო მდგრადი მეთოდების გამოყენების გზით ისეთი პროდუქტების წარმოებას, რომელიც უფრო უვნებელი იქნება ადამიანის ჯანმრთელობისათვის. მწვანე ეკონომიკა ადამიანების კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის მთავარი შედეგია, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემო რისკები და ეკოლოგიური დანაკლისები. მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას მდგრადი ეკონომიკური პროცესების უზრუნველსაყოფად. მწვანე ეკონომიკაში ბუნებრივი გარემო განიხილება არა როგორც ნარჩენების გაუვნებელყოფის ადგილი, არამედ ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი, მწვანე ეკონომიკა აქტიურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ამ პროცესში თითქმის ყველა ქვეყანა ერთვება.

მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:

1. განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია);
2. მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები);
3. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები);
4. წყლის მართვა (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება);
5. ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა);
6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება).

საქართველოს მთავრობა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად სწორედ მწვანე ეკონომიკას განიხილავს და გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობა. მწვანე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად ამცირებს ბუნებრივი რესურსების არაეფექტურ გამოყენებას, ნარჩენების წარმოქმნას, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევებს, წყლის ობიექტებში გაუწმენდავი წყლის ჩაშვებებს. მწვანე ეკონომიკის განვითარება ხელს უწყობს კომპანიების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. ამასთანავე, გამოიწვევს ცხოვრების დონის გარემოსდაცვითი ხარისხის ამაღლებას, ეკოსისტემებისა და ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერებას და ახალი ბიზნესშესაძლებლობების გაჩენას. ამდენად, იგი მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის ფორმირების გზაზე არსებობს არაერთი მწვავე პრობლემა: მდინარეები დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთი – მძიმე ლითონებით, ნავთობპროდუქტებით, კომუნალური სექტორის ნარჩენებით; არ ხდება ჩამდინარე წყლის სათანადო გაწმენდა, წყლის ბიოლოგიური გაწმენდა და ა. შ.; ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენ მასალათა ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები; უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება; ატმოსფერო ბინძურდება ავტოტრანსპორტითა და ენერგეტიკით (საერთო მავნე გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი, შემდეგ ნახშირწყალბადები, მეთანი, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი); სერიოზული ნაკლოვანებებია ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით (სურსათის უვნებლობის, ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება, ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედება,

საბანაო-სარეკრეაციო წყლების სანიტარულ-ჰიგიენური დაცულობა და სხვ.). ნაკლოვანებები არსებობს ბიომრავალფეროვნებათა შენარჩუნების სფეროში (უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ. ფაქტობრივად, დაცული ტერიტორიები არა ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, არამედ ტურიზმის განვითარების რესურსად გამოიყენება); აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების დაბალი დონე (საქართველო მდიდარია: ჰიდროენერგორესურსებით, მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსებით, მაგრამ ყველა ეს რესურსი დღეისათვის მცირედაა ათვისებული), არასრულყოფილია ნარჩენების მართვის სისტემა, იგი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს; სრულყოფას საჭიროებს შესაბამისი ინსტიტუციური ბაზა (მაგ., მისაღებია კანონი სამთო გადამუშავების ნარჩენების შესახებ, მწვანე ეკონომიკის განვითარების სტრატეგია და სხვ.); გასაძლიერებელია გარემოსდაცვითი განათლების სისტემა და სხვ.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის ფორმირების მიმართულებით გარკვეული ინსტიტუციური საფუძვლები მომზადებულია. კერძოდ: 1996 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ". იგი ქმნის ზოგადსამართლებრივ ჩარჩოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში. მან ცვლილებები რამდენჯერმე განიცადა (2003, 2007, 2011, 2014, 2015, 2016, 2017, 2018 წწ.), თუმცა არც კანონში და არცერთ ცვლილებაში ნახსენები არ არის მწვანე ეკონომიკა.

ქვეყანაში შემუშავდა გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა (2000 წ., 2012-2016 წწ., 2017-2021 წწ.). საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021) ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად წარმოადგენს მწვანე ზრდის და მწვანე ეკონომიკის ფორმირება-განვითარების ხელშემწყობ მექანიზმს. წინა ორი ეროვნული პროგრამისაგან განსხვავებით (გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი (2000) და მეორე (2012-2016) ეროვნული პროგრამა) იგი ითვალისწინებს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების მომზადების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ" (1997).

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა შემდეგი სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს;
- გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში" ყურადღება გამახვილებულია მდგრად განვითარებასა და მწვანე ეკონომიკაზე. კერ-

ძოდ, შეთანხმების 301-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნესსექტორს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების უფრო მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას“. ამასთან, მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორებად. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში (2017-2021 წწ.) წარმოდგენილია რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების ალტერნატიული მიდგომების შემუშავებისა და დანერგვისაკენ. კერძოდ, რესურსებისა და მასალების ეფექტურობა, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და თავიდან აცილება, წყლის რესურსების მდგრადი მოხმარება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ზრდა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რესურსების გონივრული მოხმარება და ა.შ. აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს სწორედ მწვანე ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. მწვანე ზრდის განვითარებისათვის აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების ყველა ჯგუფის, როგორც საქონლისა და მომსახურების მომწოდებლების, ასევე მომხმარებლების ერთობლივი ძალისხმევა.

ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა, ასევე ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილების აუცილებლობა ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში, რომელიც ქვეყნის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტია. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.“

მიღებულ იქნა საქართველოს კანონი – „ნარჩენების მართვის კოდექსი“; „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. ამ დოკუმენტებში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი მიზნები და პრიორიტეტები, განსაზღვრულია სტრატეგიუ-

ლი გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარ მიზნად აღიარებულია ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები ერთ სიბრტყეში განიხილება. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო კონვენციებში: ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ", „სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ", „მინამატას კონვენცია „ვერცხლისწყლის შესახებ" და სხვ.).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაციის (GIZ) მიერ მომზადდა მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი. ამასთან ერთად, 2016 წლის ნოემბერში საქართველო შეუერთდა „მწვანე ზრდის დეკლარაციას", რომლის შესაბამისად, ქვეყნები აცხადებენ, რომ გააძლიერებენ მწვანე ზრდის სტრატეგიებზე მუშაობის ძალისხმევას იმის გათვალისწინებით, რომ მათში ერთდროულად იყოს გათვალისწინებული „მწვანე" და „ზრდა", ასევე ხელს შეუწყობენ მწვანე ინვესტირებას. მწვანე ეკონომიკის პრინციპები გულისხმობს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და მთავრობის ანგარიშვალდებულებისათვის.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის ფორმირების მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა მწვანე ეკონომიკის ზრდის სტრატეგიაზე. მის შექმნაში მონაწილეობენ ეკონომიკური პროფილის სამინისტროები და შემდეგი დონორი ორგანიზაციები: ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნების ეკონომიკების გამწვანების პროექტი (EAP GREEN), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP); დაიწყება ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა. უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა, სწორედ ევროპული სტანდარტებით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება; 2018 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესი; ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს; უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი კუბატურის მქონე ავტომობილებს, დაიწყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეცვლა ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტრანსპორტით; დაგეგმილია, გადასახადებისგან სრულად გათავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას; ქალაქებში შეიქმნება ახალი მწვანე რეკრეაციული სივრცეები, მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვი-

თარებაში; გაძლიერდება ტყის დაცვა, მისი სარეკრეაციო და ტურისტული მიზნებისთვის განვითარება, ამისათვის დაგეგმილია ხე-ტყის იმპორტის წახალისება და სხვა;

თბილისის მერიამ შეიმუშავა გარემოსდაცვითი სტრატეგია 2015-2020 და მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმა 2017-2030. მწვანე ზრდის გარკვეული ასპექტები ასახულია საქართველოს ცალკეულ სექტორულ სტრატეგიებში. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ მოამზადა და დაამტკიცა „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“, კონკრეტული ქმედებები, კერძოდ, (1) სპეციალური სასწავლო პროგრამის შემუშავება რესურსეფექტურ და სუფთა წარმოებასთან დაკავშირებით და „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა“. სტრატეგიის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და, შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. დოკუმენტში განსაზღვრულია (2) მეწარმეებისათვის კონსულტაციების გაწევა გარემოსათვის მისაღებ ქმედებებთან დაკავშირებით და (3) „გარემოსდაცვითი მმართველის“ კურსების განვითარებასა და ჩატარებას, რათა ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში მწვანე პრაქტიკის დანერგვას და კომპანიებში გარემოსდაცვითი მმართველობის შექმნას.

მწვანე ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებისა და გატარების საქმეში ეროვნულ დონეზე, მთავრობასთან ერთად, წამყვანს წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ასევე სხვა სამინისტროები და სახელმწიფო უწყებები, მათ შორის, ენერგეტიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქსტატი და სხვ.

მწვანე ზრდისა და მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერაში გარკვეულ როლს ასრულებენ მუნიციპალიტეტებიც. 2010 წლიდან საქართველო შეუერთდა „მერების შეთანხმების“ ინიციატივას. მერების შეთანხმება არის ევროკავშირის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას, გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერნი მიზნად ისახავენ, 2020 წლისათვის შეამცირონ CO2-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ „მერების შეთანხმების“ ინიციატივის ფარგლებში ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. „მერების შეთანხმებაში“ მიერთებული მხარეები ადასტურებენ საკუთარ დაინტერესებასა და მზაობას, გარკვეული წვლილი შეიტანონ ენერგოეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების საქმეში საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

დღეისათვის საქართველოში მერების შეთანხმებაში 23 მუნიციპალიტეტია მიერთებული, რომლებმაც ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულება, 2020-2030 წლებში შეამცირონ ნახშირორჟანგის ემისიები 20-30%-ით. რამდენიმე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მუშაობა მდგრადი ენერგიის სამოქმედო გეგმებზე. საქართველოში „გამწვანების“ დღის წესრიგისა და რეფორმების თვალსაზრისით წამყვანია დედაქალაქი თბილისი. რამდენიმე საშუალო ზომის ქალაქშიც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების კუთხით.

2015 წლის აპრილში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტთან თანამშრომლობით შეიმუშავა საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ნაწილში, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების შესრულების მიზნით. აღნიშნული საგზაო რუკები დაეხმარება სამინისტროს, განახორციელოს სამართლებრივი დაახლოების, პოლიტიკის შემუშავებისა და მსგავსი ქმედებები, ასოცირების შეთანხმების და მისი დანართების, ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების სფეროში. საგზაო რუკები პირველად განახლდა 2016 წლის ივნისში სამინისტროსა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ასოცირების შეთანხმების სტრუქტურის შესაბამისად, შეიქმნა ცხრა საგზაო რუკა ქვემოთ მოცემულ სფეროებში: 1) გარემოსდაცვითი მმართველობა; 2) ჰაერის ხარისხი; 3) წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა (მოიცავს საზღვაო გარემოს და არ მოიცავს სასმელ წყალს); 4) ნარჩენების მართვა; 5) ბუნების დაცვა (მოიცავს გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებს (გმო), სახეობებს (ვაჭრობა და თევზჭერის პოლიტიკა); 6) სამრეწველო დაბინძურება და საფრთხეები; 7) ქიმიური ნივთიერებების მართვა; 8) კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები (რაც მოიცავს ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ქმედებებსაც); 9) სატყეო სექტორი.

საქართველოში მწვანე ზრდის და მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძვლების შექმნას მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი მხარდაჭერით სრულდება სხვადასხვა პროგრამები. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UN Environment), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) და მსოფლიო ბანკის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის მეორე პლატფორმის – „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში საქართველოში ხორციელდება პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი კაპიტალის, ადამიანების კეთილდღეობის დაცვას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსის რესპუბლიკა, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და

უკრაინა. გარემოს დაცვის და ეკონომიკური მხარეების თავმოყრით, ევროკავშირი გარემოსდაცვისთვის ხელს უწყობს პოლიტიკის შემუშავებას და საკანონმდებლო ცვლილებებს, დაგეგმარებისა და ინვესტიციების „გამწვანებას", ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებას, ახალი ბიზნესმოდელების მიღებას და „მწვანე სამუშაოების" ჩამოყალიბებას. ასევე, ხელს უწყობს გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებას, დაცული ტერიტორიების და ტყეების მართვის გაუმჯობესებას, მდგრად ვაჭრობას. მოქმედების მასშტაბი განისაზღვრა ყველა პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობის ფარგლებში. მოქმედება ეფუძნება წარსული თანამშრომლობის ისეთი პროგრამების მნიშვნელოვან მიღწევებს, როგორიცაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკის გამწვანება (EaP GREEN), სატყეო სექტორში კანონის დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესება (FLEG) და ზურმუხტის ქსელი, რომლებიც დასრულდა 2017-18 წლებში. ევროკავშირი გარემოს დაცვისთვის ითვალისწინებს გაძლიერებულ თანამშრომლობას, რომელიც რეკომენდირებულია „20 ძირითადი შედეგი 2020 წლისთვის" 2017 წლის ნოემბრის აღმოსავლეთ პარტნიორების სამიტის ფარგლებში.

პროგრამის მიზანია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, კერძოდ, ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტრუმენტების რეფორმას, ახალი ანალიტიკური საშუალებების დანერგვას, დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაძლებლობების გაძლიერებასა და კერძო სექტორში საპილოტე პროექტების განხორციელებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) საქართველოში განახორციელა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების" სადემონსტრაციო პროექტი (RECP), რომლის მიზანიც იყო კერძო კომპანიებში რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება და ამ გზით მდგრადი სამრეწველო განვითარების და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების" კლუბები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროექტმა – „მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში გარემოსათვის მისაღები ქმედებების ხელშეწყობა" – შეისწავლა ძირითადი პირობები და შესაძლებლობები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში გარემოს დაცვის ეფექტიანობის ამაღლებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე მდგრადი წარმოებისა და მწვანე ბაზრების მნიშვნელობის ზრდის ფონზე მთავრობასა და ბიზნესს, ასევე ბიზნესს და ბიზნესს შორის დიალოგს. RECP პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება მოახდინა, რომლებიც აუმჯობესებს წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. რესურსეფექტური და სუფთა წარმოე-

ბის ფართო დანერგვის მიზნით პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რესურსეფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად.

ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს ფართომასშტაბიან პროგრამებს გარემოს, მწვანე ეკონომიკის, განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტურობის სფეროებში გამოწვევების გადასაჭრელად საქართველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, ევროკავშირის შავი ზღვის აუზის სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამა აერთიანებს მეზობელი ქვეყნების მუნიციპალიტეტებს ისეთი საერთო გამოწვევების გადასაჭრელად, როგორიცაა ზღვის ნაგავი. ამ გამოწვევის კომპლექსური გადაჭრა ხელს შეუწყობს შავი ზღვის აუზის თითოეული ქვეყნის მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ და განმახორციელებელ ორგანიზაციასთან, რომელთა მხარდაჭერითაც ამჟამად მიმდინარეობს 60-ზე მეტი პროექტი შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის დაცვა; წყლის რესურსების მართვა; მიწის რესურსების მართვა; ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები; ბიომრავალფეროვნების დაცვა; კლიმატის ცვლილება; ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები; ტყის რესურსების მართვა; დაცული ტერიტორიები; ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი მმართველობა; მწვანე ეკონომიკა; ურთიერთგადამკვეთი საკითხები. მარტო 2016 წელს საერთაშორისო წყაროების ფინანსური მხარდაჭერით 29 ახალი პროექტი დაიწყო.

რაც შეეხება ენერგეტიკას, 2017 წლის 1 ივლისს საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი გახდა. ასოცირების შესაბამისი ოქმით განსაზღვრულია ასოცირების ხელშეკრულებით შეთანხმებული ენერგობაზრის მთავარი რეფორმების განხორციელების განრიგი, მათ შორის, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ბაზრების, ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიის და ენერგეტიკასთან დაკავშირებული გარემოს სფეროების რეფორმები. სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება, რომელიც საქართველოში გამავალი ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის ნაწილია, დასრულდა. ენერგეტიკული თანამეგობრობა არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ევროკავშირსა და მის მეზობლებს, რათა შეიქმნას ინტეგრირებული საერთო ევროპული ენერგეტიკული ბაზარი.

კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ საქართველო ნახშირბადის გლობალური გამონაბოლქვის შეზღუდვის მოთხოვნის ფარგლებში მიზნად ისახავს ქვეყანაში ნახშირბადის გამონაბოლქვის ოდენობის შემცირებას. 2016 წლის 8-10 ივნისს ბათუმში გაიმართა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) – „გარემო ევროპისათვის“ რიგით მე-8 მინისტერიალი. მინისტერიალის ფარგლებში საქართველოში

56 ქვეყნიდან დაახლოებით 600-მდე დელეგატი ჩამოვიდა. მინისტერიალმა იმუშავა შემდეგ ძირითად თემებზე: „მწვანე ეკონომიკის განვითარება პან-ევროპულ რეგიონში“ და „ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება უკეთესი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის“. ამასთან, კონფერენციის ფარგლებში, მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა თემაზე: „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“. საქართველოს მთავრობამ გარკვეული პრიორიტეტული სტრატეგიები და ქმედებები დასახა „მწვანე პრაქტიკის“ წახალისებისთვის, დაიგეგმა მეწარმეთათვის შესაბამისი ტრენინგპროგრამისა და კონსულტაციების შემუშავება. გარდა ამისა, სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურის საქმიანობის სფეროსა და ამოცანების განსაზღვრისას საგანგებოდ აღინიშნა „მწვანე ეკონომიკის წახალისებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება“. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (სამოქმედო გეგმაში) აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის მიზანია იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას; სახელმწიფო წაახალისებს გარემოსდაცვითი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებას; ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, მთავრობა წაახალისებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების შემოღებაზე, განსაკუთრებით ეს შეეხება გარემოსდაცვითი და რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს, რაც წაახალისებს „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებას; ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის კორპორაციის (GIZ) მიერ მომზადდა მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი. ამასთან ერთად, 2016 წლის ნოემბერში საქართველო შეუერთდა „მწვანე ზრდის დეკლარაციას“, რომლის შესაბამისად ქვეყნები აცხადებენ, რომ გააძლიერებენ მწვანე ზრდის სტრატეგიებზე მუშაობის ძალისხმევას იმის გათვალისწინებით, რომ მათში ერთდროულად იყოს გათვალისწინებული „მწვანე“ და „ზრდა“, ასევე ხელს შეუწყობენ მწვანე ინვესტირებას.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის (მსმ) განვითარების სტრატეგია 2016-2020 ერთ-ერთ უპირატეს ქმედებად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების „მწვანე ეკონომიკაში ჩართვას“, მსმ-ის განვითარების სამოქმედო გეგმაში (2016-2020) გაწერილია ქმედებები: ტრენინგპროგრამების შემუშავება მწვანე ტექნოლოგიების შემდგომი დანერგვისათვის; კონსულტაციები და ტრენინგები გარემოსდაცვით საკითხებზე; კურსები მენეჯმენტი გარემოს დაცვით სფეროში. ნარჩენების მართვის კოდექსის მიღებამდე საქართველოში არ არსებობდა ნარჩენების მართვის სათანადო სისტემის შექმნის საკანონმდებლო საფუძველი. ნარჩენების მართვის კოდექსი ამკვიდრებს პრინციპების/მოთხოვნების რიგს და აკისრებს ვალდებულებებს როგორც ნარჩენების წარმომქმნელებს, ასევე ნარჩენების მართვის ობიექტების ოპერატორებს. ზოგიერთი მოთხოვნა უკვე ძალაშია, დანარჩენი მოთხოვნები ეტაპობრივად

ამოქმედდება კოდექსში განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. ნარჩენების მართვის კოდექსი ითვალისწინებს სხვადასხვა სანქციებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გატარებულმა დაუგეგმავმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა დიდი ზიანი მოუტანა როგორც გარემოს, ისე საქართველოს მოსახლეობას. წლების განმავლობაში არ განისაზღვრებოდა ქვეყნის პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში; პრაქტიკულად მოისპო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მექანიზმები; ბუნებრივი რესურსების მართვა კი გაიგივებული იყო ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და ეს ფუნქცია ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს გადაეცემოდა. შედეგად, საბოლოოდ დაირღვა წონასწორობა ბუნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მოხმარებას შორის. კანონმდებლობა სულ უფრო მეტად დაშორდა საყოველთაოდ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს, ასევე, ევროკავშირის კანონმდებლობას.

კოვიდ-19 სერიოზულ გამოწვევად იქცა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. პანდემიამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა მოახდინა გარემოზე. პოზიტიურ ეფექტს წარმოადგენს სათბური გაზების (GHG) ემისიების შემცირება, წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ხმაურით დაბინძურების შემცირება, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, ველური ბუნების აღდგენა, ნეგატიურ ეფექტს კი სამედიცინო ნარჩენების რაოდენობის მატება, პირადი დაცვის აღჭურვილობის (PPE) უტილიზაცია, კომუნალური ნარჩენების ზრდა და მათი გადამუშავების მაჩენებლის შემცირება.

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ კომპანიების ნაწილმა საქმიანობა შეაჩერა, ნაწილმა კი განაგრძო პროდუქციის წარმოება, ამიტომ ინდუსტრიულ ქალაქებში ნარჩუნდება გარემოს დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოფელში გადაინაცვლა საცხოვრებლად და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ეს კი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

გარემოს დაცვის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია:

- წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნარჩენების კანონმდებლობის გადამუშავება/შემუშავება და გარემოსდაცვითი მართვის არსებული ინსტრუმენტების გაძლიერება და ახლის (მათ შორის, ეკონომიკური ინსტრუმენტების) დანერგვა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა, რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ორჰუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია), ასევე ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივასთან;

- საქართველოს ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აქცენტი გაკეთდეს მდგრად მეტყევეობაზე, ტყეების დაცვა-აღდგენასა და არამერქნული პოტენციალის გამოყენებაზე;
- ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებისთვის. ეს მოიცავს როგორც არსებული დაცული ტერიტორიების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოდერნიზება-გაფართოებას, აგრეთვე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: ზემო და ქვემო სვანეთი, სამეგრელოს მთიანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი.
- აუცილებელია, შემუშავდეს ყველა მსხვილი საწარმოს სამრეწველო განვითარების პერსპექტივა, აღმოიფხვრას პანდემიის შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები, კიდევ უფრო მეტად შეეწყოს ხელი მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას, ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული და გლობალური ფასეულობის შენარჩუნების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

პრობლემური საკითხები

1. რა არის გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები?
2. რაში ხედავთ გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემის მთავარ მიზეზებს?
3. გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის რომელი ინდიკატორები იცით და რა ძირითადი მოთხოვნები უნდა შეასრულონ მათ?
4. განმარტეთ გარემოს დაცვის ნაციონალური, ევროპული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზნები.
5. დაასახელეთ გარემოს დაცვის ეკონომიკურ-პოლიტიკური პრინციპები და დაასაბუთეთ, თუ რატომ უნდა ეწოდოს გამომწვევთა პრინციპს გარემოს დაცვის პოლიტიკის საყოველთაო მიმართულება?
6. გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის რომელ გამტარებლებს იცნობთ?
7. რა კრიტერიუმებით ხდება გარემოს დაცვის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების სისტემატიზაცია?
8. განმარტეთ საბაზრო-ეკონომიკური ინსტრუმენტების უპირატესობანი და ნაკლი.
9. რაში მდგომარეობს ეკონომიკური ან საბაზრო ეკონომიკური ინსტრუმენტების მნიშვნელობა?
10. რაში ხედავთ გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის საზღვრებს და პრობლემებს?

თავი 10
აგრარული პოლიტიკა

შესავალი

აგრარულ პოლიტიკას უძველესი ისტორია აქვს. სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე, უძველეს ხელნაწერებში, სამეფო დეკრეტებსა თუ კანონთა წიგნებში უპირველესი ყურადღება ექცეოდა: მიწების განაწილების, მისი სარგებლობის უფლებებისა და წესების, ირიგაციული სისტემების ფუნქციონირებისა და მიწის გადასახადების საკითხებს.

სოფლის მეურნეობის, როგორც სექტორის, ისტორიულ განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ექვსი უმთავრესი მიმართულება (მოდელი): რესურსების მოხმარების; კონსერვაციის; ლოკაციის; დიფუზიის; მაღალი ანაზღაურების და ინოვაციების სტიმულირების[1].

კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ადამიანი ძირითადად არსებულ ბუნებრივ რესურსებს იყენებდა. სოფლის მეურნეობის ზრდა უმთავრესად ექსტენსიური განვითარების საფუძველზე იყო შესაძლებელი. საჭირო გახდა რესურსების მოხმარებიდან რესურსდამზოგველ ან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე გადასვლა. კერძოდ, ეს იყო კულტურათა როტაციისა და მიწის ნაყოფიერების ზრდის სისტემების დანერგვა. აუცილებელი გახდა ისეთი თანამედროვე ინდუსტრიული წარმოების საშუალებათა შემოტანა, როგორიცაა სასუქები და კულტურათა ახალი სახეობები.

XVIII საუკუნის ბოლოს ინგლისში **კონსერვაციის მოდელი** ჩამოყალიბდა. გერმანელი სპეციალისტების მიერ მიწის გამოფიტვის საკითხებთან დაკავშირებულმა კვლევებმა და ინგლისში განხორციელებულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა განაპირობა ინტენსიური მემცენარეობა-მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბება. ამ დროს კულტურათა როტაციის (მონაცვლეობის) სისტემა გაუმჯობესდა. გაფართოვდა პირუტყვის საკვების წარმოება და ორგანული სასუქების გამოყენება. ამ პროცესებმა მემცენარეობა-მეცხოველეობის პროდუქციის ინტენსიური წარმოება გამოიწვია.

ამავე პერიოდში გერმანელმა მკვლევრებმა შექმნეს ჰუმუსის თეორია, რომელმაც კიდევ უფრო განავითარა კონსერვაციის მოდელი და ხელი შეუწყო მიწის ნაყოფიერების ზრდის ტექნოლოგიების განვითარებას.

ლოკაციის მოდელი, რომელიც კონსერვაციის მოდელს გამოეყო, აქცენტს გარემო ფაქტორების განსხვავებაზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებზე, ადგილმდებარეობაზე და წარმოების ინტენსიურობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე აკეთებს. ლოკაციის მოდელი მცენარეთა გავრცელების საუკეთე-

[1] Yujiro Hayami, Veron W Ruttan, Agricultural Development, An International Perspective. Baltimore, London; The Johns Hopkins Un-ty Press, 1985, pp.15-39; 4162

სო პირობებზე და ფერმის (მეურნეობის) მოწყობის ოპტიმალურ ორგანიზაციაზეა ორიენტირებული.

სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების გამოყენება (დიფუზია) უმნიშვნელოვანესი წყაროა ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის. ამ პროცესებმა **ექსტენსიური დიფუზიის მოდელის** ჩამოყალიბება განაპირობა. დიფუზიის მოდელის თანახმად, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კვლევებს, რომლებიც მემცენარეობა-მეცხოველეობის ახალი სახეობებისა და ჯიშების შექმნას, მცენარეთა დაცვასა და ზოოვეტერინარული ტექნოლოგიების შემუშავებას განაპირობებს. ასევე უნდა ხორციელდებოდეს სახეობებისა და ჯიშების მისადაგება კონკრეტულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან, საცდელ მეურნეობებში სახეობების გამოცდა, მათი განსაზღვრულ არეალებში დანერგვა-გავრცელება. აუცილებელია ფერმერების სათანადო სწავლება-კონსულტირება დასანერგი ტექნოლოგიების თაობაზე, შემდგომ ეტაპზე არა მხოლოდ ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ მეურნეობების ოპტიმალურად ფუნქციონირებაზე, მათ ეფექტიანად მართვაზე და ეკონომიკურ-საფინანსო მდგომარეობის ანალიზზე აქცენტის გაკეთება. დიფუზიის მოდელი გულისხმობს აგრეთვე პროცესს, როდესაც ფერმერები დანერგილი სახეობებისა და ტექნოლოგიების ეფექტიანობას აკვირდებიან და აფასებენ სარგებელს, რომელსაც ისინი საკუთარ მეურნეობებში ინოვაციების შეტანის მეშვეობით იღებენ. თუ მოსალოდნელი სარგებელი აშკარაა, ისინი შემდგომ ცდილობენ, ეს სახეობები და ტექნოლოგიები მოიპოვონ ან შეიძინონ. ამრიგად, დიფუზიის მოდელი პროგრესული ტექნოლოგიების ჰორიზონტალურ გავრცელებას გულისხმობს.

სოფლის მეურნეობის ახალი ტექნოლოგიების კვლევა-დანერგვისა და სწავლება-კონსულტირების სისტემები ორგანიზაციული, დაფინანსებისა თუ საკუთრების ნიშნით საკმაოდ განსხვავებულია. რიგ განვითარებად ქვეყნებში აღნიშნულ სფეროში უპირატესად სახელმწიფო სისტემა დომინირებს, შედარებით წარმატებულ ქვეყნებში კი ამ სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი კერძო კომპანიებს უკავიათ.

მაღალი ანაზღაურების მოდელი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო სექტორში ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელი ინვესტიციების მოზიდვას, რაც ფერმერებისათვის თანამედროვე, მაღალტექნოლოგიურ წარმოების საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობების გაფართოებას განაპირობებს. აღნიშნული მოიცავს სოფლის მეურნეობის ინვესტირების სამ ტიპს: სოფლის მეურნეობის ექსპერიმენტული ბაზის ახალი ტექნოლოგიური ცოდნით უზრუნველყოფას; ინდუსტრიული სექტორის განვითარებასა და სოფლის მეურნეობისათვის ახალი წარმოების საშუალებათა ბაზრის შექმნას; ფერმერების შესაძლებლობების გაფართოებას თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფაქტორთა ეფექტიანად გამოყენებაში.

სიახლეთა სტიმულირების თეორია (მოდელი) წარმოადგენს ცდას, ახსნას ტექნიკური ცვლილებები, როგორც ეკონომიკური სისტემის განვითარების ენდოგენური პროცესი. ამ თვალსაზრისით, ტექნიკური ცვლილებები რესურსების დაგროვებისა და მათზე მოთხოვნის ზრდის დინამიკურ პროცესს წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარების დინამიკურ პროცესში პროდუქტებზე მოთხოვნისა და ფასების ცვლილებები შეფარდებითია. მაგალითად, სურსათზე მოთხოვნა იზრდება იმიტომ, რომ იზრდება მოსახლეობა და შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე, ამავდროულად, მოთხოვნა სურსათის წარმოების საშუალებებზე მეტ-ნაკლებად პროპორციულად იზრდება.

არსებული მდგომარეობის ანალიზი

აგრარული წესრიგის პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილება და მათი საკუთრებისა თუ ფლობის ფორმები შეადგენს. აგრარული პოლიტიკის ძირითად ობიექტად და საფუძვლად სწორედ სასოფლო-სამეურნეო მიწები გვევლინება.

ისტორიულად ცნობილი მიწის რეფორმები მიზნად ისახავდა ღარიბი მოსახლეობისათვის განსაზღვრულ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე მიწათმოსარგებლის უფლების მიცემას და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდაში მათი დაინტერესების ამაღლებას. თუმცა რეფორმები ყოველთვის წარმატებული არ იყო და მათ, შესაბამისად, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა თან არ ახლდა.

აღმოსავლეთ ინდოეთში მონობის გაუქმების აქტმა („Zamindari Abolition Act“), ომის შემდგომმა მიწის რეფორმებმა ირანსა და იაპონიაში, მოგვიანებით ჩინეთსა და ფილიპინებზე წარმატებული მაგალითები გვიჩვენეს. **ფილიპინებმა** მიწის საიჯარო (საარენდო) რეფორმა განახორციელა (1972 წ.), ხოლო **ჩინეთში** დაიშალა კოლექტიური მეურნეობები და შეიქმნა საოჯახო მეურნეობები (1978 წ.). ფილიპინებში მიწის რეფორმის კოდექსის შექმნამ და რეფორმის განხორციელებამ მოიჯარე მეურნეობებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და მსხვილი მიწათმფლობელობის სისტემის წარმატებულად დაშლას შეუწყო ხელი.[1] ჩინეთში რეფორმის შედეგად სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 61%-ით გაიზარდა (1978-1984 წწ.).[2]

კენიაში, დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, ინგლისის მთავრობის ხელშეწყობით (დაფინანსებით), მიწის რეგულირების პროგრამა განხორციელდა (1960 წ.). მთავრობამ იყიდა მიწის დიდი ნაკვეთები თეთრკანიანი ფერმერებისაგან და მცირე ნაკვეთებად აფრიკელ ფერმერებს დაუნაწილა. ამან პროდუქტიულობისა და შემოსავლების გადიდება განაპირობა.

---

1 Otsuka K., The Determinants and Consequences of Land Reform Implimentation in the Philippines. Los Banos: International Rice Research Institute, 1988.

2 International Agricultural Development. Third edition, edited by C. K. Eicher and J. M. Staatz, Baltimore and London: The Jons Hopkins Un-ty Press, 1998.

ალჟირში ნაციონალიზებული მიწის ნაკვეთების საფუძველზე კოოპერაციული მეურნეობები შეიქმნა (1964 წ.). მთავრობამ შეზღუდა მიწის მესაკუთრეობა და კოოპერაციულ ფერმებში მეურნეობათა გასაძღოლად დაქირავებული მმართველები (მენეჯერები) დანიშნა. ამავდროულად, მუშებისათვის ანაზღაურების წამახალისებელი სისტემა დაწესდა. შედეგად, 1969-1980 წლებში სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი 0,2%-მდე შემცირდა (1960-იან წლებში ზრდა საშუალოდ წელიწადში 1%-ს შეადგენდა). ალჟირის მთავრობამ მოგვიანებით თავისი შეცდომები აღიარა და სახელმწიფო მეურნეობების რეფორმირება გადაწყვიტა. 1987 წელს ალჟირის მთავრობამ დაიწყო მსხვილი მეურნეობების გადაკეთება მცირე ზომის კოოპერაციებად და შინამეურნეობებად, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განხორციელების უფლებები შთამომავლობით გადაეცემა.

მიწის რეფორმებს იმ ქვეყნებში ჰქონდა წარმატება (ირანი, იაპონია, ტაივანი და ინდოეთი), სადაც საიჯარო ურთიერთობანი უკვე არსებობდა და მიწა საკუთრებაში ყოფილ მოიჯარეებს გადაეცათ. რეფორმების წარმატებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ფერმერებს ჰქონდათ ამ მიწებზე მუშაობის გამოცდილება, სათანადო იარაღები და სამეურნეო საქმიანობის გაძღოლისათვის შესაბამისი ცოდნა.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (სსრკ, ჩინეთი) კოლექტიურმა მეურნეობებმა, სადაც შრომა არ იყო დაკავშირებული საბოლოო შედეგებთან და შრომის ნაყოფიერებაზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემები სათანადოდ არ გამოიყენებოდა, წარუმატებლობა განიცადეს. სწორედ აღნიშნულ მიზეზთა გამო საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს პირად დამხმარე მეურნეობებში აწარმოებდნენ.

დეკოლექტივიზაციამ ჩინეთში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა სტაბილურად გაზარდა. პროგრესულ ძვრებს ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ვიეტნამში. ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში აგრარული რეფორმების სხვადასხვაგვარად განხორციელებამ განსხვავებული შედეგები მოგვცა. ამ ქვეყნებში გარდამავალი პერიოდის სირთულეებითა და საბაზრო ურთიერთობების განუვითარებლობით განპირობებული პრობლემები წარმოიშვა.

კ. მარქსს და მის მიმდევრებს სწამდათ, რომ, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, მექანიზაცია წარმოების გამსხვილებასა და საოჯახო მეურნეობების მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით შეცვლის საჭიროებას განაპირობებდა. რა თქმა უნდა, ცოცხალი გამწევი ძალის ტრაქტორით ჩანაცვლება წარმოების მასშტაბების გაფართოების შესაძლებლობებს ზრდის. ამავდროულად, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება მეურნეობის ზომის გადიდებას უწყობს ხელს. ტექნიკურმა პროგრესმა დიდი მეურნეობების შექმნა განაპირობა. თუმცა სსრკ-ს მაგალითმა აჩვენა, რომ ფასების ცენტრალიზებულად ფორმირებამ, საბაზრო მექანიზმების იგნორირებამ და მწარმოებელთა ეკონომიკური ინტერესების უგულებელყოფამ მსხვილი სასო-

ფლო-სამეურნეო საწარმოების უმეტესი ნაწილი არარენტაბელურად აქცია. მათი შიდა განვითარების სტიმულები არ არსებობდა.

მექანიზაციამ სოფლის მეურნეობაში მცირე ზომის კერძო მეურნეობების ფუნქციონირების ეფექტიანობა ეჭვს ქვეშ დააყენა. ამ ცვლილებების შედეგად მესაკუთრეები იჯარით გასცემდნენ ან ყიდდნენ კუთვნილ მიწებს, რადგან თანამედროვე ტექნიკას დიდი (მრავალი გაერთიანებული მცირე ნაკვეთი) მიწის ფართობები ესაჭიროებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიჯარო და მომსახურების ბაზრებმა ჩასახვა და განვითარება დაიწყო. ამ დროისათვის შექმნილი მარცვლეულის მექანიკური სალეწი მანქანები ცალკეული მეურნეობისათვის მეტად ძვირი იყო. ამავდროულად, ლეწვა წლის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა. სალეწი მანქანები ზამთრის თვეების განმავლობაში ფერმიდან ფერმაში გადადიოდა და ინდივიდუალური მეურნეობების მარცვლეულს ასე ლეწდნენ. დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში სალეწი თუ სხვა მანქანებით მომსახურების ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიჯარო ბაზრის განვითარების მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მცირე ფერმების მიწების დასამუშავებლად ტრაქტორების დაქირავება აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული, თუმცა მარცვლის სალეწებისგან განსხვავებით, ტრაქტორების მომსახურების (თუ იჯარით გაცემის) ბაზარი უფრო პრობლემატურია. რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება მკაცრად განსაზღვრულია დროში. მაგალითად, როდესაც კლიმატური რისკი მაღალია, მაშინ თესვა, მოსავლის აღება აუცილებელია, მკაცრად განსაზღვრულ ვადებში განხორციელდეს. ფერმერებს ამ საქმიანობის დროულად ჩატარების აუცილებლობის გამო ურჩევნიათ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანები ჰქონდეთ.

ჩინეთში დეკოლექტივიზაციამ მრავალი მცირე მეურნეობა წარმოქმნა, რომელთა ნაწილმა მცირე ფერმებისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების იჯარაზე (მომსახურებაზე) სპეციალიზაცია დაიწყო. საიჯარო ბაზრის განვითარებას შეუძლია მცირე მეურნეობების ტექნიკის საჭიროებებთან დაკავშირებული პრობლემები დაძლიოს. აღსანიშნავია, რომ მცირე მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება არ შეუძლიათ.

მიწათსარგებლობის სისტემისა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაში სახელმწიფო რეგულირება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს. მიწის საკუთრების ცნება და მისი მასშტაბები ისტორიულად არსებით ცვლილებას განიცდიდა. იგი იძენდა მნიშვნელოვან სოციალურ პასუხისმგებლობას და სახელმწიფო პოლიტიკის ზოგად მიზნებს უფრო მეტად შეესაბამებოდა. შედეგად მიწის ბაზრის, ყიდვა-გაყიდვის, იჯარის, მიწის საკუთრების შთამომავლობით თუ სხვა ფორმებით გადაცემის სახელმწიფოებრივი რეგულირების განვითარებული სისტემა წარმოიქმნა. მის მნიშვნელოვან სფეროს ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის შენარჩუნება წარმოადგენს.

არსებობს კოლოსალური განსხვავება ფასებში სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და იმ მიწებს შორის, რომლებიც საბინაო და სამრეწველო მშენებლობისათვის გამოიყოფა. არსებული მდგომარეობა, ურბანიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან მიწის ბაზრისა და ამ მიწების ფუნქციური გადანაწილების უმკაცრესი წესების შემოღება-გატარების აუცილებლობას განაპირობებს. ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაც, კერძოდ, მიწების ფუნქციური გამოყენების გათვალისწინებით მათი დაბეგვრის მიმართ დიფერენცირებული მიდგომა უნდა არსებობდეს.

რიგი ქვეყნების აგრარულ პოლიტიკაში აშკარად ლატიფუნდიებთან ბრძოლის ტენდენცია შეიმჩნევა. ეს შეზღუდვა მიწის დიდი მასივების ცალკეული პირების ხელში მოხვედრის საწინააღმდეგოდ ხორციელდება. ხშირად მიწის ყიდვის ან იჯარის უფლების მისაღებად მყიდველი ან მოიჯარე ადგილობრივი მაცხოვრებელი უნდა იყოს. მას პროფესიული განათლება, მუშაობის გამოცდილება და მიწით სარგებლობისათვის საჭირო კაპიტალი უნდა ჰქონდეს.

მაგალითად, **დანიაში** არენდატორისაგან მიწის შესაძენად ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა მიწის შენარჩუნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, პირუტყვის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფა, აუცილებლად უნდა შესრულდეს. დანიაში კანონი „სოფლის მეურნეობის კარგად გაძღოლას“ მოითხოვს. პირები, რომლებიც საკუთარ ან საიჯარო მიწებზე უძღვებიან მეურნეობას, მოცემულ ფერმაში მუდმივად უნდა ცხოვრობდნენ. დანიაში განსაზღვრულია მიწათსარგებლობის ზედა ზღვარი, საკუთარი და არენდით აღებული მიწის მაქსიმალური ფართობი 150 ჰა-ს არ უნდა აღემატებოდეს. გამონაკლისები დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ფერმერი დაასაბუთებს, რომ მისი მეურნეობის სპეციფიკის გამო მას მეტი ფართობი ესაჭიროება. ამავდროულად, მეზობელი ფერმერებიდან ამის წინააღმდეგი არავინ არ უნდა იყოს. კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს მანძილს ფერმებში მიმავალ გზებს შორის, რომელიც 2კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. თუ ფერმას ეკუთვნის რამდენიმე ნაკვეთი, მათი რიცხვი ხუთს არ უნდა აჭარბებდეს და ისინი ერთმანეთს 10-25 კმ-ზე მეტად არ უნდა იყოს დაშორებული. კანონი უშვებს გამონაკლისს, როდესაც ფერმერს დამატებითი ნაკვეთი ორგანული სასუქის გასატანად და შესანახად ესაჭიროება. ამ გამონაკლისის დაშვება საგანგებო ნებართვას მოითხოვს. მიწის ნაკვეთის ყიდვის ან იჯარით აღების დროს აღნიშნული პირობები უნდა იქნეს დაცული. მოიჯარე ან მყიდველი უნდა ცხოვრობდეს სასოფლო-სამეურნეო მიწების ტერიტორიაზე არა ნაკლებ 8 წლისა. თუ ფერმის ზომა 30 ჰა-ს აჭარბებს, მან თავისი პროფესიული კვალიფიკაცია უნდა დაასაბუთოს. ფერმერს სოფლის მეურნეობაში შრომითი გამოცდილება და სათანადო განათლება უნდა ჰქონდეს. ასევე მან უნდა დადოს პირობა, რომ იმუშავებს ფერმაში არანაკლებ 8 წლისა, ე.ი. ამ პერიოდის განმავლობაში მას მიწის გაყიდვა ან იჯარით გაცემა არ შეუძლია. კანონი უშვებს მხოლოდ სამი ნაკვეთის ყიდვას ან იჯარით აღებას, რომელთა შორის

მანძილი 10 კმ-ს არ აღემატება და არც ერთი მეზობელი ამის წინააღმდეგი არ არის. მიწის ყიდვა აკრძალულია, თუ ეს კაპიტალის დაბანდების ოპერაციაა ან ფასი მიწაზე რეალურ ღირებულებას არ შეესაბამება. მიწის ყიდვისას უპირატესობა მეზობელს ეძლევა, რომელიც ამ ნაკვეთიდან 1 კმ-ზე ახლოს ცხოვრობს. ამავდროულად, მას უკვე უნდა ჰქონდეს სარგებლობაში 70 ჰა მიწა და გააჩნდეს მისი საბაზრო ღირებულების გადახდის უნარი. იურიდიულ პირებს დანიაში არც სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის და არც მისი იჯარით აღების უფლება არ აქვთ. ასეთი უფლება მხოლოდ ფიზიკურ პირებს ეძლევათ, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში საწარმოს გაძღოლის გამოცდილება და სათანადო კვალიფიკაცია გააჩნიათ. ასევე ისინი ამ საქმიანობის ხანგრძლივი დროით გაგრძელებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდნენ.

მიწების გაყოფის შემთხვევაში თითოეულ ნაკვეთს უნდა ჰქონდეს ისეთი ზომა, რომ დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეეძლოს. ამრიგად, დანიის კანონმდებლობა ამ ქვეყნისათვის ოპტიმალური საოჯახო მეურნეობების შენარჩუნებას ხელს უწყობს, იგი არ უშვებს არც ლატიფუნდიების შექმნას ან მიწებით სპეკულაციას და არც მათ არარაციონალურ დანაწევრებას. ამგვარი პოლიტიკა სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებას მნიშვნელოვნად განაპირობებს. ამასთან, დანიის კანონმდებლობა კომპლექსური და მიზანმიმართული ხასიათისაა, რომელსაც განსაზღვრული სოციალური, ეკონომიკური და მწარმოებლური მიზნები აქვს.

შვეიცარიაში ახალი აგრარული კანონმდებლობა მიიღეს (1994 წ.). „კანონი მიწის საკუთრების შესახებ“ მიზნად ისახავს, რომ მიწა ეკუთვნოდეს მხოლოდ მას, ვინც მას ამუშავებს. კანონმდებლობა ერთი მეურნეობის მინიმალურ და მაქსიმალურ საზღვრებს განსაზღვრავს. მიწის ნაკვეთის მინიმალურმა ზომამ ერთი ადამიანის დასაქმება 75%-ით უნდა უზრუნველყოს (2100 სთ წლის განმავლობაში). მაქსიმალურად ითვლება ნაკვეთი, რომელიც 2,5-3 დასაქმებულისათვის ნორმალური შემოსავლების დონეს უზრუნველყოფს. დაბლობ ადგილებში მინიმალური ფართობის ზომა 5-7,5 ჰა-ია. იჯარით აღებისას მიწის ნაკვეთის მინიმალური ზომა 1,5 მომუშავის დასაქმებას უნდა უზრუნველყოფდეს.

იტალიაში, **პორტუგალიასა** და **ესპანეთში** სასოფლო-სამეურნეო მიწების კანონმდებლობებში აქცენტი ფერმერული მეურნეობის ზომის ქვედა საზღვრის დადგენაზე კეთდება. ეს იმისათვის ხდება, რომ (სოფლის მოსახლეობის ზრდის გათვალისწინებით) ნაკვეთების გადაჭარბებული დაქუცმაცება და ფრაგმენტაცია თავიდან იქნეს აცილებული. ამ ქვეყნებში ცნებას „მინიმალური არსებობისუნარიანი მეურნეობა“ კანონები განსაზღვრავს და კრძალავს ნებისმიერ გაყიდვას თუ საიჯარო გარიგებას, რომლითაც ეს მინიმალური ზომა ირღვევა. განსხვავებული ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გამო ასეთი მინიმალური ზომა რეგიონულ დონეზე დგინდება. ესპანეთში მიწის იჯარას სახელმწიფო არეგულირებს, რომლის მიზანია, არ დაუშვას მსხვილი მამუ-

ლების წარმოქმნა. აქ 50 ჰა-ზე მეტი სარწყავი მიწის ან 1 ათასს ჰა-ზე მეტი ექსტენსიური საძოვრის იჯარით გაცემა აკრძალულია.

იაპონიაში მიწის კანონმდებლობა ეფუძნება ომის შემდგომ მიწის რეფორმას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეზღუდულობასა და სასოფლო-სამეურნეო რაიონებზე ქალაქების დიდ დაწოლას ითვალისწინებს. აქ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნების მიმართულებით მკაცრ პოლიტიკას ახორციელებს. მიწაზე ნებისმიერი საკუთრებითი თუ საიჯარო ცვლილება მოითხოვს სამთავრობო თანხმობას და შემდეგი პირობების დაკმაყოფილებას: მესაკუთრე თვითონ უნდა ამუშავებდეს მიწას, რომელიც მას ეკუთვნის ან იჯარით აქვს აღებული; სოფლის მეურნეობის მუშაკი ან მისი ოჯახის წევრი სასოფლო-სამეურნეო წარმოებით მუდმივად უნდა იყოს დასაქმებული; მიწის შეძენის ან იჯარით აღების შემდეგ საერთო ფართობი არ უნდა იყოს 0,5 ჰა-ზე ნაკლები ან 2 ჰა-ზე მეტი, გამონაკლისს განსაკუთრებულად ინტენსიური ტიპის მეურნეობები შეადგენენ; სოფლის მეურნეობის მუშაკს უნდა ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია, საფინანსო და სხვა შესაძლებლობა მეურნეობის მთელ ფართობზე წარმოების ეფექტიანი განხორციელებისათვის და იგი ამ მეურნეობაში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს; სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვის ან იჯარით აღების უფლება მხოლოდ „ფიზიკურ პირს“ აქვს, იგი შრომით საქმიანობაში რეგულარულად უნდა მონაწილეობდეს და აუცილებელი კაპიტალდაბანდებების გაწევის უნარი უნდა გააჩნდეს.

ნორვეგიაში აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიზანს მცირე მეურნეობების შენარჩუნება და ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მძიმე პირობების მქონე რეგიონების მოსახლეობისაგან დაცლის შეჩერება წარმოადგენს (განსაკუთრებით ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში). აგრარული პოლიტიკა ძირითადად სოციალურ და ეკოლოგიურ მიზნებზეა ორიენტირებული (აღნიშნული ტერიტორიების გაუკაცრიელების ასაცილებლად). ნორვეგიაში დიდი ყურადღება ექცევა მესაკუთრე ფერმერის შენარჩუნებას, კანონმდებლობა ზღუდავს ნაკვეთების დანაწევრებას, ხოლო იჯარა კანონითა და ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებით არის რეგლამენტირებული.

ნიდერლანდები აგრარული პოლიტიკის მხრივ ევროკავშირის სპეციფიკურ ქვეყანას წარმოადგენს. კერძოდ, დაშრობილი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს და ხანგრძლივი იჯარის საფუძველზე გაიცემა. ასევე იჯარით გაიცემა სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწებიც. მიწების 30% საიჯარო მიწებია. სოფლის მეურნეობაში საწარმოთა თითქმის ნახევარი მთლიანად ან ნაწილობრივ საიჯარო მიწებზე საქმიანობს. სახელმწიფოს მხრიდან საიჯარო ურთიერთობათა რეგულირებისას მრავალი ფაქტორია გათვალისწინებული. კერძოდ, ორიენტაცია აღებულია მეურნეობების დანაწევრების შეზღუდვისაკენ, მაგრამ, ამავდროულად, იგი მიწის გადაჭარბებულ კონცენტრაციას და

ცალკეული პირების ხელში დიდი ფართობების მოქცევას ეწინააღმდეგება. ასეთი პრინციპები ვრცელდება, როგორც იჯარის, ისე მიწის გაყიდვის შემთხვევაში. ამავდროულად, მათი კომერციული საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის მხედველობაში მიიღება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტიპი და მიწის ნაკვეთების ზომა. მეურნეობის ეფექტიანი საქმიანობა არის ის საფუძველი, რომელზეც სახელმწიფო იჯარის საკონტრაქტო პირობებს აგრძელებს, ცვლის ან წყვეტს.

ირლანდიაში, ინგლისელ „ლენდ-ლორდებსა“ და არენდატორ ირლანდიელებს შორის არსებული ისტორიული დაპირისპირებიდან გამომდინარე, მიწის იჯარა ეროვნული სულის საპირისპირო მოვლენადაა მიჩნეული. აგრარული პოლიტიკა აქ მესაკუთრე ფერმერზეა ორიენტირებული. იჯარის მიღების უფლებას მთავრობის განსაკუთრებული ნებართვა ესაჭიროება. ამის გამოა, რომ ირლანდიაში ფერმერ-არენდატორების რაოდენობა მცირეა, მათი წილი შინამეურნეობების მხოლოდ 12%-ს შეადგენს.

საფრანგეთში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიწის ბაზარზე რთული კონტროლის სისტემა ხორციელდება. მიწის ყოველი ყიდვა-გაყიდვის ან იჯარით გაცემის დროს კანონი განსაკუთრებულ სამთავრობო ნებართვას მოითხოვს. აქცენტი ყოველთვის ფაქტიურ მიწათმოსარგებლეზე კეთდება. თუ მიწის მესაკუთრე იცვლება და მოიჯარე იგივე რჩება, ამისათვის ნებართვა არ არის საჭირო, ხოლო თუ იცვლება მოიჯარე და მესაკუთრე იგივე რჩება, ამ შემთხვევაში ნებართვის მიღება აუცილებელია. ამ ნებართვის გაცემისას კანონით განსაზღვრული „პირადი პასუხისმგებლობით საოჯახო ფერმის“ შექმნისა და შენარჩუნების პრინციპი გაითვალისწინება. ნებართვისათვის საჭიროა მიწის მინიმალური ფართობი, რომელიც განსაზღვრულია კანონით. ასეთი მეურნეობა მინიმუმ ორი ადამიანის დასაქმებას და მათ მიერ სათანადო შემოსავლის მიღებას უნდა უზრუნველყოფდეს. ამჟამად ამგვარ მინიმალურ ზომად 25 ჰა-ია მიჩნეული. ეს არის ქვეყნისათვის დასაშვები ზღვარი, ამავდროულად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებით რეგიონული კოეფიციენტების 30%-ანი გადახრა დაშვებულია. მეურნეობის ზომის ზედა ზღვარი არ არის განსაზღვრული. თუმცა მეურნეობის მინიმალურ სიდიდეზე მეტად გაფართოებისას (ყიდვა ან იჯარა), საჭიროა უფლების მიღება. ასევე თანხმობაა აუცილებელი, თუ ფერმა მინიმალურ სიდიდემდე მცირდება.

გერმანიაში ხორციელდება მუდმივი კონტროლი სასოფლო-სამეურნეო მიწების საკუთრების ცვლილებისას ან იჯარით გაცემისას. თუ რამდენიმე პირს უნდა მიწის შეძენა ან იჯარით აღება, უპირატესობა ენიჭება მას, ვინც უკვე ეწევა საქმიანობას სოფლის მეურნეობაში. მიწის ფრაგმენტაციის აღკვეთის მიზნით – გასაყიდი ან იჯარით გასაცემი ნაკვეთი არ უნდა იყოს 1 ჰა-ზე ნაკლები. მაქსიმალურ ზომად მიჩნეულია 400-500 ჰა.

ამრიგად, დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნები მიწის ბაზრის მკაცრ კონტროლს ახორციელებენ. არის ქვეყნები მიწის ბაზრის ლიბერალური რე-

ჟიმით, მიწის უფრო გაადვილებული ყიდვა-გაყიდვითა და საიჯარო ურთიერთობებით. ამ ქვეყნებშიც არის შეზღუდვები სასოფლო-სამეურნეო მიწების სხვა დანიშნულებით გამოყენების, დაბეგვრის, საკუთრებაში გადაცემის მიმართულებით. მიწის ბაზრისადმი უფრო ლიბერალური დამოკიდებულება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო რესურსებით, ეროვნული და ისტორიული ტრადიციებით არის განსაზღვრული. ასეთ ქვეყნებს, უპირველესად, აშშ, ავსტრალია და კანადა მიეკუთვნება. დიდი ბრიტანეთი, ბელგია და საბერძნეთი ასევე შედარებით ნაკლებ კონტროლს ახორციელებს. თუმცა ამ ქვეყნებშიც სახელმწიფო, მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემის წარმოქმნისას ჩარევის უფლებას იტოვებს. ავსტრალიაში, სადაც მიწის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის, სარგებლობის უფლების ან იჯარის გაცემის დროს, მიწათსარგებლობის სათანადო წესების დაცვა, კერძოდ, მიწის ეროზიისა და უდაბნოდ გადაქცევის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება ფერმერებს ეკისრებათ.

აშშ-ში, შედარებით განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, სახელმწიფო ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც ფერმერების მიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენას არ კრძალავს. განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე 13 მნიშვნელოვან შტატში სავარგულების შეძენა იურიდიული პირების მიერ აკრძალულია. ეს ხდება იმისათვის, რომ მიწა არ შეიძინონ შემთხვევითმა პირებმა (არაფერმერებმა) და სასოფლო-სამეურნეო მიწებს დანიშნულება არ შეეცვალოს. ამავდროულად, აქ საოჯახო გაერთიანებებისა და კორპორაციების შექმნას, სადაც მესაკუთრეები ოჯახის წევრები არიან, ხელს უწყობენ.

იმ განსხვავებულ მოსაზრებებს შორის, რომლებიც მიწების განაწილებასთან დაკავშირებით სსრკ-ის დაშლის შემდგომ არსებობდა, ყურადღებას იმსახურებს 1991 წელს მ. გორბაჩოვისადმი ეკონომიკის სფეროში ცნობილი დასავლელი ეკონომისტების ჯგუფის მიერ გაგზავნილი ღია წერილი (ამ ჯგუფის წევრებს შორისაა ნობელის პრემიის ლაურეატები: ფრანკო მოდილიანი, ჯეიმს ტობინი და რობერტ სოლოუ. მათ 1996 წელს კიდევ ერთი ნობელის პრემიის ლაურეატი უილიამ ვიკრი შეუერთდა). ამ მიმართვაში ისინი თვლიან, რომ მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, უმჯობესია მიწაზე შენარჩუნებული იქნეს სახელმწიფო საკუთრება და სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის რენტის ფორმით ჩამოყალიბდეს. ისინი აღნიშნავენ, რომ დასავლეთის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მაღალი ტემპებით განვითარებას მიწაზე კერძო საკუთრება მნიშვნელოვნად აფერხებს, ვინაიდან კერძო სექტორი მიწის რენტის დიდ ნაწილს ითვისებს. მათი აზრით „მიწის რენტა კოლექტიური შრომის შედეგს წარმოადგენს და ის ყველა მოქალაქის ინტერესებისათვის უნდა გამოიყენებოდეს .... ეფექტიანობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად ყველა მიწათმოსარგებლე ყოველწლიურად მიწის რენტას ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა უხდიდეს ... სახელმ-

წიფო პერიოდულად უნდა განსაზღვრავდეს სარენტო გადასახადების სიდიდეს და მიწათმოსარგებლეებისათვის ამ უფლების გადაცემა არ უნდა ხდებოდეს".[1]

XX საუკუნის მეორე ნახევარში რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის მიმართ აქტიურ ნეოპროტექციონისტურ პოლიტიკას ახორციელებდნენ. რაც უფრო განვითარებული და მდიდარი იყო ქვეყანა, მით მეტად ამჟღავნებდა პროტექციონისტული დაცვის ტენდენციას თავისი ფერმერების მიმართ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცალკეული, სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების „ნომინალური დაცვის კოეფიციენტები" განიხილება. „ნომინალური დაცვის კოეფიციენტი" საშუალებას იძლევა, შევადაროთ ფასი, რომელსაც მწარმოებელი იღებს რეალურად თავის პროდუქციაში, იმ ფასთან, რომელსაც იგი საგარეო ვაჭრობის ყველა ბარიერის ლიკვიდაციის შედეგად მიიღებდა. დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნების უმრავლესობა ცდილობდა, თავიანთი ფერმერები გადასახადებით დაებეგრა, რის გამოც ფერმერები თავიანთ პროდუქციაში მსოფლიო ფასთან შედარებით ნაკლებს იღებდნენ. ამავდრო**ულად**, განვითარებულ ქვეყნებში ფერმერები იმპორტის მხრიდან კონკურენციისაგან დაცული იყვნენ და უპირატესობა ჰქონდათ თავისი პროდუქცია იმ ფასებში გაეყიდათ, რომლებიც მსოფლიო საშუალო ფასებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. რიგ ქვეყნებს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმართ დიფერენცირებული მიდგომა გააჩნდა (როგორც ექსპორტზე, ასევე იმპორტის შემცვლელი პროდუქციის მიმართ). ქვეყნების კონკრეტული საჭიროებიდან და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, პროტექციონისტური პოლიტიკა აგრარული პროდუქტების მიმართ საკმაოდ განსხვავებულ და მრავალფეროვან ხასიათს ატარებდა.

ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანება მნიშვნელოვნად ცვლის ნეოპროტექციონიზმის გატარების შესაძლებლობებს, თუმცა აღნიშნული ორგანიზაციის მოთხოვნები ეკოლოგიურად დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტებისაგან ქვეყნების დაცვის შესაძლებლობებს ითვალისწინებს.

თეორიული საფუძველი

მსოფლიოს აგრარულ განვითარებაში კონტინენტებისა და ქვეყნების მიხედვით წარმატებული თუ წარუმატებელი სამთავრობო ქმედებების მრავალ მაგალითს აქვს ადგილი. განვითარების საერთო კანონზომიერებებთან ერთად ქვეყნებს აგრარული პოლიტიკის სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებთ. ბუნებრივია, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მკვეთრი განსხვავებები არსებობს.

---

[1] Открытое письмо президенту СССР М.С. Горбачеву, журн. „Енергия, Экономика, Техника, Экология", №8, М. 2003.

აგრარულ განვითარებას და მის განმსაზღვრელ პოლიტიკას ეკონომიკური აზროვნების კლასიკოსები დიდ ყურადღებას უთმობდნენ (ა. სმიტი, დ. რიკარდო და თ. მალთუსი). საერთოდ ეკონომიკური განვითარებისათვის, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობისათვის ისინი განვითარების ძირითად ფაქტორად კაპიტალის აკუმულაციას მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვითა და შრომითი პროცესების სრულყოფით სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერების გადიდება მიიღწევა.

ნეოკლასიკური განვითარების მაკროეკონომიკურ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი აგრარული სექტორის ტრანსფორმირებასა და განვითარებას უჭირავს.

ამ თვალსაზრისით ძირითადად გამოყოფენ: **ზრდის სტადიების (საფეხურების) თეორიებს; დუალისტური ეკონომიკის მოდელებს; სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიებს და დამოკიდებულების თეორიას**.

ზრდის სტადიების (საფეხურების) თაობაზე ადრეულ მოსაზრებებს XIX საუკუნის გერმანელი ეკონომისტების ნაშრომებში ვხვდებით. ისინი განვითარების თეორიის შექმნის დროს ცდილობდნენ, ამ პროცესის მნიშვნელოვანი სეგმენტები და ეტაპები ეჩვენებინათ. მაგალითად, ფრიდრიხ ლისტი (გერმანული ისტორიული სკოლა) განიხილავს: ველურ, პასტორალურ (მწყემსურ), სასოფლო-სამეურნეო (აგრარულ), აგრარულ-ხელოსნურ (სამრეწველო) და აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო პერიოდებს. ლისტი თვლიდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ინდუსტრიალიზაციის მიმართულებით საექსპორტო მოთხოვნის სტიმულირებით ან ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ზეგავლენით შეიძლება.

კ. მარქსი გამოყოფდა: პირველყოფილ-თემურ, მონათმფლობელურ, ფეოდალურ, ინდუსტრიულ-კაპიტალისტურ და სოციალისტურ (კომუნისტურ) სტადიებს. იგი თვლიდა, რომ სტადიიდან სტადიაზე გადასვლა კლასთა ბრძოლის შედეგი იყო. ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდას სამრეწველო კაპიტალიზმის წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევდა.

XX საუკუნის 30-იან წლებში ალან ფიშერმა წამოაყენა კონცეფცია სტრუქტურული ტრანსფორმაციის შესახებ, რომელშიც პირველადი, მეორადი და მესამეული წარმოების ეტაპები განიხილება (მან ლისტის მოსაზრებები განავითარა). ფიშერმა სოფლის მეურნეობიდან (პირველადი) აგრარულ-ხელოსნურზე (მეორადი საქმიანობა) გადასვლის პროცესში დასაქმებისა და ინვესტირების შესაძლებლობების გაფართოებას გაუსვა ხაზი, რაც აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო წარმოებაზე გადასვლის დროს კიდევ უფრო ძლიერდება (მესამე სახის საქმიანობა).

კოლინ კლარკმა გაიზიარა ალან ფიშერის შეხედულებები, იგი თვლიდა, რომ ეკონომიკური ზრდა, რომელიც ხელს უწყობს სტრუქტურულ ტრანსფორმაციას, ნებისმიერ სექტორში შრომის მწარმოებლურობის გადიდებით და სამუშაო ძალის (შრომის) დაბალი ნაყოფიერების მქონე სექტორებიდან უფრო მაღალი ნაყოფიერების მქონე სექტორებში გადასვლით მიიღწევა. ფიშერი,

ისე, როგორც ლისტი, თვლიდა, რომ წარმოების ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას უკავშირდება. კლარკი ცდილობდა, გადასვლის თეორიული საკითხები ემპირიული საკითხების გადაწყვეტასთან მიესადაგებინა. იგი თვლიდა, რომ აქტიური პოლიტიკის მეშვეობით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა აგრარული საზოგადოების თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებად გარდაქმნის საქმეში.

XX საუკუნის 60-იან წლებში განვითარების სტადიების განხილვის საფუძველზე ვ. როსტოუმ „წამყვანი სექტორის" თეორია წამოაყენა. როსტოუ გამოყოფდა 5 სტადიას საზოგადოების განვითარებაში: 1. „ტრადიციულ საზოგადოებას", 2. გარდამავალ სტადიას – „გარდამავალი პერიოდის საზოგადოებას"", 3. „ნახტომის", „სტარტის საზოგადოებას", 4. მოძრაობას სიმწიფისაკენ – „მომწიფებად საზოგადოებას" და 5. „მასობრივი მოხმარების საზოგადოებას". მისი აზრით, პირველი და უკანასკნელი სტადიის გამოკლებით, შუალედური სტადიები უნდა განიხილებოდეს, როგორც გარდამავალი სტადიები. ამასთან, გარდამავალ პერიოდებში უნდა გამოიყოს მოწინავე სექტორი, რომელიც ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებას ხელს უწყობს და წამყვან, მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს. როსტოუ თვლის, რომ მიწოდებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, წამყვან სექტორს გააჩნია ოპტიმალური და კლებადი ფაზები, რომელსაც იგი მთელი ეკონომიკის განვითარების პროცესში აღწევს. მისი აზრით, ტექნოლოგია კი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, როგორც ახალი, მოწინავე, მზარდი სექტორის განვითარებაში, ისე ძველი, კლებადი სექტორის ფუნქციონირებაში.

ვ. როსტოუს კონცეფცია გარდამავალ პროცესში სოფლის მეურნეობის განმსაზღვრელ, წამყვან როლს ნათლად აშუქებს. ამასთან, განვითარებული საზოგადოების ეკონომიკაში მოწინავე სექტორის როლს მრეწველობა იძენს და დროის გარკვეულ პერიოდში იგი ზრდის ხელშეწყობას განაპირობებს. ამავდროულად, ამგვარ საზოგადოებაში სოფლის მეურნეობის როლის შემცირების მიუხედავად, სწორედ მან უნდა მიაწოდოს სურსათი მზარდ მოსახლეობას, ნედლეული მრეწველობას და ასევე სამუშაო ძალა ახალ მოწინავე სექტორებს.

დუალისტურ ეკონომიკურ მოდელებში სტატიკურ და დინამიკურ ვარიანტებს განასხვავებენ. სტატიკური დუალიზმი, თავის მხრივ, „სოციოლოგიურ" და „ანკლავურ" დუალიზმს მოიცავს. დინამიკური დუალისტურ-ეკონომიკური მოდელები სავსებით იზიარებს სტატიკური დუალიზმის ძირითად დებულებებს, რომლებიც ეკონომიკურად ღარიბი განვითარებადი ქვეყნების ჯგუფზე ვრცელდება (კერძოდ, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყოფილ კოლონიებზე), ხოლო შემდგომ ისეთ დაბალგანვითარებულ ქვეყნებზე, რომლებიც დიდი რაოდენობის ადგილობრივი მოსახლეობით ხასიათდებიან. მეცნიერების ფეისა და რეინის აზრით, ამგვარი ქვეყნების ეკონომიკა გვიჩვენებს ორი სექტორის თანაარსებობას: (1) შედარებით დიდი და „კაპიტალის ჭარბად შთანმთქმელი" სოფლის მეურნეობის

(არსებობისათვის აუცილებელი) უცვლელი სექტორი, რომელშიც ინსტიტუციური შესაძლებლობები შეზღუდულია; (2) შედარებით მცირე და ზრდადი კომერციალიზებული სამრეწველო სექტორი, რომელშიც კონკურენციის პირობები წარმოების საშუალებათა ბაზრებით სარგებლობის აუცილებლობას განაპირობებს. ამასთან, დინამიკურ მოდელში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა, ნაჩვენებია მექანიზმი, რომელიც განაპირობებს შრომითი რესურსების გადანაწილებას სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ სექტორში. ფეი-რეინის მოდელში საარსებო ანუ სოფლის მეურნეობის სექტორი უმუშევრობითა და ზოგადად დასაქმების დაბალი დონით ხასიათდება.

XX საუკუნის 70-იან წლებში ადგილი ჰქონდა დუალისტური ეკონომიკური მოდელების სრულყოფის მცდელობას. განავითარეს „წონასწორობის მოდელი“, რომელიც სოფლის მეურნეობასა და სამრეწველო სექტორებს შორის ეკონომიკურ დუალიზმს ამცირებს. შემდგომში რიგ ქვეყნებში წონასწორული და არაწონასწორული მოდელების ეფექტები ერთმანეთს შეადარეს (იაპონია და აზიის სხვა ქვეყნები). ამავდროულად, გააანალიზეს სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მიმდინარე ტექნიკური ცვლილებები და ხელფასის ნორმის ურთიერთდამოკიდებულება.

ღია დუალისტურ მოდელებში ფართოდ განიხილება სიღარიბისა და კომერციალიზაციის საკითხები. აქ მოცემულია სექტორის შეკუმშვის ამსახველი ცვლილებები, კერძოდ, ის, რომ სამუშაო ძალა – დასაქმებული სოფლის მეურნეობაში – აბსოლუტურად მცირდება. გაანალიზებულია ვითარება, როდესაც შრომა-ინტენსიური სამრეწველო ექსპორტი ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს ცვლის.

დამოუკიდებლობის პერსპექტივის საკითხები აგრარული განვითარების ასპექტში, ლათინური ამერიკის ქვეყნების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ალან დე ჯენვრის აქვს განხილული. იგი გვიჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობის სიღარიბე აქ ურთიერთობათა სამი რგოლით არის წარმოდგენილი: პირველი – ურთიერთობა დომინირებულ ქვეყნებსა და დამოკიდებულ ქვეყნებს შორის, როგორც ნედლეულსა და სამრეწველო საქონელს შორის უთანასწორო გაცვლის შედეგი; მეორე – ჭარბი კაპიტალის მქონე სამრეწველო სექტორის დონე, რომელიც აწარმოებს საქონელს, როგორც დამოკიდებული ქვეყნების (პერიფერიის) შეძლებული კლასისათვის, ისე მსოფლიო ბაზრისათვის და ჭარბი სამუშაო ძალის მქონე სამრეწველო და აგრარული სექტორებისათვის (რომლებიც ფართო მოხმარების პროდუქციას აწარმოებენ ღარიბი მოსახლეობისათვის). საარსებო სექტორი აწარმოებს იაფ სურსათს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციაზე ორიენტირებული საწარმოების (მეურნეობების) მუშებისათვის, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ქალაქების სამრეწველო სექტორებისათვის ანალოგიურად მოქმედებენ, და მესამე – ესაა ურთიერთობა მიწის მსხვილ მესაკუთრეებსა და სასოფლო-სამეურნეო მუშებს, აგრეთვე წვრილ მიწის მფლობელთა შორის, რომლებიც, საჭიროებიდან გა-

მომდინარე, ქალაქებში მცხოვრებ სამუშაო ძალისათვის იაფ სურსათს აწარმოებენ. მისი აზრით, ამ პრობლემათა დასაძლევად საჭიროა მიწის საფუძვლიანი რეფორმა განხორციელდეს, ასევე „შემოსავლების ახალი ნაკადების" მისაღებად სოფლად მნიშვნელოვანი ტექნიკური ცვლილებანი მოხდეს; ამ ცვლილებებს დაპირისპირებული სოციალური ჯგუფების ინტერესების გაერთიანება შეუძლია.

აგრარული პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები

აგრარულ პოლიტიკას (რიგ ქვეყნებში იგი სურსათის წარმოებასა და მეთევზეობის ქვესექტორს მოიცავს) 5 ძირითადი მიზანი გააჩნია. თავის მხრივ, ეს მიზნები რიგ შემადგენელ ამოცანებს მოიცავენ. უპირველესი მიზანია მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა. იგი გულისხმობს: საკვები პროდუქტების წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობას; ფიტო და ზოო-ვეტერინარული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლას; განსაკუთრებული შემთხვევებისათვის საკვები პროდუქტების მომარაგების დაგეგმვასა და სამთავრობო რეზერვების შექმნას; სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის წყალდიდობისა და ეროზიის საწინააღმდეგო ქმედებათა ხელშეწყობას. შემდგომი მიზანია სოფლებში და მათ კუთვნილ ტერიტორიაზე გარემოს დაცვა, რომელიც გულისხმობს სოფლის ეკონომიკურ ხელშეწყობას, განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობების მქონე რეგიონებსა და რაიონებში; წყლისა და გარემოს სხვა სახის დაბინძურების შემცირებას; ზღვის დაცვას, მისი ფლორისა და ფაუნის ჩათვლით; გარემოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაუმჯობესებას. უმნიშვნელოვანესი მიზანია სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის განვითარება. ამის მისაღწევად საჭიროა საერთო და კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; პირობების შექმნა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეფექტიანი განვითარებისათვის; ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა დაავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა. აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი და პრინციპული მნიშვნელობის მქონე საკითხია ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი კვების გაუმჯობესება, მისი ჯანმრთელობისათვის საჭირო სურსათის ხარისხის ამაღლება და ამით საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა.

აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის რეგიონებში ინფრასტრუქტურის ინვესტირება. აგრარულ პოლიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ცხოველთა და მცენარეთა დაცვას ენიჭება, რაც სათანადო ნორმების შემუშავებასა და ღონისძიებათა განხორციელებას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, ასევე, ამ პოლიტიკის გამტარებელთა ეფექტიანი საქმიანობა ანუ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომსახურებით უზრუნველყოფა, რესურსების სათანადო განაწილება და მათი ეფექტიანი მართვა. აგრარულ-

მა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დონის დაძლევასა და საყოველთაო კეთილდღეობის მიზნის განხორციელებას, კერძოდ, ეკოლოგიურად სუფთა საკვებზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას. აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს სექტორი პერსპექტივაში და ე.წ. „საგზაო რუკას", რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს ხედვა. ამ მიმართებით ათვლის წერტილს აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობა და მისი ანალიზი წარმოადგენს.

სექტორის როგორც ისტორიული ანალიზი, ისე მისი მომავლის შეფასება, მყარ რეალისტურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. ამასთან, რაც უფრო რეალისტურია სტრატეგია, მით მაღალია დასახული ცვლილებების მიღწევის ხარისხი. ამჟამად უღარიბეს ქვეყნებში, როგორც წესი, მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში ანუ თავისი საარსებო მიზნების რეალიზაციას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით იწყებს. დღესაც სურსათით უზრუნველყოფა მოხმარების უპირველეს მიზანს წარმოადგენს. განვითარებად ქვეყნებში კი ამისათვის ბრძოლას მათი დროის და რესურსების უმეტესი ნაწილი მიაქვს. ამგვარ ქვეყნებში მოსახლეობის სწრაფი ზრდა ბუნებრივად ხორციელდება, რასაც ყოველთვის მიწის გარკვეულ არეალზე მოსახლეობის სიჭარბე მოსდევს.

რიგ აგრარულ სტრატეგიებში მომავლის ხედვა რაოდენობრივად არის განსაზღვრული. მაგალითად, სახნავი ფართობის რა ნაწილი იქნება საირიგაციო სისტემით უზრუნველყოფილი, რა ფართობზე დაითესება მარცვლეული და ა.შ. სტრატეგია წარმოიშობა ადამიანის გონებაში, რომელიც მიზნად ისახავს, მაგალითად, საბაზრო პირობების სწრაფ შეცვლას. ცვლილებების დირექტივებში ერთ-ერთი საუკეთესო ორიენტირია სექტორის შედარებითი უპირატესობა. ეს არის ისეთი საწარმოო მიმართულება, რომელსაც შეუძლია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მსოფლიო ბაზრებზე სექტორის ეფექტიანი კონკურენცია განაპირობოს. სექტორის შედარებითი უპირატესობის იდენტიფიკაცია არის პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სექტორის ეროვნული მიზნების ზუსტი განსაზღვრისათვის. სტრატეგია ამა თუ იმ ფორმით პროდუქტიულობის ზრდას უნდა მოიცავდეს, რაც შემოსავლების გადიდებასა და სიღარიბის შემცირებაში უპირველეს წინაპირობას წარმოადგენს. ეს არის ეკონომიკის ეფექტიანობისა და სამართლიანობის განხორციელების უმაღლესი მიზანი. მწარმოებლურობის ამაღლების მიზანი მოიცავს, როგორც ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას (მოსავლიანობის ზრდა), ასევე ცვლილებებს წარმოების მოდელებში (სტრუქტურაში), მართვაში, მაღალი პროდუქტიულობის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვისა და წარმოების განხორციელებაში და სხვა.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტრატეგია ტექნიკურად გამართლებულ პოლიტიკურ რეკომენდაციებს ითვალისწინებდეს. სხვა შემთხვევაში სტრატეგიის განხორციელებას რისკი ახლავს. აგრარულ

სექტორში დაბანდებული ინვესტიციები სტრატეგიული ხედვის განხორციელების საშუალებაა. ეს არის უპირველესი კავშირი ეროვნულ მიზნებსა (ერთის მხრივ) და დეცენტრალიზებულად მოქმედ საბაზრო ეკონომიკას (მეორეს მხრივ) შორის. ხედვის ტიპი გვიჩვენებს სტრატეგიების ცვლილებას და მომავლის სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების ან წარმოების დონეთა სპეციფიკურ პროექტირებას ახდენს. აგრარული პოლიტიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს სოფლის მეურნეობის პოტენციურ ადგილსა და როლს ეკონომიკური წონასწორობის პერსპექტიულ განხორციელებასა და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაში. იგი ასევე, უნდა გულისხმობდეს: პოტენციური ტექნიკური ცვლილებებისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის აუცილებლობას და მათ შესაბამისობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინტერესთა რეალიზაციისათვის. აღნიშნული სტრატეგიის საბოლოო შედეგს ეკონომიკური ზრდის პროცესში სიღარიბის დაძლევა და ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემების გაუმჯობესება წარმოადგენს.

სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი, მნიშვნელოვან წილად აშშ-ში და სხვ.) **„ფართომასშტაბიან“** სტრატეგიას ემყარება, რომლის მიზანია მიწის მწარმოებლურობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება. იგი მოიცავს ფერმერების უმეტესობას და განსაკუთრებით აქცენტს მცირე და საშუალო ფერმერებზე აკეთებს. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ცდილობს, სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში არსებული უკიდურესი სიღარიბე შეამციროს და აღმოფხვრას. „ფართომასშტაბიანი“ სტრატეგია სოფლის მეურნეობის ერთმოდელიანი სტრუქტურის დამკვიდრებასა და გაძლიერებას განაპირობებს. იგი მცირე და საშუალო ზომის ფერმერებს ეხმარება. ამავდროულად, წარმოების პროცესში სამუშაო ძალის მაქსიმალური ჩართვითა და მიწის დაზოგვით მწარმოებლურობის ზრდას უწყობს ხელს. ამგვარი სტრატეგია ადვილად გავრცელებადი ტექნოლოგიური სიახლეების, მაღალი ნაყოფიერების მქონე მცენარეთა სახეობების, კომბინირებული სასუქების დამკვიდრებასა და მეურნეობების ეფექტიანი წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფას ასტიმულირებს. ამ ტექნოლოგიებს განსხვავებული ზომის ფერმებს (მეურნეობებს) შორის სწრაფად გავრცელების ტენდენცია აქვს. ამრიგად, ეს სტრატეგია მოწოდებულია, მოიცვას მცირე და საშუალო მეურნეობების უმეტესი ნაწილი, რომლებიც რაოდენობით ბევრად აღემატება საშუალო და მსხვილ მეურნეობებს. თუ შინამეურნეობების უმრავლესობას აქვს მიწის ფართობი 1 ჰა-ზე ნაკლები, მაშინ ტექნოლოგიური სიახლეები სწორედ ასეთი მცირე ზომის მეურნეობებს უნდა მიესადაგოს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სტრატეგია საშუალო ან მსხვილ მეურნეობებს არ მოიცავს, მაგრამ უმთავრესი აქცენტი მცირე ზომის ფერმებზე კეთდება. ბუნებრივია, სხვადასხვა ქვეყანაში მცირე ზომის მეურნეობის (ფერმის) ცნება მეტად განსხვავებულია.

„ფართომასშტაბიანი“ აგრარული სტრატეგიის საპირისპიროდ რიგ ქვეყნებში **„დუალისტურ“** სტრატეგიას მისდევენ. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება: მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნები. დუალის-

ტური სტრატეგია განაპირობებს ორმოდელიან (ორსაფეხურიან) სოფლის მეურნეობაში ორი დონის მქონე სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას. იგი მცირე რაოდენობის მსხვილი მიწათმფლობელებისა და დიდი რაოდენობის მცირე გლეხური მეურნეობების არსებობას გულისხმობს. დუალისტური სტრატეგია აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე და მცირე მეურნეობების პრობლემებსა და საჭიროებებს არ ითვალისწინებს. ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ამგვარ სტრატეგიას ახორციელებს, სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებასა და სოფლად ფართოდ გავრცელებული სიღარიბის დაძლევას ვერ ახერხებს. ტაივანის დიდი წარმატება (სოფლად სიღატაკის შემცირებაში) შედეგია სოფლის მეურნეობაში მის მიერ განხორციელებული „ფართომასშტაბიანი" სტრატეგიისა, რომელიც მეტად მცირე ზომის (0,84 ჰა საშუალოდ ერთ მუშაკზე) ფერმებზე იყო მიმართული. მექსიკაში, სადაც სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების მიწები საშუალოდ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით 3 ჰა-ზე მეტს შეადგენდა, სოფლის მოსახლეობის სიღატაკე არ შემცირებულა (ამავდროულად, ქვეყანა ნავთობიდან მიღებული შემოსავლებით საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო). ტაივანის სოფლის მეურნეობაში მცირე ფერმების პოტენციური შესაძლებლობები მოსავლიანობის გადიდებისათვის ინოვაციების შემოღებითა და დანერგვით გამოიხატა. ტაივანის აგრარული სტრატეგიის წარმატებას 1950-იანი წლების დასაწყისში განხორციელებულმა მიწების გადანაწილებამ დიდად შეუწყო ხელი. ამ პერიოდში მთავრობამ აიძულა, მიწათმფლობელები, რომლებსაც 3 ჰა-ზე მეტი გააჩნდათ, მიწის ეს ნამეტი გაეყიდათ. ამავდროულად, ფერმერებს ინფლაციისაგან დამცავი კომპენსაციები მისცეს. ამ მიწის რეფორმამ ხელი შეუწყო საშუალო მოსავლიანობის გადიდებას და სტიმული მისცა „ფართომასშტაბიანი" აგრარული სტრატეგიის განხორციელებას. ამ სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ფერმერული და საირიგაციო ასოციაციების შექმნა და განვითარება შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ აგრარული პოლიტიკის განხორციელების პროცესში ტაივანის უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები და საკონსულტაციო ფირმები აქტიურად მონაწილეობდნენ. საჭიროების შემთხვევაში კი საგანგებოდ შერჩეულ უცხოელ კონსულტანტებსაც იწვევდნენ.

აგრარული პოლიტიკის გამტარებლები

აგრარული პოლიტიკა, დღეისათვის, მეტად უნდა იყოს კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროებთან, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ მის განხორციელებას. მაგალითად, ცენტრალური ბანკი მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სოფლად საფინანსო პოლიტიკას, ხოლო ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის პოლიტიკას, ფინანსთა სამინისტრო სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და ირიგაციული

სისტემების განვითარების პროგრამებს, გარემოს დაცვის ან ბუნებრივი რესურსების სამინისტრო კი სოფლის მეურნეობის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას.

აგრარული პოლიტიკის გამტარებლები სტრუქტურული პოლიტიკის მეშვეობით სექტორული პოლიტიკის პროცესებს აწესრიგებენ. ამასთან, წინა პლანზე ისეთი აგრარული პოლიტიკა უნდა იდგეს, რომელიც სოფლის მეურნეობას საშუალებას მისცემს, სწორად განსაზღვრული ეკონომიკური წესრიგის ჩარჩოს ფარგლებში, საბაზრო ძალების გავლენით საზოგადოების მოთხოვნილება სრულად დააკმაყოფილოს. სამთავრობო სფეროებში აგრარული განვითარების პოლიტიკა მრავალი სამინისტროსა და სააგენტოსათვის (თუ აგრარული პოლიტიკის სხვა გამატარებლებისათვის) ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი უნდა იყოს. აგრარული პოლიტიკის განსაკუთრებული ამოცანაა, წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში, სათანადო საკანონმდებლო ჩარჩო პირობების დადგენა. იგი, თავის მხრივ, აგრარული სექტორის განვითარების არჩეული მოდელის განხორციელებას განაპირობებს. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, სექტორის წინსვლა და მის ეკონომიკურ აქტიურობას მხარი დაუჭიროს. მიწის საკუთრების და საიჯარო კანონმდებლობა აგრარული სექტორის თავისებურებებს სრულად უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს.

ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული აგრარული პოლიტიკის გამტარებლები ფუნქციონირებენ ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკისა და კანონების, სუბსიდიებისა და კვოტების ურთიერთშეთანაწყობის პირობებში, რომლებიც ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების დაბალანსებისაკენ არის მიმართული. ქვეყნის დონეზე ეროვნული აგრარული პოლიტიკის რეალიზაციას საფრანგეთსა და ბელგიაში სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო დიდ ბრიტანეთში სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის სამინისტრო ახორციელებს. აღნიშნული სამინისტრო მოწოდებულია ქვეყნის შიგნით სოფლის მეურნეობისათვის უფრო კონკურენტუნარიანი საბაზრო პირობები შექმნას და ევროპაში სამართლიანი კონკურენტული გარემოს ფორმირებას შეუწყოს ხელი. ამავდროულად, სამინისტრო ფერმერებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების ფართო სპექტრს უზრუნველყოფს (აქ იგულისხმება პროდუქციის წარმოების, ბაზრის კვლევის და პროდუქციის უფრო მომგებიანად ექსპორტირებისათვის დახმარება).

აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ადეკვატური ინსტიტუტებისა თუ სტრუქტურების ფორმირებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა. აგრარული სტრატეგიის წარმატებულად განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სათანადო ინსტრუმენტების (სტრუქტურების) ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე. აღნიშნული სტრუქტურები, ასევე, პოლიტიკის გამტარებლებად გვევლინებიან.

მაგალითად, საფრანგეთში სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის საწარმოებთან სიახლოვის მიზნით რეგიონული მომსახურების ცენტრები

აქვს. ისინი გრანტების გაცემას, სუბსიდირებას, ლიცენზირებას, კონსულტირებას და სხვა სახის მომსახურებას წარმართავენ.

აგრარული პოლიტიკის გატარებაში დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებას უწევენ თვითდაფინანსებაზე მყოფი საგენტოები: სურსათისა და მიწის საკონსულტაციო ცენტრი, ცენტრალური სამეცნიერო ლაბორატორია, პესტიციდების უსაფრთხოების დირექტორატი, ცენტრალური ვეტერინარული ლაბორატორია, ვეტერინარული მედიცინის დირექტორატი და ხორცის ჰიგიენის სამსახური და სხვ. სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის განყოფილებების დახმარებით ხორციელდება. ისინი ანალიზს უკეთებენ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებს, სახავენ რეალიზაციისათვის პრიორიტეტებს და საგარეო ვაჭრობის კოორდინირებას ახდენენ.

აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტები

აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტების ჯგუფს მიეკუთვნება:

- სამთავრობო ხარჯები;
- სექტორის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა (ირიგაცია, მარცვლეულის (მოსავლის) საცავები, ტრანსპორტირება და მარკეტინგში ხელშეწყობა);
- სექტორისათვის სასურველი საკრედიტო გარემოს ფორმირება;
- შეღავათიანი კრედიტების, სასოფლო-სამეურნეო კვლევების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გავრცელების ორგანიზება;
- მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვის, მიწების დაცვისა და გაუმჯობესების პროგრამების დაფინანსება და სხვა.

ისტორიულად აგრარული პოლიტიკის **ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სამთავრობო ხარჯები** წარმოადგენს. ბიუჯეტიდან გაწეული სათანადო ხარჯებით აგრარულ სექტორში მრავალგვარი მიზნის მიღწევა არის შესაძლებელი. რიგი ხარჯებით ინვესტიციები ისეთ ინფრასტრუქტურაში ხორციელდება, როგორიცაა ირიგაცია, მოსავლის შესანახი საცავები, საგზაო-სატრანსპორტო კომუნიკაციები და სხვა. ხარჯებით მარკეტინგული კვლევების ჩატარება, კრედიტებით მწარმოებლების პირდაპირი უზრუნველყოფა და კერძო კრედიტების სუბსიდირება ხდება. ასევე მიმდინარეობს კვლევების დაფინანსება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელება, დეფიციტის დასაძლევად სათანადო პროგრამებით მარცვლეულის წარმოებისა და შესყიდვის დაფინანსება, მიწის საკითხებთან დაკავშირებული და სხვა პროგრამების მხარდაჭერა.

აგრარული ინტერვენციული **ინსტრუმენტების მეორე ჯგუფს კონტროლის ინსტრუმენტებს** მიაკუთვნებენ. კერძოდ, მასში შედის: კონტროლი ფასებზე (განსაზღვრულ შემთხვევებში) და სავაჭრო სექტორში (პროდუქციის

ხარისხი, შესაბამისობა); სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და საირიგაციო სისტემებზე ზედამხედველობა; ფიტო-სანიტარული და ზოო-ვეტერინარული კონტროლი და სხვა. აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეს ჯგუფი სხვადასხვაგვარ მაკონტროლებელ საქმიანობას მოიცავს. ეს ეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სურსათის ხარისხის და სურსათით ვაჭრობის პირობებს; ასევე სასოფლო-სამეურნეო მიწების ხარისხობრივ და ირიგაციის ფუნქციონირების მდგომარეობას და სხვა. აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში სახელმწიფოების მთავრობების მიერ პირდაპირი კონტროლის ნაცვლად არაპირდაპირი კონტროლის ინსტრუმენტების ფართოდ გამოყენების ტენდენცია გამოიკვეთა.

აგრარული პოლიტიკის **ინსტრუმენტების მესამე ჯგუფს რიგ ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო თუ კვების მრეწველობის საწარმოებისა და მათი მარკეტინგის პირდაპირი მართვა შეადგენს**. ეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ობიექტებს ეხება. მსოფლიოში შეიმჩნევა სახელმწიფო სექტორის აღნიშნულ საწარმოთა შემცირების ტენდენცია, თუმცა რიგ ქვეყნებში ისინი მაინც არსებობენ.

აგრარული პოლიტიკა ასევე **განსხვავებული ინსტრუმენტების ფართო სპექტრს** მოიცავს. კერძოდ, ეს ინსტრუმენტებია: სურსათზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე ექსპორტისა და იმპორტის დაბეგვრის სატარიფო განაკვეთები; ექსპორტზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოებისათვის წარმოების საშუალებათა იმპორტის დაბეგვრის ტარიფები; ფერმერთა დახმარებები (გრანტები); სერტიფიცირების სისტემები; სურსათის ხარისხის რეგულირება; მეთევზეობის ლიცენზირება; სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის სტატუსის განსაზღვრა; მიწის რეგისტრაციის სისტემის რეგულირება; აგრარული პოლიტიკის გამტარებელი სტრუქტურების ფორმირებასა და ფუნქციონირებაში ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო კვლევების, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვა-გავრცელებისა და კონსულტირების ღონისძიებათა განხორციელება; საირიგაციო სისტემების საკუთრებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობის განსაზღვრა; წყლის მომხმარებელთა ასოციაციების ჩამოყალიბება; პრივატიზაციის გატარება; სასოფლო-სამეურნეო გარემოს დაცვა, სამთავრობო სასოფლო-საფინანსო სისტემების ჩამოყალიბება, სასურსათო დახმარებები ღარიბებისათვის და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ისეთ ინსტრუმენტებს ენიჭება, როგორიცაა აგრარული სექტორის ფუნქციონირების ჩარჩო პირობებისა თუ მარეგულირებელი კანონების მიღება და განხორციელება. ინსტრუმენტების ეს ჩამონათვალი შეიძლება გაფართოვდეს და ის უნდა იყოს განსხვავებული ქვეყნების მიხედვით. აგრარული პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტები მოცემული ქვეყანაში არსებული აგრარული ვითარების ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. იგი ამ ქვეყნის ისტორიას, ტრადიციებს და ეკონომიკური პოლიტიკის სპეციფიკას უნდა ითვალისწინებდეს და მოიცავდეს.

აგრარული პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი

აგრარული პოლიტიკის მოქმედების არეალი არ შემოისაზღვრება მხოლოდ სექტორის ფარგლებით, იგი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე, გადამამუშავებელ მრეწველობასა და სხვა სფეროებზე ვრცელდება. აგრარული პოლიტიკა მრავალგვარ განსხვავებულ პრობლემებზე უნდა იყოს ფოკუსირებული. ასეთ პრობლემებს წარმოადგენს: მეურნეობის (ფერმის) ოპტიმალური, ეფექტიანი ზომის დამკვიდრება; მეურნეობების კრედიტებით, ტექნიკით, ტექნოლოგიებით და წარმოების სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა; გასაღების ბაზრების გაფართოება; სოფლის მოსახლეობის სიღარიბის შემცირება და ა.შ.

აგრარული სექტორის განვითარების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ასევე მრავალმხრივია. ჯერ ერთი, ის ეკონომიკის სხვა სექტორებს აწვდის სურსათსა და ნედლეულს, მეორე, იგი შრომითი და საფინანსო რესურსების გადანაწილებით სხვა განვითარებად სექტორებს ეხმარება; მესამე, სხვა სექტორების პროდუქციის შეძენითა და ამ პროდუქციაზე სოფლის მეურნეობის მხრიდან მოთხოვნის ზრდით აგრარული სექტორი ხელს უწყობს სხვა არააგრარული სექტორების გაფართოებას და მთლიანად საშინაო ბაზრის მასშტაბების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტით ის ღებულობს სავალუტო შემოსავალს და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებზე დადებით გავლენას ახდენს. აგრარულ სექტორში სურსათის იმპორტის შემცვლელი პროდუქციის წარმოებით მცირდება იმპორტის საჭიროება, რაც დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირებას ან დეფიციტური სალდოს შეზღუდვას ხელს უწყობს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, აღნიშნული სტუქტურული ცვლილებების შედეგად, მცირდება სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან სამამულო პროდუქტში და, ამავდროულად, იზრდება მრეწველობისა და სხვა სექტორების წილი. ამ პროცესს თან ახლავს სოფლის მოსახლეობის შემცირებისა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის კლების ტენდენცია. ამავდროულად, სოფლის მეურნეობაში მანქანა-დანადგარებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდების საფუძველს ქმნის.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის ექსპორტიორი, განსაკუთრებით დაბალგანვითარებული ქვეყნები, ამგვარი ექსპორტით მნიშვნელოვან მოგებას ვერ იღებენ. ნაციონალური ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი საკითხია სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ნებისმიერმა ქვეყანამ (განვითარებული იქნება იგი თუ განვითარებადი) აგრარულ სექტორში თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული დარგობრივი სტრუქტურა და პროდუქციის წარმოების მდგრადი განვითარების შესაძლებლობები დაამკვიდროს. სოფლის

მეურნეობის პროდუქციით საგარეო ვაჭრობის გაფართოება, ამ პროდუქციაზე მსოფლიო მოთხოვნის დაბალი ელასტიკურობის გამო, ნაციონალური აგრარული სექტორებისათვის ექსტრემალურ პირობებში (ომები, მოუსავლიანობა, ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფები და სხვა) შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. აღნიშნულ მოსაზრებათა გათვალისწინებით და აგრარული სექტორის პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილების რისკების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტი და თანამედროვე სამრეწველო დარგების განვითარებისათვის რესურსების მეტი კონცენტრირება მოახდინონ. განვითარებადმა ქვეყნებმა ასევე უნდა შეზღუდონ სამრეწველო პროდუქციის იმპორტი და იგი უნდა შეცვალონ საკუთარი წარმოებით, რაც ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების კონკრეტული პირობებისა თუ შესაძლებლობების სრულად გათვალისწინებას საჭიროებს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე იმ ქვეყნებმა, რომლებიც ცდილობენ საერთაშორისო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, სტანდარტული, ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოება და ექსპორტი უნდა შეძლონ. აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყნები განვითარებული ქვეყნების აგრარულ-სანედლეულო პროდუქციის დანამატად გადაიქცევიან. აგრარული სექტორის განვითარების მიზნობრივად დიფერენცირებული მხარდაჭერა ამ ქვეყნების სავალუტო შემოსავლების მიღებისა და ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია. ნედლეულის საექსპორტო ვაჭრობასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამასთან აშკარაა, რომ ქვეყანა უნდა მიისწრაფვოდეს მზა პროდუქციის ექსპორტის გადიდებისა და ნედლეულის ექსპორტის შემცირებისაკენ. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ახალი ცოდნის შემოტანასა და გავრცელებას უწყობს ხელს.

განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ინვესტიციების გადიდებას არა მხოლოდ ნედლეულის წარმოებაში, არამედ უპირატესად გადამამუშავებელ მრეწველობაში. ისტორიულად შრომის მწარმოებლურობის ზრდა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასთან შედარებით, დაბალი ტემპებით ხასიათდება, რაც აქ წარმოებული პროდუქციის ფასების შედარებით სტაბილურობას განაპირობებს. მრეწველობას ახასიათებს წარმოების დანახარჯების შემცირების ტენდენცია გაუმჯობესებული წარმოების საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე. სწორედ შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ ქვესექტორებში განაპირობებს ნედლეულის ექსპორტიორი განვითარებადი ქვეყნების შემოსავლების ზრდის დაბალ ტემპებს განვითარებული ქვეყნების შემოსავლების ზრდასთან შედარებით. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის სწრაფი გადიდება – შიდა ბაზარზე ამ პროდუქტების ფასების ზრდას განაპირობებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნის ეკონო-

მიკისათვის არა მხოლოდ ექსპორტის გადიდებაა შედეგის მომტანი, არამედ იმპორტის საჭიროებაც გათვალისწინებული უნდა იქნას. თუ ექსპორტის ზრდა განაპირობებს იმპორტის უფრო სწრაფი ტემპით მატებას და დეფიციტური სავაჭრო ბალანსის წარმოქმნას, მაშინ ამგვარ ექსპორტს ეკონომიკური პოლიტიკა ხელს არ უნდა უწყობდეს.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის პოზიტიური გავლენა საგარეო ვაჭრობაზე უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც იმპორტის შემცვლელი წარმოების განვითარება და, მეორე მხრივ, როგორც ექსპორტის გამაფართოებელი, მდგრადი ზრდა. იმპორტის შემცვლელი წარმოების ზრდის დროს აქცენტი ისეთ სასოფლო-სამეურნეო ქვესექტორებზე კეთდება, რომლებიც შიდა ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციას კონკურენციას გაუწევს. მაგალითად, ადგილობრივი ხორბლისა თუ თამბაქოს ნედლეულის წარმოების განვითარება გულისხმობს ღონისძიებათა კომპლექსს წარმოების საშუალებათა გაუმჯობესების, მოსავლიანობის ზრდის და ხარისხის ამაღლების მიმართულებით, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საიმპორტო საჭიროებათა შემცირებას განაპირობებს. შედეგად ადგილობრივ გადამამუშავებელ მრეწველობას ადგილობრივი კონკურენტუნარიანი ნედლეულის მიწოდება გარანტირებული აქვს. ბუნებრივია, ეს პროცესი ადგილობრივი გადამამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაციასაც უნდა მოიცავდეს. ამგვარი განვითარების შემთხვევაში ხორბლის ფქვილისა და სიგარეტების იმპორტის აუცილებლობა შემცირდება. სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტის ზრდა გულისხმობს, როგორც ამა თუ იმ კულტურების ფართობების მოსავლიანობის გადიდებას, ასევე სტანდარტული, აუცილებელი სასაქონლო პარტიების მიღებას, პირველად გადამუშავებასა და სათანადო შეფუთვას. მომგებიანობის თვალსაზრისით, გადამუშავებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეული ან საბოლოო პროდუქტი უფრო ეფექტიანია. განსხვავებული მიდგომა ან უპირატესობის მინიჭება იმპორტ-შემცვლელი თუ ექსპორტ-გამაფართოებელი განვითარების გზებისათვის მთავრობის პოლიტიკის საგანს წარმოადგენს.

აგრარული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის ქვესექტორების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამავდროულად, მთავრობას სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებით, სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით თუ საგადასახადო შეღავათების მეშვეობით, მათი განვითარების დაჩქარება შეუძლია. განვითარებად ქვეყნებს გასავლელი აქვს მაკროეკონომიკური განვითარების ურთულესი გზა, რისთვისაც სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვნად უნდა დაჩქარდეს. ამ პროცესმა აგრარული სექტორის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში გარკვეულად უნდა გაზარდოს. შემდგომში ეს გაზრდის მსპ-ს, ხოლო კვების მრეწველობასა და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას ხელს შეუწყობს. აღნიშნულ ცვლილებათა შედეგად ადგილი აქვს სოფლის მოსახლეობის შეფარდებით ჭარბი შრომითი რესურსების გადასვლას მრეწველობასა და სხვა სექტორებში, რასაც ყოველთვის

ერთმნიშვნელოვნად ვერ შევაფასებთ. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა დაისახოს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი და საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი კვების მრეწველობისა და მრეწველობის სხვა სექტორების დაჩქარებული განვითარება. მხოლოდ კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტების წარმოების გაფართოებით, უმაღლესი ხარისხის სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებით იქნება შესაძლებელი ექსპორტის ზრდის ტემპის დაჩქარება და მისი იმპორტზე აბსოლუტური გადამეტების მიღწევა.

აგრარული პოლიტიკის აქტუალურ, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მეურნეობის (ფერმის) ოპტიმალური ზომის განსაზღვრა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა. რიგი ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა მცირე ზომის მეურნეობებში უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში. მაგალითად, შაქრის ჭარხლის და ყავის საშუალო მოსავლიანობა ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიის შედარებით მცირე (10-49 ჰა) ზომის მეურნეობებში 5,6-ჯერ აღემატებოდა მსხვილი (500 და მეტი ჰა) ზომის მეურნეობებში მიღებულ მოსავალს. პაკისტანის მცირე ზომის მეურნეობებში (5,1-10,1 ჰა) მოსავლიანობა 2,7-ჯერ აღემატებოდა მსხვილი (20 და მეტი ჰა) მეურნეობების მოსავალს, ხოლო მალაიზიაში მცირე მეურნეობების (0,71,0 ჰა) მოსავლიანობა 1,5-ჯერ აღემატებოდა შედარებით მსხვილი (5,7-11,3 ჰა) მეურნეობების მოსავალს. ჩნდება რიგი კითხვებისა, თუ რომელი ფაქტორები განაპირობებენ მცირე ზომის მეურნეობათა უფრო მაღალ ეფექტიანობას მსხვილ მეურნეობებთან შედარებით. მათი კვლევა ნათლად გვიჩვენებს, რომ მიწების გადანაწილება მსხვილი მეურნეობებიდან მცირე მეურნეობებზე პროდუქციის წარმოების გადიდებას უწყობს ხელს. არსებობს მოსაზრება, რომ განსხვავება მცირე და მსხვილი მეურნეობების ეფექტიანობაში მიწის ხარისხობრივი მონაცემებით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ დიდ მეურნეობებს ხშირად დაბალი ხარისხის მიწები აქვთ. დიდი ფერმების დაბალი პროდუქტიულობა რიგ შემთხვევაში გამოწვეულია იმით, რომ ისინი მეტ წილად დაქირავებულ შრომას იყენებენ. მცირე საოჯახო მეურნეობები და ოჯახის წევრთა შრომა უფრო იაფია და უფრო ეფექტიანი, ვიდრე დაქირავებული მუშების. ოჯახის წევრები შემოსავლიდან (მოგებიდან) თავის წილს იღებენ. ისინი, რა თქმა უნდა, დაქირავებულ მუშებთან შედარებით (რომლებიც ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან) მეტად არიან შრომითი საქმიანობისათვის მოტივირებული. საოჯახო მეურნეობებში არ ქირაობენ ზედამხედველებს და შესაბამისი დანახარჯებიც არ წარმოიშობა. ამასთან, ოჯახის თითოეული წევრი საქმიანობის შედეგის მხრივ რისკის წილს იღებს, რაც დაქირავებული შრომის გამოყენების შემთხვევაში არ ხდება. დაქირავებული შრომის დაბალი ეფექტიანობა საოჯახო შრომასთან შედარებით მიწის იჯარით გაცემას უწყობდა ხელს და მიწის საიჯარო ბაზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა. მსხვილი მიწათმ-

ფლობელები, დაქირავებული შრომის მართვის ნაცვლად, ამჯობინებდნენ მიწა მოიჯარეებზე რენტის მიღების მიზნით გაეცათ. საოჯახო შრომის ეფექტიანობის რეალიზაციის მიზნით დიდი ზომის მიწის საკუთრება იყოფოდა და ნაწილდებოდა მცირე ზომის მეურნეობებზე, საიდანაც რენტას იღებდნენ. ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ირანსა და სხვა ქვეყნებში მამულების დანაწევრებასა და მათ რენტის მიღების მიზნით გაცემას ჰქონდა ადგილი. აქვე აღსანიშნავია, რომ მოიჯარე და მოზიარე საოჯახო მეურნეობებს საკუთარი, შიდა პრობლემები გააჩნიათ. უპირველეს ყოვლისა, ისინი წარმოებულ პროდუქტს სრულად არ იღებენ და იძულებული არიან, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის მესაკუთრეს გადასცენ. ასევე, ოჯახი არაა დაინტერესებული მიწაზე მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები გასწიოს და მისი მწარმოებლურობის გრძელვადიან გადიდებას ხელი შეუწყოს. აღნიშნული პრობლემა გარკვეულწილად ნიველირდება, თუ მიწათმფლობელი დანახარჯების გაწევაში მონაწილეობს (მაგალითად, სასუქების, თესლის შეძენაში), ეხმარება მათ კრედიტით და სხვ. ამგვარ ქმედებას შეუძლია აღნიშნული პრობლემის შემცირება, მაგრამ არა მისი სრულად დაძლევა. სამხრეთ ინდოეთის სოფლებში კერძო ნაკვეთების ფართობის ერთეულზე (აკრზე) დანახარჯები და წარმოებული მთლიანი პროდუქციის მოცულობა უფრო მაღალია, ვიდრე მოიჯარეთა ნაკვეთებზე. მცირე ზომის მიწის ნაკვეთების მქონე ფერმებთან ერთად არსებობენ პლანტაციები, რომლებიც მსხვილ მეურნეობებს ეკუთვნიან და სადაც სისტემატურად ან პერიოდულად დაქირავებულ მუშებს იყენებენ. ამგვარი მეურნეობების არსებობა განსაზღვრული კულტურების მასშტაბური წარმოების ტექნიკური აუცილებლობით, გადამამუშავებელი წარმოების ნედლეულზე მოთხოვნითა და მარკეტინგული სპეციფიკურობით აიხსნება. მათ აგრეთვე მაშინ ვხვდებით, როდესაც მოსავლის მიღებასა და გადამუშავებას შორის მჭიდრო კოორდინაციის საჭიროება არსებობს. მოსავლის მიღებასა და გადამუშავებას შორის საქმიანობის კოორდინირება გასათვალისწინებელია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებითა და ნედლეულით გადამამუშავებელი წარმოების მომარაგება პრობლემას არ წარმოადგენს და შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. მაგალითად, მსხვილ წისქვილს შეუძლია იყიდოს ხორბალი ან ბრინჯი მოსავლის აღების დროს ან შემდგომ პერიოდში და მომხმარებლები წლის განმავლობაში ფქვილით მოამარაგოს.

ამდენად გადამამუშავებელი წარმოების მხოლოდ ეკონომიკური სიმძლავრე (მასშტაბები) პლანტაციების არსებობისათვის საკმარისი პირობა არ არის. მსხვილ პლანტაციებსა თუ მცირე მეურნეობებში მოყვანილი ხორბლის ან სხვა მარცვლეულის შეძენაზე კონტრაქტების დადებას მყარი საფუძველი არ აქვს. ვინაიდან მეურნეობამ მარცვლეულის გაყიდვა შეიძლება არ იჩქაროს და ფასის ცვლილებას დაელოდოს, ამიტომ გადამამუშავებელმა საწარმოებმაც ნედლეულის შეძენის სხვა წყაროები უნდა იპოვონ. მარცვლეულისგან განსხვავებით, შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება და გადამუშავება კარგ კოორდინაციას მოითხოვს. ცნობილია, რომ თუ შაქრის ჭარხალი მოჭრის

შემდეგ 12 სთ-ის განმავლობაში არ დამუშავდა, მისი ხარისხობრივი თვისებები მნიშვნელოვნად გაუარესდება. ამდენად, შაქრის ჭარხლის დარგვის, მოსავლის მოყვანისა და დროულად მისი გადამუშავების პროცესები წლის განმავლობაში მაქსიმალურ კოორდინაციას საჭიროებს (ჩაისა და სხვა კულტურების წარმოებაშიც მსგავსი ვითარებაა). ამ შემთხვევაში მაღალი ეფექტი მიიღწევა თუ შაქრის პლანტაციები ფაბრიკის მესაკუთრეებს ეკუთვნით, ხოლო შაქრის მოყვანის, გადამუშავებისა და რეალიზაციის ვადებისა და დანახარჯების დაგეგმვის თაობაზე გადაწყვეტილება ერთ მენეჯერს შეუძლია მიიღოს. ბანანის მოყვანისა და ექსპორტისათვის საქმიანობის კოორდინირება ასევე განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. მაგალითად, დაუმწიფებელი ბანანი მისი მოკრეფიდან 24 სთ-ის განმავლობაში მაცივრის მქონე გემზე უნდა მოთავსდეს (მისი დამწიფების პროცესის შეჩერებისათვის). ამგვარი გარემოება ბანანის პლანტაციებისა და გემების კომპანიებს შორის განსაკუთრებულ ურთიერთდამოკიდებულებას საჭიროებს. ამრიგად, მსოფლიოში ბანანის უდიდესი იმპორტიორი კომპანიები მრავალ დიდ პლანტაციას მოიცავს, რომლებიც დაქირავებულ მენეჯერთა ხელმძღვანელობით ფუნქციონირებენ. ბანანის ადგილობრივ ბაზრებს კი ჩვეულებრივ მცირე ზომის მწარმოებლები მანქანებისა და რკინიგზის დახმარებით ემსახურებიან. მცირე მეურნეობებთან დადებული კონტრაქტები სასოფლო-სამეურნეო კულტურის სპეციფიკაზე არის დამოკიდებული. მაგალითად, შაქრის ჭარხალზე საკონტრაქტო ურთიერთობები ინდოეთსა და ტაილანდშია გავრცელებული. რაც შეეხება ბანანს, რომელთა ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ასეთი კონტრაქტები ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ეკონომისტების ჯგუფმა ფილიპინების მთავრობას შესთავაზა მოსაზრება ბანანის პლანტაციების შედარებით მცირე მეურნეობებზე გადანაწილების თაობაზე, რომლებიც კონტრაქტების საფუძველზე ბანანის წარმოებას განახორციელებდნენ. უნდა ჩამოყალიბებულიყო 5-6 ჰა მიწის მფლობელი მეურნეობები, რომლებიც კონტრაქტების მოთხოვნათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით ძალიან მკაცრ დაგეგმვას დაექვემდებარებოდნენ. მსხვილი ფერმების რეფორმირება შესაძლებელია ბრაზილიაში, ნიკარაგუაში, გვატემალაში, ზიმბაბვესა და სამხრეთ აფრიკაში. კოლონიური პერიოდის განმავლობაში ამ ქვეყნებში მსხვილმა მიწათმფლობელებმა ნაყოფიერი ტერიტორიებიდან სოფლის მოსახლეობა გააძევეს და აიძულეს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის მუშები და ფერმერები, დაბალნაყოფიერ, ურწყავ ტერიტორიებზე გადასულიყვნენ. მაგალითად, 1964 წელს ზიმბაბვეში 600-მდე თეთრმა ფერმერმა ოკუპაცია გაუკეთა ყველაზე საუკეთესო მიწების ნახევარს და აიძულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი, 800 ათასი აფრიკელი ნაკლებ ნაყოფიერ მიწებზე გადასულიყო. 1979 წ. ზიმბაბვეს მთავრობა შეეცადა, მოეხდინა რეფორმირება და დაებრუნებინა აფრიკელი ფერმერები ნაყოფიერ მიწებზე, მაგრამ ვითარება არსებითად ვერ შეცვალა. აღნიშნულ ქვეყნებში ფერმერული მეურნეობის მიწების სიდიდემ მართვის თვალსაზრისით ეკონომიკურად მისაღებ ზომებს გადააჭარბა. განსხვავება პროდუქტიულობაში მსხვილ

და მცირე მეურნეობებს შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შექმნილია ეკონომიკურად გამართლებული მიწის რეფორმების წინაპირობები. მიწის რეფორმების განხორციელებისათვის ამ ქვეყნებში გარკვეული ტერიტორიებიდან (ნაყოფიერი მიწებიდან) საჭიროა მოსახლეობის გადასახლება. აღნიშნული პროცესი კი კომპლექსურ გადაწყვეტილებათა მიღებას მოითხოვს. გადასახლებას თან უნდა ახლდეს წარმოების საშუალებებისა და საჭირო ცოდნის მისაღებად ადეკვატური პირობების შექმნა, ასევე ახალ ტერიტორიასთან სამეურნეო ცოდნის მისადაგება, მოსახლეობის ეთნიკური თავსებადობის გათვალისწინება, სათანადო ინფრასტრუქტურის წარმოქმნა და დამხმარე მომსახურების განხორციელების შესაძლებლობათა ფორმირება. ლათინური ამერიკის ქვეყნებში მსხვილი მეურნეობები იჯარასა და დაქირავებული შრომის სისტემას იყენებენ. ასეთი სისტემის პირობებში დაქირავებულ მუშებს საკუთარი საჭიროებისათვის მიწის მცირე ნაკვეთები ეძლევათ. მოიჯარენი და მუშები თავიანთ მცირე მეურნეობებს წარმატებით უძღვებიან და ამით იჯარისა და შრომის კანონის რეფორმირების აუცილებლობას ნიღბავენ. ბრაზილიაში, მაგალითად, 1964 წ. აღნიშნული მცირე მეურნეობები მაქსიმალური ფიქსირებული რენტით იბეგრებოდა. მიწის მსხვილ მესაკუთრეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მაქსიმალური საიჯარო გადასახადი და დაქირავებულ მუშებს მინიმალური ხელფასები გადაუხადონ. მესაკუთრეს აქვს უფლება, გაწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა ან ჩამოართვას მიწა დაქირავებულ მუშებს. მესაკუთრეს ასევე შეუძლია მიწა მოიჯარისა და მუშების უკითხავად გაყიდოს.

მთავრობის პოლიტიკა მსხვილი მიწათმფლობელების სუბსიდიებითა და კრედიტებით უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული. ამავდროულად, არაფერი არ კეთდება მოიჯარეებისა და დაქირავებული მუშების დახმარებისათვის, მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების, მცირე მეურნეობათა განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობისათვის. მიწის ბაზარი, რომელიც მოიცავს იჯარას და მემკვიდრეობით მიწის მიღებას (გაცემას), როგორც ეკონომიკურ, ისე იურიდიულ კატეგორიას წარმოადგენს. აგრარულ პოლიტიკასა და, ასევე, მთლიანად მიწის რესურსების გამოყენების პოლიტიკაში იგი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ის ასევე ეკონომიკის ლიბერალიზაციის ეროვნულ ტრადიციებსა და ქვეყნების მიწით უზრუნველყოფას ასახავს. მეურნეობის სიდიდე სხვადასხვა კონტინენტებზე თუ ქვეყნებში განსხვავებული ცნებებია. ბუნებრივია, რომ მეურნეობის საშუალო ზომა აშშ-ში გაცილებით დიდია, ვიდრე ევროპაში. ამასთან, განვითარების ტენდენცია მეურნეობების საშუალო ზომის ზრდას განაპირობებს, თუმცა არის გამონაკლისებიც. ახალ ზელანდიაში მსხვილი მამულების დაყოფა მოხდა, ხოლო ავსტრიაში, საბერძნეთსა და იტალიაში მეურნეობების საშუალო ზომა არ შეცვლილა. სხვა ქვეყნებში კი ადგილი ჰქონდა მეურნეობების საშუალო ზომების გადიდების ტენდენციას. რიგ ქვეყნებში (ავსტრალია, პორტუგალია, ესპანეთი, ბელგია, დანია, გერმანია, იაპონია) ეს ზრდა შედარებით მაღალი ტემპით მიმდინარეობადა, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში კი ეს პროცესი ნელა ხორციელდებოდა (ფინეთი,

დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია). აქვე აღსანიშნავია ის დიდი სხვაობა, რომელიც ქვეყნებს შორის მეურნეობათა საშუალო ზომებში არსებობს.

აგრარული სექტორის განვითარების ზოგად ტენდენციას წარმოების კონცენტრაცია წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე მაღალმექანიზებული წარმოების მოთხოვნებს ეფუძნება. მეურნეობების საშუალო ზომის გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია, როგორც საბაზრო ძალების ზემოქმედებით, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით მიმდინარეობს. ევროკავშირის ქვეყნებში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევის შედეგად) მცირე მეურნეობების გამოსყიდვისა და მათი უფრო მსხვილი მეურნეობებისათვის მიყიდვის პროცესი მიმდინარეობს. აგრეთვე ხორციელდება ფერმერის პენსიაზე გასვლის დაჩქარების პროცესი, რომელიც სხვა მეურნეობების გაფართოებისათვის მიწის გადაცემის მიზნით ხდება. მოქმედი კანონმდებლობა მეურნეობათა გამსხვილებას ხელს უწყობს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მეურნეობების გაფართოების მიზანი არის არა ლატიფუნდიის შექმნა, არამედ ფერმერული მეურნეობის კომერციული განვითარებისათვის ხელშეწყობა. აგრარული რეფორმები ესპანეთში, სამხრეთ იტალიასა და გარკვეულ წილად იაპონიაში მიზნად მემამულური მიწათმფლობელობის, როგორც სოფლის მეურნეობაში მოძველებული ფეოდალური წყობის გადმონაშთის, გაუქმებას ისახავს. რიგ ქვეყნებში კანონები მიწის მფლობელობის მაქსიმალური ზომების შესახებ ამის საწინააღმდეგოდაა მიმართული. თუმცა ამგვარი კანონები არ ახასიათებთ ჭარბმიწიან ქვეყნებს, სადაც არ ყოფილა ფეოდალური ტიპის ლატიფუნდიები, მაგრამ აქაც მიწის კანონმდებლობა, რომელიც მიწის ბაზრის ფუნქციონირების პირობებს განსაზღვრავს, კორპორაციების მიერ ფერმერული საკუთრების შეძენას კრძალავს.

ყურადსაღებია, რომ დასავლური კანონმდებლობა იურიდიულ პირებზე მიწების გაყიდვასთან დაკავშირებით უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს. უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით ევროკავშირში, მიწის ყიდვა შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც მკაცრ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სოფლის მეურნეობის განხორციელებისათვის სათანადო კაპიტალის ფლობას და ა.შ. ამ კანონმდებლობის აზრია ის, რომ მიწა მასზე მომუშავე მესაკუთრის ხელში, უპირატესად კი სოფლის შინამეურნეობების სარგებლობაში უნდა იყოს. მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების დადგენა, მიწათსარგებლობის კონცენტრაციის გზების თავისებურებების განსაზღვრა ეროვნულ ტრადიციებზე და სამეურნეო მიზანშეწონილობაზე არის დამოკიდებული. უმრავლეს ქვეყნებში მიწაზე საკუთრებასა და იჯარას შორის წინააღმდეგობა და დაპირისპირება არ არსებობს. მიწათსარგებლობის ეფექტიანად განხორციელება შესაძლებელია ამა თუ იმ ფორმით, ამასთან, ქვეყნის რომელიმე მხარის მიმართ იდეოლოგიური, იურიდიული თუ ეკონომიკური შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება არ უნდა არსებობდეს. თითოეულ ქვეყანაში ამ

საკითხის გადაჭრა ნაციონალური პირობებიდან და მეურნეობრივი მიზანშეწონილობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

აგრარული პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში

სწორი აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაშიც სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აგრარული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის ქვესექტორების განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ამავდროულად, მთავრობას სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებით, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნითა და საგადასახადო შეღავათების მეშვეობით, მათი განვითარების დაჩქარება შეუძლია. ამ პროცესმა აგრარული სექტორის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში უნდა გაზარდოს.

2019 წლის მონაცემებით, საქართველოში სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში 41,3%-ია. თუმცა, ამ სფეროს წილი მთლიან სამამულო პროდუქტში მხოლოდ 7,7%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი 2015 წელს იყო – 9.1%, 2016 წელს – 9%, 2017 წელს – 8%, ანუ ყოველწლიურად მცირდება. შედარებისათვის: აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 1,6%, გერმანიაში – 2,9%, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ – 5,0%. აშშ-ში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126, გერმანიაში – 144, ევროკავშირის ქვეყნებში – 51 ადამიანს, ხოლო საქართველოში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი უჭირს. 2019 წლის მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე, კერძოდ, ყურძენზე, კარტოფილზე, სიმინდზე, რძე და რძის პროდუქტებზე, ცხვრისა და თხის ხორცზე, ბოსტნეულზე.

აგრარულმა სექტორმა 2004-2005 წლებში დაიწყო დაცემა, რაც სოფლად მაცხოვრებელი საქართველოს მოსახლეობის ნახევრისთვის სოციალური პირობების გაუარესებით აისახა. გატარებული პოლიტიკა წარმატებული ვერ აღმოჩნდა ვერც ეკონომიკური და ვერც სოციალური თვალსაზრისით.

პირველი ნაბიჯი, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გადაიდგა, იყო 1992 წელს – მინისტრთა კაბინეტის 18 იანვრის დადგენილების საფუძველზე დაწყებული აგრარულ რეფორმად წოდებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია. ითვლება, რომ რეფორმა ჩატარდა ხარვეზებით. დღეს დამუშავებაში არსებული მიწის საერთო ფონდი 4 მლნ-მდე ნაკვეთადაა დანაწევრებული (საშუალო ფართი – 1,5-2,5 ჰა), რომელზეც მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა, მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის განახლება ან შექმნა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის, მელიორაციის, ქიმიზაციის და წარმოების ინტენსიფიკაციის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგ-

რარული რეფორმის პირველ ეტაპზე ვერ მოხერხდა მიწების პრივატიზების სრულად დასრულება.

აგრარული რეფორმა, რომლის ძირითადი მიმართულება მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრება, წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების განსახელმწიფოებრიობა და სოფლად ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბება იყო, ბოლომდე არც განხორციელებულა. არასრულყოფილად ჩატარდა ასევე საზოგადოებრივ მეურნეობათა რეორგანიზაცია. თავის მხრივ, არასრულყოფილმა რეფორმამ ვერ უზრუნველყო სოფლად ახლად წარმოშობილი სამეურნეო სუბიექტების საბაზრო პირობებთან ადაპტაციისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნა, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ახალი სტერეოტიპების დამკვიდრება. ამასთან, დარღვეულ იქნა მთავარი პრინციპი, რაც რეფორმების კომპლექსურად განხორციელებას მოითხოვს. რეფორმა შეეხო სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მხოლოდ ნაწილს, მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი კი (სულ 460 ათასი ჰა, საიდანაც 90 ათასი ჰა ინტენსიური სავარგულია) კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული იქნა არაერთი ნორმატიული აქტი (მაგ., 2005 წლის 8 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ“), მათი განსახელმწიფოებრიობა (იჯარით გაცემული მიწების ჩათვლით) დღემდე ვერ მოხერხდა, რაც ხელს უშლის მიწის თავისუფალი ბაზრის შექმნას, სოფლად ინვესტიციების მოზიდვასა და სამეწარმეო აქტივობის ამაღლებას.[1]

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, მიწის რეფორმების პარალელურად, დაიწყო სოფლის ინფრასტრუქტურის გარდაქმნაც. დაიშალა აგროსერვისცენტრები, რომლებიც მანქანა-მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებით იყვნენ დაკავებულნი და „საქსოფქიმია“, რომელიც შხამქიმიკატებითა და სასუქებით ამარაგებდა კოლმეურნეობებს. ისინი გარდაიქმნა კომერციულ სტრუქტურებად, მაგრამ არ იყო ორიენტირებული მოგებაზე და ინარჩუნებდა მონოპოლიზებულ მდგომარეობას. სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ასევე წარმატებებს მიაღწიოს და გავიდეს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. მსოფლიო ბაზარზე დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედ-

[1] კოღუაშვილი პ. აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები. თბილისი, 1998, გვ. 25-28.

ვას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს სექტორი პერსპექტივაში. იგი მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება.

ძალზე მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისკიანი და დაბალმომგებიანია, აგრარული წარმოების შედეგები კვლავაც არაპროგნოზირებადია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები და მავნებლები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. 2012 წლის მარტში შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ათი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის უპირატეს განვითარებას, ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი აგროსასურსათო სექტორის ფორმირების გეგმას, რომელიც დაემყარებოდა საწარმოთა ღირებულებების ჯაჭვის განვითარების ერთიან კომპლექსს.

2011-2015 წლებში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს და მიზნებს შორის არის სოფლის მეურნეობის განვითარება და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი – საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020. იგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მცირე ფერმერთა გაძლიერებითა და წარმოების ზრდის ხელშეწყობით.

შემდეგ წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე პროექტი განხორციელდა. მათ შორის წარმატებით მიმდინარეობს:

„შეღავათიანი აგროკრედიტი“, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა. მას აფინანსებს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და ახორციელებს „სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო“. პროექტი ამოქმედდა 2013 წლის მარტიდან. პროექტის მიხედვით გაიცემა უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისათვის 0%; შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის – არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე

ვადით); შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის არაუმეტეს 3%-ის (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით). აღნიშნულ პროექტში 11 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჩაერთო და 2013 წლის მარტიდან 2014 წლის სექტემბრამდე 318 მლნ ლარის მოცულობის 14 100 აგროკრედიტი გაიცა. ერთიანი აგროპროექტის ფარგლებში აგროდაკრედიტების საერთო მოცულობა 2019 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით 2,013,139,276 ლარს (შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი) აჭარბებს; გაშენებულია 7,473 ჰა ინტენსიური ტიპის ხეხილის ბაღი (დაფინანსებულია/დამტკიცებულია 7,526 ჰა); დაფინანსებულია 200 ახალი საწარმო, გაფართოებული და გადაიარაღებულია 940 არსებული საწარმო.

„აწარმოე საქართველოში“. სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ჩამოყალიბდა 2014 წელს. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამა ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით. პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ები – მეწარმეობის განვითარების სააგენტო, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობა შესაძლებელია დადებითად შევაფასოთ, რადგან 3 წლის მანძილზე დაახლოებით 30 000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქნა. თუმცა, პროგრამასაც გააჩნია რიგი ხარვეზები, მაგალითად, ბიუროკრატიის მაღალი დონე, რაც დაკავშირებულია სესხისა თუ სხვადასხვა სახის ნებართვის მიღებასთან, ბუნდოვანია, რამდენად ხდება პროგრამის მონიტორინგის განხორციელება და ფასდება ეფექტიანობა.

თუმცა, არა მხოლოდ პროგრამის ხარვეზებია ხელის შემშლელი ფაქტორები მეწარმეთათვის. მაგალითად, 2016 წელს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ პროგრამის „აწარმოე საქართველოში'' შეფასება და მონიტორინგი ჩაატარა. შეფასების მიხედვით, მეწარმეებმა გამოყვეს შემდეგი აქტუალური პრობლემები: არასტაბილური ეკონომიკური გარემო; არაპროგნოზირებადი გაცვლითი კურსი; საკანონმდებლო ცვლილებები – განსაკუთრებით გადასახადების შემსუბუქების კუთხით; კვალიფიციური ტექნიკური პროფილის კადრების დეფიციტი. წამოჭრილი პრობლემები ისევ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე მიუთითებს და ნაკლებად უნდა გვქონდეს მხოლოდ ერთი სამთავრობო პროგრამით მათი აღმოფხვრის იმედი.[1]

---

[1] საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული წახალისების კომპონენტის შეფასების ანგარიში. თბილისი, 2016.

სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროკავშირის მთავარ პოლიტიკის ინსტრუმენტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის **ევროპის სამეზობლო პროგრამა** (ENPARD) წარმოადგენს. პროგრამის მიზნებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება, მცირე ფერმერთა თანამშრომლობის გაძლიერება, მცირე ფერმერების ქმედითუნარიანობის ამაღლება, სოფლად დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

საქართველოში პროგრამა 2013 წლიდან ხორციელდება და მის მიზანს სოფლად სიღარიბის შემცირება წარმოადგენს. პროგრამა ეხმარება საქართველოს მთავრობას და, ასევე, ადგილობრივ თემებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ENPARD-ის ფარგლებში ევროკავშირის დახმარება შემდეგ ძირითად საკითხებს ითვალისწინებს: სოფლის მეურნეობის ინსტიტუტების ეფექტიანობის გაუმჯობესება და მათი დახმარება სოფლის მეურნეობის სექტორის რეფორმირების პროცესში; სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მცირე ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით და რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით; სოფლად სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით, გარემო პირობების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით.

2013-2022 წლებისთვის ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა.[1]

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული შედეგებიდან მნიშვნელოვანია შემდეგი: შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია; გადამზადდა სოფლის მეურნეობაში ჩართული კადრები; საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 59 საკონსულტაციო ცენტრი; შეიქმნა 1600-ზე მეტი კოოპერატივი; შეიქმნა საერთაშორისო დონის ლაბორატორიები; მიღებულ იქნა კანონი კოოპერატივების შესახებ.

„აგროდაზღვევა“. აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

აგროდაზღვევა სოფლის მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც სტაბილურს გახდის მათ შემოსავლებს. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს გაზრდის. ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას ხელს შეუწყობს. 2014 წლის სექტემბრიდან, აგროდაზღვევის სისტემის

[1] ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD–GEORGIA), 2013.

ჩამოყალიბების და განვითარების მიმართულებით, სახელმწიფოსთან ერთად ჩართულია კერძო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მთავრობის მიერ განხორციელდება სუბსიდირება 70%-დან 95%-მდე. როცა ხელშეკრულება გაფორმდება, ფერმერი ერთჯერადად გადაიხდის დაზღვევის ერთწლიანი პაკეტის ღირებულების 5-30%-ს. ამ პაკეტის ღირებულების სუბსიდირებისას სახელმწიფო აანაზღაურებს მაქსიმუმ 30 ათას ლარს ფიზიკური პირის შემთხვევაში, ხოლო 50 ათას ლარს – კოოპერატივის შემთხვევაში. პროგრამის თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავალი შემდეგ სტიქიურ მოვლენებზე: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის).

აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაზღვევა 2014 წელს აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც გვალვამ მოსავლის დიდი ნაწილი გაანადგურა. 2014-2018 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 81,453 პოლისი. სულ დაზღვეულია 71,413 ჰა მიწის ფართობი. ანაზღაურებულმა ზარალმა შეადგინა – 35,342,381 ლარი.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით 2018 წლიდან დაიწყო სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა – **„ახალგაზრდა მეწარმე“**, რომლის ამოცანაა ახალგაზრდებისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევის გზით რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და სიღარიბის შემცირება; მიზანია რეგიონებში კერძო სექტორის განვითარება, ახალგაზრდების ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში ინვესტიციების განხორციელება.

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ უპრეცედენტო ძვრები გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკაში. განსაკუთრებით სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიადგა ისეთ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკაში დიდი ადგილი ტურიზმს ეკავა. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

დღევანდელ ურთულეს პირობებში ადგილობრივი წარმოების განვითარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანაა. ქვეყანა უნდა ეცადოს, აწარმოოს ის პროდუქცია და მომსახურება, რისი რესურსიც აქვს ან გარკვეულ შეფარდებით უპირატესობას ფლობს. გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა ისე უნდა შეიცვალოს, რომ იგი ძირითადად ერთ ინდუსტრიაზე არ იყოს დამოკიდებული.

პოსტკორონავირუსულ პერიოდში აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის (24.04.2020) მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა. კერძოდ, სოფლად მცხოვრებ ადამიანს, რომელიც გადაწყვეტს ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას, სახელმწიფო 30 000 ლარის გრანტს გამოუყოფს.

მიკრო საგრანტო სისტემა სახელმწიფომ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა დაიწყო 5000 ლარიდან, შემდგომ გახდა 15 000, 20 000 ლარი და დღეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ეს ზღვარი 30 000 ლარამდე აწია. ეს არის რეალური დახმარება სოფლად მცხოვრები ადამიანისთვის, რომელიც გადაწყვეტს ელემენტარული მცირე ბიზნესის წამოწყებას.

დღეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება პირველადი სასურსათო პროდუქტების წარმოება, სასურსათო ბაზის შექმნა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სახელმწიფომ ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის 50 000 000 ლარი გამოყო. აგროკრედიტით სარგებლობას კი 5000 ფერმერი შეძლებს. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რამეთუ ერთწლოვანი კულტურები არის სწრაფი ეკონომიკური ეფექტის მქონე, მაგრამ, ამავდროულად, მაღალი ეკონომიკური რისკების შემცველი, ამიტომ, სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ფერმერებს მხარში დაუდგეს და დაეხმაროს.

სოფლის მეურნეობის განვითარება მიწის სისტემური რეგისტრაციის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია. იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, 3 წლის განმავლობაში მოხდეს 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია. დღეის მდგომარეობით, ეს ის მიწებია, რომელიც დარჩენილია სისტემური რეგისტრაციის გარეშე და ამის შემდგომ, საქართველოში, მიწის სისტემური რეგისტრაციის პრობლემა საბოლოოდ იქნება გადაწყვეტილი.

გარდა ამისა, სამელიორაციო საქმიანობის მხარდაჭერისთვის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის დაგროვილი სარწყავი წყლის გადასახადი გაუქმდეს, ჩამოეწეროს მათ და 2020 წლის სამელიორაციო საფასურისგან სრულად გათავისუფლდებიან.

საქართველოს მთავრობამ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა (12.05.2020) წარადგინა, რომელიც მცირე, საშუალოდ და მსხვილი ფერმერული მეურნეობების დახმარებას ისახავს მიზნად. პროგრამის ბიუჯეტი 300 მილიონ ლარამდეა და ის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ფაქტობრივად თითოეული ეტაპის სუბსიდირებას ან თანადაფინანსებას გულისხმობს. მათ შორის გათვალისწინებულია სუბსიდირების პროგრამა დიზელის საწვავის შესაძენად, ასევე, სუბსიდირება ქიმიკატების შესაძენად, სუბსიდირება მცირემიწიანი ფერმერებისთვის მიწების დასამუშავებლად და სხვა. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს რამდენიმე უკვე არსებული პროგრამის, მათ შორის აგროდაზღვევის, იაფი აგროკრედიტის, „დანერგე მომავლის“ და სხვა პროგრამების დაფინანსებების გაფართოებას.

აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები, აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2%-ზე

ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რაც უწინარესად უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები დღემდე არ ჰქონია.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა (12.05.2020) ითვალისწინებს **ახალ** საბანკო შეღავათებს აგროწარმოებისთვის. კერძოდ: საბრუნავი საშუალებების კომპონენტი – 5 000 ლარი – 100 000 ლარი, სრული თანადაფინანსება – 17%, თანადაფინანსების პერიოდი – 6 თვე. ძირითადი საშუალებების და ლიზინგის კომპონენტი – 20 000 ლარი – 1 500 000 ლარი, თანადაფინანსება – 11-12%; თანადაფინანსების პერიოდი – 48 თვე. სასურსათო მრეწველობის ხელშეწყობის კომპონენტი – 1 500 001 ლარი – 5 000 000 ლარი, თანადაფინანსება – 10%, თანადაფინანსების პერიოდი – 24 თვე. იზრდება ერთწლიანი კულტურებისთვის სესხის 6 თვის საპროცენტო განაკვეთი სრულად დაფინანსდება: 8%-ის ნაცვლად სესხის თანადაფინანსების კომპონენტი ხდება 11%; ლიზინგის თანადაფინანსება 9%-ის ნაცვლად ხდება 12%; ბიუჯეტი 74 მილიონი – დამატებით გამოიყო 7.4 მილიონი ლარი.

სოფლის მეურნეობის ან მასთან დაკავშირებული რომელი დარგების განვითარებაა მიზანშეწონილი პოსტკრიზისულ პერიოდში?

სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია მეაბრეშუმეობა. იგი იყო მოსახლეობის მასიური დასაქმების საშუალება და ფულადი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იწარმოებოდა 4,0-4,4 ათასი ტონა პარკი და ფულადი შემოსავალი 15,5-16,5 მილიონ მანეთს შეადგენდა. აბრეშუმის პარკის წარმოებაში დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, ხოლო აბრეშუმის მრეწველობაში – 5-6 ათასი კაცი. საქართველოში თუთის ფოთლის დაავადების გავრცელების შედეგად მეაბრეშუმეობის მთლიანი ინდუსტრია თანდათან შეიკვეცა. შესაბამისად, ბაზარი მეტად ვერ განვითარდა და მეაბრეშუმეობამ საქართველოში პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.[1]

უკანასკნელ წლებში იყო მისი აღორძინების მცდელობა, მაგრამ სხვადასხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გამო ეს მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. კონკრეტულად, 2007 წელს ბოლნისში დამზადდა აბრეშუმის პარკი, თუმცა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების უკმარისობის გამო ვერ მოხერხდა ინდუსტრიის შემდგომი საფეხურების განვითარება.

მსოფლიო მასშტაბით აბრეშუმის ბაზარი საკმაოდ დიდია და ზრდას განაგრძობს. მეაბრეშუმეობის განვითარება ხელსაყრელია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც არის ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონე; სოფლის მოსახლეობის

[1] აბრეშუმის წარმოების შესაძლებლობების და ბაზრის კვლევა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფი, თბილისი, 2015.

მაღალი წილი; უმუშევრობის მაღალი დონე; იაფი მუშახელი. მაშასადამე, საქართველოში ამ დარგის აღდგენა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც მისაღებია. იგი დაასაქმებს დიდი რაოდენობით მოსახლეობას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ადგილობრივ ბაზარზე აბრეშუმის ინდუსტრიის განვითარება შექმნის ახალ მოთხოვნას და გრძელვადიან პერიოდში ხელს შეუწყობს მსუბუქი მრეწველობის განვითარებას.

საქართველოს ნიადაგ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა სუბტროპიკული წარმოშობის ეთერზეთოვანი კულტურების არსებობისა და განვითარებისათვის. საქართველოში გავრცელებულია: ევგენოლური რეჰანი, მსხვილყვავილოვანი ჟასმინი, დაფნა, ევკალიპტი, ვარდი და სხვ. საბჭოთა პერიოდში საქართველოში იწარმოებოდა 20-ზე მეტი დასახელების ეთეროვანი ზეთი. მათი ქიმიური შემადგენლობა და სურნელი ზოგიერთი მონაცემებით სჯობდა კიდეც მსოფლიო ანალოგებს. ეს გამოწვეული იყო საქართველოს ფლორის ფენომენით. დარგში დასაქმებული იყო ოთხი ათას კაცზე მეტი.[1]

სხვადასხვა მცენარეებისგან დამზადებული ეთერზეთების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ქვეყნებია: ბრაზილია, ჩინეთი, აშშ, ეგვიპტე, ინდოეთი, მექსიკა, გვატემალა, მაროკო და ინდონეზია. ეთერზეთების მთლიანი მოცულობის 65% მზადდება განვითარებად ქვეყნებში. ხოლო ყველაზე მსხვილი მომხმარებლებია: აშშ (40%), დასავლეთ ევროპის ქვეყნები (30%) და იაპონია (7%). განსაკუთრებით დიდია ეთერზეთების მოხმარება გერმანიაში, ბელგიაში, ირლანდიაში, ნიდერლანდებსა და დიდ ბრიტანეთში, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული ფარმაცევტული, კოსმეტიკური და პარფიუმერული ინდუსტრიები.

მიუხედავად საქართველოს დიდი პოტენციალისა ეთერზეთების ინდუსტრიაში, დღესდღეობით არ ხდება ეთერზეთების იმ რაოდენობით წარმოება და რეალიზაცია უცხოურ ბაზარზე, რომ საქართველო შევიდეს მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების სიაში. საქართველო არამარტო არ ახორციელებს ექსპორტს, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობის იმპორტს ახორციელებს და, შესაბამისად, მოყვანილი მონაცემებიდან ირკვევა, რომ ეთერზეთების იმპორტი **ს**ჭარბობს ექსპორტს და 2002 წლიდან აღინიშნება უარყოფითი სალდო.

საქართველოში ამჟამად არსებობს ეთერზეთების მწარმოებელი რამდენიმე კომპანია: „აგრო არომა“, „არომატიკა“, ინდ. მეწარმე მამუკა ბუკია და სხვა.

ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით დიდია დაფნის ზეთზე მოთხოვნა, თუმცა საქართველო არ ახორციელებს ამ პროდუქტის ექსპორტს, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს დაფნის ზეთების მწარმოებელი ქართული საწარმო, რომელიც დააკმაყოფილებს უცხოურ მოთხოვნებს და სტანდარტებს. იმისათვის, რომ მოხდეს ზეთების რეალიზაცია სულ მცირე, 3000-4000 კილოგრამი პროდუქციის დამზადებაა საჭირო, რადგან უცხოელი შემსყიდველები მინიმუმ ამ რაოდენობის პროდუქტს ითხოვენ წლის განმავლობაში.

---

[1] საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, სუბტროპიკული ეთერზეთოვანი კულტურები, თბილისი-ბათუმი, 2016.

საქართველოს, როგორც ეთერზეთების მწარმოებელი ქვეყნის, უპირატესობები იქნება: გადასახადებისგან თავისუფალი ექსპორტი ევროკავშირში, აშშ-ში, დსთ-სა და სხვა რეგიონებში, რომელთა საერთო მოსახლეობა 2 მილიარდია. იაფი რესურსები, როგორიცაა წყალი, ელექტროენერგია და მუშახელი, ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა: ადვილად ხელმისაწვდომი ევროპული და აზიის ბაზრები ფოთისა და ბათუმის შავი ზღვის პორტების მეშვეობით.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებენ ფარმაკოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, დღესაც ფართოდ არიან გავრცელებულნი. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. 2015 წლის მონაცემებით, სამკურნალო საშუალებები უკვე უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციაში შედის 6%-იანი წილით. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას.[1]

საქართველოში სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია წვრილგლეხური მეურნეობების გაერთიანება, მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამქიმიკატებით უზრუნველყოფა, მოსავლის დაბინავების და რეალიზაციის უზრუნველყოფა, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განავითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა მომგებიანი. ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადამყიდველები, ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უვნებლობის და სხვა ნორმების დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლები-

[1] ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბილისი, 2016, გვ. 88-90.

სათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უვნებლობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას. 2018 წელს, 2012 წელთან შედარებით, აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სავაჭრო სალდო 753 მლნ აშშ დოლარიდან 394 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. კლებამ 47.6% შეადგინა.

აგრარული სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

- ქვეყანაში აგროდაზღვევის სისტემის სწრაფი განვითარება;
- ფერმერებისათვის დაბალპროცენტიან და გრძელვადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;
- კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა;
- სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგება, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;
- ახალი ჯიშების გამოყვანის საცდელი სადგურების აღდგენა და ახალი სტანდარტებით ამოქმედება;
- სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;
- საშუამავლო სტრუქტურების შექმნა, რომელიც ფერმერს რეალიზატორებთან დააკავშირებს;
- ფერმერების საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების გაფართოება და მომსახურების თანამედროვე ფორმათა დანერგვა და, რაც მთავარია, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს საფუძველს შექმნის ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებისთვის;
- აგრარული სექტორის სტრატეგიული დარგების განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ დარგებმა უნდა შექმნას ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება;
- მნიშვნელოვანია, რომ განვითარების პროცესი გაგრძელდეს და შემდგომ სტრატეგიულ პერიოდში უპირატესობა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით პროგრამების განხორციელებას;
- უზრუნველყოფილ იქნას ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების გამოყენება სურსათის წარმოებისთვის;
- მეტი ყურადღება გამახვილდეს მდგრად განვითარებაზე და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე.

პრობლემური საკითხები

1. დაახასიათეთ აგრარული სექტორის განვითარების მოდელები და განსაზღვრეთ მათი მიზნები.
2. რა არის აგრარული პოლიტიკის ძირითადი ობიექტი და როგორია მისი ევოლუციის გეოგრაფია დროითი ცვლილებების მიხედვით?
3. რა წარმოადგენს აგრარული პოლიტიკის თეორიულ საფუძველს?
4. განსაზღვრეთ აგრარული პოლიტიკის მიზნები და დაასახელეთ მათი განხორციელების ხელშემშლელი პირობები.
5. დაახასიათეთ აგრარული პოლიტიკის სტრატეგია და მისი ეფექტიანი განხორციელების მიმართულებები.
6. ვის მიერ ხორციელდება აგრარული განვითარების პოლიტიკა ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე?
7. იმსჯელეთ აგრარული პოლიტიკის გამტარებლებზე და ინსტრუმენტებზე.
8. ჩამოთვალეთ და გააანალიზეთ აგრარული პოლიტიკის პრობლემები.
9. დაახასიათეთ აგრარული პოლიტიკის პრობლემები და საზღვრები.

თავი 11
განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

შესავალი

განვითარების პოლიტიკა არის ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსური პრობლემების სფერო. აქ ჩვენ წესრიგის, პროცესის, დასაქმების, განაწილების, საფინანსო, ფულადი და სხვა პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტებს ვხვდებით. ქვეყნის განვითარების დონის შეფასებისათვის საჭიროა რეკომენდირებული სისტემა. ზოგადად განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის განხილვა მეტწილად მრეწველობისა და მომსახურების სფეროს განვითარების თვალსაზრისით ხდება. მრავალი პროცესი, რომელიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა, განვითარებად ქვეყნებში ცდილობენ, შედარებით მოკლე დროში განახორციელონ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებადი ქვეყნების დიფერენცირება მოხდა. ბევრმა ღარიბმა და სუსტად განვითარებულმა ახალმა სახელმწიფომ ეკონომიკის განვითარების საბჭოური მოდელი აირჩია, სხვა ქვეყნებმა საბაზრო ეკონომიკის მოდელზე ორიენტირება ამჯობინეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (საბაზრო ეკონომიკური კოორდინაციის მექანიზმზე გადასვლასთან ერთად) ადამიანთა უფლებები, პოლიტიკის ინსტიტუტები და მათი მოქმედების დემოკრატიულად წარმართვა დიდ როლს ასრულებს. ეს ფორმები მხოლოდ მას შემდეგ დამკვიდრდა, როდესაც პოლიტიკურ სისტემათა კონკურენციაში დემოკრატიამ და საბაზრო ეკონომიკური განვითარების პირობებმა გაიმარჯვეს.

განვითარებადი ქვეყნებისათვის პრობლემების შექმნას ბევრმა მიზეზმა შეუწყო ხელი. მათი ანალიზი როგორც ისტორიული, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ და რელიგიურ-კულტურულ ექსკურსს საჭიროებს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ არსებობს განვითარების მრავალი თეორია, რომლებიც ბევრ მიზეზს ეყრდნობა და აზროვნების რიგ მიმართულებებს ასახავს. როგორც ვხედავთ, განვითარების ცნება საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი ნეიტრალური არ არის. განვითარების პოლიტიკის ძალისხმევის მიზანი ყოველთვის ერთნაირია: უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ განვითარების უფრო მაღალ დონეს მივაღწიოთ.

განვითარების პოლიტიკა მოიცავს იმ ღონისძიებებსა და აქტივობას, რომელთა საშუალებითაც ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესება იქნება მიღწეული.

თუ ღარიბ ქვეყნებში საკუთარი ძალებით ეს შეუძლებელია, მაშინ განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესის დაწყებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგია. თუმცა განვითარებისათვის თანამშრომლობას თითქმის ყოველთვის და ყველგან საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყვება. განვითარებულ ქვეყნებში ხშირად ისმება კითხვები: როგორ შეიძლება

„დახმარება განვითარებისათვის“ გაამართლო, როდესაც საკუთარ ქვეყანაში უმუშევართა წილი 10%-ს შეადგენს? განა სხვისი ეკონომიკის განვითარებისათვის ხელშეწყობით სამომავლოდ არასასურველ კონკურენტებს არ ქმნი? და საერთოდ, აქვთ თუ არა განვითარებად ქვეყნებს გლობალიზაციის პროცესში განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის რაიმე შანსი? როგორც ვხედავთ, ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა ადვილი არ არის.

არსებული მდგომარეობის ანალიზი

საწყისი მდგომარეობის ანალიზი

„ტიპური“ განვითარებადი ქვეყანა არ არსებობს. ცალკეული განვითარებადი ქვეყანა სხვა ქვეყნებისგან არსებითად განსხვავდება, განსაკუთრებით, შემდეგი თვალსაზრისით:

- ფაქტორებით უზრუნველყოფა (ბუნებრივი რესურსები);
- გეოგრაფიული მდებარეობა (მაგალითად, მეზობელი სახელმწიფოები და მათთან ურთიერთობები);
- მოსახლეობის განათლებისა და შრომითი რესურსების კვალიფიკაციის მდგომარეობა, მათი ზრდის პერსპექტივები;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ღირებულებათა სისტემა;
- სახელმწიფოსა და მისი ინსტიტუტების როლი და ა.შ.

განვითარებადი ქვეყნისათვის ზოგადად დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი პრობლემათა მრავალსახეობაზე მეტყველებს, როგორიცაა:

- მოსახლეობის ზრდა წელიწადში საშუალოდ 2-3%-ია და მისი 40-50% 16 წლამდე ასაკისაა (გასათვალისწინებელია, რომ დღეს ეს ტენდენცია გარკვეულ წილად შეცვლილია);
- ჯანმრთელობის დაცვის პირობები ცუდია, მაგრამ უკეთესი ცხოვრების მოლოდინი არსებობს;
- შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაბალია;
- მსპ მოხმარების წილი მაღალია, დანაზოგი და ინვესტიციები კი დაბალი;
- რეალური კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობის დონე დაბალია;
- ინფრასტრუქტურა არასაკმარისია (მატერიალური ინფრასტრუქტურა: გზები, ენერგიით მომარაგება; ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა: სამართლებრივი წესრიგი, მმართველობა, საკომუნიკაციო დაწესებულებები; მოსახლეობის მომსახურების ინფრასტრუქტურა: სკოლამდელი აღზრდა და ზოგადად განათლების დონე; სოციალური ინფრასტრუქტურა: სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა);
- ნედლეულის გადამუშავების ხარისხის, მრეწველობის განვითარებისა და სამეწარმეო კულტურის დაბალი დონე;
- მოსახლეობის დიდი ნაწილი (50-80%) დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში;

- შემოსავლისა და ქონების არათანაბარი განაწილება;
- საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუციებისა და სპეციალისტების უკმარისობა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კრიტერიუმების ეს სიმრავლე განვითარების დონის საერთო, საშუალო და საერთაშორისო მაჩვენებლების მიღების საშუალებას მაინც არ გვაძლევს. მსოფლიო მასშტაბით განვითარების უთანაბრობა უფრო ნათელი გახდება, თუ კლასიფიკაციას ზოგიერთი შერჩეული სოციალური ინდიკატორის დახმარებით მოვახდენთ.

განვითარების დაბალი დონის ინდიკატორები

ბრუტო მთლიანი სამამულო პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, როგორც ზოგადი ინდიკატორი

ბრუტო მთლიანი სამამულო პროდუქტი (ბრუტო მსპ) ერთ სულ მოსახლეზე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად დაყოფის მნიშვნელოვანი საზომია. ქვეყნების მონაცემები შემოსავლის მიხედვით დიდ განსხვავებას გვიჩვენებს. თუ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მაჩვენებლებს მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტში გადავიყვანთ, მაშინ განსხვავება უფრო ნაკლებად თვალსაჩინო იქნება.

ღარიბ განვითარებად ქვეყნებში პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე არ იყიდება და ამდენად ბრუტო მსპ-ში არ აისახება. დინამიკურად განვითარებად არაფორმალურ სექტორში სტატისტიკურად დაუდგენელი ღირებულებების შექმნა ბრუტო მსპ-ზე მცდარ წარმოდგენას აყალიბებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა დეტალური ინფორმაციის დეფიციტი, რომლის საფუძველზე შემოსავლის განაწილების შესახებ სწორი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

საერთაშორისო მასშტაბით გამოყენებული ინდექსი

1990 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) პირველად გამოაქვეყნა „ადამიანის განვითარების ანგარიში“ („Human Development Report“). მასში გამოთვლილია „ადამიანის განვითარების“ ინდექსი. ამ ინდექსში ყოველი ქვეყნისათვის ერთმანეთთან სამ სიდიდეს აკავშირებენ: შემოსავლის მსყიდველობითუნარიანობას ერთ სულ მოსახლეზე, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და განათლების გავრცელების დონეს. ყოველი ცალკეული ინდექსის სიდიდით იზომება სასურველი მიზნობრივი სიდიდიდან შედარებითი დაშორება (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 25-დან 85 წლამდე, სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა (განათლების წლები), სწავლების საშუალო ხანგრძლივობა (წლებში) და რეალური ბრუტო მსპ ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით, 100-დან 111 000 აშშ დოლარამდე). 189 ქვეყანას შორის, 2019 წლისათვის გამოთვლილი ინდექსის (HDI) მონაცემებით, ნორვეგიამ პირველი ადგილი დაიკავა 0,954, საქართველო 61-ე ადგილზეა 0,812, ხოლო ნიგერია 189-ე 0,377 მონაცემებით. განვითარებად ქვეყნებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ცხოვრების სტანდარტის უფრო მაღალი ხარისხი აქვთ, ვიდრე ეს

ეკონომიკური განვითარების მასშტაბით არის მოსალოდნელი. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით ნიგერია 186-ე, ხოლო ადამიანის განვითარების ინდექსით კი 189-ე ადგილზე აღმოჩნდა[1]. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ინდექსების რეგულარულად გამოქვეყნება რიგ განვითარებად ქვეყნებში შედარებით ჩამორჩენილი პოზიციის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას განაპირობებს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამას რეგიონულ კონტექსტში (მაგალითად, აფრიკის გარკვეულ რეგიონებში).

განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციები

საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამაში განვითარებადი ქვეყნების უამრავი კლასიფიკაცია გამოიყენება. განვითარებადი ქვეყნების საყოველთაოდ მიღებული სია კი ჯერჯერობით არ არსებობს.

განვითარებადი ქვეყნების სიაში (LDC კლასიფიკაცია, რომელიც გაერომ 1971 წელს შემოიღო) 1991 წლიდან განვითარების დაბალი დონის მქონე ქვეყნები შედის. ისინი ზოგადად ხასიათდებიან: სიღატაკით ხანგრძლივი დროის მანძილზე, ეკონომიკური ზრდის არარსებობით, ადამიანის განვითარების ინდექსის დაბალი დონითა და ძალზე სუსტი ინფრასტრუქტურით. განვითარებადი ქვეყნების განხილვა ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მხოლოდ ის ქვეყნები, რომლებსაც მაქსიმუმ 75 მლნ მცხოვრები ჰყავთ, განიხილება LDC-სთან კავშირში (გამონაკლისია ბანგლადეში). თუ ქვეყანას ეყოლება უფრო მეტი მცხოვრები, მაშინ მას დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების „Low-income Countries“ (LIC) ჯგუფს მიაკუთვნებენ. ქვეყანას მიაკუთვნებენ LDC-ს, თუ მისი შემოსავალი (ერთ სულ მოსახლეზე) საშუალოდ სამი წლის განმავლობაში 900 დოლარამდეა, ხოლო ამ სიიდან გამორიცხვისთვის საკმარისია, თუ ქვეყნის შემოსავალი 900 დოლარს აღემატება;
- ადამიანური რესურსების განვითარების დონის გასაზომად იყენებენ ცხოვრების ხარისხის ზრდის ინდექსს („Augmented Physical Quality of Life index“, APQLI). იგი მოიცავს სიცოცხლის ხანგრძლივობას, საკვები კალორიებით უზრუნველყოფას, მოზარდებში სკოლის მოსწავლეთა წილს და მოზრდილთა შორის განათლების გავრცელების დონეს;
- ეკონომიკური დივერსიფიკაცია იზომება **ეკონომიკური მოწყვლადობის ინდექსით** („Economic Vulnerability index“, EVI), რომელსაც საფუძვლად უდევს:
  - ა) სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასტაბილურობა;
  - ბ) საქონლისა და მომსახურების ექსპორტის არასტაბილურობა;
  - გ) არატრადიციული დარგების ეკონომიკური მნიშვნელობა (გადამამუშავებელი მრეწველობისა და თანამედროვე მომსახურების წილი მსპ-ში);
  - დ) სასაქონლო ექსპორტის კონცენტრაცია;

[1] Human Development Report 2020. The next frontier. Human development and the Anthropocene. Planetary pressures-adjusted Human Development Index, p.242. http://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2020.pdf

ე) ეკონომიკური ბაზის შეზღუდულობის ნეგატიური ზემოქმედება მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების მიმართ.

ევროკავშირი ორიენტაციას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან არსებული განვითარებისათვის დახმარების კომიტეტის (Development Assistance Committe –DAC) მიერ შედგენილ სიაზე იღებს. 1997 წლიდან DAC-ის სია ორ ნაწილად იყოფა:

პირველი ნაწილი მოიცავს ოფიციალური დახმარების მიმღებ ქვეყნებს (Official Development Aid, ODA);

მეორე ნაწილში შესულია ის ქვეყნები, რომლებიც „წინ წაწეულ" ქვეყნებად ითვლება (More Advanced Developing Countries and Territories – MADCT), როგორიცაა, მაგალითად, ბაჰამისა და ბერმუდის კუნძულები, ბრუნეი, ისრაელი და ა.შ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორიცაა: ბულგარეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და ა.შ.), ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი ქვეყნები (საქართველო, უკრაინა, სომხეთი, მოლდოვა და ა.შ.).

2020 წლის მაისის თვეში COVID19-ის პანდემიასთან დაკავშირებით ეკონომიკური საფინანსო დახმარება საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან 63 871,06 მლნ (63, 871.06 million SDR/87,841.52 million US$) 80 ქვეყანამ მიიღო. მთლიანობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი გასცემს 250 მილიარდი აშშ დოლარის სიდიდის სხვადასხვა მიზნობრივ დახმარებას. საქართველომ დახმარება მიიღო გაფართოვებული საკრედიტო ხაზის გაზრდისთვის 273.6 მლნ ნსუ/375.60 მლნ აშშ დოლარი (SDR[1] 273.6 million/US$ 375.60 million For Augmentation of Extended Fund Facility)[2].

განვითარებად ქვეყნებს შედარებით „წინ წაწეული" განვითარების დონით ზღურბლზე მყოფ ქვეყნებს უწოდებენ ან ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს (NIC). მათ საკუთარი ეკონომიკური განვითარების საფუძველზე შეძლეს ტიპური განვითარებადი ქვეყნის სტრუქტურული ნიშების გადალახვა. ეს, პირველ რიგში, გამოიხატება ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი შემოსავლითა და სხვა კრიტერიუმებითაც.

ეკონომიკური განვითარებისათვის დახმარების მისაღებად განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ აღსანიშნავია, რომ დახმარების მიღების შესაძლებლობები მით უფრო მაღალია, რაც უფრო დაბალია დახმარების მიღების მსურველი ქვეყნის განვითარების დონე. ალბათ, ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ გარკვეულმა ქვეყნებმა არ გააუმჯობესეს სტატისტიკური გამოთვლებისა და კვლევის მეთოდები, რომ არ დაეკარგათ „უფრო ხელსაყრელ" კლასიფიკაციაში თავიანთი ადგილი და დახმარების მიღების შესაძლებლობები.

---

1 Special Drawing Right (SDR), ნასესხობის სპეციალური უფლებები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის საანგარიშო ერთეული (წარმოადგენს სავალუტო კალათას, შედგება: USD 41,73%, EUEuro 30,93%, CNY 10,92%, Jap. Yen 8,33%, UK Pound 8,09%:).

2 Countries Receiving Assistance and Debt Service Relief. https://www.imf.org/en/Topics/imf-and-covid19/COVID-Lending-Tracker#MCD

ვაჭრობის (გაცვლის) პირობები

განვითარებადი ქვეყნებისათვის დიდი ხანია, რაც ვაჭრობის (გაცვლის) რეალური პირობები გაუარესდა. ეს ნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნები იმპორტის სახით სულ უფრო ნაკლებ საქონელს იღებენ ექსპორტირებულ ტონა ყავაზე, კაკაოზე, სპილენძზე, კალაზე და ა.შ. მსოფლიო ბანკის გამოთვლებით ვაჭრობის რეალური პირობები ბოლო წლებში ისე განვითარდა, რომ, პირველ რიგში, უარყოფითად აისახა დაბალი შემოსავლების მქონე აფრიკულ ქვეყნებზე. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის საყოველთაო პროცესი შეუძლებელს ხდის სატარიფო და არასატარიფო დაცვის შემცირებით უახლოეს ხანში მდგომარეობა განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ გაუმჯობესდეს.

ვალების პრობლემა

განვითარების პროცესებმა ბოლო ათწლეულებში განვითარებად ქვეყნებში დიდი საგარეო ვალის დაგროვება გამოიწვია. ისინი იძულებულნი არიან, ექსპორტით მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი ვალების დაფარვისათვის გაიღონ. ეს ის რესურსებია, რომლებიც მათ საკუთარი განვითარებისათვის განსაკუთრებით ესაჭიროებათ.

საგარეო ვალი ბევრი ქვეყნისათვის განვითარების ხელშეწყობის ნაცვლად შემაფერხებელი გახდა, რადგან:

- კრედიტები ძირითადად **სამომხმარებლო** და **არა საინვესტიციო** მიზნებისათვის გამოიყენება;
- ექსპორტის გზით მიღებული შემოსავლები განვითარებად ქვეყნებში ბოლო 30 წელიწადში 50%-ზე მეტით შემცირდა. ასე რომ, ვალების მომსახურებისათვის საკმარისი სახსრები უცხოურ ვალუტაში მათ არ გააჩნიათ;
- საგარეო ვალების მომსახურებისათვის გადასახდელი პროცენტები (განსაკუთრებით 1980-იან წლებში) ძალზე მაღალი იყო და ამან 1982 წელს დავალიანების მსოფლიო კრიზისი გამოიწვია.

ქვეყნების საგარეო დავალიანების დამოკიდებულება ეკონომიკური ქმედითუნარიანობის მიმართ საჰარის სამხრეთით აფრიკულ ქვეყნებში ჯერ კიდევ ძალზე მაღალია, თუმცა შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მიზეზი მრავალმხრივია. ერთ-ერთი ფაქტორია განვითარებული ქვეყნების ნაკლები მზადყოფნა, გასცენ ახალი კრედიტები. ბოლო პერიოდში კაპიტალის წმინდა შემოსვლა აღარ ხდება. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტად გადინება სჭარბობს. კრედიტების დაფარვამ წმინდა შემოსავალს ნაწილობრივ გადააჭარბა. კაპიტალზე მაღალი მოთხოვნის გამო არასახარბიელო სიტუაცია შეიქმნა. მცირე და საშუალო შემოსავლების მქონე ყველა ქვეყნის მთლიანი ვალები დიდი ხანია, 3 ტრილიონ აშშ დოლარს გასცდა. 1980-იანი წლების დასაწყისიდან ვალების სიდიდე თითქმის გაოთხმაგდა. საექსპორტო შემოსავლებიდან სახსრების დიდი რაოდენობით გაცემა განსაკუთრებით სამხრეთ აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს უწევთ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სიდიდემაც ბოლო წლებში დაიკლო. ამის გარდა, რიგ ქვეყნებში დავალიანებამ 1980-დან 2015 წლამდე ძალიან მოიმატა, ხოლო სხვებ-

ში კი – შემცირდა. საერთაშორისო დავალიანების განხილვა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ვალები ყველაზე დიდი რაოდენობით ძალზე ღარიბ განვითარებად ქვეყნებს აქვთ.

თუ რომელიმე ქვეყანას საპროცენტო გადასახდელების გადახდის უნარი არ შესწევს, მაშინ დავალიანების საპროცენტო გადასახდელების მორატორიუმზე და ვალის რესტრუქტურიზაციაზე თანხმდებიან (პროცენტები ან დასაფარი ვალები დროებით შეჩერდება, გადავადდება და შესაძლებელია, თუ პრინციპალი დაფარულია, ჩამოიწეროს კიდეც). ზოგადად კი, ეს შეთანხმება ამ ქვეყნის მიმართ ნდობის დაკარგვას ნიშნავს. დღევანდელი და პოტენციური კრედიტორები ახალი კრედიტების გაცემისგან თავს იკავებენ, მაგრამ, რადგან უცხოური ვალუტის მოპოვება მნიშვნელოვანია პროდუქციის იმპორტისა და მზარდი განვითარებისთვის, ქვეყნები ყველანაირად ცდილობენ გადახდისუნარიანობის აღდგენასა და პატიოსანი დებიტორის სტატუსის დაბრუნებას.

თეორიული საფუძველი

არსებობს რიგი შეხედულებები და მონაცემები იმის შესახებ, თუ რატომ ცხოვრობს ბევრი ქვეყანა სიღატაკეში. გვსურს, განვითარების რამდენიმე თეორია განვიხილოთ. ამასთან, შესაძლებელია, აღმოჩნდეს, რომ განვითარების დაბალი დონის არსებობის მიზეზთა ახსნა განვითარების პოლიტიკისათვის სამოქმედო მითითებები იქნება. განვითარების დაბალი დონე განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორების ურთიერთქმედებით, რომლებზეც გავლენა ერთდროულად შეიძლება განხორციელდეს. ნაწილობრივ, განვითარების დაბალი დონის გამომხატველი სიდიდეები სწრაფ და პირდაპირ ცვლილებას თვითონვე განიცდის. ეს მოსახლეობის ზრდის მაგალითზე შეიძლება გავაანალიზოთ. თუ მოსახლეობის მატების დონე ძალზე მაღალია, მაშინ ბრუტო მსპ-ს ზრდის მაღალ პროცენტს უნდა მივაღწიოთ იმისთვის, რომ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ამაღლდეს. მოსახლეობის ზრდა, თავის მხრივ, დამოკიდებულია რიგ ზემოქმედ ფაქტორებზე, რომლებიც საზოგადოების ღირებულებათა სისტემის, რელიგიურ და კულტურულ შეხედულებათა და რწმენის დონეზე უნდა განვიხილოთ. ამას უნდა დაემატოს, აგრეთვე, ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: განსაზღვრული ასაკის ბავშვების სოციალური დაცვა და განათლების მდგომარეობა. როდესაც საზოგადოება განათლების მაღალ დონეს აღწევს, მაშინ მოსახლეობის ზრდა იკლებს. პროვინციებში კი ეს ტენდენცია ტრადიციულ ღირებულებათა სისტემების გამო უცვლელი რჩება. საკითხის გადაჭრა მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით (ოჯახის წევრთა რაოდენობის დაგეგმვა და ა.შ.) ნაკლებად ეფექტიანია.

სიღარიბის ჯადოსნური წრე: ძირითადი პრობლემა

ამოსავალი ჰიპოთეზა შეიძლება ასე ჟღერდეს: განვითარებადი ქვეყანა ღარიბი რჩება, რადგან იგი ღარიბი იყო და არის. დაბალი შემოსავლების შემთხვევაში დაზოგვა შეუძლებელია, რადგან მთელი შემოსავალი მოხმარების მიზნით გამოი-

ყენება. თუ დაზოგვა არ ეხება, მაშინ ინვესტირებისათვის რესურსები არ არსებობს. მხოლოდ ინვესტიციები გვაძლევს პროდუქტიულობის გრძელვადიან ზრდასა და მომავალში წარმოების შესაძლებლობათა რეალიზაციის უფრო მაღალ დონეს. შემოსავლების დაბალი დონის პირობებში მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნა შემცირებულია, ხოლო ინვესტირება მხოლოდ მაშინ ღირს, როდესაც საკმარისი სამუშაო ადგილები არსებობს, საკმაოდ დიდი შემოსავლების მიღებაა შესაძლებელი და ა.შ. გარდა ამისა, მონეტიზაცია (ეკონომიკური სუბიექტის განკარგულებაში ლიკვიდური საშუალებების, ფულის არსებობა) რეგიონებში შედარებით სუსტია, რაც ვიწრო ბაზრის არსებობის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენს. ამ ჯადოსნურ წრეს გავლენის სხვა ფაქტორებიც აძლიერებს.

დაბალი შემოსავლები ბავშვებს აიძულებს, ოჯახის შემოსავლის გაზრდის მიზნით შრომით საქმიანობაში ადრეულ ასაკში ჩაებან. ასეთი მდგომარეობა მე-19 საუკუნეში მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის დროს ევროპაშიც არსებობდა. სასკოლო განათლების ან კვალიფიციური პროფესიული მომზადების გარეშე სამუშაო ძალის გამოყენება თანამედროვე წარმოების პროცესში შეუძლებელია. ასე რომ, არაკვალიფიციური შრომის გამოყენების შედეგად შესაძლებელი ხდება მხოლოდ დაბალი შემოსავლების მიღება. განათლების კერძო დაწესებულებებში სწავლის გადასახადი მცირეშემოსავლიანი ოჯახებისათვის ხელმისაწვდომი არ არის. მცირე შემოსავლები არ იძლევა სრულყოფილი კვებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის გამოყენების საშუალებას. ხშირად ექიმებთან და საავადმყოფოებში მისვლის შესაძლებლობაც კი არ არსებობს. ჯანმრთელობის დაცვის ცუდი მდგომარეობა და დაავადებები, თავის მხრივ, არის შრომის დაბალი პროდუქტიულობის მიზეზი.

ამ პროცესში გადამწყვეტი როლი საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელი დონის უზრუნველყოფას ეკისრება (განათლების მიღება, ჯანმრთელობის დაცვა, მატერიალური ინფრასტრუქტურა და ა.შ.). იგი სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. განვითარებად ქვეყნებში დაბალი შემოსავლის გამო (რაც დაბალი საგადასახადო შემოსავლითაა გამოწვეული) საამისოდ საბიუჯეტო სახსრები არ არსებობს.

გარე (ეგზოგენური) მიზეზები

მეცნიერები სულ უფრო მეტად ფიქრობენ, რომ ამჟამინდელი მსოფლიო ეკონომიკური სისტემა (თავისი ნეოკოლონიალისტური ნიშნების გამო) განვითარებულ ქვეყნებზე განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულებას აძლიერებს და მათ დამოუკიდებელი განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს. ეს მოსაზრებები 1960-იანი წლების შუა ხანებში წარმოიშვა (მათი ინსპირირება ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნების განვითარებით მოხდა). მეცნიერები ამ ვითარების ეკონომიკურ მიზეზად თვლიან ვაჭრობის პირობების (Terms of Trade) გაუარესებას. **განვითარების დაბალი დონე** ესმით არა როგორც გარკვეული ქვეყნების ჩამორჩენა სამრეწველო განვითარების თანამედროვე პროცესიდან (რის შედეგადაც მათი ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში ნელა მიმდინარეობს). იგი გაგე-

ბულია როგორც სწორედ განვითარებული ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციის შედეგი. ამდენად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოყვანილ არგუმენტირებულ მტკიცებულებებსა და დაბალი ეკონომიკური განვითარების მდგომარეობას შორის სადავოა. ახსნის ამ ლოგიკას არ ექვემდებარება, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განვითარებადი ქვეყნები (სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებად იხსენიებენ). მათ ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიით მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს და ავტოცენტრული (დამოუკიდებელი, არაინტეგრირებული) განვითარების პროცესი დაიწყეს.

განვითარებულ ქვეყნებზე განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულება დღესაც ისევ აშკარაა. განვითარებად ქვეყნებში მოწყობილობების ან მანქანების წარმოებისადმი მზადყოფნა მრავალი წლის მანძილზე შემკვეთი განვითარებული ქვეყნის მიერ სათადარიგო ნაწილების მიწოდებაზეა დამოკიდებული. განვითარებადი ქვეყნების (როგორც ნედლეულის მიმწოდებელი ქვეყნების) მცდელობა ნედლეულზე ფასების აწევით გაიუმჯობესონ თავიანთი პოზიცია, წარუმატებელია. ეს ხდება იმიტომ, რომ მოწყობილობების ფასებიც გაიზრდება, რასაც საბოლოოდ შეიძლება მდგომარეობის გაუარესება მოჰყვეს.

საგარეო ვაჭრობაში უპირატესობა ძირითადად სასარგებლოა განვითარებული ქვეყნებისათვის. ისინი სამრეწველო ნაწარმის ექსპორტიორები არიან. განვითარებად ქვეყნებში კი ნედლეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტით მიღებული შემოსავალი შედარებით დაბალია ან კლებულობს. ამის მიზეზი, პირველ რიგში, არის აგრარულ პროდუქტებზე შემოსავლების საკმაოდ დაბალი ელასტიკურობა; თავისუფალი ვაჭრობის, როგორც დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის, პრინციპული ელემენტების დარღვევა (როდესაც განვითარებადი ქვეყნების ექსპორტი გადამუშავებულ საქონელზე კვლავ განვითარებული ქვეყნების პროტექციონისტურ პოლიტიკას ექვემდებარება). ევროკავშირის პროტექციონისტური პოლიტიკით აგრარული პროდუქტების საბაზრო ეკონომიკური წესრიგი (იგი ევროპული სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვან მხარდაჭერას უზრუნველყოფს, იგივე ეხება აშშ-საც) განვითარებადი ქვეყნებიდან აგრარული პროდუქციის იმპორტს ხელს უშლის. ბევრი განვითარებადი ქვეყანა საგარეო ვაჭრობიდან მოგების მიღების შანსს სწორედ ასეთ პირობებში კარგავს. წინააღმდეგობრივია ისიც, რომ განვითარებისათვის თანამშრომლობის ორგანიზაცია ძირითად ამოცანად განვითარებად ქვეყნებში საექსპორტო პოზიციების გაუმჯობესებისათვის სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას მიიჩნევს. ამავდროულად, ხელშეწყობის პოლიტიკის შედეგად წარმოებული ჭარბი პროდუქციის ექსპორტი კი განვითარებული ქვეყნების პროტექციონისტური პრაქტიკის გამო გაძნელებულია.

საგარეო ურთიერთობათა შესახებ ეკონომიკურ თეორიებს უნდა დავუქვემდებაროთ თეზისი დაბალი განვითარების შესახებ, როგორც განვითარებადი ქვეყნებიდან კაპიტალის გადინების შედეგი. კაპიტალის მაღალი რენტაბელურობა ინდუსტრიულ ქვეყნებში იწვევს კაპიტალის შემოდინებას განვითარებადი

ქვეყნებიდან, რომელიც იქ ინვესტირებისათვის აღარ გამოიყენება. ეს კი ამცირებს მათი განვითარების პოტენციალს. მსგავსი ეფექტი გვაქვს, როდესაც მაღალკვალიფიციური, ძალიან კარგად მომზადებული კადრები განვითარების არასაკმარისი შესაძლებლობებისა და პოლიტიკის წნეხის გამო საკუთარ ქვეყნებს ტოვებენ და სამუშაოს განვითარებულ ქვეყნებში ეძებენ. სხვა თვალსაზრისი ეყრდნობა მოსაზრებას, რომ გარკვეული პირობები, როგორიცაა: ბუნებრივი კლიმატი, საყოფაცხოვრებო პირობები, სამუშაოსადმი დამოკიდებულება და ა.შ., დაბალი განვითარების მიზეზებს წარმოადგენს. ბევრი რამ მეტყველებს იმ ვარაუდის სისწორეზეც, რომ ბევრია ფაქტორი, რომლებიც ნაწილობრივ ერთმანეთს აძლიერებს, დღევანდელ მსოფლიოში არათანაბარი განვითარების მდგომარეობის წარმოქმნას განაპირობებს.

ბუნებრივ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს. წიაღისეული სიმდიდრის არასაკმარისობა ნედლეულის მოპოვებაზე დაფუძნებულ სამრეწველო დარგების განვითარებას ართულებს. მიწაც, საკუთრებაში გადაცემის ან მოხმარების უფლების გამო, შეიძლება წინააღმდეგობას წარმოშობდეს. ამას ემატება არაეფექტიანი მეურნეობრიობის პრობლემა, ეკოლოგიური პირობების გაუთვალისწინებლობა და ა.შ. კლიმატთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სამუშაო ძალის შრომისუნარიანობა 35-დან 45 გრადუსამდე ტემპერატურის პირობებში საგრძნობლად იკლებს. განვითარებული ქვეყნები ძირითადად ზომიერ კლიმატურ ზონებში მდებარეობენ, მაშინ, როდესაც განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ტროპიკულ ან სუბტროპიკულ რეგიონებშია.

კოლონიალიზმის პერიოდში, 1960-იანი წლების დასაწყისამდე, ბევრი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა სამრეწველო ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით იყო მოწყობილი. ამასთან, სამთამადნო საქმე და სასოფლო-სამეურნეო პლანტაციები (მონოკულტურებისათვის) განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. ბევრი ქვეყნის ორიენტირება მხოლოდ მცირე რაოდენობის საექსპორტო პროდუქტებზე უამრავ ეგზოგენურ ხელშემშლელ პირობებს წარმოშობს (მაგალითად, მსოფლიო ბაზრის ფასების მერყეობის დროს). ასეთი თვალსაზრისი ძირითადად ტურიზმზეც ვრცელდება. ბევრ განვითარებად ქვეყანას კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, მაგრამ მისი ათვისება შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მაღალი ხარჯების გაწევასთანაა დაკავშირებული. თუ სასტუმროები და დასასვენებელი სახლები უცხოელების საკუთრებაშია, მაშინ მოგების რეპატრიაცია საზღვარგარეთ ხორციელდება. ამასთან, უცხოური ვალუტის შემოსვლის ნაცვლად, საპირისპირო პროცესი დაიწყება, თუ ხდება საკვები პროდუქტების (მაგალითად, კარაქის, იოგურტის და ა.შ.) ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირება.

შიდა (ენდოგენური) მიზეზები

პირველ რიგში, სოციალურ-კულტურული მიზეზები უნდა დავასახელოთ. ეკონომიკურ განვითარებას წარმართავენ ადამიანები. ისინი მოგების მისაღებად მზად არიან სამეწარმეო რისკი გაწიონ (პიონერი მეწარმის თვალსაზრისით),

ხოლო მიღებული მოგება შეიძლება ისევ პროდუქტიულად გამოიყენონ და ინვესტირება განახორციელონ. ამავდროულად, სამეწარმეო ინიციატივის მქონე ადამიანები სხვადასხვა მიზეზის გამო იშვიათია. რელიგიური მსოფლმხედველობით განპირობებული მიზეზებით ან ტრადიციული ღირებულებებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ქვეყანაში ფიზიკურ შრომას თავს არიდებენ (იგი არაპრესტიჟულია), ამას შეიძლება პროგრესისადმი მტრული განწყობაც დაემატოს. ასეთ ქვეყნებში უპირატესობა წარმოების ნაცვლად ვაჭრობას ან მომსახურების სფეროში დასაქმებას ენიჭება. მიწის საერთო საკუთრება ასევე ხელისშემშლელი მიზეზი შეიძლება იყოს. შიდა მიზეზები აქარწყლებს სტიმულებს ინდივიდუალური ძალისხმევის გააქტიურებასა და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ეს კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც მათ საფუძველზე (შიდა მიზეზებით) წარმოქმნილ სხვადასხვა სოციალურ ვალდებულებათა გამო ხშირად ოჯახების ან ინდივიდების მიერ მიღებული მოგების კომუნებში „სოციალიზება“ (თანაბრად განაწილება) ხდება.

წარსულში ამას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც ემატებოდა. ტოტალიტარული სახელმწიფოს ძალაუფლება კერძო სამეწარმეო ინიციატივების განვითარებას ებრძოდა. რა მიზანი გააჩნია სახელმწიფო ადმინისტრაციას? არის იგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წარმართველი, რომელსაც კერძო სამეურნეო სექტორი უნდა დაექვემდებაროს, თუ იგი კერძო მეურნეობის პარტნიორად აღიქმება? ყველა ქვეყანაში არსებული არაფორმალური სექტორის მოცულობა კარგი ინდიკატორია იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენად ეფექტიანად ასრულებს სახელმწიფო ინსტიტუტები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. არაფორმალური სექტორი იზრდება მაშინ, როდესაც კერძო აქტივობის განვითარება, ორგანიზატორული ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის გამოვლენა წნეხს განიცდის საზოგადოების ან სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან.

ამით ისევ ცენტრალურ საკითხს – სახელმწიფოს როლს ვეხებით. მან ხელი უნდა შეუწყოს მომჭირნეობას და ინვესტიციების მოზიდვას, შეძლებისდაგვარად თვითონ მოახდინოს ინვესტირება, თუ ის უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წესრიგის ჩარჩოს შექმნით? არ შეიძლება ვუჩიოდეთ პიონერი მეწარმეთა არარსებობას, თუ სახელმწიფო ადმინისტრაცია მათ განვითარების საშუალებას არ აძლევს. უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებების პრივატიზაცია, თუ სახელმწიფომ თვითონ უნდა აწარმოოს საქონელი? წარსულმა უკვე გვიჩვენა, რომ სახელმწიფო დაწესებულებები ქმნის მაღალ დეფიციტს, რომელიც ბიუჯეტს აწევს ტვირთად (დახმარებები არცთუ იშვიათად მთელი სახელმწიფო ხარჯების 20-30%-ს შეადგენს).

წარსულმა ასევე გვაჩვენა, რომ განვითარებად ქვეყნებში კერძო სამეწარმეო საქმიანობის ჩარჩო პირობები არახელსაყრელი იყო. სავალუტო კონტროლის პოლიტიკა ექსპორტიორს ავალდებულებდა საზღვარგარეთ მოპოვებული უცხოური ვალუტის რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციაში შეტანას (რაც საკუთარი სავალუტო სახსრების დეფიციტს წარმოშობდა და საქმიან აქტივობას აფერხებდა). სახელმწიფოს მიერ ფასების დადგენა და კონტროლი ეკონომიკური განვითარების პროცესში სახელმწიფო ადმინისტრაციის ძლიერ ჩარევას ნიშ-

ნავდა. აღნიშნული მდგომარეობის გამო წესრიგის პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარებადი ქვეყნებისათვის. საბოლოოდ, ყველა საკითხისა და პრობლემის გადაჭრას მივყავართ ბოლო წლებში წამოყენებულ „კარგი ხელისუფლების“ („Good Governance“-ის შესახებ ილუზორული მოსაზრება) მოთხოვნამდე. ამ თეორიის ავტორთა მოსაზრებით, განვითარება შეფერხდება, თუ კორუმპირებულ ფუნქციონერთა კლასი („კლეპტოკრატია“) მოგების ინვესტირებას საკუთარ ქვეყანაში კი არ მოახდენს (მაგალითად, მცირე და საშუალო საწარმოებში), არამედ ფუფუნებით იცხოვრებს ან უცხოურ აქტივებს შეიძენს. ამ შემთხვევაში ყოველთვის ჩნდება კითხვა: საიდან მოდიან ან ვის მოჰყავს ხელისუფლებაში „კლეპტოკრატები“? იქნებ, პასუხიც არსებობს ამ კითხვაზე, მაგალითად, ასეთი: ქვეყნის განვითარების პროცესი განსაზღვრულია სამოქალაქო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონით, რაც შიდა მიზეზების არსს წარმოადგენს.

განვითარების სხვა თეორიები

კარგ როლს ასრულებს ე.წ. **მოდერნიზაციის თეორიები**. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ დაბალი ეკონომიკური დონის მქონე საზოგადოების განვითარება ეკონომიკურად განვითარებულ საზოგადოებასთან ნაციონალურ „ტრადიციულ“ ფასეულობათა შესაბამისობისა და „თანამედროვე“ ცვლილებათა პროცესის მიხედვით მიმდინარეობს. თუ განვითარებადი ქვეყანა მზად არის გაიაროს ადაპტაციის პროცესი, რომლითაც ტრადიციულ ღირებულებათა, მოქმედებისა და მიდგომების, საზოგადოებრივი სტრუქტურებისა და ა.შ. „მოდერნიზაცია“ მოხდება, მაშინ განვითარების მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია. განვითარების დაბალი ეკონომიკური დონის მიზეზები (თეორიული წანამძღვრები) თვით განვითარებად ქვეყნებში უნდა ვეძებოთ. შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მიზეზი, მაგალითად, წარმატების ნაკლები მოტივაცია; პოლიტიკური სისტემების (ძლიერი იერარქიით) არასაკმარისი მისადაგება თანამედროვე მოთხოვნებთან; ეროვნული თვითშეგნების („Nation building“) ჩამოუყალიბებლობა და ა. შ. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნებში შეიმჩნევა. ადრე არსებული კოლონიური ძალების მიერ კონტინენტზე დადგენილი მრავალი სახელმწიფო საზღვარი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების არსებობის გათვალისწინების გარეშე ხდებოდა, რასაც შემდგომში ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.

მოდერნიზაციის თეორიების მიმართ მძაფრი კრიტიკული მოსაზრებებიც გამოითქვა. დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, ჯერ ერთი, განვითარების მიზნის აუცილებელი ორიენტირება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების „მაგალითზე“, რაც არა მარტო ეკონომიკური სუბიექტებისათვის, არამედ აგრეთვე დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკის წანამძღვრებისთვისაც ძალაშია. მეორეც, განვითარებადი ქვეყნების პრობლემები განიხილება ისე, თითქოს ისინი მხოლოდ შიდა ფაქტორებითაა გამოწვეული. გარე ფაქტორები, რომლებსაც აგრეთვე შეუძლიათ განვითარების შეფერხება (მაგალითად, გარედან ინსპირი-

რებული შიდა არეულობა და დაპირისპირება, ან უცხოელთა ინტერესებით კრიმინალური ბიზნესის დაფუძნება), „ლამაზ ფერებშია“ წარმოდგენილი. მესამე – არცთუ იშვიათად ხდება ცალკეულ ფაქტორებზე ფოკუსირება, რაც შეცდომაა. ერთი ან თუნდაც რამდენიმე მიზეზით დაბალი განვითარების მდგომარეობა არ აიხსნება.

განვითარების ტრადიციული თეორიები გამომდინარეობენ იმ თვალსაზრისიდან, რომ კაპიტალის დაგროვება არის ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი წინაპირობა. თუ კაპიტალის წარმოქმნა არასაკმარისია, მაშინ განვითარების დაბალი დონის დაძლევა შეუძლებელია. არ არის გასაკვირი, რომ დაბალი შემოსავლების გამო ეკონომიკური მომჭირნეობის უნარი ძალზე შეზღუდულია, შედეგად კი ვიღებთ ინვესტირების არასაკმარის შესაძლებლობას, რითიც ეკონომიკური ზრდა არ ხერხდება. ამ ნეგატიური ფაქტორების გაძლიერება ხდება ინვესტირების არასაკმარისი სურვილით იმ ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან, რომლებსაც საკმაოდ მაღალი შემოსავალი გააჩნიათ. მათთვის პოლიტიკის ჩარჩო პირობები არადამაკმაყოფილებელია (პოლიტიკის არასტაბილურობა, არასაიმედო სასამართლო და კერძო საკუთრების დაცვის სისტემა) ან არასაკმარისად განვითარებული საფინანსო ინფრასტრუქტურის გამო ისინი დაფინანსების დამატებით წყაროებს ვერ პოულობენ.

ე.წ. **ეკონომიკური განვითარების „საფეხურების“ თეორიებმაც** გარკვეული როლი შეასრულეს. ისინი ეფუძნება თვალსაზრისს, რომ ისტორიულად ყველა საზოგადოება ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ტიპურ ფაზებს გაივლის. ცნობილი მაგალითია ნობელის პრემიის ლაურეატის როსტოუს (Walt W. Rostow 1960) ეკონომიკური ზრდის (ე. წ. „დიდი ბიძგის“) თეორია, რომელიც 5 განსხვავებული ხანგრძლივობის სტადიებს ეფუძნება. მან ჩამოაყალიბა შემდეგი სტადიები: ტრადიციული საზოგადოება (პირველი საფეხური) გარდამავალი ფაზით იცვლება (მეორე საფეხური), რომელშიც დაჩქარებული ეკონომიკური ზრდისათვის წინაპირობები იქმნება. „დიდი ბიძგის“ სტადია (მესამე საფეხური) – მასში შედის, მაგალითად, მზარდი საინვესტიციო წილი ბრუტო მსპ-სთან მიმართებით, „წამყვანი სამრეწველო სექტორების“’ წარმოშობა. სიმწიფისკენ მისწრაფების სტადია (მეოთხე საფეხური) – მასზე ხორციელდება პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარება და განმტკიცება. მეხუთე სტადიაზე ჩამოყალიბდება მასობრივი მოხმარების საზოგადოება. თუ ეს სტადია მიღწეულია, შემდეგ შეიძლება მოხდეს ეკონომიკური განვითარების ტემპების დაქვეითება („take-off’’), თუ საზოგადოება არ შეეცდება სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ყველა სფეროში ხარისხის განუხრელ ამაღლებას (რაც როსტოუმ მეექვსე საფეხურად გამოაცხადა).

განვითარების სხვადასხვა სტადიაზეა დაფუძნებული აგრეთვე ჰოფმანის (Walther G. Hoffmann, 1931) **ინდუსტრიული განვითარების სტრუქტურული ცვლილებების თეორია**. ამ თეორიის მიხედვით ადგენენ სამომხმარებლო საქონლის წარმოების სიდიდის რაოდენობრივ დამოკიდებულებას კაპიტალური საქონ-

ლის წარმოებასთან. სამრეწველო დარგები, რომლებიც თავიანთი პროდუქციის მინიმუმ 75%-ს აწვდიან საწარმოებს შუალედური ან საბოლოო პროდუქტების სახით, კაპიტალური საქონლის მწარმოებლებად გვევლინებიან. გამოთვლები გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ მცირდება ნეტო პროდუქციის ღირებულება მზარდი ინდუსტრიალიზაციით. თეორიული საფუძველი სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი საზოგადოებიდან კაპიტალური საქონლის მწარმოებელ საზოგადოებაზე გადასვლისათვის მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებად პირობებში ძევს. საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ზრდის შედეგად ეცემა შეფარდებითი მოთხოვნა აუცილებელ სამომხმარებლო საქონელზე ფუფუნების საგნებთან შედარებით (ენგელის კანონის თანახმად). კვებისა და საფეიქრო მრეწველობის საქონლის ინტენსიური წარმოება კარგავს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გრძელვადიანი მოხმარების საქონლის წარმოებასთან შედარებით. განვითარების ამ საფეხურზე შემოსავლების ზრდა ჩანაცვლების პროცესებს უწყობს ხელს.

განვითარების პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები

ზოგადი მიზნები

განვითარების პოლიტიკის ზოგადი მიზანია ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ზოგადად განვითარების პოლიტიკა ხანგრძლივი გლობალური განვითარების გზას მიჰყვება. იგი დღევანდელი თაობის განვითარების პირობებს უზრუნველყოფს ისე, რომ მომავალი თაობების განვითარების შესაძლებლობები არ შეიზღუდოს. განვითარებული ქვეყნების ხანგრძლივი გლობალური განვითარების წინაპირობაა სამი შუალედური მიზნის მიღწევა: (1) ეკონომიკის ზომიერი, მდგრადი და ინკლუზიური განვითარება, (2) სოციალური სამართლიანობა და (3) ეკოლოგიური უსაფრთხოება.

განვითარების ბოლო პერიოდების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ განვითარების წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი განვითარებად ქვეყნებში, პირველ რიგში, შიდა პოლიტიკასა და ეკონომიკური აქტივობის ჩარჩო პირობებში მდგომარეობს. მნიშვნელოვან ხელშემწყობ შიდა ჩარჩო პირობებად განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებისათვის მიღებულია:

- ადამიანის უფლებების დაცვა;
- მოსახლეობის მონაწილეობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში;
- სამართლებრივი სახელმწიფოს შესაბამისი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა;
- საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება;
- სახელმწიფო სექტორის ეფექტიანი საქმიანობის განვითარებაზე ორიენტირება.

1990-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებად ქვეყნებში მსჯელობენ და სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ადამიანთა უფლებების, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის, მრავალპარტიული სისტემისა და საბაზრო ეკონო-

მიკის მართვის პრინციპების საკითხებს. გამონაკლისს წარმოადგენს სოციალისტური იდეოლოგიის მემკვიდრე ქვეყნები (მაგალითად, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა) და ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური რეჟიმები (ირანი, სუდანი და ა.შ.).

განვითარებადი ქვეყნების მიზნები

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის წინა პლანზე ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდის ეკონომიკური მიზანი დგას (როგორც მატერიალური თვალსაზრისით მზარდი კეთილდღეობის გამოხატულება). მისი დაკონკრეტება ზოგადად ბრუტო მსპ-ს გარკვეული სიდიდით ზრდის, სექტორული პოლიტიკის ან საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნებით ხდება. ამის საპირისპიროდ მინიშნებები საზოგადოებრივ ინტერესთა განვითარების პოლიტიკის მიზნებზე – თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება და პროგრესი უკეთეს შემთხვევაში პოლიტიკურ განცხადებებში გვხვდება. მათ ცხოვრებაში გატარებას კი ხშირად ხელს უშლის გაბატონებული ელიტის პრეტენზია ძალაუფლებაზე. ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ბევრ განვითარებად ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის მიზანს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. იგი ხშირად განაწილების პოლიტიკის ეფექტიანობის მიზანთან კონფლიქტში შედის. მაგალითად, წლების მანძილზე ბრეტტონ ვუდის ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) ნეოლიბერალური დოგმების დამკვიდრების მოთხოვნა დღემდე არის მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის წარმართვის ინსტრუქცია. იგი **„ვაშინგტონის კონსენსუსის“** სახელწოდებითაა ცნობილი[1] და გარკვეულ წინააღმდეგობას ქმნის სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებით.

საკუთარი მიზნების მისაღწევად აგრეთვე განვითარების პროცესის ხელშემწყობი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო პირობებისა და სხვა პროცესების გათვალისწინებაა საჭირო. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა მრავალი წლის მანძილზე არსებული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის კრიტიკას ეწევა (რაც პრინციპულად არავითარი სასურველი შედეგის მომტანი არ არის). ისინი თავიანთი ეკონომიკის სისუსტის მთავარ მიზეზს შრომის საერთაშორისო დანაწილების წარსულ და ამჟამინდელ ფორმებში, განსაკუთრებით კი გაცვლის პირობებში ხედავენ (ხორციელდება დამოკიდებულების თეორიის გაზიარება). წლების მანძილზე გაეროს სხვადასხვა კომისიაში კონკრეტული ეკონომიკური მოთხოვნები წამოაყენეს (მაგალითად, ნედლეულის ფასების სტაბილიზაციის შესახებ).

განვითარებადი ქვეყნების საბოლოო მიზანია მსოფლიოში აქამდე ძირითადად საბაზრო-ეკონომიკური მექანიზმით განაწილებული პროდუქციის გადანაწილების მიღწევა. პრინციპში ეს არის განაწილების პოლიტიკის პრობლემა, რომელიც ჩვენ ნაციონალური ეკონომიკის ფარგლებშიც გვხვდება. ყოველ შემთხვევაში

[1] Chomsky N. Profit over People – Neoliberalismus und globale Weltordnung. Hamburg,Wien, 2000, S. 22f.

აშკარაა, რომ განაწილების შედეგი უნდა შეიცვალოს, საკითხავია, მხოლოდ საბაზრო მექანიზმი უნდა გამოირიცხოს თუ არა? საქმე ეხება გადაწყვეტილებას ფასების ფიქსირების (არასაბაზრო წესრიგის ღონისძიება) ანდა სუბვენციებისა და გამათანაბრებელი გადახდების შესახებ ღონისძიებათა გატარებას. თუ მოხდება არაწონასწორულ დონეზე ფასების ფიქსირება, მაშინ ეს მიგვიყვანს შეზღუდული რესურსების არასწორ განაწილებასთან და ფასი რეგულირების (განაწილების) ფუნქციას დაკარგავს.

უმჯობესია შრომის დანაწილების გაძლიერება, რაც არა მარტო განვითარებად ქვეყნებს, არამედ განვითარებულ ქვეყნებსაც სარგებლობას მოუტანს. აქედან გამომდინარე, პრობლემები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში წარმოიქმნება (მაგალითად, უმუშევრობის ზრდა, კრიმინოგენული მდგომარეობის გართულება და ა.შ.) განვითარებადი ქვეყნებისათვის შრომის მსოფლიო ეკონომიკურ დანაწილებაში ჩართვის პროცესს აფერხებს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შექმნამ ასევე ვერ მოახდინა არსებითი ცვლილებები. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ზრდიდან განვითარებადმა ქვეყნებმა ნაკლებად მოიგეს. ეს ვარაუდი დასტურდება იმით, რომ მსოფლიო მასშტაბით წიაღისეული სიმდიდრისა და ნედლეულის გამოყენების მნიშვნელობა ყოველწლიურად მცირდება. სამრეწველო წარმოებაში ნედლეულის გამოყენების ინტენსიურობის კლებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა თანდათან იზღუდება.

განვითარებული ქვეყნების მიზნები

განვითარების პროცესში (თანამშრომლობის პირობებში) განვითარებულმა ქვეყნებმა თავიანთი საქმიანობა ერთმანეთსა და დასახულ მიზნებს უნდა შეუსაბამონ. თუ დასაწყისში განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარება მათი მხრიდან ჰუმანურ მიზანს წარმოადგენდა, ამჟამად იგი არის ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური მიზანი. ამასთან, საიდუმლოს არ წარმოადგენს ისიც, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა სასარგებლოა მათი საკუთარი ეკონომიკისთვისაც (მაგალითად, დასაქმების სფეროში).

განვითარებადმა ქვეყნებმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამებითა და პროექტებით უნდა განახორციელონ (საერთაშორისო წესების დაცვით) შეკვეთები (შესყიდვები) ევროკავშირის წევრი ქვეყნების საწარმოებზე.

განვითარებული ქვეყნების მიზნები საბოლოოდ საკუთარ საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემაზეა ორიენტირებული და მოდერნიზების თეორიებს მიჰყვება. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ევროკავშირში ცალკეული წევრი ქვეყნის სპეციფიკური, სოციოკულტურული და რელიგიური მახასიათებლების გათვალისწინებასაც ანგარიში შედარებით გვიან გაუწიეს.

ცხადი ხდება, რომ განვითარებული ქვეყნების მიზანთა სისტემა მკაფიოდ გამოხატული პოლიტიკის ნიშნებს ავლენს. საბაზრო ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა ერთმანეთს განაპირობებს. მათ საფუძველზე შეიძლება

მივაღწიოთ მოსახლეობის მაქსიმალურ ჩაბმას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, საბოლოო მიზანი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება უნდა იყოს. მიზნის შესახებ დისკუსიაში არ უნდა გამოგვრჩეს, რომ დასახული ეკონომიკური მიზნების მიღწევით შესაძლებელი ხდება დემოკრატიზაცია და ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის საფუძველზე საქმიანობა მხარდაჭერას ჰპოვებს, გადახვევები კი „ისჯება" ევროკავშირის თანამშრომლობის ფარგლებში დახმარებათა შეკვეცით ან მათი შეწყვეტით.

მიზანთა კონფლიქტები

მიზნების უამრავი შესაძლო კონფლიქტიდან, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში გვხვდება, გავარჩიოთ რამდენიმე მაგალითი. მიზანთა კონფლიქტი დახმარების გამცემი განვითარებული ქვეყნებისა და ამ დახმარების მიმღები ქვეყნების მიზნებს შორისაც წარმოიქმნება.

მიზანთა კონფლიქტები განვითარებად ქვეყნებში პრიორიტეტული მიზნების დადგენასა და განხორციელებაში ვლინდება. ისინი მაშინ ჩნდება, როდესაც შეზღუდული სახელმწიფო საფინანსო რესურსების განაწილება ხორციელდება. ხშირად ისმება კითხვა: რა უნდა განვითარდეს უპირატესად, განათლების სისტემა (დაწყებითი, საშუალო, საუნივერსიტეტო განათლება) ჯანდაცვა თუ მატერიალური ინფრასტრუქტურა? გადაწყვეტილებების მიღება იმითაც რთულდება, რომ ბევრ განვითარებად ქვეყანაში დღემდე სამხედრო ხარჯებს ეძლევა უპირატესობა. სახელმწიფო ხაზინის დაცარიელების გამო ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ (ზოგჯერ დონორთა რჩევებით) გადასახადები შემოიღო ადრე მიღებულ და ქვეყნის შიგნით უსასყიდლოდ გაცემულ დახმარებებზე (მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და განათლების სისტემაში). ამით ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ჯგუფები კიდევ უფრო დაზარალდნენ, რაც განაწილების პოლიტიკის მიზანთან კონფლიქტის შემთხვევას წარმოადგენს.

განვითარებისათვის თანამშრომლობის მიზნებისა და მოცულობის განსაზღვრისას შეიძლება კონფლიქტები წარმოიშვას. ეს ხდება მაშინ, თუ დახმარების გამცემ და მიმღებ ქვეყნებს შორის მიზნების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. პირობების გაფართოება და გამკაცრება (დახმარების გაწევა გარკვეული პირობების შესრულებასთანაა დაკავშირებული) განვითარებად ქვეყნებს ახალი მოთხოვნების მიმართ „დაქვემდებარებას" აიძულებს. იმ შემთხვევებში, როდესაც მათ სურთ დახმარების მიღება ან საერთოდ მასზე არიან დამოკიდებული, კონფლიქტები აშკარა ხდება. ასეთ შემთხვევებში საჭიროა გარკვეული შეთანხმებები, რომელთა ფორმალიზება მხოლოდ პირობითად შეიძლება. განვითარების პოლიტიკის მიზნების ოპერაციონალიზება შედარებით მარტივია მიზანთა დაბალ საფეხურზე სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში (მაგალითად, სკოლაში შემსვლელთა ქვოტები, წერა-კითხვის გავრცელების დონე, დაავადებათა შემთხვევები და სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა და ა.შ.). ეკონომიკური და

რაოდენობრივი კომპონენტებიც ბრუტო შიდა პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ კარგად განისაზღვრება. ამის საპირისპიროდ, პრობლემები შეიძლება წარმოიშვას არაფორმალურ სექტორში წარმატებული სამეწარმეო საქმიანობის საფუძველზე (შექმნილი ღირებულების ან მოგების განსაზღვრასთან დაკავშირებით). განვითარების პოლიტიკის სფეროში აგრეთვე ძნელია მიზნების თვისებრივი განსაზღვრა. როგორ უნდა გაიზომოს სამართლებრივი უსაფრთხოება? როდის გვაქვს საკმაოდ სტაბილური დემოკრატიული სისტემა?

დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების განვითარების პოლიტიკის მიზნები, ერთი მხრივ, განვითარებად ქვეყნებში მიღწეული განვითარების პროგრესისათვის გაწეულ დახმარებაში აისახება, ხოლო, მეორე მხრივ, მათი წვლილი დახმარების ოდენობით შეიძლება განისაზღვროს. ამავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმე ნომინალურ სიდიდეებს ეხება ანუ რეალურად დახმარება განვითარებისათვის 2000-იანი წლებიდან ძლიერ შემცირდა.

სტრატეგიები

ზოგადი სტრატეგიები

განვითარების პოლიტიკის განხორციელება ეტაპებად მიმდინარეობს. 1960-იანი წლების დასაწყისიდან მიღებული იყო განვითარების გარკვეული სტრატეგიისათვის დამახასიათებელი გლობალური მიზნების რეალიზაცია დეკადების მიხედვით. 1961-1970 წლების პირველი დეკადისათვის ისინი ასე გამოიყურებოდა: ყოველწლიურად ბრუტო მსპ-ს 5%-იანი ზრდა, ერთ სულ მოსახლეზე ბრუტო მსპ-ს 3%-ით ამაღლება, სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა 8,5%-ით, ხოლო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება 10%-ით უნდა მომხდარიყო. შემდგომი დეკადებისათვის მიზნები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იყო ორიენტირებული. 1990 წლის დეკემბერში „გაეროს საერთაშორისო განვითარების სტრატეგია“ მე-4 დეკადად გამოცხადდა. 1991 წლის დასაწყისში ის ძალაში შევიდა. ზოგიერთი მიზანი დეკადებში საერთოდ არ შესრულდა, მაგრამ მათ მაინც დადებითი როლი შეასრულეს. ეს ასე შეფასდა, რადგან განვითარების პოლიტიკამ წმინდა ოპერაციონალიზებულ სიდიდეებზე აიღო ორიენტაცია და მისი „შედეგების“ გაზომვა შესაძლებელი გახდა.

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სტრატეგიის პროპაგანდა მიმდინარეობდა. ნათელი გახდა, რომ ადაპტაცია ერთი დეკადის პერიოდშიც შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. მესამე დეკადაში (1981-1990წწ.) პირველად დასახელებული ეკონომიკური სიდიდეები ისეთი სოციალური მიზნების სიდიდეებით შეივსო, როგორიცაა: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების დაძლევა. ძირითადი ორიენტირი დღესაც იგივეა რამდენადმე შეცვლილი ფორმით. სიღატაკის დაძლევის პოლიტიკა არის წინაპირობა „სოციალურად სამართლიანი“ და ამით სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების მისაღწევად.

2000 წელს გაერომ 2015 წლამდე განვითარების შემდეგი მიზნები დასახა:

1. ექსტრემალური სიღატაკისა და შიმშილის დაძლევა (მსოფლიოში იმ ადამიანთა რაოდენობის განახევრება, რომელთა შემოსავალი დღეში ერთ დოლარზე ნაკლებია);
2. საყოველთაო დაწყებითი სასკოლო განათლების განხორციელება;
3. ქალისა და მამაკაცის თანასწორობისათვის ხელშეწყობა;
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ისეთ განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა, როგორიცაა: შიდსი, მალარია და სხვა;
5. ეკოლოგიური მდგრადობის გაუმჯობესება;
6. განვითარებისათვის საყოველთაო პარტნიორობის დამკვიდრება (აღმშენებლობა) და ა. შ.

ევროკავშირის ქვეყნებს ამ მიზნების განხორციელებაში, 2015 წლის სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, თავისი წვლილი შეაქვთ.

მაგალითად, გერმანიაში 2001 წელს განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად შეიმუშავეს ათი ამოსავალი პუნქტი:

1. ეკონომიკურ განვითარებაში ღარიბთა მონაწილეობის ამაღლება და ეკონომიკური რეფორმების საკითხებზე პარტნიორ ქვეყნებთან კონსულტაციების გამართვა;
2. მინიმალური საარსებო პირობების უზრუნველყოფა და აგრარული რეფორმების გატარება იმ ქვეყნებში, რომლებშიც მიწა არასამართლიანად არის განაწილებული (კვების პროდუქტების მწარმოებელ დარგებში). ევროპული აგრარული პროტექციონიზმის გაუქმება;
3. განვითარებადი ქვეყნებისათვის ვაჭრობის ნორმალური პირობების შექმნით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებებმა განვითარებადი ქვეყნების ინტერესები უნდა გაითვალისწინოს;
4. დავალიანებათა ლიკვიდაციითა და განვითარების დაფინანსებით ვალების ჩამოწერის ინიციატივის გაგრძელება. ვალებისგან გათავისუფლება პარტნიორ ქვეყნებში სიღატაკის შემცირების ღონისძიებებთან ერთად;
5. სოციალური დაცვის გაძლიერება და სოციალური უზრუნველყოფის ისეთი ძირითადი სისტემების შექმნა, როგორიცაა: განათლების სისტემა, ჯანმრთელობის დაცვა, ოჯახების დაგეგმვის შესაძლებლობა, შიდსთან ბრძოლა და სხვა;
6. სიცოცხლისათვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; სიღატაკე ხშირად აიძულებს ადამიანებს, ბუნებრივი რესურსები ჭარბად გამოიყენონ. ღარიბი ადამიანი ამით საფრთხეს უქმნის თავისი ცხოვრების საფუძვლებს. სიღატაკესთან ბრძოლა იცავს რესურსებს;
7. ადამიანის უფლებათა განხორციელება, შრომის ძირითადი ნორმების პატივისცემა (ბავშვთა შრომის აკრძალვა, ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი ხელფასები და ა.შ.). პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევისთვის მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა და შრომის ძირითადი ნორმების დაცვაში;

8. სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობის წახალისება. ქალთა სტიმულირების ღონისძიებების მხარდაჭერა, ბრძოლა ადამიანებით (ძირითადად ქალებით) ვაჭრობისა და ბავშვების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ;
9. სახელმწიფო მართვაში ღარიბთა მონაწილეობის განმტკიცება, პასუხისმგებლობით აღსავსე მართვისათვის მხარდაჭერა და მისი გაძლიერება, მაგალითად, დემოკრატიზაციისა და დეცენტრალიზაციის პროცესებში მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
10. კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება, ადამიანთა უსაფრთხოებისა და განიარაღებისათვის ხელშეწყობა. ომს მოაქვს ახალი სიღატაკე. ამიტომაც საჭიროა კრიზისების გაძლიერებული პრევენცია და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება. სამოქმედო პროგრამის ზოგიერთი ასპექტი ეკონომიკური განვითარების ამოსავალ პუნქტს ეხება. დღეისათვის ძირითადად საბაზრო ეკონომიკური სისტემის უპირატესობათა თვალსაზრისით, კერძო სექტორის როლი ეკონომიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამასთან, საქმე არა მარტო სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციას, არამედ განსაკუთრებით კერძო ეკონომიკური აქტიურობისათვის ჩარჩო პირობების გაუმჯობესებას ეხება.

ევროკავშირი ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში, კოტონოუს (ბენინი) 2000 წლის ხელშეკრულების თანახმად, AKP-ს 77 ქვეყანას ეხმარება (აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს). ხელშეკრულების ხანგრძლივობა 20 წელიწადს შეადგენს. იგი ეფუძნება ოთხ ძირითად პირობას, ეს პირობებია:

1. პარტნიორთა თანასწორობა და განვითარების სტრატეგიებისადმი პასუხისმგებლობა;
2. თანამშრომლობაში მონაწილეობა;
3. დიალოგისა და ორმხრივი ვალდებულებების შესრულება;
4. დიფერენცირება და რეგიონალიზება.

ხელშეკრულების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სამი ძირითადი ელემენტი: (1) ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა, (2) დემოკრატია და (3) სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირება. ამას ემატება სახელმწიფოს მართვაში პასუხისმგებლობა. ამ მხრივ საჭიროა: ტრანსპარენტულობა; საზოგადოების ბუნებრივი, ეკონომიკური და ფინანსური რესურსების პასუხისმგებლობით მართვა და კარგად გააზრებული, განუხრელი განვითარებისათვის მათი გამოყენება.

AKP-ს სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა, უფრო მეტად (ვიდრე აქამდე), მთავარი მიზნის მისაღწევად სიღატაკესთან ბრძოლაზეა მიმართული. ეს უზენაესი მიზანი ვრცელდება ეკონომიკური პოლიტიკის მთლიან სპექტრზე („სახელმწიფოს სრული პასუხისმგებლობით მართვა“), განსაკუთრებით კი ვაჭრობაზე და განვითარების პოლიტიკის სფეროებზე. პარტნიორობა მიმართულია სახელმწიფო მართვაში სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ მონაწილეობაზე, კერძო მეწარმეობის სტიმულირებაზე, რეგიონული ინტეგრაცი-

ის პროცესების ხელშეწყობასა და ასევე, დაფინანსების ინსტრუმენტების ეფექტიანად და მოქნილად გამოყენებაზე („მცოცავი დაგეგმვა“).

განვითარების პოლიტიკაში სტრატეგიულად „სწორი“ საწყისი პუნქტის არჩევა სადავო საკითხია. ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში სახელმწიფოებს შორის კოოპერაციის შექმნასთან ერთად (რომელიც ძირითადად პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში მდგომარეობს) არსებობს მოსაზრება, რომ განვითარებისათვის დახმარება კერძო ინიციატივას მხოლოდ აფერხებს. უკეთესი გზა იქნებოდა თანმიმდევრული, საბაზრო ეკონომიკური ორიენტაციით და დაბალგანვითარებული ქვეყნების ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში ჩართვით მათზე ზეწოლის შემცირების (take off) მიღწევა. ეს პოზიციები შეიძლება დაყვანილი იქნას გამონათქვამზე: „ვაჭრობა უკეთესია დახმარებაზე“ („Trade is better than Aid“). კოტონოუს ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია, რომ იგი პარტნიორული თვალსაზრისით თანამშრომლობაში ორივე კომპონენტის ჩართვას ცდილობს.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიები

ბევრ განვითარებად ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის წამყვანი სექტორის, სტიმულირებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ამან კი არა მხოლოდ სოფლის მოსახლეობის ქალაქისაკენ, არამედ აგრეთვე, ევროპისაკენ მზარდი ემიგრაციის საწინააღმდეგოდ იმოქმედა. მიწის უკეთესად გამოყენების შესაძლებლობები მხოლოდ ირიგაციითა და სასუქების შეტანით არ ამოიწურება. ხშირად საჭიროა წარმოების სხვა მეთოდების გამოყენებაც. მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით დასახლებულ მხარეებში მეცხოველეობის დაუგეგმავი განვითარება მიზანშეწონილია, მაგრამ აზიაში ეს შეუძლებელია. მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობათა მიუხედავად, კლიმატურ პირობებზე სოფლის მეურნეობის განვითარების დამოკიდებულება მაინც დიდია. საჰარაში გვალვის შედეგად კატასტროფები, წყალდიდობები აზიაში (მაგალითად, ბანგლადეშსა და ჩინეთში) ასეთი დამოკიდებულების ცნობილი მაგალითებია. გარდა ამისა, აგრარული პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნებში შეიმჩნევა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ციკლი მთელ ეკონომიკაში განსაზღვრავს კონიუნქტურის განვითარებას. მაგალითად, მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ბურუნდისა და რუანდაში, რომლებიც დამოკიდებული არიან ყავისა და ჩაის წარმოებაზე, ყველაფერი ზუსტად ასეა. როდესაც მოსავალი იყიდება, მაშინ სოფლის მეურნეობაში ფერმერებს უჩნდებათ ფულადი სახსრები, რომლებიც სამომხმარებლო საქონლის შესაძენად გამოიყენება. შემდგომში სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა ძალიან იკლებს და მოსავლის აღებამდე ცოტა ხნით ადრე უმდაბლეს წერტილს აღწევს.

მდგომარეობის გაუმჯობესება დამოკიდებულია რიგ სტრუქტურულ რეფორმებზე, როგორიცაა:

- მიწის რეფორმა (მიწის საკუთრებისა და გამოყენების საკითხები);
- კრედიტების გაცემა თესლის, წარმოების საშუალებებისა და ა.შ. შესაძენად;

- კონსულტაციები სასუქების შეტანის, მორწყვისა და მავნებლებთან ბრძოლის შესაძლებლობების შესახებ;
- წარმოების, მიწოდებისა და გასაღების ორგანიზაციების შექმნა;
- შენახვის პირობების გაუმჯობესება;
- პროდუქციის რეალიზაციისათვის (მარკეტინგი) ხელშეწყობა.

განვითარების პროცესში სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად უნდა იქნას ჩართული. მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებამ და მისმა დეცენტრალიზაციამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს. ამის წინაპირობას წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ნება (პირველ რიგში, შემოსავლების განკარგვა სახელმწიფოს დაქვემდებარების სხვადასხვა დონეზე).

განვითარების პოლიტიკის გამტარებლები

განვითარების პოლიტიკის გამტარებლებში უნდა განვასხვავოთ ძირითადი გამტარებლები განვითარებად ქვეყნებში (შიდა გამტარებლები) და ისინი, რომლებიც ევროპული თანამშრომლობის ფარგლებში დონორ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საფინანსო საშუალებების გაცემაზე არიან პასუხისმგებლები.

განვითარების პოლიტიკის შიდა გამტარებლები

განვითარებად ქვეყნებში განვითარების პოლიტიკის გატარებაში ხშირად **ეკონომიკის დაგეგმვის სამინისტროები** და/ან **უწყებები** მონაწილეობს. ყველა ეს ორგანიზაცია განვითარების ზოგად მიზნებს სახავს. შემდგომში კი განვითარების პროცესის დიაგნოზთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფო საინვესტიციო ბიუჯეტის შედგენასა და მის შესრულებას ენიჭება. საინვესტიციო ბიუჯეტი, თავის მხრივ, ზემოთ ნახსენები (ხაზგასმული) მიზნების განხორციელებაზეა ორიენტირებული. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ეკონომიკის დაგეგმვის სამინისტროებსა და უწყებებს საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომები აქვთ. განვითარების პოლიტიკის გამტარებლები, რომლებიც ცალსახად აღიარებენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს მართვის ძირითად საშუალებებსა და სახელმწიფო ზემოქმედების მთავარ ბერკეტებს ფლობენ. ამასთან, ისინი ხშირად ვერ ამჩნევენ, რომ ყოველთვის უკეთესია, განვითარების პროცესს თან ახლდეს პოლიტიკის გამტარებელთა მაღალი პასუხისმგებლობა. კერძო სექტორის ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობა ამით სულაც არ გამოირიცხება. ეს უნდა გაეთვალისწინებინა მსოფლიო ბანკსაც, რომელიც 1990-ანი წლების დასაწყისში მრავალ ქვეყანას ცენტრალური დაგეგმვის კომპეტენციის გაუქმების რჩევას აძლევდა. ამასთან რამდენიმე წლის შემდეგ მოუწოდებდა, ის ისევ შემოეღოთ (მაგალითად, ასე განხორციელდა მაროკოში 1998 წელს).

ამის გარდა, უნდა აღვნიშნოთ **განვითარების სახელმწიფო სააგენტოები, საზოგადოებები, განვითარების ბანკები,** რომლებიც ჩართული არიან განვითარების

პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებაში. ისინი ზოგადად ეკონომიკის დაგეგმვის სამინისტროს ზედამხედველობას ექვემდებარებიან.

განვითარების პოლიტიკის გარე გამტარებლები

განვითარების პოლიტიკის გარე გამტარებლებს შორის უნდა განვასხვავოთ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გამტარებლები. ორმხრივი თანამშრომლობა იმართება ორ სახელმწიფოს შორის, მაშინ, როდესაც მრავალმხრივ თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განვითარებადი ქვეყნების ხელშეწყობას უწოდებენ. მრავალმხრივი თანამშრომლობა გულისხმობს, რომ ცალკეული სახელმწიფო შესაბამისი ორგანიზაციების წევრია.

ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში განვითარების პოლიტიკის საკუთარი გამტარებლები მოქმედებს. მაგალითად, გერმანიაში გამტარებლებს საგარეო უწყებებთან ერთად, პირველ რიგში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო წარმოადგენს. მის საორგანიზაციო გეგმაში შედის სამი განყოფილება 8 ქვეგანყოფილებით:

I განყოფილების კომპეტენციაშია საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების ცენტრალური სფეროები და საზოგადოებრივ ძალებთან თანამშრომლობა (მაგალითად, ეკლესიებთან, პოლიტიკურ ფონდებთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან);

II განყოფილება განსაზღვრავს განვითარების პოლიტიკას ცალკეულ ქვეყნებთან და რეგიონებთან;

III განყოფილება ამუშავებს გლობალური და სექტორული განვითარების ამოცანებს და მრავალმხრივი განვითარების პოლიტიკას. 2003 წლის რეორგანიზაციის შედეგად რეგიონებზე ორიენტირებული საორგანიზაციო სტრუქტურა არსებითად უარყოფილია.

ამის საპირისპიროდ, **ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს** დავალებით მოქმედი ორგანიზაციები (როგორიცაა: გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) და აღმშენებლობის საკრედიტო ინსტიტუტები – გამტარებელ ორგანიზაციებად იქცა. ეს ასევე ეხება მთელ რიგ საეკლესიო და კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც ნაწილობრივ კერძო, მაგრამ ასევე სახელმწიფოს დაფინანსებით განვითარების პროექტებს ახორციელებენ.

მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მთელი რიგი რეგიონული განვითარების ბანკები და ფონდები შეიძლება მრავალმხრივ გამტარებლებს მივაკუთვნოთ. ამის გარდა, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ასევე მრავალმხრივ გამტარებელთა წრეს ეკუთვნის (ისევე, როგორც ევროკავშირი და მისი განვითარების ფონდები). 2000 წელს კოტონოუში (ბენინი) ხელმოწერილი პარტნიორული ხელშეკრულების ინსტრუქციებით რეგულირდება თანამშრომლობა ევროკავშირსა და AKP-ს 77 ქვეყანას შორის.

განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტები

განვითარების ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად საჭიროა, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოება გაიზარდოს. მოსახლეობის ზრდის შემცირებისა და მიწის, როგორც ლიმიტირებული ფაქტორის არსებობის პირობებში, ეკონომიკური განვითარება განპირობებულია მხოლოდ კაპიტალისა და ტექნიკური ცოდნის გამოყენებით. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში საქმე ეხება ერთ აუცილებელ პირობას – განვითარების პროცესისათვის კაპიტალის დაგროვების არასაკმარის დონეს. ის არსებითად დამოკიდებულია მომჭირნეობაზე (როგორც უარის თქმა რესურსების გამოყენებაზე მხოლოდ სამომხმარებლო მიზნებისათვის). ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის რაოდენობა კაპიტალური საქონლის წარმოებაზე უფრო სწრაფად არ გაიზარდოს. განვითარებად ქვეყნებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდის წილი ქალაქებში იკლებს, მაშინ, როდესაც ის სოფლად ტრადიციულ ღირებულებათა სისტემისა და მიღებული სოციალური სტრუქტურის არსებობისას მაღალ დონეზე რჩება. დღეს განვითარებული ქვეყნების ისტორიის შედარება ცხადყოფს, რომ განვითარების პროცესი, კაპიტალის დაგროვებისა და რესურსების ხარჯვის ზრდასთან ერთად (განსაკუთრებით ენერგიის), სულიერებისა და პოლიტიკის სფეროებში მიღწეულ სიახლეებსაც გულისხმობს. ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ ევროპაში მომწიფდა ახალი ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო შეხედულებები და შეიქმნა ინსტიტუციური, მატერიალური და პერსონალური ინფრასტრუქტურის საფუძვლები. მასში შედის სანდო სამართლებრივი წესრიგი, ეფექტიანი მმართველობა, სამართლიანი საგადასახადო სისტემა, კაპიტალის ბაზრის განვითარება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ქმედითუნარიანი განათლების სისტემა და ა.შ.

განვითარების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად გამოყენებული უნდა იყოს საშუალებები, რომლებიც ძირითადად განვითარების დაბალი დონის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაზე არის მიმართული. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობებად შემდეგი ასპექტები გამოიყოფა:

- სახელმწიფო და კერძო სექტორის როლის განსაზღვრა;
- კერძო ეკონომიკური სექტორისათვის ჩარჩო პირობების დადგენა და მისი გაუმჯობესება;
- კერძო ეკონომიკური სექტორის სტიმულირება;
- განათლება და პროფესიული მომზადება;
- მატერიალური, სოციალური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- კაპიტალის შემოტანის სტიმულირება;
- ახალი ტექნოლოგიების – ნოუ-ჰაუს (Know how) დანერგვა (მაგალითად, ტექნიკური და პერსონალური თანამშრომლობის ფარგლებში).

თუ სახელმწიფოს სურს, ხელი შეუწყოს საინვესტიციო საქმიანობას, ამისთვის უამრავი საშუალება არსებობს. მას შეუძლია თვითონ მოახდინოს ინვესტირება ან ეკონომიკაში კერძო ინვესტიციებს შეუწყოს ხელი. საერთოდ ინვესტიციები-

სათვის საჭიროა საკმაოდ დიდი ეკონომიკური მომჭირნეობა, რაც განვითარებად ქვეყნებში ცხოვრების დაბალი დონის შენარჩუნებასაც გამოიწვევს. გასაგებია, რომ ასეთი ჯადოსნური წრიდან თავის დაღწევა ძალზე ძნელია. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, სამხრეთ კორეაში, არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში) შიდა კაპიტალური რესურსების შესაქმნელად ხანგრძლივი პერიოდით დიქტატორული მმართველობის რეჟიმები მოქმედებდა.

სახელმწიფო ინვესტიციებისათვის საჭიროა შემოსავლები. მათი ფორმირების წყაროებია: გადასახადები, საბაჟო მოსაკრებელი, სახელმწიფო საწარმოების მაღალი მოგება და სხვა შემოსავლები. ბევრ განვითარებად ქვეყანაში, პირველ რიგში, ეფექტიანი და სამართლიანი საგადასახადო სისტემა უნდა შეიქმნას. საშემოსავლო გადასახადების აკრეფა ქმედითუნარიანი საფინანსო მმართველობის არარსებობის და წერა-კითხვის უცოდინართა მაღალი წილის გამო თითქმის შეუძლებელია. ამასთან, თანამედროვე სექტორის გარდა სხვა სფეროებში ბუღალტერია (სააღრიცხვო და საანგარიშო სისტემა) თითქმის არ არსებობს, მაშინ როდესაც იგი ყოვლისმომცველი მეწარმეობის სფეროს დაბეგვრისათვის აუცილებელია. შემოსავლები არაპირდაპირი გადასახადებიდან (მოხმარების გადასახადები) და ბაჟები განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს (რადგან მათი აკრეფა შედარებით ადვილია). ამ პროცესის ნაკლი ისაა, რომ მოხმარების გადასახადები და ბაჟები რეგრესულად მოქმედებს ანუ მცირე შემოსავლების მქონე სუბიექტები უფრო მეტად ზარალდებიან, ვიდრე მდიდრები. საერთო ეკონომიკური საგადასახადო კვოტები შემოსავლების 20%-ს მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევებში აღწევს. ეს მდგომარეობა შემოსავლების აკრეფის საფუძველზე სახელმწიფოს შესაძლებლობათა ფორმირებაში საფინანსო ზღვარს გვიჩვენებს.

დაფინანსების შესაძლებლობათა წინაპირობებს ასევე კერძო ინვესტიციები წარმოადგენს. მთავარი პრობლემა შეზღუდული მომჭირენეობისა და ნაკლებად განვითარებული საფინანსო ბაზრების გამო წარმოიშობა. საბოლოოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელი შექმნილი ღირებულება არა მხოლოდ მოხმარების მიზნებისათვის იქნას გამოყენებული, არამედ მისი ერთი ნაწილი დაიზოგოს და მოხდეს მისი ინვესტირება. თუ შიდა დანაზოგები საკმარისი არ არის, მაშინ უცხოურ რესურსებს უნდა მიმართონ. ევროკავშირთან თანამშრომლობისათვის ეს არის ეკონომიკური განვითარების „კლასიკური“ საწყისი სტადია.

თანამშრომლობა განვითარებისათვის (მიმოხილვა)

თანამშრომლობა განვითარებისათვის გულისხმობს განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მოქმედებას განვითარებადი ქვეყნების განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის. ამასთან, განასხვავებენ თანამშრომლობის სამ სახეს:

1. საფინანსო თანამშრომლობა, რომელიც განვითარებად ქვეყნებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით კრედიტების ან დახმარებების გაცემას გულისხმობს;

2. ტექნიკური თანამშრომლობა, ამასთან, აქ წინა პლანზე დგას ცოდნისა და ახალ მიღწევათა გაზიარება (მაგალითად, სპეციალისტებისა და მრჩეველების მივლინებით);
3. პერსონალური თანამშრომლობა, რომელიც ძირითადად განვითარებად ქვეყნებში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლებას ემსახურება.

განვითარებისათვის თანამშრომლობა პროცედურულად იწყება მაშინ, როდესაც განვითარებადი ქვეყანა პროექტის ან პროგრამის განხორციელებაზე განაცხადს აკეთებს. იგი გადამოწმდება ადგილზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში განმცხადებელს ერთ კონკრეტულ პროექტის ან პროგრამის განხორციელებაზე რჩევას მისცემენ. როგორც კი ორივე მხარე შეთანხმდება პროექტის განხორციელებაზე, პარტნიორთან პროექტის წარმართვის ან დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება დაიდება, რომელიც ყველა შემდგომი აქტივობისათვის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ხელშეკრულებები ეფუძნება იმ ჩარჩო პირობებს, რომლებიც ყველა პარტნიორ ქვეყანასთან თანხმდება. გარე დამფინანსებლების მხრიდან გადაცემული იქნება შეთანხმებული სახსრები, გაიგზავნება სპეციალისტები, მიწოდებული იქნება მასალები და ა.შ. ბევრ შემთხვევაში ელოდებიან, რომ დაფინანსების მიმღები ქვეყნები პროექტში საკუთარი შენატანითაც მიიღებენ მონაწილეობას. პროექტის განხორციელების წარმატების შეფასება რეგულარულად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ორივე პარტნიორი პროგრამის წარმატებაზე თანაბრადაა პასუხისმგებელი.

წარმატების მქონე ქვეყნების განვითარების კონცეფციები წარმოადგენს საფუძველს სხვა ქვეყნებში განვითარების პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად. დამფინანსებელ ქვეყნებთან თანამშრომლობით ისინი ადგენენ, საშუალოვადიან პერიოდში რა სფეროებში უნდა გამოიყენონ განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტები (შეძლებისდაგვარად ზემოთ აღნიშნულ სამ სფეროში). პარტნიორ ქვეყნებთან მუშაობის კონცენტრირება მეტწილად ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაზე ხდება. ამისათვის ქვეყნების განვითარების კონცეფციების ნაცვლად მთავარი პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის დოკუმენტებს ადგენენ. ამით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროებს (ევროკავშირში) საკუთარი საშუალებების გამოყენების დაგეგმვისა და დაბეგვრის საქმეში მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები აქვთ. ზოგიერთ ძირითად სფეროზე კონცენტრირებითა და გარკვეული სექტორული შეზღუდვით განვითარებისათვის თანამშრომლობის ზრდა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა ხდება. განვითარებისათვის თანამშრომლობის დეტალების დადგენა, როგორც წესი, მთავრობათა მოლაპარაკებებზე და სამუშაო თათბირებზე მიიღწევა (კონსულტაციებზე, რომლებიც ყოველწლიურად მონაცვლეობით იმართება).

ორმხრივი თანამშრომლობის მთავარ სექტორულ პრობლემებს წარმოადგენს:

- სიღატაკის დაძლევა (როგორც უმნიშვნელოვანესი ამოცანა და დახმარება თვითდახმარებისათვის);

- ბუნებრივი რესურსების განუხრელი დაცვა და განვითარების მიზნით გამოყენება;
- განათლება და სწავლება (დაწყებით განათლებაზე, როგორც ადამიანის ეკონომიკური განვითარებისა და პროფესიული განათლების წინაპირობაზე აქცენტირება);
- ლტოლვილთა და გაჭირვებულთა დახმარება;
- ჩარჩო პირობების გაუმჯობესება, განსაკუთრებით საბაზრო-ეკონომიკური სტრუქტურის გაძლიერებით;
- კერძო სექტორის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის დაცვა, ბრძოლა შიდსისა და ნებისმიერი პანდემიის წინააღმდეგ და დემოგრაფიული პოლიტიკა;
- გენდერული უთანასწორობის დაძლევისათვის ხელშეწყობა;
- კვების პრობლემების მოხსნა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება.

ქვეყნების განვითარების კონცეფციებთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ევროპული სამსახურები „თანამშრომლობის განვითარების“ გეგმაში ასევე რეგიონული განვითარების ძირითად მიზნებს ითვალისწინებენ. რეგიონულ კონცეფციებში ქვეყნების ჯგუფების ან სუბრეგიონების მრავლისმომცველი პრობლემების გადაწყვეტის მიზნებისა და პრინციპების დადგენა ხდება. ისინი არსებობს აზიის, ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის, აფრიკის, საჰარის სამხრეთის, ახლო აღმოსავლეთის, ხმელთაშუა ზღვის სივრცისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

პროექტები და პროგრამები

„განვითარებისათვის თანამშრომლობის“ უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტებია პროექტები და პროგრამები, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებულია მრავალი ღონისძიებით. მათი კონცენტრირება ხდება გარკვეული სფეროს მეტნაკლებად მრავლისმომცველ ხელშეწყობაზე.

განვითარების პოლიტიკის კონტექსტში განსახორციელებელ პროექტში გათვალისწინებულია უმცირესი ნიუანსები (ერთეულები), რომლებიც ცალ-ცალკე იგეგმება, ხორციელდება და იმართება. ისინი განვითარების ღონისძიებებისათვის ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ ჩარჩოებს წარმოადგენს. პრაქტიკაში პროექტებით შესასრულებელ საკითხთა გამიჯვნა ხშირად პრაგმატული თვალსაზრისით ხდება.

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ამის შესახებ, თვალი გადავავლოთ პროექტთა ციკლს, რომელიც პირველადი იდეის პროექტს ან მისი დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროგრამას თან ახლავს.

პროექტის დაგეგმვა

დახმარება, რომელსაც განვითარებადი ქვეყანა იღებს პროექტით ან პროგრამით, გულმოდგინე მომზადებას საჭიროებს. ამასთან, იგი რამდენიმე მნიშვნელოვან მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. პროექტებს უნდა ჰქონდეს სტაბილური მოქ-

მედების უნარი. ეს ნიშნავს, რომ დახმარების დამთავრების შემდეგ ადგილობრივ გამტარებელს უნდა შეეძლოს შემდგომი მხარდაჭერის გარეშე გააგრძელოს პროექტი. ასევე შემკვეთმა უნდა მიაღწიოს დასახულ შედეგს და მიიღოს სარგებელი. პროექტის დაგეგმვამ, ისევე, როგორც პროექტის განხორციელებამ, დახმარება თვითდახმარებად უნდა აქციოს.

თუ ადრე პროექტს დამხმარე ქვეყნის შესაბამის სამინისტროებში სპეციალისტები ამზადებდნენ, დღეს ეს მიზნობრივი ჯგუფების მიერ ხდება. ამ მიზნობრივი ჯგუფების მონაწილეობა განვითარების პოლიტიკის აქტივობების მომზადებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში გათვალისწინებულია. სიღატაკის დაძლევის სტრატეგიის კონტექსტში ღარიბი მოსახლეობა და დაზარალებული სოციალური ჯგუფები ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს. სამინისტროს მოხელეები და განყოფილებები კი პირიქით, შუამავლებად განიხილება. პროექტის დაგეგმვის დროს ზოგიერთი ძირითადი პრინციპი ასევე უნდა გავითვალისწინოთ (ადამიანის უფლებები, დემოკრატიულობა, ბუნებრივი გარემო, ქალთა ხელშეწყობა). სიღატაკეზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებისას „თანამშრომლობა განვითარებისათვის“ უნდა განიხილავდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- **მიზნობრივი ჯგუფების ნაწილი უნდა წარმოადგენდეს ღარიბთა კატეგორიას;**
- **ამ საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს ღარიბთა ცხოვრების პირობები და ხელი შეუწყოს მათი მწარმოებლური პოტენციალის ამაღლებას;**
- **პროექტის განხორციელებაში ღარიბები უნდა მონაწილეობდნენ;**
- **ეს საქმიანობა ძირითადად ორიენტირებული უნდა იყოს სიღარიბის დაძლევაზე.**

პროექტი და პროგრამა საფეხურებრივად (თანდათან) მზადდება მონაწილეთა საქმიანობის დაგეგმვის პროცესში (მეტწილად Workshop-ში, რომელშიც მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებიც იღებენ მონაწილეობას).

პროექტებისა და პროგრამებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ერთი მიზანი, რომელიც მთელი მიმდინარე პერიოდისათვის ძალაში იქნება. ამ მიზანმა უნდა ასახოს განვითარების პოლიტიკის მოქმედების პირდაპირი დადებითი და უარყოფითი ეფექტი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად პროექტს (გეგმას) უნდა დაექვემდებაროს. განვითარების პოლიტიკის მოქმედებაში სახელმწიფოს ჩარევის შედეგად მდგომარეობის ცვლილება იგულისხმება. იგი შეიძლება იყოს წინასწარ დაგეგმილი ან დაუგეგმავი, მოსალოდნელი და მოულოდნელი, დადებითად ან უარყოფითად შეფასებული. ცვლილებები წარმოიშობა მთელი მიმდინარე პერიოდის დროს. პროექტის შედეგი საერთო მიზნის მიღწევით იზომება. ის შეიძლება სხვადასხვა სფეროს შეეხოს (როგორიცაა, საერთო მდგომარეობის შეცვლა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ან საწარმოო სიმძლავრეების განვითარება). საერთო მიზნის მიღწევაში ერთობლივი პასუხისმგებლობა ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებებსა და მის პარტნიორულ ორგანიზაციებს ეკისრება. საერთო მიზნის დაზუსტება (ცალკეული საპროექტო მონაკვეთების ფაზების მიზნების მსგავსად) ინდიკატორებით ხდება. მათი საშუალებით შეიძლება დადგინდეს, თუ რით შეიძლება დავაკვირდეთ ან გავზომოთ ცვლილება. ამისათვის ღირებულების რაოდე-

ნობრივი ან შემოწმებადი ხარისხის ნიშნების დადგენაა საჭირო. პროექტების ან პროგრამების (რომლებსაც კავშირი აქვთ სახელმწიფო და კერძო კომპანიების განვითარებასთან) დაგეგმვაში ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლები უნდა გავითვალისწინოთ, რომლებიც ასახავენ სიღარიბის დაძლევასა და მონაწილეთა განვითარებას, ასევე მთავრობაში საქმის წარმატებულ წარმართვას ან მასზე ორიენტირებას და სხვა. ამასთან, აუცილებლად საჭიროა მიზნის მიღწევის პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპით მოქმედება.

ყოველ პროექტს და პროგრამას დროში დაგეგმვა სჭირდება. ამ შემთხვევაში იმ ოპერაციის გეგმა იძენს დიდ მნიშვნელობას, რომელიც ყველა პროექტისათვის დგება (რადგან მასში დაგეგმილი აქტივობა დროით თანმიმდევრობაშია მოცემული). ამასთან, დგინდება საქმის შესრულების პასუხისმგებლობაც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ინდიკატორების მომზადება, რომელთა დახმარებითაც პროექტების შედეგი გაიზომება. ისინი ემსახურება პროექტის შესრულების ოპერაციონალიზებას და მნიშვნელობას იძენენ განსაკუთრებით რეგულარულად განხორციელებულ პროექტთა შეფასების დროს (პროექტის წარმატების ან პროექტის მიმდინარეობის კონტროლი). შუალედური შეფასების შედეგები პროექტის განხორცილებასთან ადაპტაციას უწყობს ხელს. საბოლოოდ პროექტის წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ვარაუდების იდენტიფიცირებას ცდილობენ (მაგალითად, განვითარებადი ქვეყნის მთავრობა აგრძელებს პრივატიზაციის პოლიტიკას).

„განვითარებისათვის თანამშრომლობის“ ხანგრძლივი განხორციელების პროცესში ცნობილი პრობლემები უკვე დაგეგმვის ფაზაში უნდა გავითვალისწინოთ. ერთი ასეთი პრობლემა არის განვითარების პროექტების რეალიზების შემდგომი ხარჯები. წარსულში გარედან დახმარებით ხშირად მხოლოდ საინვესტიციო ხარჯებს აფინანსებდნენ, მაშინ, როდესაც მიმდინარე ხარჯებს, რომლებიც პროექტის რეალიზებისას წარმოიშობოდა, ეროვნული ბიუჯეტიდან აფინანსებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ისედაც დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტის პირობებში წარმოიშობა საფინანსო რესტრიქციის (შეზღუდვის) გამწვავების საშიშროება, ხოლო თუ ამისათვის სახსრები წინასწარ არ გამოიყოფა, მაშინ ინვესტირებაც არ მოხდება.

სარგებელი – ხარჯების ანალიზი

დაგეგმვის მეთოდებს მიეკუთვნება „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზი. იგი სახელმწიფო პროექტების ინვესტირების გაანგარიშების ტექნოლოგიას წარმოადგენს. კერძო სექტორში ინვესტირების გაანგარიშების მეთოდების გამოყენება სახელმწიფო სექტორის სახსრების რაციონალური გამოყენების ზრდას უზრუნველყოფს. ამ მეთოდების გამოყენების მიზანია დაგეგმილი პროექტით ან პროგრამით ქვეყნის ეკონომიკის ნეტო შემოსავლის მაქსიმიზაცია.

„სარგებელი-ხარჯების“ ანალიზის მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა ალტერნატიული პროგრამებიდან ეფექტიანი ვარიანტის შერჩევა უნდა მოხდეს (რაც არის არსებული და ოპერაციონალიზებული მიზნების დროს, მოქმედების

ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრისათვის გადაწყვეტილების მიღების **ნორმატიული ტექნოლოგია**). ამასთან, პროექტების განხორციელების შედეგებისა და მათი რეალიზების პროგნოზირება მნიშვნელოვნად პრობლემატურია.

ყოველთვის არსებობს საზოგადოებრივ სფეროში სოციალური ხარჯებისა და სარგებლის ჩართვის პრობლემა. ეს განპირობებულია იმით, რომ მათი უშუალოდ გაზომვა შეუძლებელია (მნიშვნელოვანი მაგალითია გარემოზე განხორციელებული ზემოქმედება). ხარჯები არის ყოველგვარი მოქმედების ის შედეგი, რომელიც ადამიანს აიძულებს, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთ-ერთ ან რამდენიმე მისთვის მნიშვნელოვან მიზანზე უარი თქვას. მაშინ, როდესაც ხარჯების არარსებობის ან დაბალი დონის პირობებში მათი განხორციელება შესაძლებელია. სამაგიეროდ, სარგებელი არის მოქმედების ის შედეგი, რომელიც ადამიანს ერთ-ერთ ან რამდენიმე მისთვის მნიშვნელოვან მიზანთან აახლოებს. განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს.

პირდაპირ (პირველად) ხარჯებს მიეკუთვნება:

- საინვესტიციო ხარჯების სიდიდე;
- ხარჯები, რომელიც საჭიროა ალტერნატიული (შემცვლელი) ინვესტიციებისათვის (შესადარებლად);
- მიმდინარე ხარჯები პროექტის შესანარჩუნებლად და ა.შ.

რადგან ამ ხარჯების გაზომვა ფულად ერთეულში შესაძლებელია, მათ პირდაპირ ხარჯებს უწოდებენ და ისინი პრობლემის გარეშე შეიძლება განისაზღვროს.

არაპირდაპირ ხარჯებს მიეკუთვნება ის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ პროექტის განხორციელებასთან არ არის დაკავშირებული. მათი გათვალისწინება ყოველთვის არ ხდება. არაპირდაპირ ხარჯებს წარმოშობს უარყოფითი და დადებითი გარე ფაქტორების ზემოქმედებაც. გარე ფაქტორების ზემოქმედებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული სარგებლის, მოგებისა და ხარჯის ფუნქცია ერთ ცვლადს მაინც შეიცავს, რომელიც არ იმყოფებოდა ამ პროექტის განმხორციელებელთა კონტროლის ქვეშ. განვითარების პოლიტიკის თვალსაზრისით, პროექტებისა და პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური და მონეტარული (ფულადი) გარე ფაქტორები, რომლებიც ნეგატიურ გარე ეფექტებს წარმოშობს. ასეთ შემთხვევებში პროექტების განხორციელების საზოგადოებრივი ზღვრული ხარჯები აღემატება პროექტის განხორციელების ინდივიდუალურ ზღვრულ ხარჯებს.

ტექნოლოგიური ნეგატიური გარე ეფექტები ჩნდება იქ, სადაც პროექტის განხორციელების შედეგად ინდივიდუალურ, საწარმოო და მოხმარების გადაწყვეტილებებს თან ახლავს ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნა. ამ პრობლემების აღმოფხვრას პროექტის „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზისას ითვალისწინებენ.

ქსელური ნეგატიური გარე ეფექტები ჩნდება ისეთი პროექტების განხორციელებისას, როგორიცაა: რკინიგზის მშენებლობა, მეტროპოლიტენის, მისი ახალი ქსელის ან სადგურის მშენებლობა, საზღვაო პორტისა და სხვა დიდი ობიექტების მშენებლობის პროექტები. ამ შემთხვევებში ნეგატიური ეფექტები გვაქვს ქსელის ჩამოყალიბების ფაზაში, მაშინ, როდესაც ქსელის სარგებლიანობა ყველა

მომხმარებლისათვის იზრდება, თუ ქსელში ერთვება ყველა შემდგომი მოსარგებლე. ამ შემთხვევაშიც ინდივიდუალური სარგებელი აჭარბებს საზოგადოებრივ სარგებელს მანამდე, სანამ ქსელი თავისი ტექნიკურად ოპტიმალური განვითარების დონეს მიაღწევს. „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზისას ტექნიკურად ოპტიმალური განვითარების დონემდე მიღწევისათვის საჭირო ყველა ხარჯს პროექტში ითვალისწინებენ.

მონეტარული (ფულადი) გარე ფაქტორების არსებობის უარყოფითი ეფექტების (პროექტით მესამე პირებზე ხარჯების განპირობება) შემთხვევაში საქმე ეხება გადანაწილების ეფექტებს. ისინი „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზში გათვალისწინებული არ იქნება, რადგან ამით ეკონომიკაში ღირებულების შექმნა არ მიმდინარეობს (იგი არ იზრდება).

არაპირდაპირი ხარჯები არაგაზომვადია ან ზეგავლენის სიდიდეს წარმოადგენს. ისინი პროექტის უპირატესობას ამცირებს. ამ შემთხვევაში შედეგები, რომლებიც ღონისძიებათა სუბიექტურ, პოზიტიურ მნიშვნელობას ამცირებს, ფულით არ გამოიხატება, არ შეფასდება (მაგალითად, გზების ან ხიდების მშენებლობით ლანდშაფტის სახის ცვლილება, რღვევა) პროექტის ყველა დადებითი შედეგი, რომელსაც უშუალო მოსარგებლეები იღებენ, პირდაპირ სარგებელს განეკუთვნება (მაგალითად, ირიგაციის პროგრამის დროს დამატებითი შემოსავლიდან მიღებული სარგებელი).

არაპირდაპირი სარგებელი ფულით შეიძლება გაიზომოს, მას პროექტიდან არაპირდაპირ დაფინანსებული პირები ან ჯგუფები იღებენ, ისე, რომ მასში არაფერს იხდიან (ირიგაციის პროექტის განხორციელების საფუძველზე მოგებას არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის მუშაკები, არამედ პროდუქციის ზრდის საფუძველზე წარმოებისა და ვაჭრობის სფეროებიც იღებენ). მაგალითად, წარმოებიდან დამატებითი შემოსავლის სახით დიდი სარგებელი მიიღება. ეს ეკონომიკის რეალურ გაუმჯობესებას ნიშნავს და ამიტომ იგი „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზში შეაქვთ. საფინანსო გარე სარგებლის გათვალისწინება „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზში საკამათოა (მაგალითად, პროექტის სფეროს ფარგლებში არსებული დამატებითი გაყიდვები).

არაპირდაპირი სარგებელი არაპირდაპირი ხარჯების შესაბამისად უნდა გავაანალიზოთ და განვიხილოთ (მაგალითად, მცენარეთა მრავალფეროვნების ზრდა კაშხლისა და ტერასების მშენებლობით). ყველა გასათვალისწინებელი ხარჯისა და სარგებლის განსაზღვრის შემდეგ უნდა მოვახდინოთ მათი შეფასება. აქაც რიგი პრობლემებია გადასაჭრელი. გამოთვლებში ძირითადად უნდა შევიდეს საბაზრო ფასები, რადგან დეფიციტის არსებობას ყველაზე კარგად ისინი ასახავს. მათი გამოთვლა კი ძნელია, რადგანაც ყველა საბაზრო ფასი „ნამდვილ“ ფასს არ წარმოადგენს (მონოპოლიები, სახელმწიფოს მიერ ფიქსირებული ფასები, ექსპორტ-იმპორტის შეზღუდვები, ფაქტორთა არასაკმარისი მობილურობა, ფასების მოუქნელობა და ა.შ.). ამას ემატება ისიც, რომ სახელმწიფო პროექტებით გათვალისწინებული საზოგადოებრივი საქონლის მიწოდება საბაზრო ფასებით არ ხდება. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასები გამოიყენება. ამასთან, საქმე არა რეალურ არამედ სიმულირებულ საბაზრო ფასებს ეხება.

როგორც კერძო ინვესტიციის გაანგარიშებისას, ისევე მომავალ ხარჯებზე და სარგებელზე (შემოსავლები) პროცენტების დარიცხვა მიმდინარე პერიოდში (გაანგარიშების ან გადაწყვეტილებების მიღების პერიოდი) უნდა მოხდეს. ინვესტიციის შეფასებისათვის გამოიყენება: ა) კაპიტალის კოეფიციენტის ($\alpha = K/Y$) გაანგარიშების მეთოდი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია მომგებიანია, თუ კაპიტალის კოეფიციენტი (აქსელერატორი) დადებითი სიდიდეა ან ბ) რენტაბელურობის გაანგარიშების მეთოდი, რომლის დროსაც ინვესტიცია მომგებიანია, თუ შიდა საპროცენტო განაკვეთი მეტია ან ისეთივე სიდიდისაა, როგორც გარე საპროცენტო განაკვეთი.

შიდა საპროცენტო განაკვეთი კერძო ინვესტირების გაანგარიშების დროს განისაზღვრება ზოგადად ბაზრის პროცენტით დამატებული რისკის პრემია, რომელიც ინვესტიციის ტიპზე არის დამოკიდებული. სოციალური დისკონტის განაკვეთის (სოციალ ტიმე პრეფერენცე), როგორც მიმდინარე მოხმარების სამომავლო მოხმარებით ჩანაცვლების ზღვრული წილის, განსაზღვრა უფრო რთულია. აქ წარმოიქმნება შემდეგი პრობლემები:

- „ნამდვილი“ დისკონტის ფაქტორის განსაზღვრა ყოველთვის შეფასებასთან არის დაკავშირებული;
- შიდა საპროცენტო განაკვეთი არ გამოდგება განსხვავებული დროის პროფილის მქონე ალტერნატიული პროექტების „სარგებელი-ხარჯების“ მიხედვით შესადარებლად;
- ინდივიდუალური დროის უპირატესობასთან შედარებით (დისკონტის მაღალი განაკვეთი არის ამჟამინდელი საქონლის მაღალი უპირატესობის განხორციელება სამომავლო ქონებასთან შედარებით), რომელიც არამდგრადი, შეზღუდული, კერძო დროის ჰორიზონტის გამოხატულებაა, საზოგადოებას მხოლოდ შეუზღუდავი დროის ჰორიზონტი გააჩნია. შესაბამისად შერჩეული უნდა იყოს შედარებით დაბალი სოციალური დისკონტის განაკვეთი;
- დისკონტის განაკვეთის დადგენა გადაწყვეტილებების მიმღების მიერ.

დასასრულს „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზის შესახებ შეიძლება მოკლე დასკვნა გაკეთდეს:

- „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზის გამოყენება სარგებლისა და ხარჯების შეფასებისას საბაზრო მექანიზმის გამოყენების აღიარებას გულისხმობს. ამავდროულად, ეს არის „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზის სუსტი მხარე (რადგან ის მხოლოდ მსპ-ს მაქსიმიზაციისკენ არის მიმართული).
- ორიენტაცია „რაციონალურ ფასთა სისტემაზე“ საზოგადოებრივი ქონების შემთხვევაში წინააღმდეგობრივია;
- კარგი შედეგები „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზმა შეიძლება პროექტების ცალკეულ სფეროში მოგვცეს (მაგალითად, კომუნალური ინვესტიციები). ამის მიზეზი ისაა, რომ ამ შემთხვევაში ნაკლებად უნდა გავითვალისწინოთ გარე ეფექტები. მთავრობის უამრავ პროგრამას შორის „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზის გამოყენება ყველაზე ეფექტიანია;

- „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას ეკონომიკური სისტემის ანალიზის თვისებები გააჩნია და მის საფუძველზე ალტერნატივების გადამოწმება ხდება;
- „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზი გადაწყვეტილებათა მიღების დროს დახმარებას გვიწევს, მაგრამ ის გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმი არ არის. ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილება შეუცვლელი რჩება. „სარგებელი-ხარჯების“ ანალიზი გამოყენება სასურველი შედეგის მისაღებად მეტი ტრანსპარენტულობის საშუალებას გვაძლევს.

საინვესტიციო პროექტების შერჩევა

ინვესტიციების დაგეგმვის ფარგლებში უნდა გადაწყდეს, რომელ სექტორში (სამთო საქმე თუ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა თუ ინფრასტრუქტურა), როგორი ტექნოლოგია (თანამედროვე საინფორმაციო, კაპიტალინტენსიური თუ უბრალოდ შრომაინტენსიური) გამოვიყენოთ და ქვეყნის რომელ რეგიონში მოვახდინოთ ინვესტირება. დღეს ბევრ განვითარებად ქვეყანაში სახელმწიფოს კვლავ მხოლოდ წესრიგის პოლიტიკის გამტარებლის ფუნქცია აქვს და ინვესტირებისათვის ძალზე შეზღუდული საფინანსო რესურსები გააჩნია. ამავდროულად, მან უნდა შექმნას ეფექტიანი მმართველობა, უზრუნველყოს კერძო სექტორისათვის სტაბილური და სანდო ჩარჩო პირობები, ასევე უნდა განახორციელოს კერძო ეკონომიკური ინვესტიციების სტიმულირება. რადგან განვითარებად ქვეყნებში კაპიტალი არასაკმარისია, სამუშაო ძალა კი საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ამდენად წარმოების ზრდის მისაღწევად შრომაინტენსიური მეთოდი უნდა იქნას შერჩეული (მაგალითად, ტანსაცმლის წარმოების გაფართოება). კაპიტალის დეფიციტის გამო იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლებისთვის (ვალუტის დაზოგვა, სოფლის დატოვებასთან ბრძოლა და სხვა) „თანამშრომლობამ განვითარებისათვის“ შესაბამისი კონცეფიები შექმნა.

პროექტის განხორციელება და მონიტორინგი

პროექტების ან პროგრამების განხორციელება გარკვეულ ორგანიზაციებს ევალებათ. ამას თან მოქმედების მონიტორინგი უნდა ახლდეს. მან შესაძლებელი უნდა გახადოს დასკვნების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა პროგნოზი დამაიმედებელი. ამასთან ისმება შემდეგი კითხვები: (1) რომელ სფეროებს შეეხება პროექტის შედეგები? (2) ფაქტობრივად რა შედეგები მიიღება? (3) დადგენილი ზემოქმედებებიდან პროექტის მიზნების მიღწევაზე ყველაზე მეტად რომელი ახდენს გავლენას? (4) მიღწეული იქნა თუ არა პროექტის მიზანი? (5) რომელი სხვა შედეგები შეიძლება იქნას კიდევ მიღწეული, სასურველი თუ არასასურველი? (6) პროექტის მიზანი ხელს შეუწყობს თუ არა განვითარებას?

პროექტის განხორციელების წარმატება ინდიკატორებით განისაზღვრება. ისინი შეიძლება იყოს რაოდენობრივი, მაგრამ ასევე თვისებრივი ხასიათის მქონეც.

შეფასება

„განვითარებისათვის თანამშრომლობის“ განხორციელების წარმატება, მისი შედეგები შეფასების საფუძველზე რეგულარულად უნდა შემოწმდეს. ამასობაში იქმნება შეფასების დახვეწილი მეთოდები, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით გამოიყენება. პროექტის განმხორციელებელი ორგანიზაციის სქემის მიხედვით, შედეგი უნდა განისაზღვროს პროექტის შესრულების დროს. შემდგომში იგი დაგეგმვით დადგენილ ინდიკატორებთან უნდა შედარდეს. ამასთან, პროექტებით და პროგრამებით მიღებული შედეგი და სარგებელი შესაბამისად უნდა შეფასდეს. განმხორციელებელი ორგანიზაციები და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციები შემფასებლებსა და მაკონტროლებლებს წარმოადგენენ.

თანამშრომლობა საერთაშორისო განვითარებისათვის

2001 წელს განვითარებადი ქვეყნებისათვის და მრავალმხრივი ორგანიზაციებისათვის ნეტო დახმარება შეადგენდა 48,5 მლრდ აშშ დოლარს, 10 მლრდ აშშ დოლარით ნაკლებს, ვიდრე 1991 წელს. განვითარების ოფიციალური სააგენტოებიდან მიღებული წინასწარი მონაცემების თანახმად, ODA-ს განვითარების დახმარების კომიტეტის (DAC) წევრებისგან ODA-ს დახმარების საერთო მოცულობამ 2019 წელს შეადგინა 152,8 მილიარდი აშშ დოლარი (რაც 2018 წელთან შედარებით, 1,4%-ით არის გაზრდილი). დახმარება აფრიკასა და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებისთვის (LDC) გაიზარდა, შესაბამისად, 1.3% და 2.6%-ით. დონორი ქვეყნების მიერ ლტოლვილთა მოვლაზე დახარჯული დახმარების გამოკლებით (რაც 2018 წელთან შედარებით შემცირდა 2%-ით) „განვითარებისათვის თანამშრომლობა“ (ODA) გაიზარდა რეალურად 1,7%-ით[1].

დახმარებისათვის მზადყოფნა „განვითარებისათვის თანამშრომლობის“ ფარგლებში ცვალებადია. ბევრი ქვეყნისათვის სახსრების მოცულობამ იკლო, ისევე, როგორც ბრუტო მსპ-სთან მიმართებით მისმა წილმა. თუ განვითარებადი ქვეყნებისათვის პრიორიტეტული პროექტები და პროგრამები გარედან ფინანსდება, მაშინ ამისათვის განკუთვნილი საშუალებები შეიძლება სხვა მიზნებისთვის იქნას გამოყენებული (გამოთავისუფლების ეფექტი). თუ დახმარების გამცემ ქვეყანას სურს, ხელი შეუშალოს დახმარების „არასასურველი“ მიზნით გამოყენებას (მაგალითად, სამხედრო მიზნებისათვის), მაშინ ზემოქმედებამ მასიური ზეწოლის ხასიათი უნდა მიიღოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი სუვერენულობის პრინციპის დაცვას არ ეთანხმება.

საერთაშორისო დახმარების ერთიანი შეფასება შეუძლებელია. განვითარებული ქვეყნებიდან რესურსების ტრანსფერი ჯერ კიდევ ძალზე მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის. ამავდროულად, ამ პროცესიდან დახმარების გამცემი ქვეყნებიც იღებენ მოგებას. მაგალითად, გაცემული საკრედიტო სახსრები განვითარებულ ქვეყნებში წარმოებული საქონლის შესაძენად გამოიყენება. საფ-

[1] Official Development Assistance (ODA). https://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-standards/official-development-assistance.htm

ინანსო ნაკადების უკუდინების კვოტა, მაგალითად, გერმანიაში დახმარებისათვის გაცემული სახსრების 60%-მდეა. ამის გარდა, არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ზოგიერთი სახის დახმარება არაპროდუქტიულია. ასეთი მდგომარეობა, პირველ რიგში, გვხვდება მაშინ, თუ დახმარების მიმღები ქვეყანა დახმარებას არამიზნობრივად იყენებს ან როდესაც ნაციონალური წარმოება მომგებიანი აღარ არის (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების დაბალი ფასებით მიწოდების შემთხვევაში).

AKP-ს (აფრიკის, კარიბის, წყნარი ოკეანის გეოგრაფიული სივრცე) ქვეყნების გარდა, რიგმა სხვა ქვეყნებმაც დადეს ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მათ საგარეო ვაჭრობაში გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. სავაჭრო შეზღუდვებისა და სხვა პროტექციონისტულ ღონისძიებათა გაუქმება, ერთი მხრივ, საერთაშორისო ლიბერალიზაციის პროცესის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი, ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს (LDC) აზარალებს. იმ შემთხვევაში, თუ განვითარებადი ქვეყნები ვერ შეძლებენ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ახალ წესრიგთან შესაბამისობას, მაშინ დაშორება მათსა და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება. ასეთი მდგომარეობა მსოფლიო ეკონომიკისთვის არა თუ არ არის მომგებიანი, არამედ იგი დამზარალებელია.

საექსპორტო შემოსავლის სტაბილიზაცია

ბევრ განვითარებად ქვეყანას საკმარისი რაოდენობის უცხოური ვალუტა გააჩნია. ისინი სავალუტო შემოსავლებს ძირითადი ნედლეულის, ხშირად მონოკულტურის ან სხვა პროდუქტის ექსპორტის საფუძველზე იღებენ (მაგალითად, განა – კაკაოს, უგანდა და რუანდა – ყავის, ზამბია – სპილენძის ექსპორტით და ა.შ.). ამ პროდუქტებზე მსოფლიო ფასების ცვალებადობის პირობებში ნათელი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბევრი ქვეყნისათვის საექსპორტო შემოსავლების სტაბილურობა და ზრდა. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა მსოფლიო ბაზარზე მათი საექსპორტო ნაწარმის ფასების ცვლილებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

ხელშეკრულებები ნედლეულზე შეიძლება პირობითად იყოს გამოყენებული. შესაძლებელია და ამით მიწოდების შეზღუდვა ან ფასის სტაბილიზაცია სასურველ დონემდე (OPEC-ის ნავთობექსპორტიორი ქვეყნების მოქმედების პრინციპი). იშვიათ შემთხვევაში თანხმდებიან „კეთილსინდისიერ ვაჭრობაზე“, რომელიც განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლებს უფრო დიდ მოგებაში მონაწილეობის შესაძლებლობას აძლევს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ზოგადი მიზანია სავაჭრო შეზღუდვების მოხსნა. განვითარებული ქვეყნების ბაზრები განვითარებადი ქვეყნების პროდუქტებისთვის ღია, ხოლო საბაჟო შეღავათების განვრცობა ევროკავშირის ქვეყნებში თანმიმდევრული უნდა იყოს. ამასთან, უნდა აღმოიფხვრას საბაჟო მფარველობა ნახევარფაბრიკატებსა და მზა ნაწარმზე (სატარიფო სავაჭრო დაბრკოლებები). აგრეთვე უნდა შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების

იმპორტის დაბეგვრა და კონტინგენტირება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასატარიფო სავაჭრო დაბრკოლებების გაუქმებაც (მაგალითად, როგორიცაა ადმინისტრაციული ინსტრუქციები, შემოტანის ნებართვები, ტექნიკური სტანდარტის დაცვა და ა.შ.), რომელთა პროტექციონისტული ზეგავლენა ნაწილობრივ საბაჟოს ზეგავლენას აჭარბებს.

როგორც რეალობა გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი ვაჭრობის მომხრე განვითარებულ ქვეყნებში ამისათვის მზადყოფნა ჯერ ძალზე დაბალია (საკუთარ ქვეყნებში უმუშევრობის გამო). ამ მხრივ 1995 წელს WTO-ს დაარსებამ მცირე რამ შეცვალა.

ევროკავშირის განვითარების პოლიტიკის ფარგლებში (LOME-ს ადრინდელი ხელშეკრულებებით) შეეცადნენ AKP-ს ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და მინერალური წყლების რეალიზაციით მიღებული საექსპორტო შემოსავლების სტაბილიზაციას. ეს საფინანსო ინსტრუმენტები, მრავალი ფაქტორის გამო, რომელთა შორისაა დაყოვნება განხორციელების დროს, არ დამკვიდრდა. ისინი ევროკავშირის ზეწოლით 2000 წლის ივნისში დადებულ ხელშეკრულებაში აღარ შეიტანეს. ამის სანაცვლოდ დახმარებების ფონდებიდან AKP-ს ქვეყნებისათვის შესაბამისი მხარდაჭერის შესაძლებლობა არსებობს (ეს ქვეყნებში შემოსავლების დროებით შემცირება და ამით ბიუჯეტის მაღალ დეფიციტები არსებობს).

სტრუქტურული შესაბამისობის (ადაპტაციის) პოლიტიკა

1980-იანი წლების დასაწყისიდან მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით, რიგ განვითარებად ქვეყნებში სტრუქტურული შესაბამისობის პროგრამები (SAP) დააფინანსა და განახორციელა. ეს პროგრამები მოტივირებულია ძირითადად წესრიგის პოლიტიკით და მიმართულია აღნიშნულ ქვეყნებში მაკროეკონომიკური განვითარების უთანაბრობის აღმოფხვრისაკენ (საგადამხდელო ბალანსისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი). ლიბერალური საბაზრო ეკონომიკური ელემენტების შეტანა ეკონომიკურ პროცესებში, ვაშინგტონის ხელშეკრულების თანახმად, ღონისძიებათა სტანდარტულ კატალოგს ეკუთვნის. ალოკაციის შედეგების წინა პლანზე წამოწევა ხშირად განვითარებადი ქვეყნების სოციალური განვითარების პოლიტიკის განსხვავებულ (დეტერმინირებულ) მიზანთა სისტემებთან კონფლიქტში მოდიოდა. სტრუქტურული შესაბამისობის პროგრამების ბოლო პერიოდში სექტორულ და სტრუქტურულ შესაბამისობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რეფორმის მნიშვნელოვანი სფეროებია:

- სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდაცია ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენის მიზნით (საგადასახადო რეფორმები, როგორიცაა, მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი, საგადასახადო სისტემის რეფორმა, საჯარო სამსახურის რეფორმა და კადრების ოპტიმიზაცია, სახელმწიფო ხარჯების შემცირება და ა.შ.);
- სახელმწიფო საწარმოების გაჯანსაღება (სანაცია), პრივატიზაცია ან ლიკვიდაცია. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მათი მაღალი დეფიციტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა და ხშირად

მხოლოდ დასაქმების ფუნქცია ჰქონდათ. ამ ღონისძიებებს მივყავართ მასობრივი უმუშევრობის ზრდამდე. ბანკებიც რესტრუქტურიზაციის ღონისძიებების საგანს წარმოადგენს.

- სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის საბაზრო ფასების სისტემების შემოღებით მცირდება ან უქმდება დახმარებები სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებზე, თესლზე, სასუქებზე და ა.შ.
- ფასთა სახელმწიფო კონტროლის გაუქმება, რაც ქმნის სტიმულს კერძო საწარმოებში ინვესტირებისა და ექსპორტისათვის;
- ადგილობრივი ვალუტის დევალვაცია, რომელსაც თან ახლავს სავაჭრო შეზღუდვების აღმოფხვრა. რაოდენობრივი ბაჟი იცვლება ღირებულებითი ბაჟით. რიგ ქვეყნებში SAP-ის კრედიტით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ამ შემთხვევაში კრედიტის ნაკლს მისი შედარებით მოკლევადიანი ხანგრძლივობა (3 წელი) წარმოადგენს, ასე რომ, დამატებითი პროგრამები მეტწილად საჭირო ხდება. ასეთ მოკლე ვადაში ადრინდელი, ცენტრალიზებული ეკონომიკური მართვის ორიენტაციის ქვეყნების და სახელმწიფო ბიუროკრატიის ტრანსფორმირება საბაზრო ეკონომიკის სისტემად დემოკრატიული ნიშნით შეუძლებელია. დაბრკოლებები განვითარებაში კვლავინდებურად რჩება. ამას ემატება ისიც, რომ პროგრამები დაკავშირებულია მოვალეობებთან (პირობებთან), რომელსაც განვითარებადი ქვეყნების ხელისუფლება ადვილად ვერ ასრულებს. სხვა ნაკლია SAP-ისთვის აღებული კრედიტები ან მათი უკან დაბრუნების ვალდებულება. SAP-ის ადრინდელი ორიენტაცია მოსახლეობის დიდ ნაწილს გამორიცხავს ახალი სახელმწიფო მოწყობის დადებითი ეფექტებიდან.

ასეთი პოლიტიკით აღნიშნულ ქვეყნებში შეიძლება თუ არა განუხრელი განვითარების დაწყება, ამას მომავალი გვიჩვენებს. მისი წარმატებისათვის მნიშვნელოვანია ფართო ინსტიტუციური რეფორმა მთელ სახელმწიფო მმართველობაში. აგრეთვე ისიც, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაციის პროცესს უნდა ახლდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროს დემოკრატიზაცია. ცხადი ხდება, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფუნქციონირებად სახელმწიფო მართვას (good governance), საიმედო სასამართლო სისტემას და პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალ იუსტიციას.

ვალების პრობლემის გადაჭრა

ვალების პრობლემის გადასაჭრელად (ჭარბი ვალები, უცხოური კრედიტების გადახდის უუნარობა) უამრავი ისეთი შესაძლებლობა არსებობს, როგორიცაა:

- ვალების კონვერსია (ვალების პირობების შეცვლა, გადასახდელი პროცენტის შემცირება, გადახდის ვადის გადაწევა და სხვა);
- ვალების რესტრუქტურიზაცია;
- ვალებისაგან გათავისუფლება;
- ექსპორტის დონის ამაღლება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა.

პარიზის კლუბში დასავლეთის კრედიტორი ქვეყნების მეტწილად არაფორმალურ შეხვედრებზე დავალიანების მქონე ქვეყნებთან ცდილობენ, ვალების მომსახურების პრობლემა ერთობლივად გადაჭრან. აქ წარმოებს მოლაპარაკება სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ ვადებზე იმ მიზნით, რომ აღდგეს ვალების მომსახურებისუნარიანობა. მოლაპარაკების შედეგად სასწრაფოდ გადასახდელი ვალების გადავადება და აგრეთვე ზოგიერთი ვალებისაგან გათავისუფლება ხორციელდება. პარიზის კლუბის წევრმა სახელმწიფოებმა 1988 წელს გამოთქვეს მზადყოფნა, გარკვეული პირობებით უარი თქვან თავიანთი მოთხოვნების 30%-ზე (ვალების ეფექტიანი შეკვეცით ან ვალების მომსახურების შემცირებით SILIC-ის ქვეყნების დაბალი შემოსავლების მქონე მაღალი დავალიანების განვითარებადი ქვეყნების მიმართ). ამ დროიდან კრედიტორ და დავალიანების მქონე ქვეყნებს შორის რიგი შეთანხმებები დაიდო. მოხდა ასევე ვალებისაგან გათავისუფლება, ისინი გადაიქცა დახმარებად ან გაუმჯობესდა კრედიტების გაცემის პირობები (ბილატერალურ დონეზე მოლაპარაკებით). ლონდონის კლუბში ვალების კონვერსიის შესახებ მოლაპარაკებები ძირითადად იმავე მიზნით მიმდინარეობს, იმ განსხვავებით, რომ აქ საქმე კერძო კაპიტალის ბაზრის კრედიტებს ეხება.

უკვე 1980-იან წლებში არსებობდა ვალების საერთაშორისო კრიზისის დაძლევის წინადადებები (კრიზისი ძირითადად ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან დაიწყო). ამ პერიოდში „ბრეიდის გეგმას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (აშშ-ს მაშინდელი ფინანსთა მინისტრის გვარის მიხედვით). მაღალი დავალიანებისა და საშუალო შემოსავლის მქონე განვითარებად ქვეყნებსა და კომერციულ ბანკებს შორის, ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, ვალების ლიკვიდაცია, დავალიანების ტვირთის შემსუბუქება, ან გადავადება უნდა მომხდარიყო. ასეთ შესაძლებლობას წარმოადგენდა:

- ვალის ვალდებულებათა გამოსყიდვა (Debt-Buy-Back): ამ ტრანსაქციით ქვეყანა მეორადი საფინანსო ბაზრიდან თავისი ვალის ვალდებულებას ნაღდი ფულით ყიდულობს, რის შედეგადაც ვალების მომსახურება მცირდება. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ ხშირად შეუსრულებელ პირობას დებიტორი ქვეყნის განკარგულებაში არსებული ვალუტა წარმოადგენს;
- ვალის ვალდებულებათა გაცვლა სააქციო კაპიტალის წილზე (Debt-Equity Swap): საგარეო ვალები გადაიქცევა ქვეყნის შიდა რეალური კაპიტალის წილად (მაგალითად, ქვეყნის რეალური კაპიტალის პრივატიზაციის პროგრამის ფარგლებში). კრედიტორების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი სესხები ნომინალური ღირებულებით ქვეყნის რეალურ კაპიტალზე გაცვალონ. ამ შემთხვევაში მოვალე ქვეყნისთვის უცხოური ვალი შემცირდება;
- ვალის ვალდებულებათა გაცვლა ახალ ვალდებულებებზე ხანგრძლივი დროით და დაბალი პროცენტებით (Debt-Bond Swap). ამ შემთხვევაში კრედიტორებს გაცემული სესხები არ ეკარგებათ, ხდება მხოლოდ მათზე დაბალი პროცენტების დაწესება და დაფარვის დროის გახანგრძლივება. დავალიანების მქონე ქვეყნებისთვის ეს შვების მომტანია.

1996 წელს მსოფლიო ბანკი გამოვიდა ინიციატივით, რომ შეემცირებინათ 40-ზე მეტი დაბალი შემოსავლისა და ძალზე დიდი დავალიანების მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის ვალები (რომელშიც სოციალური ასპექტებიც იყო გათვალისწინებული). ასეთმა ქვეყნებმა თავიანთი ვალების „ასატან" დონემდე შემცირების შესაძლებლობა მიიღეს. მიზანი მიღწეული იქნებოდა, თუ მთლიანი დავალიანება ორმაგ მსპ-ს არ გადააჭარბებდა და წლიური საექსპორტო შემოსავლებიდან ვალების მომსახურება 25%-ს არ გადაამეტებდა. ამის წინაპირობა იყო აღნიშნული ქვეყნების მიერ ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარება, რომელთა მიზანს წარმოადგენდა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროში მდგომარეობის გაუმჯობესება. კიოლნში „დიდი შვიდიანის სახელმწიფოების" უმაღლესი დონის შეხვედრაზე გერმანიის ხელისუფლებამ მაღალი დავალიანების მქონე ღარიბი ქვეყნებისათვის ვალების ჩამოწერის გაფართოებისა და დაჩქარების შესახებ წინადადება წამოაყენა (რომელიც 1999 წლის შემოდგომაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წლიურ სხდომაზე მიიღეს). ვალების ჩამოწერა ეხებოდა ქვეყნებს, რომლებიც მსოფლიო ბანკში კრედიტებს მხოლოდ ხელსაყრელ პირობებში იღებდნენ და მათი ვალების სიდიდე ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე 150%-ით მეტი იყო. ასეთ ქვეყნებს ორივე ზემოთ დასახელებულ პირობით შესაძლო ვალებზე მეტი ყველა ვალი გაუქმდა. ამ ინიციატივიდან საშუალოდ იმას ელიან, რომ ვალებიდან გათავისუფლების შემდეგ განვითარებადი ქვეყნები ვალების გასტუმრებისათვის ექსპორტიდან მიღებული მოგების 10%-ზე ნაკლებს გადაიხდიან. ვალის მთლიანი სიდიდე, რომლისგანაც 40-მდე განვითარებადი ქვეყანა გათავისუფლდა, 70 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა. რადგან ამ წამოწყების უზენაესი მიზანი სიღატაკის დაძლევაა, ამიტომ ყველა გამოთავისუფლებული სახსრები მას უნდა მოხმარდეს. ამასთან, ასეთი „კვალიფიკაციისათვის", რომელიც 40-მდე ქვეყანას შეეხო, მათ უნდა წარმოადგინონ, ქვეყნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სტრატეგია სიღატაკის დასაძლევად. გერმანიის წილი ვალებიდან გათავისუფლების ღირებულების საერთო სიდიდეში 5 მლრდ ევროზე მეტია.

ვალების კონვერსიით და ვალებისაგან გათავისუფლებით ნაწილობრივ ისიც მოხერხდა, რომ ზოგადად ვალების მომსახურების კვოტა შემცირდა. ვალების გადავადების ოპერაციებში მონაწილეობის მიღება კრედიტორი ქვეყნების ინტერესებშიც შედის, რადგან ამით ვალების მომსახურების ერთი ნაწილი მაინც გარანტირებული იქნება და საერთაშორისო საფინანსო სისტემის რისკები შემცირდება. დავალიანების კრიზისების დაძლევა დამოკიდებულია დებიტორი ქვეყნების ვალის პოლიტიკაზე – მოახერხებენ თუ არა ისინი კრედიტების სტრუქტურის გაუმჯობესებასა და სხვა ქმედითი ღონისძიებების გატარებას (უფრო მეტი ოფიციალური და ნაკლები მაღალპროცენტიანი კერძო კრედიტების აღება, ექსპორტის გაფართოება, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა და სხვა). გლობალური კრიზისის საფუძველზე განვითარებად ქვეყნებში ნედლეულის წარმოების ინტენსიურობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამ ქვეყნებში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო, პირდაპირი ინვესტიციების ნაკადები მცირდება, რაც, თავის

მხრივ, დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინების შესაძლებლობას აქრობს. სავარაუდოა, რომ დავალიანების პრობლემის გადაჭრას უახლოეს მომავალში ადგილი არ ექნება. და ბოლოს, მეცნიერთა აზრით, საჭიროა საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურის რეფორმა, რომელიც გლობალიზაციის პროცესის გამო სასწრაფოდ უნდა დაჩქარდეს.

განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები და მოქმედების არეალი

ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის ეკონომიკის საწყისი მდგომარეობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში არასაკმარისი მონაწილეობით და ხშირად გეოგრაფიული მდებარეობის გამოც ისინი ზარალდებიან. კრედიტორების მიერ დავალიანების პრობლემის გარკვეული შემსუბუქების მიუხედავად, განვითარების საკითხში მნიშვნელოვან დაბრკოლებას კვლავ დაგროვილი ვალები და ვალების მომსახურება წარმოადგენს. ექსპორტის შედეგად მიღებული უცხოური ვალუტის დიდი ნაწილი, რომელსაც განვითარებადი ქვეყნები დანადგარების იმპორტისათვის უნდა იყენებდნენ, საგარეო ვალის მომსახურებას ხმარდება.

რამდენადაც არამდგრადი და ნაკლებად მართვადია განვითარების პროცესი, იმდენად მისი წარმატება კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ამ მხრივ მოსახლეობის ზრდის საკითხიც არსებითია. განვითარებად ქვეყნებში, სადაც წელიწადში დემოგრაფიული მატების ტემპი 2-3%-ია, მოსახლეობა ყოველ 25-35 წელიწადში ორმაგდება. ამ ქვეყნებში რომ შენარჩუნდეს ამჟამინდელი ძალზე დაბალი სამომხმარებლო დონე, წარმოებაც ზუსტად ასევე უნდა იზრდებოდეს. აქედან ნათელი ხდება შობადობასა და ოჯახების დაგეგმვაზე ქმედითი კონტროლის მნიშვნელობა.

აფრიკის ქვეყნებში ამას ემატება განვითარების პროცესით მოპოვებული წარმატებების გაბნევის ეფექტი, რომელზეც აგრეთვე მეზობელი ქვეყნებიდან მოსახლეობის მაღალი მიგრაცია ზემოქმედებს. განვითარებული ქვეყნებისაკენ ხანგრძლივი ვადით მიგრაციის სურვილი ასევე ძლიერდება. აქედან გამომდინარე, განვითარებადი ქვეყნების სტაბილური და მზარდი განვითარებისათვის კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს.

მთავარი პრობლემა, როგორც ჩანს, არის განათლების არასაკმარისი დონე. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა რესურსებით ღარიბია. ამდენად, განათლებასა და კადრების მომზადებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განათლება არის უმნიშვნელოვანესი, მაგრამ ძალზე ძვირი პროდუქტი. ადრე ბევრ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მქონე პირთა დასაქმება სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ ხდებოდა. ამჟამად სახელმწიფოს ხარჯების შემცირების გამო ეს შესაძლებელი აღარ არის. ხშირად სახელმწიფოს დაწესებულებებში დასაქმებულთა გათავისუფლება ხორციელდება. ეს ტვირთად აწვება არა მარტო შრომის ბაზარს, არამედ ამით კვალიფიციური შრომითი რესურსებიც იფლანგება. ეს პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ სამართლებრივ-იურიდიული ჩარჩო პირობების შემუშავება

და სრულყოფა კერძო ეკონომიკურ სექტორისთვის ყოვნდება. ამას ემატება ისიც, რომ განათლების სისტემა უფრო მეტად „ჰუმანიტარული მეცნიერებების“ და არა „საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ მეცნიერებათა“ სწავლების მიმართულებით არის მოწყობილი. პროფესიული მომზადების სფეროში სწავლება და მუშაობა ან მხოლოდ პრაქტიკასთან ან მხოლოდ თეორიასთან კავშირში მიმდინარეობს. ორმხრივი, კომპლექსური განათლების ელემენტები მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში გვხვდება (მაგალითად, მაროკომ 1997 წლიდან ქვეყნის მასშტაბით კომპლექსური განათლების სისტემის შემოღებით ორიენტაცია გერმანულ მოდელზე აიღო და პოზიტიური შედეგები მიიღო).

დღეს სახელმწიფომ განვითარების პროცესში „ახალი“ როლი უნდა შეასრულოს. კერძო სამეწარმეო აქტიურობისათვის მან სტაბილური ჩარჩო პირობები უნდა შექმნას (ფინანსური წესრიგი, სამართლებრივი წესრიგი და ა.შ.) და ინფრასტრუქტურა განავითაროს. ამისათვის კი რესურსები ძალზე შეზღუდულია. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ განვითარების პოლიტიკის შედეგად ბევრმა ქვეყანამ შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო რიგი სახელმწიფო ამოცანების შესრულება კერძო სექტორს „გადააბარა“.

ამ პროცესმა წარმოშვა ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების გატარებისას პრობლემები ინტერესთა კონფლიქტებიდანაც წარმოიშობა. სტრუქტურული შესაბამისობის პროგრამები და მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ლიბერალიზაციის პოლიტიკა (აშშ-ს მზარდი გავლენის გამოც) რესურსების ეფექტიანი განთავსებისკენ არის მიმართული. ამით სამართლიანობისა და სოციალური ვალდებულებების მიზნებს შორის (რომლებსაც ბევრ განვითარებად ქვეყანაში შედარებით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა) დაუსრულებელი კონფლიქტი არსებობს.

საბაზრო ეკონომიკა უნდა გავიგოთ არა როგორც უბრალოდ მიზანი, არამედ როგორც საშუალება, საზოგადოებრივი და ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების უკეთ რეალიზებისათვის. საზოგადოებრივი და ინსტიტუციური ზრდის დაბრკოლებების დაძლევაში სახელმწიფოს უპირატესობა ენიჭება. ამას ადასტურებს მოსახლეობის საქმიანობის მოტივაციის სტრუქტურა, ქვეყნისათვის ბევრ საჭირო ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების დაბალი რენტაბელობა და უპასუხისმგებლობა ინვესტორ სუბიექტთა მხრიდან დამატებითი ინვესტიციების განხორციელების საქმეში. განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების საწყის ეტაპზე კერძო აქტიურობისთვის მაქსიმალური ხელშეწყობა და სახელმწიფოს მიერ მისი მართვა საჭიროდ გვეჩვენება.

პრობლემები შესაძლებელია განვითარების პროცესის დაგეგმვაშიც არსებობდეს. ამის მიზეზი არის, ერთი მხრივ, მონაცემთა ბაზისა და დაგეგმვის მეთოდების არასრულყოფილება და, მეორე მხრივ, მგეგმავთა და შემსრულებელთა შორის შეთანხმებათა ნაკლებობა. განვითარების პროცესის დაგეგმვა წინათ სახელმწიფოს მბრძანებლური მეთოდებით მართვის აუცილებლობას განაპირობებდა, ბევრი ქვეყნისათვის ეს დამღუპველი შეცდომა იყო, რომლის გამოსწორებასაც მნიშვნელოვანი დრო დასჭირდა. საგეგმო დოკუმენტებით იქმნებოდა ილუზიები, მიუღწე-

ველი ძალზე მაღალი განვითარების მიზნებთან დაკავშირებით. განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობა მცირე რესურსებისა და არაეფექტიანი სახელმწიფო ადმინისტრირების გამო ხშირად ძალზე დაბალია. განვითარებისათვის თანამშრომლობაში ხშირად შეიმჩნევა კრედიტორთა შორის ნაკლები კოორდინაცია, რომლის მიღმაც არცთუ იშვიათად დამფინანსებელთა პირადი ინტერესები დგას.

განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფუნქციონირების შედეგები საქართველოში

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები და სტრატეგიის დოკუმენტები: ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულები და პერსპექტივა; საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესაძლებლობები და არსებული მდგომარეობა; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და საქართველო. აღნიშნული საკითხების შეფასების შედეგად შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის ვექტორების იდენტიფიკაცია და მისი განხორციელებისათვის საჭირო მოქმედებების თანმიმდევრულად შესრულება. გარდა ამისა, ობიექტური სურათისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეფასდეს საქართველოში განხორციელებული როგორც რეფორმები, ასევე სხვა პროგრამული განვითარების დოკუმენტები, როგორიცაა: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“; საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ, თუ რას მოიცავს ასოცირების შესახებ შეთანხმება და რა სარგებელს მოუტანს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. 2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ასოცირების შესახებ (AA), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან. ხელშეკრულებამ მხარეებს შორის თანამშრომლობის ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც 1992 წელს ევროპის კავშირის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით დაიწყო. პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელმაც საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთობას სისტემატური ხასიათი მისცა, იყო პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (PCA), რომელიც 1996 წელს ლუქსემბურგში გაფორმდა, ხოლო ძალაში 1999 წლიდან შევიდა.[1] „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გაფორმება ხდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მისი მიზანია მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს ჩამოყალიბება. „საქართველო ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებამ“ ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ

[1] ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, 2017 წელი, გვ. 3.

შეთანხმება“ (Partnership and Cooperation Agreement – PCA) და შექმნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალი სამართლებრივი ჩარჩო. PCA-სგან განსხვავებით, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით. ასოცირების ხელშეკრულება პარტნიორი ქვეყნების ევროპის კავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან ჰარმონიზაციის მთავარი ინსტრუმენტია. საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს ქმნის შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა**. დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
- **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა**. პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.
- **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება,** მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.
- **დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა,** მაგ., ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.
- **ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.[1]

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა

[1] http://aa.ge/faq/

და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის"[1] ფარგლებში. [2]

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბებას, რომელიც უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი აქსელერატორი. (DCFTA) თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებით, DCFTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან.[3]

DCFTA დაფუძნებულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებზე და გულისხმობს საქონელზე იმპორტის გადასახადის გაუქმებას და მეწარმეების სავაჭრო სერვისებზე შეუზღუდავ დაშვებას. აღნიშნული საქართველოში მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტებს საშუალებას აძლევს, დააფუძნონ ფილიალები და წარმომადგენლობები ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში და მიიღონ ისეთივე სერვისები, როგორსაც ადგილობრივი კომპანიები იღებენ. ევროპული ბაზრის მასშტაბი, რომლის რაოდენობა მთლიანობაში 500 მილიონია და ერთიანი ეკონომიკა 12.9 ტრილიონ ევროს აღემატება,[4] მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ქართული პროდუქციის და სერვისების ექსპორტის თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, რომ დიდია DCFTA-ს მოსალოდნელი ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე. 2012 წელს ევროპის კავშირის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის[5] მიხედ-

---

1 „აღმოსავლეთ პარტნიორობა", როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპულ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ფორმატი, წარმოადგენს შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას. მისი მთავარი მიზანია, ევროპელ პარტნიორებთან მიმართებით, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა და მისი აღმოსავლეთ განზომილების გაძლიერება. პარტნიორობა 2009 წლიდან ამოქმედდა. ეს ინიციატივა პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან მნიშვნელოვნად დაახლოვების მიზნით, კონკრეტულ მექანიზმებს სთავაზობს და ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

2 „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების" გზამკვლევი, 2014 წ., გვ. 4.

3 http://aa.ge/faq/

4 https://ec.europa.eu/trade/policy/eu-position-in-world-trade/

5 Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova, 2012.

ვით, სავაჭრო შეთანხმება მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მსპ) 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – 4,3 %-ით ზრდის პროგნოზს იძლევა. ამასთან, მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტი 9%-ით, იმპორტი 4,4 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტი 12%-ით, იმპორტი კი 7,5%-ით გაიზრდება. კვლევის მიხედვით, DCFTA-ს ყველაზე დიდი ეფექტი ექნება საქართველოში ქიმიური პროდუქციის, რეზინისა და პლასტმასის წარმოების სექტორებზე, რომელთა ექსპორტის მოცულობა 62%-ითაც კი შეიძლება გაიზარდოს.[1] ჰარმონიზაციის პროცესს აუცილებლად მოჰყვება კაპიტალისა და შრომის ძალის გადანაწილება ქვეყანაში დაბალპროდუქტიულიდან უფრო მაღალპროდუქტიულ სექტორებში. მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სოციალური ეფექტიც, რადგან გაიზრდება შემოსავლები და უკეთ იქნება დაცული დასაქმებულთა უფლებები.[2]

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ისეთი საკითხების განვითარებაზე, როგორიცაა:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირება;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება;
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდა;
- ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნა;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება და გაფართოება;
- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდება;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა;
- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარება საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად.[3]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო) 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო რეზოლუცია „ჩვენი მსოფლიოს ცვლილება: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ და დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), რომლის შემუშავება განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებული ავტორიტეტული ჯგუფების აქტიური მონაწილეობით, რომელიც მოიცავდა

---

1 ასოცირების ხელშეკრულება და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, 2017 წელი, გვ. 5.

2 „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ გზამკვლევი, 2014 წ., გვ. 5.

3 http://aa.ge/faq/

გაეროს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, საკანონმდებლო ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მდგრადი განვითარების დღის წესრიგი მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ და გადაჯაჭვულ 17 ამოცანასა[1] და 169 მიზანს, რომლებიც ხუთ ძირითად მიმართულებად („5P") ჯგუფდება:

- ადამიანები (People) – სიღარიბისა და შიმშილის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ადამიანებისათვის ღირსებისა და თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანსაღ გარემოში;
- დედამიწა (Planet) – დედამიწის განადგურების თავიდან აცილება, მათ შორის ისეთი საშუალებებით, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, კლიმატის ცვლილების პრევენცია და სხვა;
- კეთილდღეობა (Prosperity) – თითოეული ადამიანისათვის წარმატებული ცხოვრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- მშვიდობა (Peace) – მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება შიშისა და ძალადობისგან;
- პარტნიორობა (Partnership) – გლობალური პარტნიორობა მიზნების (SDGs) მისაღწევად.[2]

მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულებები, მოეხდინათ მიზნების ნაციონალიზაცია და შესაბამისი პრიორიტეტების იდენტიფიკაცია. აღნიშნული პროცესი საქართველოში 2015 წლიდან დაიწყო. ქვეყანაში არსებული სიტუაციის და ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული პრიორიტეტები. თითოეული სექტორული ამოცანის შესრულება გაიწერა დროში,

---

[1] 1. სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა. 2. შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. 3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველეყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის. 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება. 6. წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. 7. ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა. 8. სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის. 9. მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა. 10. უთანასწორობის შემცირება ქვეყნებში და ქვეყნებს შორის. 11. ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება. 12. მდგრადი მოხმარება და წარმოება. 13. კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება. 14. ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის. 15. ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და ხელშეწყობა, ტყის მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების დანაკარგების შეჩერება. 16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე. 17. პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

[2] საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის, 2019 წ., გვ. 3-4.

ასევე, განისაზღვრა საქართველოზე მორგებული საბაზისო (2015 წლის მონაცემები) და სამიზნე ინდიკატორები (2030 წლისათვის). 2016 წელს საქართველომ ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში გაეროს მაღალი დონის ყოველწლიურ პოლიტიკურ ფორუმზე წარადგინა, რითიც გაამყარა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის ვალდებულება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტური ტენდენციებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა, განხორციელებულიყო გარკვეული ცვლილებები. 2018 წელს გადაიხედა სამიზნე ინდიკატორები, რომლის ფარგლებში დაკონკრეტდა მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევის გზები. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, მდგრადი განვითარების მიზნების განახლებული ეროვნული დოკუმენტი მოიცავს 17 მიზანს, 95 ამოცანასა და 215 ინდიკატორს.[1]

2017 წელს შეიქმნა საჯარო მმართველობის რეფორმისა და მდგრადი განვითარების მიზნების საბჭო, რომლის ფუნქციას წარმოადგენს მიზნების ნაციონალიზაციის კოორდინირება და შესრულებაზე მონიტორინგი. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცენტრალური საჯარო დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამსახურის ბიურო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური) წარმომადგენლები. საბჭოს ეგიდით ასევე შექმნილია 4 თემატური სამუშაო ჯგუფი: (1) სოციალური ჩართულობა; (2) ეკონომიკური ზრდა; (3) დემოკრატიული მმართველობა; (4) მდგრადი ენერგეტიკა და გარემოს დაცვა. თემატურ სამუშაო ჯგუფებში ერთიანდებიან სამთავრობო დაწესებულებების, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიზნების შესრულების კოორდინირებისა და მონიტორინგის მიზნით, დაინერგა მართვის ელექტრონული სისტემაც[2], რომელიც მოიცავს საქართველოზე მორგებულ ყველა მიზანს, ამოცანასა და ინდიკატორს. მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში გათვალისწინებულია ქვეყნის პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი.[3]

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლისას მნიშვნელოვანია, განვიხილოთ სტრატეგიული, პოლიტიკის დოკუმენტები და სამთავრობო გეგმები, როგორიცაა, მაგალითად, „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის საქართველო 2020“[4]; „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის“[5].

2014 წლის 17 ივნისის საქართველოს მთავრობის N400 დადგენილებით დამტკიცდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. აღნიშნული სტრატეგიის მიზანი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და მისი შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაციაა, რომლის

---

1 იქვე,

2 https://sdg.gov.ge/

3 საქართველოს პარლამენტის სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის, 2019 წ., გვ.3-4.

4 http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

5 http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf

ფარგლებში უნდა განისაზღვროს ამ მიმართულებით რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულებები და ამოცანები. უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიის მიზანს არ წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ცალკეული სექტორების დეტალური შეფასება, რომელიც მოიცავს კონკურენტუნარიანობის და უპირატესობების გამოვლენის ასპექტებს, არამედ იგი ორიენტირებულია ეკონომიკური პოლიტიკის ე.წ. ჰორიზონტალური ხასიათის ღონისძიებების განხორციელებაზე. სტრატეგია განსაზღვრავს შესაბამისი სამინისტროებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც შესაბამისი ხარჯების, პასუხისმგებელი ორგანოსა და მონიტორინგის მექანიზმის მითითებით, დეტალურად გაიწერა სამოქმედო გეგმებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებში.[1]

სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის თვალსაზრისით განსაზღვრულია ფუნდამენტური პრინციპები, რომელიც ეფუძნება კერძო სექტორის მაქსიმალურ თავისუფლებას, გამჭვირვალე და ოპტიმალური მთავრობის პირობებში. როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგიაში არის იდენტიფიცირებული ქვეყნის ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია, ვინაიდან იგი წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარებას.[2]

სტრატეგია „საქართველო „2020“-ის ფარგლებში სამ ძირითად პრიორიტეტული მიმართულებაზეა ყურადღება გამახვილებული:

1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა პოლიტიკის მიმართულებები: საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.
2. ადამიანური კაპიტალის განვითარება პოლიტიკის მიმართულებები: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.
3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: საინვესტიციო რესურსების მობილიზება; ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა.[3]

2016 წლის 26 თებერვალი საქართველოს მთავრობის №100 დადგენილებით დამტკიცდა, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2020 წლებისთვის სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანი

---

1 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2373855?publication=0

2 იქვე.

3 საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ინოვაციების განვითარებას და ამ მიმართულებით ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნულმა ფაქტორებმა ხელი უნდა შეუწყოს როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ინტენსიფიკაციას, ასევე შემოსავლების ზრდას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესს წინ უძღვოდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც მოიცავდა პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრას, ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიკაციას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნები (საბაზისო – 2013 წელი):

- 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
- 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
- 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი ამოცანები:

- ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
- მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის პრიორიტეტული ღონისძიებების შესაბამისი ქმედებები ასახულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში 2016-2017 წლებისთვის. სამოქმედო გეგმაში ასევე განსაზღვრულია პასუხისმგებელი უწყებები, ღონისძიებების განხორციელების ვადები და დაფინანსების წყაროები. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია ეფუძნება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ პრინციპს.[1]

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

[1] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, გვ. 23-24.

- საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
- ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
- ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;
- ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.[1]

პრობლემური საკითხები

1. რატომ არის გარკვეული ქვეყნის განვითარებადი ქვეყნების რანგში ჩართვა დაკავშირებული ღირებულებების გადაფასებასთან?
2. რა ფაქტორები შეიძლება გამოვიყენოთ დაბალი განვითარების ფენომენის ასახსნელად?
3. დაახასიათეთ განვითარების შესაძლო ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტები.
4. ახსენით პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია სარგებელი-ხარჯების ანალიზის ჩატარებასთან.
5. რომელი ინსტიტუტები და ორგანიზაციებია ჩართული „განვითარებისათვის თანამშრომლობაში“?
6. თქვენი აზრით, რა ამოცანები უნდა აიღოს სახელმწიფომ თავის თავზე განვითარების პროცესში?
7. გააანალიზეთ განვითარებადი ქვეყნების ვალების პრობლემა და განმარტეთ ვალებთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაჭრის პოლიტიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები.
8. რა მიზანი აქვს გერმანულ თანამშრომლობას განვითარებისათვის და ამასთან, რა პრინციპებს უნდა მიექცეს ყურადღება?
9. რა შინაარსს ავლენენ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩატარებული სტრუქტურული შესაბამისობის პროგრამები?
10. როგორ დაახასიათებთ განვითარებადი ქვეყნების გლობალიზაციის პროცესში წარმატებით ჩართვის შესაძლებლობებს?

[1] იქვე.

თავი 12
ციფრიზაციის ეკონომიკური პოლიტიკა

შესავალი

ციფრიზაცია დღეს წარმოადგენს ძირითად მეგატრენდს, რომელიც საზოგადოების განვითარების ყველა სფეროს შეეხება. ციფრული ტექნოლოგიები თანამედროვე ადამიანის ყოფაში მკვიდრდება და მის ყოფიერებას განსაზღვრავს როგორც ურთიერთობის შემეცნებისა და სოციალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ძნელია იმის განსჯა, თუ რამდენ ხანს იქნება იგი მეგატრენდი, ან რამდენად ინტენსიური იქნება მისი შემდგომი განვითარება. ამავდროულად, გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი XXI საუკუნის უმნიშვნელოვანესი ფენომენი გახდა. ციფრიზაცია და ტექნოლოგიზაცია დღეს არის და ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნება პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი, რაც ხელს უწყობს ცვლილებების რაოდენობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები მიმდინარეობს არა მხოლოდ ტექნოლოგიების სტრუქტურაში და მათ თანმხლებ პროცესებში, არამედ არამატერიალურ სფეროშიც ანუ ჩვენს ცნობიერებაში. ამ თვალსაზრისით ცვლილებები უკვე შეიმჩნევა საზოგადოების არსებობისა და განვითარების მექანიზმებში.

ჯერჯერობით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ცენტრალურ და ყველაზე განხილვად (სოციალური განვითარების პროცესებთან დაკავშირებით) სფეროს წარმოადგენს ეკონომიკა.

ციფრული ეკონომიკა არის ადამიანთა ეკონომიკური, ტექნიკური, საზოგადოებრივი და კულტურული აქტივობის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციფრულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას.

არსებული მდგომარეობის ანალიზი

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნების ტექნოლოგიური განვითარების დონეებს შორის განსხვავება ყოველდღიურად ღრმავდება. ციფრულ ტექნოლოგიათა გავრცელების სიჩქარე იზრდება, ხოლო ციფრული ეკონომიკის სუბიექტთა შორის ურთიერთობები რთულდება. მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკებისთვის მონაწილეობა დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის ინოვაციურ რგოლებში ბოლო ოცი წლის მანძილზე არ შეცვლილა. ეს ქვეყნები კვლავ წამყვან პოზიციაზე არიან. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, განვითარების დონის მიხედვით მათი ჩამორჩენა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით უფრო გაღრმავდა. ამ ქვეყნების უმრავლესობა ციფრიზაციის პროცესებში ნაკლებად მონაწილეობს და კვლავ ნედლეულის ექსპორტზე არიან დამოკიდებულნი. ციფრიზაციის ეპოქაში განვითარებული ქვეყნების-

თვის ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში კვლავ პრიორიტეტულია. ამავდროულად, იზრდება დანახარჯები ციფრული პროდუქტების წარმოებასა და დანერგვაზე ეკოლოგიის, ჯანმრთელობის დაცვის, ენერგოეფექტიანობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაზე. განვითარებად ქვეყნებში (ჩინეთის გამოკლებით) კვლავაც არ არსებობს კონკურენტუნარიანი საინოვაციო სისტემები.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელი ეტაპის გასაანალიზებლად უკვე გამოიყენება კონცეფცია „ახალი ციფრული ეკონომიკა". გაეროს ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ახალი ციფრული ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ხარჯების ეფექტიანობის ექსპონენციალური ზრდა, მაგრამ ეს მისი განვითარების ახალი ასპექტი არ არის. მასში არსებითად სიახლეს წარმოადგენს:

- პირველი – ინფორმაციის რეალური წყაროები („ღრუბლის" ტექნოლოგიების განვითარების გამო);
- მეორე – ბიზნესმოდელები, რომლებიც დაფუძნებულია ტექნოლოგიების ან პროდუქტების პლატფორმებზე და რადიკალურად ცვლის კონკურენციის პირობებს მრეწველობის ბევრ დარგში;
- მესამე – რევოლუცია ნახევარგამტარების ტექნოლოგიებში.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა უკვე მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფია მსოფლიოში, კორპორაციულ სტრატეგიებზე, საინვესტიციო და სავაჭრო ნაკადებზე ზემოქმედებით.

ციფრული ეკონომიკის განვითარებას განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად ამბიციური პროგრამები სჭირდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ციფრული ინფრასტრუქტურისა და პროფესიული სწავლების ხელშეწყობას. როგორც გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციაზე (UNCTAD) აღნიშნეს, „...თანამედროვე ჰიპერგლობალიზებული სამყარო უფრო არათანაბარი, არასტაბილური და გაურკვეველი გახდა". შედეგად, ღია ეკონომიკაში ტექნოლოგიური პროგრესიდან მიღებული მოგება კონცენტრირებულია მხოლოდ მსოფლიო საზოგადოების მცირე ნაწილში, ხოლო ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას ძირითადად ხარჯები ეკისრება.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება შექმნის წამყვან ქვეყნებში უპირატესობების შემდგომ კონცენტრაციას. ამ მხრივ, მთავარი კითხვა, რომელიც ასე აღელვებთ განვითარებად ქვეყნებში, არის: რა ზომები უნდა იქნას მიღებული განვითარებადი ქვეყნების მიერ თანამედროვე გლობალურ ეკონომიკასთან ადაპტირებისა და მასში ინტეგრირებისათვის? ამ კითხვაზე პასუხის შინაარსია – უნდა განხორციელდეს:

- მნიშვნელოვანი ციფრული ტექნოლოგიების პერმანენტული დანერგვა, გამოყენება და განვითარება საქონლისა და მომსახურების წარმოებაში;
- მსოფლიო წარმოებასა და მომსახურების სფეროში შექმნილ დამატებულ ღირებულებაში განვითარებადი ქვეყნების წილის გაზრდა.

ციფრიზაცია ნაწილობრივ შლის საზღვრებს მრეწველობასა და მომსახურების სფეროებს შორის, რაც ქმნის ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისთვის

ახალ შესაძლებლობებს, ხოლო სხვა ქვეყნებს კი, პირიქით, აშორებს ადრე არსებულ შესაძლებლობებს.

ძალიან მალე, მიმდინარე ათწლეულის განმავლობაში, როგორც ტექნოლოგიები, ასევე ღრუბლოვანი გამოთვლები და მანქანური (ხელოვნური) ინტელექტი ფართოდ ხელმისაწვდომი გახდება. შრომის საერთაშორისო დანაწილება უპირატესად დამატებული ღირებულების გლობალური ჯაჭვის (Global Value Chains) მიხედვით არის სტრუქტურირებული. განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობა დამატებული ღირებულების გლობალურ ჯაჭვში გაზრდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ხელს შეუწყობს გარე ბაზრებსა და ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომას და სპეციალიზაციიდან მომგებიანობას (იმ ამოცანების შესრულებაში, რომელსაც გლობალურ ჯაჭვში „წამყვანი ფირმა“ მართავს). დამატებული ღირებულების შექმნის გლობალურ ჯაჭვში მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე საშინაო ბაზრის მქონე განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა კომპანიები დგას მრავალი ტექნოლოგიური და ორგანიზაციული შეზღუდვის წინაშე. ციფრიზაცია გულისხმობს საწარმოო პროცესების ცვლილებას GVC-ის საზღვრებში, რის შედეგადაც GVC-ის არამატერიალური აქტივების მნიშვნელობა იზრდება. აქ იგულისხმება აქტივები, რომლებიც განეკუთვნება კვლევებს, ბრენდინგს, მონაცემთა ბაზას, ისინი მომსახურების სფეროს არამატერიალურ აქტივებს განეკუთვნება.

ციფრულ ტექნოლოგიებს ძალუძთ გარემოზე დატვირთვის შემცირება და წარმოების პროცესის დეცენტრალიზება და მასშტაბის ეკონომიის როლის შეზღუდვა, რომელიც მასობრივი წარმოების ეპოქაში დომინირებდა.

ძალზე მნიშვნელოვანია ციფრული ეკონომიკის გავლენა განათლების სექტორის განვითარებაზე. განათლების სექტორი, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში სერიოზულ გამოწვევებს განიცდის, რაც დაკავშირებულია ციფრულ განვითარებასთან და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან. აშკარაა, რომ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის მოქმედების შედეგად ნაწილობრივ „ქრება“ არსებული სამუშაო ადგილები და იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. ციფრული ტექნოლოგიების სულ უფრო მზარდი გამოყენება მოითხოვს უფრო და უფრო მაღალპროფესიულ უნარებს, რომელთა ჩამოყალიბება ხშირად შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით, ეროვნულმა მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი მოქალაქეებისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიღება და გადამზადება, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ყველაფერი დამოკიდებულია კონკურენციაზე განათლებასა და ციფრულ ტექნოლოგიებს შორის (ან ვინ იქნება ლიდერი ამ კონკურენციულ რბოლაში). რიგ ქვეყნებში „გამარჯვებულია“ ციფრული ტექნოლოგიები.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა განიცდის შეუსაბამობას განათლება-სამუშაო ადგილების თანაფარდობაში ეს გარკვეულწილად განპირობებულია იმით, რომ განათლების ეროვნული სისტემები არ

ამზადებს ციფრიზაციის პროცესებში აქტუალური კომპეტენციებისა და უნარების მქონე სპეციალისტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შრომის ბაზრების მოთხოვნებს. განათლების სისტემები მთელ მსოფლიოში ტრანსფორმაციასა და სერიოზულ რეფორმირებას მოითხოვს უახლესი ტექნიკური და ციფრული კომპეტენციების მიღებისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია კომპეტენციების მოპოვება იმ სფეროებში, სადაც ადამიანებს სერიოზული უპირატესობა რჩებათ ICT-ის მიმართ (ე.წ. 4C – კომუნიკაცია, თანამშრომლობა, კრეატიულობა და კრიტიკული აზროვნება). ეს პროცესები უნდა მოიცავდეს განათლების ყველა ეტაპს, დაწყებითი განათლების ჩათვლით. თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლის მაღალი სიჩქარის გათვალისწინებით, საჭიროა, გაფართოვდეს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობები, რათა მოხდეს არსებული უნარების მოდერნიზაცია და ახლის შესწავლა. ამასთან, ასეთი მიდგომის განხორციელების ერთ-ერთი ბარიერი არის მაღალკვალიფიციური პედაგოგიური პერსონალის მწვავე უკმარისობა, რომლის ფორმირება მოითხოვს სერიოზულ წახალისებასა და ინვესტიციებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ განვითარებადი ქვეყნების უპირატესობა, რომელიც წარმოების დაბალ თვითღირებულებას უკავშირდება, თანდათანობით და სწრაფად ქრება.

თეორიული საფუძველი

დღეს კონცეფცია „ციფრული ეკონომიკა“ აღარ არის მეტაფორა (ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ამბობდა: „თუ სათქმელი შედგება მეტაფორისგან, იგი გამოცანაა“[1]) და უფრო მეტად მკაფიო გამოხატულებას იძენს ელექტრონული საგადასახდელო სისტემების, ინტერნეტკომერციის, ონლაინ ბანკინგის განვითარებასთან და ა.შ. დაკავშირებით. ეკონომიკური პოლიტიკა, ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა საზოგადოებრივი სფეროები, აქტიურად განიხილება ციფრიზაციის კუთხით. ახალი ტექნოლოგიების მატარებლების მიერ მოწოდებულ შესაძლებლობებს ეკონომიკური აქტორები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე იყენებენ. პოლიტიკურ პროცესებში, პოლიტიკურ ურთიერთობებსა და სახელმწიფო ადმინისტრირებაში მიმდინარე კვლევების მზარდი რაოდენობა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების წესებზე თავისთავად მიგვითითებს ციფრიზაციის პოლიტიკაზე. ამავდროულად, თუ გავითვალისწინებთ პოლიტიკის ობიექტთან დაკავშირებით ციფრიზაციის პროცესების ძირითად განმარტებას, მაშინ აზრი აქვს კვლევის სტრუქტურაში ორი მიმართულების გამოკვეთას.

ციფრიზაციის პოლიტიკა უფრო მეტად ეხება ტექნიკურ-პოლიტიკურ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, რომლებსაც იყენებენ ეკონომიკური აქტორები

[1] მეტაფორა. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90

შესაბამისი პროცესების სამართავად (1), ხოლო პოლიტიკის ციფრიზაცია უკავშირდება ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებას პოლიტიკურ ურთიერთობებში (2)[1]. თუ პირველი არის სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების ჩართვა, ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობის განსაზღვრისათვის, მეორე – უნივერსალური ტრანსსასაზღვრო ხასიათისაა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ციფრული შესაძლებლობების ბუნებრივ გაფართოებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეროვნული სპეციფიკის მიხედვით და შესაბამისად განსხვავდება დამოკიდებულება ისეთი ციფრული პროდუქტებისადმი, როგორიცაა: კრიპტოვალუტის მეინინგი, კიბერუსაფრთხოება, ელექტრონული ციფრული ხელმოწერა და ა.შ.

პოლიტიკის ციფრიზაცია (ისევე, როგორც ეკონომიკის) არ შეიძლება ჩაითვალოს მოულოდნელ მოვლენად. ციფრული ტექნოლოგიების იმპლიციტურად (მენტალურად ფარული გონებრივი გზით) გადაცემა ხელისუფლებას, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის პრაქტიკაში ხორციელდება კომპიუტერიზაციისა და ონლაინქსელების განვითარების დასაწყისიდან. ელექტრონულ და ქსელურ დემოკრატიაზე საუბარი დაიწყო გაჯეტებისა და მობილური აპლიკაციების აქტიურ გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე.

ითვლება, რომ პირველად ტერმინი „დიჯიტალიზაცია“ (ანუ ციფრიზაცია) 1995 წელს გამოიყენა აშშ-ს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მკვლევარმა ნიკოლას ნეგროპონტემ (იგი არის აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილისა და ნაციონალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის ჯონ ნეგროპონტეს ძმა). თავის წიგნში „Being Digital“ ნ. ნეგროპონტე ადარებს ატომებსა და ბიტებს[2], როგორც მატერიალური და ციფრული სამყაროს ყველაზე პატარა ნაწილაკებს. მისი აზრით, ის, რაც ატომებისგან შედგება, ადრე თუ გვიან შეიძლება ჩამოყალიბდეს ბაიტებიდანაც[3]. ციფრიზაციის კონცეფციის გაფართოება (ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებსა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, აგრეთვე გლობალური მართვის პრიორიტეტების ფორმირება) დაიწყო ე.წ. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პარადიგმის (ანუ მრეწველობა 4.0-ის) საფუძველზე. დღეს იგი განიხილება, როგორც ახალი ტექნოლოგიური წყობა. ამასთან, სოციალურ-ინდუსტრიული ურთიერთობების შინაარსის ნოვატორული ხასიათის მიუხედავად, გარკვეული მოსაზრებებით, ციფრიზაციის წარმოშობის დასაბამი შეიძლება ვიხილოთ

---

1 Hanschitz G. Digitalization of Politics and Elections // Handbook of Cyber-Development, Cyber-Democracy, and Cyber-Defense / Carayannis E., Campbell D., Efthymiopoulos M. (eds). Springer, Cham, 2017. P. 1–15; Kaufmann M., Jeandesboz J. Politics and ‚the digital’: From singularity to specificity // European Journal of Social Theory. 2017. Vol. 20, no. 3. P. 309–328.

2 ბაიტი (bit) – რიცხვთა ორობით სისტემაში გამოყენებული ციფრი, რომლის შესაძლო მნიშვნელობებია 0 ან 1. ორობით სისტემაში რიცხვის ჩაწერა ხდება ნულისა და ერთიანებისაგან შემდგარი მწკრივის საშუალებით. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98

3 Hacker K., van Dijk J., eds. Digital Democracy: Issues of Theory and Practice. London: SAGE Publications Ltd, 2000. 240 p.; Negroponte N. Being Digital. New York: Knopf, 1995. 256 p.

წარსულში მომხდარი იდეალური საზოგადოების შექმნის ყველა მცდელობებში. უტოპიზმის ადრეული იდეები ითვალისწინებდა საზოგადოების წევრების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ სრული ინფორმაციის ამა თუ იმ გზით დაუფლებასა და შემდგომ განაწილებას. ინფორმაციის ორგანიზების ეს მექანიზმი წარმოადგენს განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის გამარტივებულ საფუძველს, რომლის ერთ-ერთი მაგალითია დღეს საყოველთაოდ ცნობილი ტექნოლოგია ბლოკჩეინი: ბლოკების თანმიმდევრობა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა მონაცემებს (მაგალითად, ინდივიდებისა და მათი პრეფერენციების შესახებ). ეს კი იწვევს „მოქმედების გარე ცენტრებზე“ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობათა ჩამოყალიბებას (საზოგადოების თვითორგანიზებას). საერთო ინტერესებში სოციალური ინფორმაციის დამუშავების ოპტიმალური მექანიზმის ძიების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება მოწმობს დამოკიდებულებას ადამიანის ფაქტორზე, როგორც გადაწყვეტილების მიღების სუბიექტზე. ნებისმიერი სხვადასხვა ინტერესთა მქონე სუბიექტების აქტივობის პირობებში, სოციალური ორგანიზაციის ვერც ერთი ფორმა (რომლითაც სარგებლის მაქსიმიზაციას მოელიან) ვერ უზრუნველყოფს ადამიანური, სუბიექტური ფაქტორის გავლენისგან დამოუკიდებლობას. განაწილებული რეესტრის ციფრულ ტექნოლოგიას შეუძლია უზრუნველყოს გარიგება (გადაწყვეტილების მიღება) სპეციალური სანქცირებული აქტორის მონაწილეობის გარეშე – მხოლოდ მოვლენათა მოცემული თანმიმდევრობის საფუძველზე. საზოგადოების მზადყოფნა, მიანდოს „უპიროვნო“ (ადამიანის, სპეციალისტის მონაწილეობის გარეშე) ტექნოლოგიას გადაწყვეტილების ტექნიკური სანქციონირება და მისი ავტომატური გენერირება ყველა აუცილებელი ფაქტორის განხილვის საფუძველზე., არის დროის საკითხი. როგორც ადამიანთა არსებობის ხანგრძლივი გამოცდილება გვიჩვენებს, შეიძლება შევეცადოთ, შევაკავოთ და გადავდოთ ტექნოლოგიური პროგრესი, მაგრამ მისი შეჩერება შეუძლებელია.

პოლიტიკასთან დაკავშირებით, ციფრიზაციის პროცესი შეიძლება გულისხმობდეს ტრადიციული პრაქტიკის ცვლილებების საკმაოდ ფართო ნაკრებს (სახელმწიფო სერვისების შემდგომი გადაყვანა ელექტრონულ ფორმაში, სახელმწიფო კომუნიკაციის ახალი ინსტრუმენტები და ა.შ.). ამ შემთხვევაში მთავარია (რაც, ამავდროულად, გამოწვევაცაა) იმ **იერარქიული ურთიერთქმედების საბოლოო უარყოფა, რომელშიც ბალანსი საერთოსა და კერძოს შორის მყარდება საბაზრო ეკონომიკის ანალოგიურად, რაღაც „უხილავი ხელით“**. ამიტომ ციფრულ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო (ისევე, როგორც თანაბარი უფლებების არმქონე ინსტიტუტები) იმ ფორმითა და შინაარსით, როგორიც მას ჰქონდა დღემდე, არ იარსებებს. მიმდინარეობს ქსელური კავშირების აბსოლუტიზაცია, როდესაც ადამიანები კი აღარ აკონტროლებენ და მართავენ თავიანთ ქსელებს, არამედ „ჭკვიანი“ ქსელები აკონტროლებენ და მართავენ მათ. „ჭკვიანი“ (smart) ქსელები უზრუნველყოფენ ყველა ტრანსაქციის განხორციელებას, რომელთა საჭიროება ვლინდება არაპიროვნული

(impersonal, self-control) უზარმაზარი ქსელის ალგორითმებით, რომლებიც ეფუძნება დიდ მონაცემებს (Big Data). ერთი მხრივ, ყალიბდება მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სუბიექტის ინტერესებს – ერთგვარ „პროცედურულ სამართლიანობას". მეორე მხრივ, ჩამოყალიბებული პირობები სულაც არ წარმოადგენს საყოველთაო კეთილდღეობის გარანტიას. ახალ შესაძლებლობებთან ერთად ჩნდება ახალი რისკები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დამოკიდებულების ფუნდამენტურად ახალი ფორმები – დიდ მონაცემებზე და მათ **ოპერატორებზე**, უფრო სწორად, მათ ინტერესებზე დამოკიდებულება.

ციფრიზაციის პოლიტიკის მიზნები და სტრატეგიები

ამრიგად, ციფრიზაციის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ციფრული ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების კონცეფციის შემუშავება და მისი პერსპექტიული გამოყენება ტექნოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების სფეროებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ ურთიერთობათა რიგი ასპექტებიც (მაგალითად, ხმის მიცემის ონლაინ შესაძლებლობათა დამუშავება და სხვა) განიცდის ციფრიზაციას, რაც გამოიხატება პოლიტიკურ ცხოვრებაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარებულ ტემპებში. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თანამედროვე განვითარებული და განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნებში შემუშავებული პოლიტიკის მიზნებსა და ქვემიზნებს შორის ციფრიზაციის პროცესების განვითარების სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება.

ციფრიზაციის პოლიტიკის დასახულ მიზანთა იერარქია მოცემულია G20 ქვეყნების შეხვედრებსა და მათ მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სააგენტოს (ITU)[1] მიერ მიღებულ გეგმებსა და გადაწყვეტილებებში.

ეკონომიკის ციფრიზაციის გლობალური პოლიტიკის დეკლარაცია და საგზაო რუკა

ციფრული ეკონომიკისთვის პასუხისმგებელი G20 ქვეყნების მინისტრების შეხვედრა გაიმართა დიუსელდორფში, 2017 წლის 7 და 8 აპრილს, რომელ-

[1] ITU არის გაეროს სპეციალიზებული სააგენტო ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში (ICT). დაარსდა 1865 წელს საკომუნიკაციო ქსელებში საერთაშორისო კავშირების დამყარების გასაადვილებლად. ITU-ს წევრია 193 წევრი ქვეყანა, ასევე 900-მდე კომპანია, უნივერსიტეტი და საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები.

ITU ანაწილებს გლობალურ რადიოსპექტრს და სატელიტურ ორბიტებს, შეიმუშავებს ტექნიკურ სტანდარტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქსელებისა და ტექნოლოგიების ერთობლივ ურთიერთთანამშრომლობას და მიმართავს ძალისხმევას დაბალგანვითარებულ თემებში ICT-ზე წვდომის გასაფართოებლად. მსოფლიოში ყოველ ჯერზე, როდესაც დაურეკავთ ვინმეს მობილური მოწყობილობით, ან ინტერნეტის წვდომით ელექტრონული ფოსტით გაგზავნით ინფორმაციას, ისარგებლებთ ITU-ს მუშაობით.

საც ხელმძღვანელობდა გერმანია. კონფერენციას დაესწრო ITU-ს გენერალური მდივანი ჰულინ ჟოო.

დიუსელდორფში გამართულ შეხვედრაზე, G20-ის ქვეყნების ციფრიზაციის საკითხზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა მიიღეს დეკლარაცია და საგზაო რუკა (იხ. ციფრული საგზაო რუკა: ციფრული მომავლის პოლიტიკა).

საგზაო რუკა შეიცავს G20-ის ქვეყნებში ციფრული განვითარების თერთმეტ მნიშვნელოვან სფეროს.

მთავარი საკვანძო გამოწვევებია:

1. **ინტერნეტით წვდომა;**
2. **ინკლუზიური ზრდა და ციფრული კომერციის საშუალებით დასაქმების გაზრდა;**
3. **ღიაობის, გამჭვირვალობისა და კონსენსუსის პრინციპებზე დაფუძნებული სტანდარტების შემუშავების შეთანხმება;**
4. **უწყვეტი ციფრული განათლების ვალდებულება;**
5. **გენდერული ციფრული გარღვევის შემცირება.**

მინისტრები შეთანხმდნენ (უფრო დეტალური დონეზე), რომ სხდომაზე მიღებული სამუშაო პროგრამის რეალიზაციისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი მიზნები:

1. **ინტერნეტი ყველასათვის:** G20 ქვეყნები შეთანხმდნენ, ხელი შეუწყონ, რომ: 2025 წლისთვის ინტერნეტში ჩართვისა და სარგებლობის მომსახურება განხორციელდეს მოსახლეობისთვის ეროვნულ დონეზე, რითიც მიღწეული იქნება მოწოდება „ინტერნეტი ყველასათვის“;
2. **კონკურენციის სტიმულირება და ხელშეწყობა:** G20-ის ქვეყნები აღიარებენ, რომ ციფრიზაცია ახალ კითხვებს აყენებს კონკურენციის პოლიტიკაში და მათ გადასაჭრელად საჭიროა საერთაშორისო დიალოგი;
3. **საერთაშორისო სტანდარტები:** G20 ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მოხდეს წარმოების სტანდარტებთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობა. ეს უნდა განხორციელდეს: ციფრული ტექნოლოგიების, IT უსაფრთხოების, ჭკვიანი ქალაქების, მობილური მოწყობილობებისა და ჭკვიანი სოფლის მეურნეობის გამოყენებით;
4. **მომხმარებელთა დაცვა ონლაინგარემოში:** G20 ქვეყნებმა ხაზი გაუსვეს მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელობას ციფრულ სივრცეში. მათ გამოხატეს სურვილი, რომ მომხმარებლებმა მიიღონ საკმარისი ინფორმაცია ხელმისაწვდომი ფორმით, რომ იყვნენ ინფორმირებულნი გააზრებული არჩევანის გასაკეთებლად;
5. **გენდერული პარიტეტის მიღწევა ინტერნეტის მომხმარებელთა შორის** 2020 წლისთვის. ეს უნდა განხორციელდეს G20 ქვეყნებში შეთანხმებული ეროვნული გეგმების შემუშავების საფუძველზე.
6. **მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად: G20-ის ქვეყნები აღიარებენ ციფრიზაციის დიდ პოტენციალს,** რომელიც გაეროს 2030 წლამდე მოქმედ დღის წესრიგშია დაყენებული;

კონფერენციის მსვლელობისას ყურადღება გამახვილდა ციფრული განათლების მიღების საკითხებზე და **G20-ის ქვეყნების მინისტრები შეთანხმდნენ განათლების პოლიტიკის შემდეგ კონკრეტულ სფეროებზე:**

1. **სკოლებში ციფრიზაციისათვის მზადყოფნის პირობების უზრუნველყოფა:** სკოლებში ციფრული ინფრასტრუქტურის შექმნა ციფრული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის. ეს ეხება როგორც რესურსებს, ასევე, კადრებს. გარდა ამისა, უნდა მოხდეს მასწავლებელთა მომზადება ამ ახალი გამოწვევების შესასრულებლად;
2. **უნარების გამოვლენა და გაუმჯობესება:** G20 ქვეყნები ცდილობენ დიალოგის გაღრმავებას არსებულ კომპანიებთან, სტარტაპებთან, პროფესიულ-ტექნიკური მომზადების დაწესებულებებთან, მუნიციპალიტეტებთან, სოციალურ პარტნიორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ციფრულ ეპოქაში ცხოვრებისა და მუშაობისთვის საჭირო უნარების გაუმჯობესებაში. ამ ტიპის ქსელური კავშირი ხელს შეუწყობს, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო საწარმოებს, იდეალურად მოამზადონ თავიანთი თანამშრომლები, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს, წარმატებულად გაუძღვნენ ბიზნესს;
3. **სწავლება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით,** ელექტრონული სწავლებისა და ცოდნის გადაცემის სხვა გზების ჩათვლით, მხარდაჭერას საჭიროებს. ამ პროცესმა შეიძლება ხელი შეუწყოს ახალი სამიზნე ჯგუფების შექმნას, მათ შორის, მათთვის, ვინც ცხოვრობს მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე რეგიონებში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რომლებიც შეძლებენ ამ გზით აიმაღლონ კვალიფიკაციის დონე ახალი მოთხოვნების შესაბამისად. G20-ს ქვეყნებს სურთ, გაიზიარონ საუკეთესო პრაქტიკა ამ სფეროში. ქვეყნების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათ უნდა გაიზიარონ მოწინავე გამოცდილება ამ სფეროში;
4. **ქალთა და გოგონების მხარდაჭერა:** განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამებს, რომლებიც გულისხმობს ქალებისა და გოგონებისთვის განსაკუთრებული დახმარების გაწევას. G20-ის ქვეყნების განსაკუთრებულ „#eSkills4Girls“[1] ინიციატივასთან ერთად, პროგრამები დახმარებას გაუწევს განვითარებად ქვეყნებში მცხოვრებ ქალებსაც;
5. ციფრიზაციაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა ასევე ისაუბრეს **ტრანსსასაზღვრო ციფრული ვაჭრობის ხელშეწყობის გზებზე,** რომელსაც განიხილავს **G20-ის ვაჭრობისა და ინვესტიციების სამუშაო ჯგუფი**. მინისტრები შეთანხმდნენ შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებზე:
   1). **G20-ის ქვეყნები გამოთქვამენ სურვილს, შეიმუშაონ „ციფრული ვაჭრობის“ ერთიანი კონცეფცია,** რათა სტატისტიკურ მონაცემებში ეს ტენდენცია უფრო ზუსტად აისახოს, რაც შემდგომში შეიძლება გამ-

[1] Annex to G20 Leaders Declaration G20 Initiative “#eSkills4Girls” Transforming the future of women and girls in the digital economy. https://www.mofa.go.jp/files/000272284.pdf

ოყენებულ იქნას ამ სფეროში რაციონალური პოლიტიკის შემუშავების მიზნით;

2). **G20-ის ქვეყნებს სურთ, აქტიური და კონსტრუქციული როლი შეასრულონ ციფრული ვაჭრობის საერთაშორისო ფორუმებში**. G20-ის ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო WTO-ის დისკუსიებში ელექტრონული და ციფრული ვაჭრობის შესახებ (რომელიც გაიმართა 2017 წლის ბოლოს, WTO–ს მინისტრების კონფერენციის მე-11 სესიის ფარგლებში);

3). G20-ის ჯგუფს სურს ერთიანი ძალისხმევით **განვითარებადი ქვეყნების უკეთესად ინფორმირება ციფრული კომერციის უპირატესობათა შესახებ**.

G20-ის მინისტრებმა თავიანთ დასკვნით განცხადებაში კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავიანთი ვალდებულება ინტერნეტის მართვაში მრავალმხრივი მიდგომებისადმი, რომელიც მოიცავს: მთავრობების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, ტექნიკური საზოგადოებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სრულფასოვან და აქტიურ მონაწილეობას მათი როლებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.

სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას, გერმანიამ შესთავაზა, რომ ITU-მ სათანადო ყურადღება მიაქციოს საგზაო რუკის განხორციელებას იმდენად, რამდენადაც ის მიეკუთვნება კავშირის მანდატის ფარგლებს და შეესაბამება მას.

ციფრიზაციის საგზაო რუკა: პოლიტიკა ციფრული მომავლისათვის

ციფრიზაციის საგზაო რუკა შემუშავდა უკვე შესრულებული უზარმაზარი სამუშაოს ჩატარების შედეგად. მინისტრთა შეხვედრის დროს წარმოდგენილი იყო OECD-ის მიერ ჩატარებული კვლევა G20-ის ქვეყნებში ციფრული ტრანსფორმაციის ძირითადი საკითხების შესახებ.

1. ყველასთვის ქსელის (ინტერნეტის) გლობალური წვდომის, ციფრულ ტექნოლოგიათა დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენების გაძლიერება.

ციფრული ეკონომიკის ზრდამ უზრუნველყო ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება და მათ გამოყენებაზე ოპერატიულად გადასვლა. ამავდროულად, G20 ქვეყნებს შორის არსებობს განსხვავებები ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების საკითხებში, დემოგრაფიული ჯგუფების, ეკონომიკური განვითარების დონის, სამრეწველო სექტორისა და საწარმოთა ზომების მიხედვით. G20 ქვეყნების მინისტრების გადაწყვეტილებით უნდა განხორციელდეს:

- ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, ახალ ტექნოლოგიებზე წვდომის გაფართოების, მათი დანერგვისა და გამოყენების მიზნით. სატელეკომუნიკაციო/ICT-ს ახალ სერვისებთან და პროგრამებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების მხარდაჭერა ციფრიზაციის სტიმულირებისთვის. უნდა განხორციელდეს ციფრულ სივრცეში არასაკმარისად წარმოდგენილი ან არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის ჯგუფების ინტეგრირება;

- ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება ციფრულ სტრატეგიებთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად და მათი დანერგვით მიღებული გამოწვევებისა და შედეგების გათვალისწინება;
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ვარიანტთა განხილვა სიმდიდრისა და შემოსავლის განაწილებაში არსებული უთანასწორობის დაძლევისათვის;
- G20-ის ქვეყნებს მოუწოდეს, შეიმუშაონ ციფრული სტრატეგიები, რომელიც მიმართულია პროექტ Connect 2020-ის მიზნების განხორციელების ხელშესაწყობად და 2025 წლისთვის მთელი მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფას ეროვნულ დონეზე;
- G20-ის ქვეყნებში ხელი შეუწყონ სხვადასხვა ციფრული ბიზნესმოდელის შემუშავებასა და დანერგვას. ეს მოდელები ხელს უწყობენ: ერთობლივი გამოყენების ეკონომიკის განვითარებას, სამუშაო ძალის ციფრიზაციის მოთხოვნებთან ადაპტაციასა და საფინანსო ინკლუზიურობას, სიმდიდრისა და შემოსავლის განაწილებაში უთანასწორობის შემცირების პრობლემათა გადაჭრისათვის.

2. ციფრული ინფრასტრუქტურის გაფართოება

G20-ის ქვეყნებმა მოუწოდეს ყველას, გააგრძელონ ინვესტირება ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მიმდინარე და მომავალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ციფრული განსხვავების (გარღვევის) სხვადასხვა ასპექტის გადალახვაში. მათი შეთანხმებით ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

- კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის ხელშეწყობა და იმ პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდვასა და დაბანდებას ციფრულ ინფრასტრუქტურაში. ინვესტიციების სტიმულირებისთვის, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მხარდაჭერასა და ხელშეწყობას კომერციული, საინვესტიციო და საზოგადოებრივი ფონდების ციფრული ინფრასტრუქტურისა და ICT პროგრამების შემუშავებაში.
- ერთად მუშაობა კონსტრუქციულ რეჟიმში იმისთვის, რომ მოხდეს შემოერთება იმ საზოგადოებებისა და პირების, რომლებიც ვერ სარგებლობენ საკმარისად IT მომსახურებით;
- გლობალური ურთიერთკავშირი ინფრასტრუქტურის შექმნის ალიანსის საზღვრებში.

3. პოლიტიკის ადაპტირება გლობალური ეკონომიკისადმი, რომელიც ციფრული ხდება და ინფორმაციასა და ცოდნას ეფუძნება.

ციფრიზაცია გავლენას ახდენს ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტზე. პოლიტიკის შემუშავება მოითხოვს კოორდინაციას მთავრობებს, სამინისტროებსა და მართვის სხვადასხვა დონეს შორის ყველა დაინტერესებულ მხარეთა და პარტნიორების მონაწილეობით. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

- ციფრიზაციის საუკეთესო პრაქტიკისა და პოლიტიკური მიდგომების გავლენის შესახებ მიღებული გაკვეთილების გაზიარება გლობალურ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკასთან ადაპტაციის მიზნით;
- ციფრულ ეკონომიკაში ინვესტიციების წახალისება, რაც ხელს შეუწყობს ისეთი ახალი ბიზნესმოდელების შემუშავებას, რომლებიც გამოდგება ფართო მასშტაბით რეპროდუქციისთვის;
- ინოვაციური, ციფრული ბიზნესმოდელებისა და ჩარჩო პრინციპების განხილვის გაგრძელება, რაც ხელს უწყობს საერთო სარგებლობის ეკონომიკის განვითარებას, სამუშაო ძალის ციფრულ ადაპტაციასა და საფინანსო ინკლუზიურობას;
- თანამშრომლობა ციფრული ეკონომიკის გლობალური განვითარებისთვის. ეს ხელს შეუწყობს ციფრულ ინფრასტრუქტურაში გარღვევის შეზღუდვას, მონაცემთა უსაფრთხოებას, ციფრული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას;
- G20-ის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების დღის წესრიგში საგადასახადო საკითხებზე მსჯელობის მონიტორინგი.

4. ციფრული ეკონომიკაში კონკურენციის სტიმულირება

ციფრიზაცია ქმნის ახალ შესაძლებლობებს მომხმარებელთა არჩევანის გაფართოებისა და ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდებისთვის. საზღვარი ონლაინ და ოფლაინ ბიზნესმოდელებს შორის ნაკლებად შეიმჩნევა და ჩნდება კონკურენციის ახალი დინამიკა. G20-ის ქვეყნებში ციფრულ ეკონომიკის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირები აპირებენ:

- მოწინავე გამოცდილების გაზიარების ყოველმხრივ ხელშეწყობას კონკურენციის სტიმულირებისთვის, მათ შორის: ინოვაციების გავრცელებისა და კონკურენციის განვითარების შემაფერხებელ შეზღუდვათა მოხსნას;
- OECD[1]-ის მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს კონკურენციის საკითხებთან დაკავშირებით. იგი მიზნად ისახავს OECD-ის ქვეყნებში კონკურენციაზე ზემოქმედების ინსტრუმენტთა გადახედვის შესაძლებლობას ციფრიზაციის გათვალისწინებით;

---

[1] ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო) შეიქმნა 1948 წელს ევროპის რეკონსტრუქციის „მარშალის გეგმის საზღვრებში“ კოორდინაციისავის. შტაბბინა მდებარეობს პარიზში (შატო დე ლა მიუეტში). იგი უნიკალური ფორუმია, სადაც 36 წევრი ქვეყნის მთავრობები (რომელთაც აქვთ საბაზრო ეკონომიკა) მუშაობენ ერთმანეთთან და 70-ზე მეტ არაწევრ ქვეყანასთან ეკონომიკურ ზრდის, კეთილდღეობის, აგრეთვე, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისა და ხელშეწყობის მიზნით. ორგანიზაცია უზრუნველყოფს გარემოს, რომელშიც მთავრობებს შეუძლიათ: პოლიტიკური გამოცდილების შედარება, საერთო პრობლემებზე პასუხების მოძიება, საუკეთესო გამოცდილების დადგენა, გაანალიზება და საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინირება. ორგანიზაციის დევიზი და მიზანია: მუშაობა უკეთესი პოლიტიკისა და ცხოვრების შესაქმნელად.
Going Digital: Shaping Policies, Improving Liveshttps://www.oecd.org/going-digital/going-digital-shaping-policies-improving-lives-9789264312012-en.htm

5. IHR[1]-ისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა ციფრიზაციის პროცესებიდან და პრობლემათა გადაწყვეტის საფუძველზე უპირატესობათა (სარგებლობის) მიღებისათვის.

მნიშვნელოვანია IHR-ის მოწინავე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება. ამასთან, მათი შესაძლებლობები ოპერატიული განხორციელებისთვის – როგორიცაა: ახალი ტექნოლოგიები და სწავლება-ტრენინგი, რომელიც ემყარება პრაქტიკულ გამოცდილებას; ინოვაციების შექმნა და საკუთარი წარმოების ოპტიმიზაცია – შეიძლება შეზღუდული იყოს. ეს გამოწვეულია ამგვარ საწარმოთა მცირე ზომებითა და რესურსების სიმწირით, რაც ზღუდავს მათ პოტენციალს, ისარგებლონ ციფრული ეკონომიკის უპირატესობით. G20-ის ქვეყნებში აპირებენ:

- მეწარმეობისთვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას ისეთი პროგრამების მხარდაჭერით, როგორიცაა: ინვესტორთა ქსელების შექმნა, რომლებიც მოქმედებენ, როგორც „ბიზნესანგელოზები“ და პლატფორმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესპარტნიორების მოსაძებნად მომსახურებას. ეს უნდა მოხდეს იმისთვის, რომ განხორციელდეს არსებული და ახალი ინოვაციური ბიზნესმოდელების მხარდაჭერა და დაფინანსების ახალი წყაროების მოძიება;
- გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ეროვნულ ინიციატივათა სფეროში იმისთვის, რომ განხორციელდეს პროგრამებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა, მათ შორის, მეწარმეობის კვლევის ცენტრების საფუძველზე;
- მეწარმეობისთვის უფრო ხელსაყრელი გარემოს ფარგლებში, ციფრული სტარტაპების ხელშეწყობა, რომლებიც ინოვაციების, მეწარმეობის, დასაქმების შესაძლებლობათა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საშუალებებია. ასეთი საწარმოებისთვის ტექნოლოგიების გადაცემა და მათი პოტენციალის გაფართოება, აგრეთვე, დაფინანსების სათანადო წყაროების ხელმისაწვდომობა, გადამწყვეტი ელემენტებია დამწყებთათვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად. ამავდროულად, ეს მნიშვნელოვანია აგრეთვე წარმოებასა და აკადემიურ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის.

6. ნივთების ინტერნეტის უწყვეტი განვითარებისა და წარმოების ციფრიზაციის ხელშეწყობა

G20-ის ქვეყნებმა უნდა გაიზიარონ საუკეთესო პრაქტიკა და დაადგინონ სფეროები შემდგომი თანამშრომლობისთვის. ეს უნდა განხორციელდეს

[1] ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) 2005 წელს ჩამოაყალიბა საერთაშორისო სამედიცინო-სანიტარული წესები (IHR). ეს არის შეთანხმება 196 ქვეყანას (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ჩათვლით) შორის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ერთობლივი მუშაობისთვის. Strengthening health security by implementing the International Health Regulations (2005); https://www.who.int/ihr/about/en/

ნივთების ინტერნეტის განვითარებისა და წარმოების ეფექტიანი ციფრიზაციის ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით.

G20-ის ქვეყნებში ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით აპირებენ:

- გააერთიანონ ძალისხმევა წარმოების, ისევე, როგორც ჭკვიანი ქალაქებისა და მობილური მოწყობილობების, IT უსაფრთხოებისა და ჭკვიანი სოფლის მეურნეობის ციფრიზაციის სფეროში;
- წარმოების ციფრიზაციის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას, იმისთვის, რომ მან ხელი შეუწყოს ციფრულ ტრანსფორმაციას გლობალურ დონეზე, ყველა ქვეყნის სასარგებლოდ;
- შექმნან: პროფესიული დახელოვნების ცენტრები, სტარტაპებისთვის ციფრული ტექნოლოგიების ცენტრები და კლასტერების ხელშეწყობა. აგრეთვე უნდა მოხდეს სხვადასხვა პარტნიორთან, მათ შორის მსხვილ კომპანიებთან, ურთიერთობათა შესაძლებლობის შესწავლა;
- საგანმანათლებლო პარტნიორობის წახალისება, მაგალითად, ეროვნულ ინიციატივებსა და განსხვავებულ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეებს შორის.

7. თითოეული ადამიანისთვის შესაძლებლობების შექმნა ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების პირობებში ადაპტირებისა და წარმატების მიღწევისთვის

ციფრული უნარების არსებობა სულ უფრო მეტად აუცილებელი პირობა ხდება თანამედროვე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. უნდა იყოს უზრუნველყოფილი პირობები მოქალაქეების მზადყოფნისათვის, რომ მათ უპასუხონ გლობალიზაციის შესაძლებლობებს, გამოწვევებს და ასევე ციფრულ რევოლუციას. ამ პირობებით სარგებლობა უნდა შეძლოს ყველამ, რათა მოერგოს მოთხოვნას ახალ პროფესიებსა და უნარებზე. ამ მიზნით G20-ის ქვეყნებში აპირებენ:

- განახორციელონ ციფრული სწავლებისა და უნარების განვითარების სტრატეგიების წახალისება და განმტკიცება. იმისთვის, რომ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ნაკლებად ინფორმირებულ ან დაუცველ ჯგუფებს, საშუალება ჰქონდეთ, წარმატებით მოერგონ ციფრული ეკონომიკისა და ციფრული საზოგადოების მოთხოვნებს;
- დასაქმების საკითხებზე მომუშავე ჯგუფთან მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას. განსაკუთრებით ეს შეეხება სწავლების სისტემებისა და პროფესიული უნარების განვითარების ინიციატივებს ციფრიზაციით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად. ეს შეიძლება მოითხოვდეს მიზნობრივი ზომებისა და შესაძლებლობათა პოტენციალის გაზრდას, ქვეყნების განვითარების სხვადასხვა დონის გათვალისწინებით;
- განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფთან მუშაობა G20-ის ინიციატივასთან კავშირში, ციფრული ეკონომიკისთვის უნარების განვითარების,

ქალებისა და გოგონებისთვის მუშაობის სასურველ შესაძლებლობათა შესაქმნელად (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებსა და ფორმირებადი საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში);

- ციფრიზაციის ხელშეწყობა 2030 წლამდე შეთანხმებული და დღის წესრიგით გათვალისწინებული, მდგრადი განვითარების, სიღატაკის აღმოფხვრის, პლანეტის ეკოლოგიის დაცვისა და საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მისაღწევად.

8. ციფრული ეკონომიკისადმი ნდობის განმტკიცება

ნდობა და უსაფრთხოება ფუნდამენტურ როლს ასრულებს ციფრული ეკონომიკის ფუნქციონირებაში. მათ გარეშე, ციფრული ტექნოლოგიის დანერგვა შეიძლება შეფერხდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის პოტენციური ზრდისა და სოციალური პროგრესის მნიშვნელოვან წყაროს.

G20-ის ქვეყნებში აპირებენ:

- გამოცდილების გაზიარებას ნდობის განმტკიცებისა და ტექნიკური სტანდარტების გამოყენების წახალისებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია რისკებთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება უსაფრთხოების სფეროსა და მართვის როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, განსაკუთრებით IHR-ში;
- წვლილის შეტანას კერძო პირთა ცხოვრების ხელშეუხებლობის ეროვნული სტრატეგიების შემუშავებაში, ქვეყნებს შორის განსხვავებების გათვალისწინებით. მათ მიერ აგრეთვე აღიარებულია ციფრული ეკონომიკის პირობებში სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი წესრიგის პოლიტიკის „ჩარჩოების“ თავსებადობა. განსაკუთრებით კი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების ამაღლების საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობა.

9. მომხმარებელთა დაცვის ხელშეწყობა ონლაინ გარემოში

საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის ელექტრონული კომერციის სტაბილური ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვანი პოტენციალი ამ სფეროში მაინც არარეალიზებულია. მომხმარებელთა დაცვა აუცილებელია ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობისთვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის ეფექტიანი სათანადოდ ორგანიზებული სისტემის საშუალებით. ამასთან, ნდობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღსრულება, რომელიც საჭიროა ბაზრების შემდგომი განვითარებისთვის, როგორც მომხმარებლების, ისე საწარმოების ინტერესებში;

G20-ის ქვეყნებში განახორციელებენ:

- ახალი ბიზნესმოდელების შესწავლას და მათზე დაკვირვებას მომხმარებელთა ნდობის საკითხთან დაკავშირებით;
- საკითხის განხილვას, რომელიც დაკავშირებულია ციფრული ეკონომიკის პირობებში მომხმარებელთა დაცვასთან ისეთი საერთაშორისო ორგანი-

ზაციების მონაწილეობით, როგორიცაა: იუნკტადი (UNCTAD)[1], ეგთო (OECD) და მომხმარებელთა მსოფლიო ორგანიზაცია.

10. ციფრული ეკონომიკის გაზომვა

ყველა ქვეყნის წარმატება დაფუძნებულია იმის ცოდნაზე, თუ რამდენად დიდია მისი წინსვლა, რაც ასევე ნიშნავს ციფრული ეკონომიკის ინდიკატორების გაზომვის გაუმჯობესებას. აღიარებულია, რომ სანდო სტატისტიკა არის ის საფუძველი, რომელსაც ემყარება სწორ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის რჩევები.

G20-ის ქვეყნებში აპირებენ:

- ხელი შეუწყონ G20-ს ვაჭრობისა და ინვესტიციებზე სამუშაო ჯგუფის მუშაობას ციფრული ვაჭრობის შეფასების სფეროში (რაც ციფრული ეკონომიკის შეფასების უფრო ფართო პრობლემის მასშტაბში თავსდება);
- გაითვალისწინონ „OECD-სა და IMF-ის შუალედური ანგარიში მსპ-ს მაჩვენებლებზე ციფრული ზრდის გავლენის შესახებ". ამავდროულად, გადაწყვიტეს, დაელოდონ G20-ის სამოქმედო გეგმის გამოქვეყნებას მაკროეკონომიკური სტატისტიკის საშუალებით ციფრული ეკონომიკის გაზომვის გაუმჯობესებისთვის. სამოქმედო გეგმით მიზანს მიაღწიეს წლის ბოლოს OECD-სა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურების საშუალებით;
- წაახალისონ საერთაშორისო ორგანიზაციები (როგორიცაა: IMF, ITU, OECD, UNCTAD, მსოფლიო ბანკი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ეროვნულ სტატისტიკურ სააგენტოებთან ერთად), რომ მათ შეიმუშაონ ჩარჩო პირობები (წესრიგის პოლიტიკა), ციფრიზაციის ძირითადი საკითხების ანალიზისთვის ქვეყნების დონეზე ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურისა და სტატისტიკის სფეროს პოტენციალის გათვალისწინებით;
- განსაზღვრონ მაჩვენებელთა ისეთი ნაკრები, რომლის საფუძველზე შესაძლებელია მონაცემთა შეგროვება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში. ეს საჭიროა იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბდეს ქვეყნების მიხედვით თავსებადი, ძირითად ICT მაჩვენებელთა ჩამონათვალი. მათი საშუალებით შესაძლებელი იქნება ქვეყნებისთვის ეფექტიანი დახმარების გაწევა ფაქტიურ მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

11. გენდერული ციფრული გარღვევის შემცირება

ციფრიზაციამ გახსნა ახალი შესაძლებლობები ეკონომიკურ სფეროში ქალების უფლებებისა და შესაძლებლობათა გაფართოებისთვის. მიუხედავად

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ორგანო. შეიქმნა 1964 წელს. შტაბბინა მდებარეობს ჟენევაში. კონფერენციის მონაწილეა 195 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც. იუნკტადის გადაწყვეტილებები მიიღება რეზოლუციების ფორმით და მათ აქვთ რეკომენდაციული ხასიათი.

ამისა, G20-ის ქვეყნები შეწუხებულები არიან იმით, რომ ქალებს არ აქვთ თანაბარი ხელმისაწვდომობა ციფრიზაციის უპირატესობათა გამოყენებისთვის.

გეოგრაფიული მდებარეობისა და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალები უფრო სერიოზულ ბარიერებს ხვდებიან ტექნოლოგიებისა და ციფრულ საფინანსო მომსახურებაზე წვდომის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ქალები განიცდიან სირთულეებს იმ გარღვევის გამო, რომელიც არსებობს უნარების, ბიზნესში მონაწილეობისა და ლიდერობის დონეებში ჩამორჩენის გამო, რაც ხელს უშლის მათ, სრულად ჩაერთონ ციფრულ ეკონომიკაში.

ციფრულ ეკონომიკაში ქალთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, G20-ის ქვეყნების მინისტრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ციფრიზაციის პროცესებზე, აპირებენ:

- გააზიარონ ინფორმაცია ეროვნული პრაქტიკის შესახებ გენდერული ციფრული გარღვევის შემცირების მცდელობებთან დაკავშირებით;
- ეროვნული პირობებიდან გამომდინარე, პოლიტიკის მნიშვნელოვან სფეროებში ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობათა განხილვას, მათ შორის, ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებით. ამის შედეგად 2020 წლისთვის, გენდერული თანასწორობა ინტერნეტის მომხმარებელთა შორის მიღწეულ უნდა იქნას;
- ხელი შეუწყონ ინიციატივათა მხარდაჭერას ქალებზე ორიენტირებული ციფრული საფინანსო მომსახურების განვითარების მიზნით;
- ხელი შეუწყონ არსებული ციფრული სტრატეგიების გადახედვას და უზრუნველყონ მათში გენდერული მიდგომის ჩართვა. ეს აქტივობა ითვალისწინებს: ქალთა მოთხოვნილებებს, სტატუსს, შესაძლებლობებსა და პრეფერენციებს, აგრეთვე, გენდერულად მგრძნობიარე გავლენის ანალიზს;
- გაზარდონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნიკურ, საინჟინრო და მათემატიკის სფეროებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა;
- გააანალიზონ შესაძლებლობები ისეთი პარამეტრების შემუშავებაში, რომელიც იძლევა მონაცემებს ინფორმაციაზე წვდომის დონეზე, გამოყენებასა და უპირატესობებზე სქესის მიხედვით იმ შემთხვევებში, სადაც ეს შესაძლებელია.

ციფრიზაციის პოლიტიკის მიზნებისა და ინსტრუმენტების განვითარება ცვლის მუშაობის ხასიათს. იგი საზოგადოებას აიძულებს, გადააფასოს ისეთი კატეგორიების პრაქტიკა, როგორიცაა: სამუშაო ადგილები, კორპორაციული სტრუქტურები და ინოვაციური ეკოსისტემები. მანქანები და ალგორითმები აგრძელებენ მრავალ ამოცანასა და პასუხისმგებლობაზე ზემოქმედებას. მათი ზეგავლენით თითქმის ყველა სამუშაო განახლდება. საჭიროა ახალი ცოდნა და უნარები არა მხოლოდ ამაღლებული პასუხისმგებლობისა და სამუშაოს მოძიების გზების არჩევისათვის, არამედ, უპირველესად, იმისთვის, რომ მსოფლიოს გარდამქმნელი ტექნოლოგიებიდან ინკლუზიური სარგებელი მივიღოთ.

ციფრიზაციის პოლიტიკის გლობალური მიზნები

2020-2023 წლების ITU[1]-ს ეკონომიკის ციფრიზაციის სტრატეგიული გეგმა

ხედვა: ინფორმაციული საზოგადოება ემყარება ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს შესაძლებლობებს, რომელშიც სატელეკომუნიკაციო/საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უზრუნველყოფს და აჩქარებს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურად მდგრად ზრდასა და განვითარებას.

ძირითადი მიზანია: ხელი შეუწყოს უნივერსალურ ხელმისაწვდომობას სატელეკომუნიკაციო/ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქსელებზე. აგრეთვე მომსახურებებსა და პროგრამებში მათ გამოყენებას სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიურად მდგრადი ზრდისა და ინკლუზიური განვითარებისათვის.

სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს:

მიზანი 1 – ზრდა: ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების დასახმარებლად სატელეკომუნიკაციო/ICT-ების (საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების) ხელმისაწვდომობის გაზრდა და გამოყენება.

მიზანი 2 – ინკლუზიურობა: ციფრიზაციის განვითარებაში არსებული გარღვევის შემცირება და ყველასათვის ინტერნეტით წვდომის უზრუნველყოფა.

მიზანი 3 – მდგრადობა: წარმართეთ რისკები, გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც გამოწვეულია ტელეკომუნიკაციების/ICT-ს სწრაფი ზრდით.

მიზანი 4 – ინოვაცია: შექმენით შესაძლებლობები სატელეკომუნიკაციო/ICT ინოვაციებისთვის საზოგადოების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშესაწყობად. ურთიერთობა სხვა ადამიანებთან.

მიზანი 5 – პარტნიორობა: ITU-ს წევრებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ITU-ს სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. ინფორმაციული საზოგადოება, რომელიც ეფუძნება ურთიერთდაკავშირებულ სამყაროს, სადაც სატელეკომუნიკაციო/ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს და დააჩქაროს სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიურად მდგრადი ზრდა და განვითარება ყველასათვის.

სტრატეგიული დაქვემდებარებული მიზნები ინფორმაციული საზოგადოების მსოფლიო სამიტის (WSIS) საქმიანობის განსახორციელებლად და 2030 წლამდე პერიოდის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისათვის.

---

[1] რეზოლუცია 71 (განახლებული დუბაი, 2018 წ.). საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU-ს) 2020-2023 წლების ეკონომიკის ციფრიზაციის სტრატეგიული გეგმა. ITU-ს სტრატეგიული გეგმა 2020-2023 წლებისთვის.
https://www.itu.int/en/connect2030/Documents/Resolution-71-PP18.pdf

მიზანი 1 – ზრდა: სატელეკომუნიკაციო/ICT-ების ხელმისაწვდომობისა და გაზრდილი გამოყენების უზრუნველყოფა;

ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების მხარდაჭერა;

სატელეკომუნიკაციო/ICT-ს, როგორც სოციალური, ეკონომიკური და ძირითადი საშუალებების როლის აღიარება;

ITU იმუშავებს, რათა უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა სატელეკომუნიკაციო/ICT-ის გამოყენების გაზრდისა და გაფართოებისთვის, განვითარების ხელშეწყობის მიზნით;

სატელეკომუნიკაციო/ICT-სა და ციფრული ეკონომიკის მხარდასაჭერად განვითარებადი ქვეყნების დახმარება ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით; სატელეკომუნიკაციო/ICT-ს გამოყენების ზრდას აქვს პოზიტიური გავლენა მოკლევადიან და გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდაზე, ასევე, ინკლუზიური ინფორმაციული საზოგადოების შექმნისათვის;

ITU-ს სამიტი მოწოდებულია, ითანამშრომლოს სატელეკომუნიკაციო/ICT-ს ყველა დაინტერესებულ მხარესთან მიზნის მიღწევისთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად.

მიზანი 2 – ინკლუზიურობა: ITU მოწოდებულია უზრუნველყოს, რომ ყველას, გამონაკლისის გარეშე, შეეძლოს ისარგებლოს სატელეკომუნიკაციო/ICT-ით. ITU იმუშავებს, რათა გადალახოს (შეამციროს) ციფრიზაციაში არსებული გარღვევა ინკლუზიური ინფორმაციული საზოგადოებისთვის და უზრუნველყოს ფართოზოლიანი ინტერნეტის მისაწვდომობა ყველასთვის. ციფრიზაციაში არსებული გარღვევის გადალახვა მიზნად ისახავს: გლობალურ სატელეკომუნიკაციო/ICT ინკლუზიურობას, ხელს უწყობს სატელეკომუნიკაციო/ICT ხელმისაწვდომობას, მის გამოყენებას ყველა ქვეყანასა და რეგიონში, ყველა ხალხის მიერ, ქალებისა და გოგონებისთვის, ახალგაზრდობის, მარგინალური და დაუცველი მოსახლეობის ჩათვლით, ყველა სოციალური ფენისთვის, მათ შორის, ადგილობრივ მოსახლეობაში მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მიზანი 3 – მდგრადობა: ალიანსის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს ქვეყნების კიბერუსაფრთხოების დაცვის საკითხები, რაც შესაძლებლობათა ფართო გამოყენებასა და ამისთვის მზადყოფნას გულისხმობს. სამოქმედო სტრატეგიებისა და ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო-იურიდიული ველის შექმნა აამაღლებს კომპიუტერული ინციდენტების რისკების პრევენციასა და სწრაფ აღმოფხვრას.

მიზანი 4 – ინოვაცია: უზრუნველყონ სატელეკომუნიკაციო/ICT ინოვაციები ციფრული ტექნოლოგიების მხარდასაჭერად. ალიანსი აცნობიერებს ტელეკომუნიკაციების/ICT-ების მნიშვნელოვან როლს საზოგადოების ციფრულ ტრანსფორმაციაში. გაერთიანება ცდილობს, ხელი შეუწყოს ინოვაციების გარემოს განვითარებას, სადაც ახალი ტექნოლოგიების მიღწევები ხდება ციფრიზაციის

განხორციელების ძირითადი ფაქტორი. WSIS სამოქმედო მიმართულებები 2030 წლამდე არის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის.

მიზანი 5 – პარტნიორობა: იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნების მიღწევას, გაერთიანება აცნობიერებს ურთიერთქმედების და თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას მთავრობებს, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობათაშორის და საერთაშორისო ორგანიზაციებს, აკადემიურ და ტექნიკურ საზოგადოებებს შორის. გაერთიანება ასევე აცნობიერებს გლობალურ პარტნიორობაში წვლილის შეტანის აუცილებლობას, განამტკიცოს სატელეკომუნიკაციო/ICT-ების როლი, როგორც საშუალება WSIS სამოქმედო მიმართულებებისა და 2030 წლამდე მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებაში.

დაქვემდებარებული მიზნები

დაქვემდებარებული მიზნები წარმოადგენს ITU-ს მუშაობის შედეგსა და მის გრძელვადიან გავლენას, რაც მიუთითებს პროგრესზე სტრატეგიული მიზნების მიღწევაში. კავშირი იმუშავებს მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ სატელეკომუნიკაციო/ICT-ების გამოყენებას. დაქვემდებარებულ მიზნებში მითითებულია მიმართულება, რომელზეც კავშირი უნდა იყოს ორიენტირებული და ITU-ს ხედვა 2020-2023 წლებში ურთიერთდაკავშირებული მსოფლიოს შესახებ. ITU-ს სტრატეგიული მიზნების შემდეგი დაქვემდებარებული მიზნები ასახავს: სპეციფიკურ, გაზომვად, მოქმედებაზე ორიენტირებულ, რეალისტურ, შესაბამის, დროში განსაზღვრულ და თვალყურისდევნებად კრიტერიუმებს.

მიზანი 1. ზრდა

დაქვემდებარებული მიზნები:

მიზანი 1.1. 2023 წლისთვის მსოფლიოში შინამეურნეობების 65%-ს ექნება ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე;

მიზანი 1.2. 2023 წლისთვის მსოფლიოში ადამიანების 70% გამოიყენებს ინტერნეტს;

მიზანი 1.3. 2023 წლისთვის ინტერნეტი 25%-ით უფრო ხელმისაწვდომი იქნება, ვიდრე ეს 2017 წლის დასაწყისში იყო;

მიზანი 1.4. 2023 წლისთვის ყველა ქვეყანას შემუშავებული და მიღებული ექნება ციფრიზაციის პროგრამა/სტრატეგია;

მიზანი 1.5. 2023 წლისთვის ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა 50%-ით იქნება გაზრდილი;

მიზანი 1.6. 2023 წლისთვის ქვეყნების ინტერნეტის აბონენტების 40%-ის ნახევარზე მეტს ექნება ფართოზოლიანი ქსელი 10 მბ/წმ-ზე მეტი სიჩქარით;

მიზანი 1.7. 2023 წლისთვის სამთავრობო სერვისებს ინტერნეტში მოსახლეობის 40% უნდა დაუკავშირდეს.

მიზანი 2. ინკლუზიურობა

დაქვემდებარებული მიზნები:

მიზანი 2.1. 2023 წლისთვის განვითარებად ქვეყნებში ინტერნეტზე წვდომა შინამეურნეობების 60%-ს უნდა ჰქონდეს;

მიზანი 2.2. 2023 წლისთვის, ღარიბ განვითარებად ქვეყნებში, ინტერნეტზე წვდომა შინამეურნეობების 30%-ს უნდა ჰქონდეს;

მიზანი 2.3. 2023 წლისთვის განვითარებად ქვეყნებში ადამიანების 60% გამოიყენებს ინტერნეტს;

მიზანი 2.4. 2023 წლისთვის ღარიბი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 30% გამოიყენებს ინტერნეტს;

მიზანი 2.5. 2023 წლისთვის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ფართოზოლიან ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გარღვევის შეზღუდვა უნდა მოხდეს და იგი 25%-ით უნდა შემცირდეს 2017 წელთან შედარებით;

მიზანი 2.6. 2023 წლისთვის ფართოზოლიანი ინტერნეტით მომსახურების ღირებულება უნდა შეადგენდეს განვითარებად ქვეყნებში საშუალო თვიური შემოსავლის არაუმეტეს 3%-ს;

მიზანი 2.7. 2023 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობის 96%-ს ექნება ფართოზოლიანი ინტერნეტის ქსელით დაფარვა;

მიზანი 2.8. 2023 წლისთვის მიღწეული იქნება გენდერული თანასწორობა ინტერნეტის გამოყენებისა და მობილური ტელეფონების მფლობელობაში;

მიზანი 2.9. 2023 წლისთვის ყველა ქვეყანაში ინვალიდებისთვის უნდა შეიქმნას სატელეკომუნიკაციო/ICT ხელმისაწვდომობის ხელშემწყობი გარემო;

მიზანი 2.10. 2023 წლისთვის სატელეკომუნიკაციო/ICT უნარებში ახალგაზრდობის/მოზარდების წილი 40%-ით გაიზრდება;

მიზანი 3: მდგრადობა

მიზანი 3.1. 2023 წლისთვის უნდა გაიზარდოს ქვეყნების კიბერუსაფრთხოების მზადყოფნის ძირითადი შესაძლებლობები, მათ შორის: მოქმედი სტრატეგია, კომპიუტერული ინციდენტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფები და ეროვნული კანონმდებლობა;

მიზანი 3.2. 2023 წლისთვის 30%-მდე უნდა გაიზარდოს გლობალური ელექტრონული ნარჩენების გადამუშავების მაჩვენებელი;

მიზანი 3.3. 2023 წლისთვის 50%-ით უნდა გაიზარდოს ელექტრონული ნარჩენების შესახებ კანონმდებლობის მქონე ქვეყნების რაოდენობა;

მიზანი 3.4. 2023 წლისთვის, 2015 წლის დონესთან შედარებით, ტელეკომუნიკაციების/ICT-ის საშუალებით 30%-ით უნდა გაიზარდოს სასათბურე გაზების ემისიების წმინდა შემცირება;

მიზანი 3.5. 2023 წლისთვის ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეროვნული გადაუდებელი დახმარების სატელეკომუნიკაციო გეგმა, ისევე, როგორც მათი

ეროვნული და ადგილობრივი კატასტროფების რისკის შემცირების სტრატეგიები.

მიზანი 4. ინოვაცია

მიზანი 4.1. 2023 წლისთვის ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს შემუშავებული განვითარების პოლიტიკა/სტრატეგიები ორიენტირებული სატელეკომუნიკაციო/ ICT-ს ინოვაციებზე.

მიზანი 5. პარტნიორობა

მიზანი 5.1. 2023 წლისთვის დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის ეფექტიანობის გაზრდა და სატელეკომუნიკაციო/ICT გარემოში სხვა ორგანიზაციებთან და მოქმედ პირებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება.

ციფრიზაციის პოლიტიკის გამტარებლები

მსოფლიოში ციფრიზაციის პოლიტიკის გამტარებელ ორგანიზაციას წარმოადგენს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU). ITU ანაწილებს გლობალურ რადიოსპექტრს და სატელიტურ ორბიტებს, შეიმუშავებს ტექნიკურ სტანდარტებს, რომლებიც უზრუნველყოფს ქსელებისა და ტექნოლოგიების ერთობლივ ურთიერთთანამშრომლობას და მიმართავს ძალისხმევას დაბალგანვითარებულ თემებში ICT-ზე წვდომის გასაფართოებლად. მსოფლიოში ყოველ ჯერზე, როდესაც დაურეკავთ ვინმეს მობილური მოწყობილობით, ან ინტერნეტის წვდომით ელექტრონული ფოსტით გაგზავნით ინფორმაციას, ისარგებლებთ ITU-ს მუშაობით.

ციფრიზაციის პოლიტიკის ინსტრუმენტები

ციფრიზაციის პროცესების სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტები (რომელიც წარმოიქმნება ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით) წარმოადგენს სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირების სფეროში ტექნიკურ-პოლიტიკური შეხედულებების, პრინციპებისა და პრიორიტეტების სისტემას. მათი მიზანია, შექმნას ნორმატიულად დადგენილი პირობები:

- ციფრული საზოგადოების, როგორც ახალი ტიპის საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- ციფრული წარმოებისა და მიმოქცევის რეჟიმისთვის, რომელიც აუცილებელია საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების საწარმოებლად;
- ციფრიზაციის ტექნიკურ-პოლიტიკური მექანიზმების ინსტიტუციონალიზაციისათვის.

ციფრიზაციის პოლიტიკის ინსტრუმენტების ორი კატეგორია არსებობს: ციფრიზაციის ტექნიკური ინსტრუმენტები (ანუ ციფრული ტექნოლოგიები) და ციფრიზაციის უშუალოდ პოლიტიკური ინსტრუმენტები ანუ გადაწყვეტი-

ლებების მიღების საფუძვლები. პოლიტიკის ინსტრუმენტთა ასეთი დიფერენცირება წარმოშვა ციფრიზაციის სამეცნიერო და პოლიტიკურ ტექნოლოგიათა სისტემურმა ხასიათმა (ორივე სფეროს ტექნოლოგიები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია).

ციფრიზაციის პოლიტიკის ტექნიკური ინსტრუმენტები

თანამედროვე მკვლევრები და ექსპერტები გამოყოფენ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ათ ძირითად მიმართულებას, მათ შორის:

1. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება (AI and Machine Learning);
2. ბლოკჩეინი (პროგრამათა ბლოკების ჯაჭვი) და კრიპტოვალუტა (Blockchain and Cryptocurrencies);
3. დიდი მონაცემები (Big Data);
4. ტელემედიცინა (Telemedicine);
5. დამატებული და ვირტუალური რეალობა (AR/VR);
6. ჩეთ-ბოთები და ვირტუალური დამხმარეები (Botsand Virtual Assistants);
7. მობილურობა და კიბერუსაფრთხოება (Mobile and Cybersecurity);
8. ნივთების ინტერნეტი (IoT – Internet of Things);
9. კომპიუტერული ხედვა (Computer Vision);
10. ნეიროქსელები (Artificial Neural Networks).

მოკლედ განვიხილოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიები.

ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება

მანქანური სწავლება სხვა არაფერია, თუ არა მეთოდოლოგიური მიდგომებისა და რეალურ შესაძლებლობათა ნაკრები, რომლის წყალობითაც მძლავრ კომპიუტერულ სისტემებს ძალუძთ, იპოვონ ოპერაციული და გარე მეხსიერების მასივებში ისეთი მონაცემები, რომლებიც თავიდან არ ყოფილა ნავარაუდევი (რადგან სრულიად უცნობი იყო მათი ახალი ურთიერთკავშირები და კანონზომიერებები, შაბლონები). შესაბამისად, მანქანური სწავლება შეიძლება მიმდინარეობდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის მსგავსი და სახეობით შესაბამისი ამოცანების გადაჭრის პროცესში. დღეს ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ საკმაოდ ბუნდოვანი კონცეფციაა, რომელიც მოიცავს ბევრ ისეთი ტექნიკურ სიახლის დამუშავებას, როგორიცაა: ნეირონული ქსელები, რობოტები, ნიმუშების ამოცნობა, პროცესებისა და მოვლენების ალგორითმიზაცია და ა.შ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს უკვე ინტელექტის ძირითადი საფუძველია ანუ, არსებითად, არის მასწავლი გამოთვლითი სტრუქტურა. ადამიანის გონებისგან იგი განსხვავდება თავისი ვიწრო სპეციალიზაციით და, ამასთანავე, საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებზე სპონტანურად (საჭიროებისამებრ) გადართვის შესაძლებლობათა არარსებობით. ხელოვნურ ინტელექტს აქვს უზარმაზარი პოტენციალი და გამოყენების პერსპექტივები ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელს ხდის, შევქმნათ დინამიკური, მოქნილი და შედარებით ავტონომიური სისტემები. ეს სისტემები უნდა იქნეს გამოყენებული იქ, სადაც, მაგალითად, ადამიანს არ შეუძლია მაღალი ხარისხის სიზუსტით მუშაობა (მრეწველობის დარგები, სამეცნიერო კვლევები და სხვა), ან მის სიცოცხლესა და უსაფრთხოებას საშიშროება ემუქრება (ბირთვული ენერგია, წყალქვეშა ოპერაციები, სამხედრო სფერო და სხვა). ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების განვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. დღეისათვის ცნობილია ე.წ. „ღრუბლის" გამოთვლები (ღრუბლები), რომლებიც აქტიურად გამოიყენება ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ტექნოლოგიაში. შემდეგი ათწლეული, სავარაუდოდ, გვიჩვენებს ამ ტრენდის ახალ დონეს, რადგან თითქმის ყველა ტექნოლოგიური გიგანტი ტნკ მუშაობს ამ სფეროში.

ღრუბლების ღირებულება მდგომარეობს მათ საიმედოობაში, მომხმარებლებისთვის (ექსპლოატანტებისთვის) დაბალი ღირებულება გარანტირებულია მცირე საივესტიციო და კაპიტალური ხარჯებით. ღრუბელი საკმაოდ მარტივად უზრუნველყოფს წარმოებისა და პროცესების მასშტაბურობას, საშუალებას იძლევა, შეიქმნას და გაიშალოს სერვისზე ორიენტირებული მოდელები, ბიზნესის, მეცნიერებისა და წარმოების მიზნებისთვის გარანტირებულია დიდი გამოთვლითი სიმძლავრეები. გარდა ამისა, კერძო მომხმარებელთა ცხოვრებაში ღრუბლებმა უკვე ყველგან შეაღწიეს, რადგან ინფორმაციული სისტემები ორგანულად ჯდება ცხოვრების ყველა მთავარ სფეროში. მეცნიერებისა და მრეწველობის ყველა დარგში პროგრესი უზარმაზარი სიჩქარით მიმდინარეობს, რაც იწვევს სპეციალისტებისა და დილეტანტების გაოცებასა და აღფრთოვანებას. სისტემების შექმნა, რომელიც შეისწავლის ადაპტირებას და საკუთარი თავის დამოუკიდებლად მუშაობისთვის მომზადებას, მომავალი ათწლეულების განმავლობაში გახდება მთავარი „ბრძოლის ველი" ტექნოლოგიების მომწოდებლებს შორის. ჩვენმა ექსპერტებმა კარგად იციან ამის შესახებ და უკვე სრულად მიიღეს ინტეგრაცია პოტენციურად საინტერესო კვლევით პროგრამებში. მომავალ ათწლეულებში ტექნოლოგიების მომწოდებლებს შორის ძირითადი ბრძოლის ველი იქნება ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ, ადაპტირდებიან და ავტონომიურად მოქმედებენ. მსოფლიოში ყველა მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს ეს კარგად ესმის, ამდენად, ისინი უკვე ჩართულნი არიან პოტენციურად საინტერესო კვლევით პროგრამებში.

ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტები

ბლოკჩეინის ტექნოლოგიის იდეა საკმაოდ მარტივია – ეს არის საერთო მოხმარებისთვის მონაცემთა უზარმაზარი ბაზა, რომელიც მოქმედებს ცენტრალიზებული მართვის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ **ბლოკჩეინი** არის კრიპტოვალუტის საფუძველი, დღეს ეს ტექნოლოგია სცილდება მხოლოდ

„ვირტუალურ ფულის“ გამოშვებას. ეს ტექნოლოგიები, რა თქმა უნდა, და, უპირველეს ყოვლისა, ფართოდ გამოიყენება საბანკო სექტორში, უძრავი ქონების ბაზარზე და კორპორაციული მართვის სისტემებში, მაგრამ სადაც არ უნდა საუბრობდნენ ბლოკჩეინზე, მასთან პირველ ასოციაციას წარმოადგენს ბიტკოინები. მართლაც, მომავალში ბლოკჩეინის, როგორც ტექნოლოგიის მნიშვნელობა, მხოლოდ გაიზრდება. უკვე ვხედავთ მაგალითებს, როდესაც ბლოკჩეინის გამოყენებით ბევრ კომპანიას შორის ბიზნესპროცესების გადაწყობა-გარდაქმნა მიმდინარეობს, მათ შორის ურთიერთობებში შუამავლები ქრებიან, მიმდინარეობს ახალი ტიპის ბიზნესმოდელების აწყობა და ა.შ. ბლოკჩეინი ხდება ყველა სახის ციფრულ აქტივებზე ზოგადი ფაქტებისა და მონაცემების საიმედო, დეცენტრალიზებული ფორმირების რეესტრის ინფრასტრუქტურული ერთეული. იგი მოიცავს აგრეთვე ინფორმაციას აქტივების გადაადგილების შესახებ ნებისმიერი ეკოსისტემისა და თანამეგობრობის მონაწილეთა შორის. ჩვენთვის ეს შეიძლება, გარკვეულწილად, საინტერესო იყოს არა მხოლოდ როგორც ფინანსური შესაძლებლობა ოპერატიული „საგადასახდელო დავალებისათვის“ მესამე მხარის პარტნიორებთან მუშაობისას, არამედ როგორც საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, შევამოწმოთ, მაგალითად, პოტენციური პარტნიორების გადახდისუნარიანობა, მათი შესაძლებლობათა შესაბამისობა განკარგულებაში არსებული მიზნობრივი ბიუჯეტის ათვისებასთან დაკავშირებით და მრავალი სხვა.

ტელემედიცინა

თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დაფუძნებულია საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე დისტანციურად სამედიცინო მომსახურებისთვისა და დროული, ფართო საკონსულტაციო-პროფილაქტიკური მომსახურებისთვის.

პირველ რიგში, მედიცინაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ხელს შეუწყობს სწორი დიაგნოზის გაკეთებას უფრო ზუსტად და სწრაფად. მეორეც, IT ტექნოლოგიების წყალობით, შესაძლებელია ბიოლოგიაში კვლევის მონაცემთა უფრო სწრაფად და იაფად განსაზღვრა-ამოღება. ეს ხელს უწყობს ახალი სამკურნალო პრეპარატებისა და საშუალებათა დამუშავებას. და ბოლოს, მესამე – იქმნება დამატებითი შესაძლებლობა, აქტიურად გავანალიზოთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მათ შორის ისეთი საყოფაცხოვრებო მოწყობილობებით, როგორიცაა: სმარტფონები, სატარებელი დივაისები[1], თუნდაც Wi-Fi მარშრუტიზატორები. სხვათა შორის, მათი დახმარებით მონიტორინგის პრაქტიკა უკვე არსებობს.

დამუშავებულია მიგნებები ვიდეოდაკვირვების სფეროში: კამერები ასწავლიან მოძრაობათა ადეკვატურობის გამოცნობას და იგივე პულსის კონტ-

[1] სლენგი – ნებისმიერი სასარგებლო ტექნიკური მოწყობილობა, შესაძლებელია აგრეთვე იყოს ყოფითი მოხმარების მოწყობილობა. კონსტრუქციულად დასრულებული ტექნიკური სისტემა, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ფუნქციური დანიშნულება.

როლს (დათვლას). ასეთ სისტემებს თანდათანობით შეუძლია შეცვალონ მეთვალყურეები, რომლებიც მძიმედ დაავადებულ ან შეუძლოდ მყოფ პაციენტებს ჰყავთ საავადმყოფოებში (აგრეთვე მაშინ, როდესაც ისინი მკურნალობენ სახლში). მათ შეეძლებათ დისტანციურად აკონტროლონ ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობა. ბევრი კომპანია სწავლობს მომხმარებელთა მონაცემების უზარმაზარი მასივის გამოყენებას კონკრეტული პირისთვის ინდივიდუალური რეკომენდაციების მისაცემად. მაგალითად, IBM, გენეტიკურ კომპანიასთან Pathway genomics (USA) ერთად, შეიმუშავებს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ პროგრამულ მოწყობილობასა და პროგრამას. იგი გააანალიზებს მომხმარებლების გენეტიკურ და კლინიკურ მონაცემებს და ურჩევს, თუ რა ცვლილებები უნდა შეიტანონ მათ ცხოვრების წესის, სამუშაოსა და დასვენების პროცესში.

კომპიუტერული მონიტორინგის სისტემები უკვე თვალყურს ადევნებენ ძილს და ინდივიდს აძლევენ კონკრეტულ რეკომენდაციას დღის ოპტიმალური რეჟიმის შესახებ. უახლოეს წლებში განხორციელდება პასიური მონიტორინგიდან გადასვლა კონკრეტულ რეკომენდაციებზე, რომლებსაც პაციენტს პროგრამული უზრუნველყოფა და პროგრამები მისცემს. გაჯეტის მომხმარებლის ჯანმრთელობის მონაცემები გამოყენებული იქნება სადაზღვევო კომპანიების მიერ ფინანსური მოდელების ოპტიმიზაციისა და მათი რისკების ზუსტად შეფასების მიზნით. ამ ტექნოლოგიების აქტიურად გამოცდა უკვე მიმდინარეობს დიდ კომპანიებში. ეს ხდება იმისთვის, რომ გაიზარდოს შრომის მწარმოებლურობა და შემცირდეს ფინანსური ხარჯებზე დატვირთვა დასაქმებულთა შრომის უნარშეზღუდულობის გამო. ჯანმრთელობის დაცვის ციფრული მომავლის კიდევ ერთი ტრენდია დაბერებასთან ბრძოლა.

ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიცაა Human Longevity და Calico (აშშ), ინვესტიციებს ახორციელებენ ასაკთან დაკავშირებული ცვლილებების წინააღმდეგ ბრძოლაში. დაბერება მწვავე პრობლემაა არა მხოლოდ მედიცინის, არამედ ეკონომიკისთვისაც. ბიოლოგიური და კომპიუტერული ტექნოლოგიების კონვერგენციის წყალობით, იმედოვნებენ, რომ უახლოეს წლებში გამოჩნდება პირველი თერაპიული პროცესორები, რომლებიც შეძლებენ მეთოდურად ორგანიზება გაუწიონ კვების, სამკურნალო პრეპარატებისა და ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების (BAA) მიღებას.

დამატებული და ვირტუალური რეალობა

ეს არის გლობალური ტრენდები, რომლებსაც ისეთივე ზეგავლენა აქვს ადამიანთა ცხოვრებაზე, როგორიც აქვს ინტერნეტსა და სმარტფონებს. დღეს ეკონომიკაშიც იწყებენ ამ ტექნოლოგიების გამოყენებას სამუშაო პროცესების დაჩქარებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. დამატებული რეალობის ტექნოლოგია ამდიდრებს ადამიანის ბუნებრივ გარემოცვას, ხოლო ვირტუალურ რეალობას სრულად შეჰყავს იგი ნებისმიერ ხელოვნურ გარე-

მოში. ერთად მათ შეუძლიათ პიროვნების ნებისმიერ მოცემულობაში ღრმად ინტეგრირება, რაც საშუალებას მისცემს მას, „რეალურად“ გრძნობდეს და აღიქვამდეს ამ მოცემულობას. AR/VR-ის ტექნოლოგიები ჯერ არასრულყოფილია და თავისი სრული პოტენციალი არ გამოუვლენია. ამ დროისთვის იმ სფეროებს შორის, სადაც ისინი გამოიყენება, ყველაზე პოპულარულია კომპიუტერული თამაშები და გართობა. გასულ წლებში ევროკავშირსა და მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ციფრული პროექტები განხორციელდა. მაგალითად, საცალო ვაჭრობის სფეროში ვირტუალური რეალობის პროგრამების შემქმნელმა Fibrum-მა (რუსეთი) შექმნა AliExpress-ისათვის პლატფორმა, რომელიც გახდა რუსეთის 11 ქალაქში არსებული მაღაზიების საფუძველი. პროექტი უნიკალურია იმით, რომ იგი შექმნილია Web-VR ტექნოლოგიის საფუძველზე, ანუ ტელეფონის ბრაუზერი და ინტერნეტი საკმარისია მაღაზიის მოსანახულებლად ისე, რომ ვირტუალური რეალობის სათვალეებიც არასავალდებულოა.

დამატებული და ვირტუალური რეალობის მომავლის პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტურია. ვირტუალური რეალობით უკვე ინტერესდება კულტურის ბევრი დაწესებულება, მუზეუმები, სამედიცინო კომპანიები, სასწავლო ცენტრები, ავტოსკოლები, სამხედრო უწყებები და სხვა ორგანიზაციები. AR/VR-ის მთავარი ბონუსი არის ისეთი გარკვეული მოქმედებების უსაფრთხოება, რომლებიც საშიშია რეალურ ცხოვრებაში (მაგალითად, სამხედრო ტექნიკის გამოყენების სწავლებაში ემულაცია[1]: დანაღმვისა და განნაღმვის ოპერაციები, ღრმა ზღვის ფსკერზე მიმდინარე ტექნიკური სამუშაოები, რაკეტების საწვავით შევსების რთული პროცესების პრაქტიკა, ასაფეთქებელი ნივთიერებები და სხვა).

ჩეთ-ბოთები და ვირტუალური დამხმარეები

ჩეთ-ბოთები და ვირტუალური დამხმარეები, ანუ ინტელექტუალური ვირტუალური თანაშემწეები თანდათანობით ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება. წამყვანი IT კომპანიების უმეტესობა დიდი ხანია, მონაწილეობს ჩეთ-ბოთების „რბოლაში“: ისინი ქმნიან პლატფორმებსა და თავიანთ ხმოვან ასისტენტებს. ამ ტექნოლოგიების ინოვაციები და მოქნილობა განაპირობებს იმას, რომ ისინი მომავალშიც განაგრძობენ განვითარებას.

ბოთი არის პროგრამა, რომელთანაც მომხმარებელს შეუძლია ურთიერთობა, ნებისმიერი მიზნის მისაღწევად ან გასართობად. ბოთებს შეუძლიათ მყისიერი მესინჯერების შეტყობინებების გაშიფვრა და ამ შეტყობინებების საფუძველზე შესაბამისი მოქმედებების შესრულება. ჩეთ-ბოთები შეცვლიან მობილურ პროგრამებსა და საიტებს. ჩეთ-ბოთის შემუშავების ღირებულებასა და მის სიჩქარეს ვერ შევადარებთ მობილური პროგრამის შექმნის ღირებულებასთან (ის გაცილებით იაფია). ბოთი შეიძლება ასევე იყოს ინტეგრირებული კომპა-

[1] გამოთვლითი ტექნიკის სისტემებში ფუნქციების კოპირება, გადატანა ერთი სისტემიდან მეორეზე.

ნიის ან ვებგვერდის სხვა IT-სერვისებთან. ბიზნესში ჩეთ-ბოთებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს პერსონალის ხარჯები. მათი გამოყენებით ავტომატიზებულია მრავალი „რუტინული“ პროცესი. მათ შესაძლებელია დაევალოს კლიენტებთან ან თანამშრომლებთან შეტყობინებების გაგზავნა. ჩეთ-ბოთების დახმარებით, შესაძლებელია ინფორმაციის კლიენტისთვის, პირდაპირი მიწოდება, რაც მოსახერხებელია არა მხოლოდ პროექტის მფლობელისთვის, არამედ კლიენტისთვისაც. ჩეთ-ბოთების მობილური აპლიკაციების შედარებისას, შესამჩნევია, რომ, თუ პროგრამა ასრულებს ერთ დავალებას, მაშინ ერთი პროექტის ფარგლებში ჩეთ-ბოთები შეიძლება მრავალ დავალებას ასრულებდეს. ექსპერტების აზრით, ჩეთ-ბოთები აქტიურად დაინერგება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ფულადი გზავნილები, ურთიერთობათა არხის ორგანიზება, ქოლ-ცენტრების, დისპეტჩერებისა და პირადი ანგარიშების შეცვლა.

ამავდროულად, არსებობს დამზარალებელი ბოთებიც, მათ შორისაა კომპიუტერული ვირუსები და ჭიები. ჩეთ-ბოთები საშიში შესაძლებელია გახდეს მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. ამდენად, ფრიად მნიშვნელოვანია, რომ მცირე ქვეყანას ჰყავდეს მაღალკვალიფიციური IT-სპეციალისტები, რომლებიც დაიცავენ ქვეყნის ეკონომიკასა და მოქალაქეებს ონლაინ თავდასხმებისაგან. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ სპეციალისტების მატერიალურ დაინტერესებასა და მოტივაციაზე ხელისუფლებასთან ერთად ბიზნესმა და ზოგადად მთელმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს.

მობილურობა და კიბერუსაფრთხოება

მობილურმა ტექნოლოგიებმა უკვე ძირეულად გააუმჯობესეს წარმოებისა და ინფორმაციის მოხმარების პროცესები. მობილური ტექნოლოგიის გამოყენება საშუალებას გაძლევთ, მსოფლიოში მიმდინარე ყველა მოვლენისა და პროცესის საქმის კურსში იყოთ (რისთვისაც მინიმალური ძალისხმევა მოგიწევთ). გარდა ამისა, მობილური ტექნოლოგიებით შესაძლებელია, შემცირდეს წარმოების ღირებულება საბოლოო მომხმარებლებისთვის პროცესების ოპტიმიზაციითა და წარმოების ხარჯების შემცირებით. ვერც ერთი თანამედროვე ბიზნესმენი ვერ წარმოიდგენს თავის ყოველდღიურ საქმიანობას სმარტფონისა და ინტერნეტის გარეშე. მობილური მოწყობილობები გახდა უფრო მცირე, უფრო მძლავრი და ბევრად უფრო სასარგებლო. ყველა სახის სმარტფონი, ტაბლეტი, ელექტრონული „მკითხველი“, ახლა კი „ჭკვიანი“ საათები და, უახლოეს მომავალში, „ჭკვიანი“ სათვალეები, ხელს უწყობს მათ სწრაფ გავრცელებას მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, მობილურმა მოწყობილობებმა სერიოზული გავლენა მოახდინა ჩვენი ცხოვრების ხარისხზე.

ციფრული მთავრობის შექმნის სტრატეგიაში დასახული მიზნების ერთ-ერთი ამოცანაა მოქალაქეების და მობილური მუშაკების მუდმივად მზარდი კონტინგენტისთვის ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მოწყობილობიდან მაღალხარისხიანი ციფრული სახელმწიფო ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის განვითარების საერთაშორისო სტრატეგიაში (პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სეგმენტში) ზრდის ძირითადი ამოცანა მომავალი წლებისთვის იქნება მობილური მოწყობილობებისთვის პროგრამების მიწოდების ზრდა. მობილური გაჯეტების გამოყენება შეუძლებელია მაღალი ხარისხისა და საიმედო კავშირის უზრუნველყოფის გარეშე. 5G[1], 6G და 7G ეპოქის დაწყების დრო – შემდეგი, მეხუთე და მეექვსე თაობის უკაბელო კავშირის ტექნოლოგია – სწრაფად ახლოვდება.

5G და 6G ქსელები საჭიროა აბონენტებისთვის იმისთვის, რომ დაუკავშირდნენ მაღალი (გიგაბაიტის) სიჩქარის მქონე ინტერნეტს. ეს მათ საშუალებას მისცემს, ნახონ ულტრა მაღალი ხარისხის ვიდეო, მიიღონ დამატებული და ვირტუალური რეალობის მომსახურება და გამოიყენონ ღრუბლის სერვისები. უპირველეს ყოვლისა, მიიღება მაღალი საიმედო კავშირი მინიმალური შეფერხებებით, რაც უზრუნველყოფს უპილოტო ობიექტების (თვითმფრინავები, მანქანები, სამრეწველო რობოტები და ა.შ.) უსაფრთხო მართვის გარანტიას. 5G და 6G კავშირს შეეძლება უზრუნველყოს მასობრივი „ნივთების ინტერნეტი“ მოწყობილობათა რაოდენობის სიმკვრივით – 1 მილიონზე მეტი კვადრატულ კილომეტრზე.

ნივთების ინტერნეტის განვითარება, დიდი მონაცემები და სხვა ტექნოლოგიები, რომლებიც გულისხმობენ უნივერსალურ კავშირსა და დიდი რაოდენობით ინფორმაციის შენახვას, კიბერუსაფრთხოებას აქტუალურს ხდის.

ნივთების ინტერნეტი

ტერმინი „ნივთების ინტერნეტი“ გულისხმობს თითქოსდა ჩვეულებრივი მოწყობილობების გაერთიანებას ქსელში, რომელიც ხდება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მხოლოდ შემადგენელ ელემენტთა ჯამი. იდეის განხორციელება უფრო ახლოვდება ახალი და უფრო ახალი მოწყობილობების გამოჩენასთან ერთად, მაგრამ მათი ერთობლივი მუშაობისთვის საჭიროა სპეციალური კავშირის საშუალება-კომუნიკატორი. უცნაური არ არის ის, რომ IoT-ის გამოყენებაში „პიონერები“ გახდნენ: კომუნალური მეურნეობები, საავტომობილო კონცერნები, დიდი სამრეწველო საწარმოები და ახლა მობილური ოპერატორები იწყებენ სპეციალური ქსელების გაშვებას ასეთი მოწყობილობების ინტერნეტით დასაკავშირებლად. საჭირო იქნება მხოლოდ ოპერატორთან ხელშეკრულების დადება და სენსორების დაყენება, რომლებიც ინტერნეტს დაუ-

[1] 5G არის მობილური კომუნიკაციების მეხუთე თაობა, რომელიც მუშაობს სატელეკომუნიკაციო სტანდარტების საფუძველზე (5G/IMT-2020), არსებული 4G/IMT-Advanced სტანდარტების შემდგომი ახალი თაობის სატელეკომუნიკაციო სტანდარტი. 5G ტექნოლოგიებმა უნდა უზრუნველყოს უფრო მაღალი გამტარობა 4G ტექნოლოგიებთან შედარებით, რაც საშუალებას მოგვცემს ფართოზოლიანი მობილური კომუნიკაციების მეტ ხელმისაწვდომობას, აგრეთვე „მოწყობილობიდან მოწყობილობამდე“ რეჟიმების გამოყენებას (სიტყვა სიტყვით „device-to-device“, აბონენტებს შორის პირდაპირი კავშირი). უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო კონსენსუსია, რომ 5G უსაფრთხოა და მის წინააღმდეგ არგუმენტები კონსპიროლოგიურია და ეხება ტექნოლოგიის სიახლეს. file:///C:/Users/home/Downloads/4g-5g-6g-7g-and-future-mobile-technologies.pdf

კავშირდება მობილური ქსელის საშუალებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისთვის, როგორიცაა ავტომატიზებული სადგომები და უპილოტო საფრენი აპარატები და ავტომანქანები. IoT გახდება საფუძველი, პირველ რიგში, მანქანების უპილოტო გადაადგილებისთვის, და მეორეც, მრეწველობის დარგთა გლობალური ავტომატიზაციისთვის, საქონლის, პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებაში, ენერგეტიკულ სექტორში და ა.შ. ყველგან გაჩნდება მაღაზიები, სადაც პროდუქციის შეძენა შესაძლებელი იქნება რიგების, სალაროს, ნაღდი ფულისა და საფულის გარეშე. ნივთების ინტერნეტი შეაღწევს თითქმის ყველა ინდუსტრიულ სისტემებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. მაგალითად, უფრო პოპულარული გახდება ტექნოლოგიები, რომლებიც კომპანიებსა და კერძო პირებს მონაცემთა ანალიზის საშუალებას აძლევს, რომ შემდგომში მათზე დაყრდნობით დაბალანსებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

ავტომატიზაცია საშუალებას ქმნის, უფრო ეფექტურად მართოთ საკუთარი დრო, რათა შემცირდეს რესურსები არაპირდაპირი მოვალეობების შესრულებაზე. „ჭკვიანი" ქალაქი არის ნივთების ინტერნეტის გამოყენების ყველაზე ფართო შესაძლებლობა. თანამედროვე ქალაქი არის კოლოსალური ინტეგრირებული გარემო, რომელშიც ყველა კომფორტულად გრძნობს თავს. ასეთ ქალაქში სკოლები, ბიბლიოთეკები, ტრანსპორტი, საავადმყოფოები, ელექტროსადგურები, წყალმომარაგებისა და ნარჩენების მართვის სისტემები, სამთავრობო სააგენტოები, სამართალდამცავი და სხვა საზოგადოებრივი სერვისები დაფარული იქნება ერთიანი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელით. ეს უზრუნველყოფს ცხოვრების დონის ამაღლებასა და მომსახურების ეფექტიანობის გაზრდას მოქალაქეების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

2018 წლიდან დაიწყო IoT ინდუსტრიის ზრდა. კომპანია Cisco-ში (აშშ) ირწმუნებიან, რომ 2021 წლისთვის ვიდეოინფორმაცია მთლიანი ინტერნეტ-ტრაფიკის 80% იქნება (2016 წელს 67%-თან შედარებით).

საინფორმაციო ტექნოლოგიები პროდუქტების წარმოების რევოლუციონირებას ახდენს. პროდუქტები, რომლებიც ოდესღაც მხოლოდ მექანიკური და ელექტრონული ნაწილებისგან შედგებოდა, იქცნენ რთულ სისტემებად, რომლებიც თავის თავში აერთიანებენ აპარატურას, სენსორებს, მონაცემთა ბაზას, მიკროპროცესორებს, პროგრამებს და დაკავშირების მრავალ გზას. ამ „ჭკვიანმა, დაკავშირებულმა პროდუქტებმა", რომლებიც წარმოშვა გაზრდილმა ტექნოლოგიურმა სახეცვლილებებმა და მოწყობილებების მინიატურიზაციამ, ქსელის უპირატესობებისა და ყოვლისმომცველი უკაბელო კავშირისგან შექმნეს წარმოებისა და კონკურენციის ახალი ერა.

კონკურენტული სტრატეგიის მახასიათებლები

ეს ახალი ტიპის პროდუქტები ცვლიან დარგის სტრუქტურას და კონკურენციის ბუნებას, აყენებენ კომპანიებს ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების წინაშე. ისინი არღვევენ დარგის საზღვრებს და ქმნიან სრულიად

ახალ დარგებს. ბევრ კომპანიაში ჭკვიანი, დაკავშირებული პროდუქტები წამოჭრიან ფუნდამენტურ კითხვას, „რა სახის საქმიანობას ვახორციელებ?“ ჭკვიანი, დაკავშირებული პროდუქტები წარმოშობს სტრატეგიული არჩევანის ახალ წყებას, რომელიც ეხება იმას, თუ უზარმაზარი რაოდენობის ახალი (და მგრძნობიარე) მონაცემები, რომლებსაც ისინი ამუშავებენ, როგორ უტილიზდება და რეგულირდება, როგორ ხდება ბიზნესპარტნიორებს შორის ურთიერთობების ხასიათის ცვლილება და რა როლი უნდა შეასრულონ კომპანიებმა, როცა გაფართოვდება დარგის საზღვრები.

კომპიუტერული ხედვა

ავტომანქანების ნომრების ამოცნობა, შტრიხკოდების წაკითხვა პროდუქტებზე, სათვალთვალო კამერის ჩანაწერთა ანალიზი, ფოტოებში სახეების ძებნა, რობოტების შექმნა, რომლებიც შეძლებენ მოძებნონ და თავიდან აიცილონ დაბრკოლებები – ეს ყველა ის ამოცანაა, რომელიც კომპიუტერისგან ითხოვს „ხედვისა“ და „ნანახის ინტერპრეტაციის“ შესაძლებლობებს.

მეთოდების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვასწავლოთ მანქანას გამოსახულებიდან ინფორმაციის ამოღება, ეწოდება კომპიუტერული ხედვა. 2013 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიებით შექმნეს კომპიუტერული ხედვის სისტემის პროტოტიპი საგზაო მონაკვეთის ამოცნობის ბრძანებაში. 2016 წელს აშშ-ში შეიქმნა ავტომობილების ავტონომიური მართვის ინტელექტუალური პლატფორმა – ავტომობილების ავტონომიური კონტროლისთვის (C-Pilot), რომლის დაყენება შესაძლებელია მსუბუქ და სხვა ტიპის ავტომობილებზე. 2017 წელს გამოვიდა სისტემის უახლესი ვერსია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საგზაო ნიშნების ამოცნობა.

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, გეგმავენ პირველი ინტელექტუალური სისტემის გაშვებას ევროპისა და სხვა ქვეყნების ბაზარზე, რომელიც საშუალებას აძლევს მანქანას, მთლიანად ავტონომიურად იმოძრაოს.

ნეირონული ქსელები

კომპიუტერული ნეირონული ქსელების მუშაობა შეიძლება შევადაროთ ადამიანის ტვინის მუშაობას. ადამიანი ინფორმაციას აღიქვამს ძალზე დიდი რაოდენობით ნეირონების – ინდივიდუალური უჯრედების (სწორედ მათგან შედგება ტვინი) ურთიერთქმედების საშუალებით. თითოეული ეს უჯრედი თავისთავად გონიერი არ არის, მაგრამ იგი ურთიერთქმედებს ახლომდებარე სხვა ნეირონებთან იმის საფუძველზე, თუ როგორ გარდაქმნიან ისინი შემომავალ სიგნალს გამავალ სიგნალად.

კომპიუტერულ ნეირონულ ქსელში, ინდივიდუალური ნეირონული უჯრედების ნაცვლად, მცირე მათემატიკური ფუნქციებია. თითოეული მათგანი ორიენტირებას აკეთებს გარშემო მყოფ უმრავლესობაზე. მილიონი და მილიარდი მათემატიკური ფუნქცია ერთად მუშაობს და რაც უფრო უკეთესია მათი ნაკრები და კოორდინაცია, მით უფრო ძლიერია (უფრო გონიერია) სისტემა. ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს, ხელი მოვაწეროთ ფოტოებს, მოვახ-

დინოთ გამოსახულების ხელოვნური სინთეზირება, ამოვიცნოთ მეტყველება და ტექსტი და ა.შ. 2012 წლის ივნისში, Google-ის მკვლევართა ჯგუფმა დანერგა ნეირონული ქსელი 1000 კომპიუტერის კლასტერზე. ექსპერიმენტი ერთ-ერთი უდიდესი გახდა ხელოვნური ინტელექტის სფეროში. თავდაპირველად სისტემა შეიქმნა პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. ნეირონული ქსელი პირველად გამოიყენეს მეტყველების ამოცნობის პროგრამაში სიზუსტის გასაუმჯობესებლად, მოგვიანებით დაიწყეს მისი გამოყენება ისეთ პროექტებში, როგორებიცაა ცალკე მითითებული გამოსახულების ძებნისა და დამუშავების პროგრამები, მანქანური სწავლებისთვის ბიბლიოთეკის პროგრამები და ა.შ.

მომავლის პროექტებს შორისაა ელექტრონულ ფოსტაზე ავტომატური რეაგირების სისტემის შექმნა და სამედიცინო დიაგნოზისთვის ნეირონული ქსელების გამოყენება. განხილული ტექნოლოგიები ერთობლივად გამოიყენება. ჩვეულებრივ შეინიშნება ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებული, სისტემური მიდგომა. ტიპური სინერგიის მაგალითია – ქსელთან დაკავშირებისას მანქანები აგროვებენ მონაცემებს მძღოლებისა და მათი ქცევის შესახებ, სად და როგორ გამოიყენება მანქანა, რა პრობლემები წარმოიქმნება, როგორ მოქმედებს მანქანის კომპონენტები და რა გავლენას ახდენს მასზე. შემდეგ, შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, იქმნება სისტემები და მომსახურება – ინფორმაციის ჩვენების სისტემაში ჩასმული ციფრული დრაივერის დამხმარეები. ანალოგიურად, შეიძლება მუშაობდეს ობიექტთა კონტროლის სისტემები (JMS) ავიაციაში, რომლებიც საჭიროებს საწვავის, საპოხი მასალების, აეროდრომის მოვლისა და სხვა სახის აპარატურას. ასეთ სერვისებს შეუძლია აცნობოს სახმელეთო სამსახურებსა და მფრინავებს ძრავის რესურსის დარჩენილი ნაწილის შესახებ, ხოლო ცალკეული განყოფილებებისა და სისტემებისთვის განახორციელოს მუდმივი კონტროლი თვითმფრინავების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სისტემების მდგომარეობაზე.

ციფრიზაციის პოლიტიკის სამართლებრივ-ეკონომიკური ინსტრუმენტები

ამჟამად ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირება ციფრულ გარემოში ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო დოკუმენტების საფუძველზე (G20 ინიციატივა განვითარებისა და თანამშრომლობისთვის ციფრულ ეკონომიკაში 2016, OECDკანკუნის დეკლარაცია 2016 და ა.შ.).

G20 ინიციატივა შემუშავდა, როგორც პასუხი ჩვენი დროის ძირითად გამოწვევებზე, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის ციფრიზაციასთან გლობალურ და ეროვნულ დონეზე. ციფრიზაციის პოლიტიკის აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია 7 სახელმძღვანელო პრინციპი.

ციფრიზაციის პოლიტიკის პრინციპები

ციფრიზაციის პოლიტიკის წარმატებული გატარებისთვის შემუშავებულია 7 სახელმძღვანელო პრინციპი. მათი დაცვა მნიშვნელოვანია ციფრული ეკონომიკის ოპტიმალური მოდელის შესაქმნელად. კერძოდ, ეს პრინციპებია:

ინოვაციურობა;
პარტნიორობა (ძირითადად, G20-ის წევრებს შორის);
სინერგია (გლობალური მიდგომის ჩამოსაყალიბებლად და ცნებებისა და მიდგომების ზედმეტი დუბლირების თავიდან ასაცილებლად);
მოქნილობა;
სხვადასხვა აქტორის მონაწილეობა ციფრული ეკონომიკის მშენებლობისა და განვითარების პროცესებში;
გამჭვირვალე და ღია ბიზნესგარემოს უზრუნველყოფა;
ინფორმაციის თავისუფლად მიმოქცევა, ნდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ინიციატივა მიზნად ისახავს ციფრული ეკონომიკის ინსტრუმენტების გამოყენებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა:
მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების უზრუნველყოფა;
ელექტრონული კომერციის განვითარება; ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ადეკვატური დონის უზრუნველყოფა;
ინვესტიციების მოზიდვა ICT-ის სფეროში და ა.შ.

OECD კანკუნის დეკლარაცია ციფრული ეკონომიკის შესახებ, თავის მხრივ, აღნიშნავს ციფრული ეკონომიკის მშენებლობისა და განვითარების შემდეგ პრინციპებს:
ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევის იდეების შემუშავება;
უფასო ციფრული შემოქმედების და ინოვაციების სტიმულირება;
ციფრული მომსახურების სისტემების განვითარება;
უახლესი ციფრული ტექნოლოგიების, როგორიცაა ნივთების ინტერნეტი, ღრუბლოვანი კომპიუტერი, ციფრულ მონაცემთა ანალიტიკა;
ციფრული რისკების შეფასებისა და შემცირების სისტემების ფორმირება;
შიდა და ტრანსსასაზღვრო ელექტრონული კომერციის ხელშეწყობა;
მოქალაქეთა და ბიზნესისთვის ონლაინპლატფორმების განვითარების სტიმულირება;
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება დასაქმების უზრუნველსაყოფად;
მოქალაქეების ტრენინგი ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების გამოყენებაში.

კანკუნის დეკლარაცია მოუწოდებს OECD-ის წევრ ქვეყნებს, გააქტიურონ ამ სფეროში შემდგომი თანამშრომლობა. ამ პირობებში ქვეყნებმა უნდა გააფართოვონ მათი წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, რათა შეიმუშაონ თავიანთი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ციფრულ გარემოში ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მთავარ პრინციპებსა და მიდგომებს (მათ შორის, გაეროს, UNCTAD[1], UNCITRAL,

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების საკითხებზე; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ორგანო; შეიქმნა 1964 წელს. შტაბ-ბინა იმყოფება ჟენევაში. კონფერენციის მონაწილეა 195 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც. იუნკტადის გადაწყვეტილებები მიიღება რეზოლუციების ფორმით და მათ აქვთ რეკომენდაციული ხასიათი.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, G20-ის ჯგუფის, BRICS-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ევროპის საბჭოს, SCO, EAEU და ა.შ. ორგანიზაციების დოკუმენტებში).

საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტების დებულებების იმპლემენტაცია ქვეყნების სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტებში, ეროვნულ კანონმდებლობასა და წესდებებში უზრუნველყოფს მათ სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვას საინფორმაციო სივრცეში. ხელშეწყობილია აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების მიზნების განხორციელება;

ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ კონკურენტუნარიანობის აქტიური ფორმირება, მათ შორის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმებისა და მარეგულირებელი რეჟიმების „ქვიშის ყუთების“[1] შექმნით, რომლებიც მიმზიდველია ციფრული ტექნოლოგიების, მათ შორის „მარეგულირებელი ქვიშის ყუთების“ განვითარებისათვის.

ამჟამად, თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში ციფრული ეკონომიკის ფორმირებისა და განვითარების ცნებები სხვადასხვაგვარად არის განსაზღვრული. ციფრული ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შემუშავებული ციფრიზაციის პოლიტიკის (რეგულირების პოლიტიკის) ძირითადი საკითხები განისაზღვრება როგორც საკანონმდებლო აქტების დონეზე, ისე კანონდაქვემდებარებულ დონეზე. სტრატეგიული ხასიათის მქონე დოკუმენტებში განისაზღვრება საერთო-სახელმწიფოებრივ და ეროვნულ დონეებზე. ქვეყნების იურისდიქციის კანონმდებლობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავადგინოთ ციფრული ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების ოთხი ძირითადი მოდელი, რომელთაგან თითოეულს საკუთარი განმასხვავებელი ნიშნები აქვს.

ციფრიზაციის პოლიტიკის მოდელები

1. ციფრიზაციის საკანონმდებლო რეგულირების მოდელი (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ყაზახეთის რესპუბლიკა).

ციფრული ეკონომიკის საკანონმდებლო რეგულირების მოდელის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს: სპეციალური კანონის მიღება (მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს კანონი „ციფრული ეკონომიკის შესახებ“ (Digital Economy act of 2017)). აღნიშნული კანონის ძირითადი მიზნები განსაზღვრულია მის სრულ ოფიციალურ სათაურში და მოიცავს:

- რეგულაციების შექმნას ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში;

[1] მარეგულირებელი რეჟიმი კონტროლირებად გარემოში ე.წ. „ქვიშის ყუთში“ (“regulatory sandboxes”) – კომპიუტერული დაცვის მექანიზმი პროგრამების უსაფრთხო შესრულებისთვის. იგი ხშირად გამოიყენება არატესტირებული კოდის გასაშვებად, მაგალითად, ვირუსების **აღ**მოსაჩენად. „ქვიშის ყუთი“ წარმოადგენს ვირტუალიზაციის მაგალითს.

- პორნოგრაფიის ინტერნეტში გავრცელების შეზღუდვას;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რეგულირებას ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში;
- ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის რეგულირებას;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შექმნის რეგულირებას;
- ორიენტაციას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენებაზე მოქალაქეების, ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ (ციფრული მმართველობა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მართვა, განსაზღვრული ინტერნეტკონტენტის გამოყენების შეზღუდვა);
- მოწყობილობასა და პიროვნებას შორის ურთიერთობის რეგულირებას, ან მოწყობილობების საშუალებით მომხმარებლებს შორის ურთიერთქმედებათა რეგულირებას;
- კომუნიკაციების ოფისის (OFCOM) უფლებამოსილების განსაზღვრას ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაციის მიმართ და პირდაპირი მარკეტინგის რეგულირება;

მოცემული კანონის ძირითადი მარეგულირებელი მოთხოვნებია:

- ციფრული მთავრობის კონცეფციის შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოებს შორის ციფრული ინფორმაციის გადაცემის უზრუნველყოფა;
- ასაკობრივი შემოწმების სფეროში ჩარჩო რეგულაციის შექმნა, ინტერნეტში პორნოგრაფიულ მასალებზე არასრულწლოვანთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიზნით;
- აკრძალული ინტერნეტკონტენტის დაბლოკვის უზრუნველყოფა საინფორმაციო ფილტრების დახმარებით;
- პასუხისმგებლობის გაზრდა ბოროტი განზრახვით შესრულებულ სატელეფონო ზარებზე;
- ელექტრონული კომუნიკაციის კოდექსის დებულებათა ოპტიმიზაცია სატელეკომუნიკაციო ანძების მშენებლობის ფუნქციონირების გაუმჯობესების თვალსაზრისით;
- საავტორო უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის გაძლიერება ციფრული ინფრასტრუქტურის გამოყენებით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთა პასუხისმგებლობის გაძლიერება სალიცენზიო წესების დარღვევის სფეროში.

როგორც ზემოთ მოყვანილი კანონიდან ჩანს, მის დებულებებს შეეხო ბრიტანული სამართლის შემდეგი დარგები:

- ადმინისტრაციული სამართალი (სატელეკომუნიკაციო ურთიერთობების ნაწილში, გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საჯარო ინფორმაციის გამჟღავნება და ა.შ.);
- სისხლის სამართალი და საპროცესო სამართალი (პასუხისმგებლობის დადგენისა და გამოძიების თვალსაზრისით);

- სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო სამართალი (ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამოქალაქო საპროცესო მოქმედებების თვალსაზრისით);
- საფინანსო სამართალი (კანონის დებულებების შესრულების ხარჯების თვალსაზრისით).

განვითარებადი ბაზრების მქონე სახელმწიფოებში ციფრიზაციის პოლიტიკის ცალკეული ელემენტები განისაზღვრება როგორც ამჟამინდელ საკანონმდებლო აქტებში (მოლდოვას რესპუბლიკა), ასევე შემუშავებული საკანონმდებლო აქტების პროექტებში (ყაზახეთის რესპუბლიკა).

ყაზახეთის რესპუბლიკაში შემუშავდა ყაზახეთის რესპუბლიკის კანონპროექტის კონცეფცია „ციფრული ტექნოლოგიების რეგულირების შესახებ ყაზახეთის რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. ყაზახეთის კანონმდებლობის გაუმჯობესება მიზნად ისახავს არსებული ნორმების დაზუსტებას და საზოგადოებასთან ურთიერთობის რეგულირებას, რომელიც დაკავშირებულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასა და დანერგვასთან (ბლოკჩეინი, ღია მონაცემები, „ყვითელი გვერდების წესები“ („Yellow Pages Rules“), რობოტიზაცია და უპილოტო მანქანები, ბიომეტრული ავტორიზაცია, კრაუდფანდინგი, დიდი მონაცემები, მარეგულირებელი „ქვიშის ყუთები“, ლიცენზირების ერთიანი პოლიტიკა, ინტერნეტსაგნები, ხელოვნური ინტელექტი).

ყაზახეთის რესპუბლიკაში შემუშავებულია წინადადებები სხვადასხვა სფეროში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის მრავალ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ყაზახეთის რესპუბლიკის 2015 წლის 24 ნოემბრის კანონი „ინფორმატიზაციის შესახებ“ უნდა შეივსოს ისეთი ცნებებით, როგორიცაა „ბლოკჩეინის ტექნოლოგია“, „მაინინგი“, „ჭკვიანი კონტრაქტი“, „დიდ მონაცემთა ტექნოლოგიები“, „განაწილებული ჩანაწერების ერთიანი პლატფორმა“, „კონტროლირებადი სატესტო გარემო“ (მარეგულირებელი „ქვიშის ყუთი“).

ყაზახეთის რესპუბლიკის სამეწარმეო კოდექსის 2015 წლის 29 ოქტომბრის თარიღით შემოთავაზებულია ახალი ცნებების დამატება, მათ შორის „ინდივიდუალური ვენჩურული ინვესტორები“, „საცალო დაფინანსების ორგანიზების საინვესტიციო პლატფორმა (კრაუდფანდინგი[1])“, „პლატფორმის ოპერატორი“, „საინვესტიციო კრაუდფანდინგი (კრაუდინვესტინგი)“, „საქველმოქმედო კრაუდფანდინგი“, „სტარტაპი“. ყაზახეთის რესპუბლიკის 2003 წლის 4 ივლისის კანონი No476-II „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ შემოთავაზებულია „უპილოტო საავტომობილო ტრანსპორტის“ და „უპილოტო საავტომობილო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ ცნებების შეტანა.

---

[1] ადამიანთა (დონორთა) კოლექტიური თანამშრომლობა, რომლებიც ნებაყოფლობით აერთიანებენ თავიანთ ფულს ან სხვა რესურსებს, ჩვეულებრივ ინტერნეტის საშუალებით, სხვა ადამიანების ან ორგანიზაციების (მიმღებების) ძალისხმევის მხარდასაჭერად. ფულის შეგროვება სხვადასხვა მიზანს ემსახურება – სტიქიური უბედურების მსხვერპლთა დახმარება, გულშემატკივრების მხარდაჭერა, პოლიტიკური კამპანიების მხარდაჭერა და სხვ.

ციფრული ტექნოლოგიების სფეროში კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულია წინადადებები რობოტიზაციის სფეროში ტერმინოლოგიის შესახებ, მათ შორის ისეთი ცნებები, როგორიცაა „ჭკვიანი რობოტი“, „კომპანია, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს „ჭკვიან“ რობოტებში“ და „რობოტლანდია“.

მოლდოვას რესპუბლიკაში არსებობს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული განვითარების სფეროში ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას, მათ შორის, 2018 წლის 19 ივლისის კანონი №142 „მონაცემთა გაცვლისა და ურთიერთქმედების შესახებ”, 2016 წლის 17 ნოემბრის კანონი №254 „ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ“, 2016 წლის 21 აპრილის კანონი №77 „საინფორმაციო-ტექნოლოგიური პარკების შესახებ“, 2007 წლის 15 ნოემბრის კანონი №241-XVI „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.

ამავდროულად, მოლდოვას რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, ისევე, როგორც სტრატეგიული ხასიათის მქონე დოკუმენტები, ითვალისწინებს ევროკავშირის პრიორიტეტებს ციფრულ სფეროში და ჰარმონიზებულია ევროკავშირში მიღებულ დოკუმენტებთან.

2. ციფრიზაციის კანონქვემდებარე დონეზე რეგულირების მოდელი (ბელარუსის რესპუბლიკა)

ციფრიზაციის კანონქვემდებარე რეგულირების მოდელი ითვალისწინებს:

- კანონქვემდებარე დონის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტის მიღებას, რომელიც აყალიბებს ციფრული ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების სტრატეგიულ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს (მაგალითად, ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2017 წლის 21 დეკემბრის ბრძანებულება №8 „ციფრული ეკონომიკის განვითარების შესახებ“);
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საქმიანობის სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა;
- საგადასახადო შეღავათებისა და პრეფერენციების მიკუთვნება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დაკავებული ფირმებისთვის;
- ორიენტაცია ადამიანების ურთიერთქმედებაზე უახლესი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ციფრული ეკონომიკის კონცეფციის საზღვრებში.

პოსტსაბჭოთა სივრცის წევრ ქვეყნებში ციფრული ეკონომიკის განვითარების გარკვეული მიდგომები ჩამოყალიბდა პრეზიდენტების ბრძანებულებებისა და განკარგულებების (ბელარუსის რესპუბლიკა, უზბეკეთის რესპუბლიკა) მთავრობის აქტების (ყაზახეთის რესპუბლიკა) დონეზე შინაგანაწესების მიღების გზით. როგორც ვხედავთ, ციფრიზაციის პოლიტიკაში სტრატეგიული და პროგრამული შინაარსის დოკუმენტების მიღების მექანიზმი სჭარბობს.

სახელმწიფო პროგრამა „ციფრული ყაზახეთი“, დამტკიცებული ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 დეკემბრის №827 განკარგულებით, ხაზს უსვამს რიგ ამოცანებს, როგორიცაა: ინდუსტრიისა და ელექ-

ტროენერგიის ციფრიზაცია, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ციფრიზაცია, სოფლის მეურნეობის ციფრიზაცია, ელექტრონული კომერციის განვითარება, საფინანსო ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და უნაღდო ანგარიშსწორება, სახელმწიფო – მოქალაქეებს, სახელმწიფო – ბიზნესს, სახელმწიფო ორგანოების შიდა საქმიანობის ციფრიზაცია და „ჭკვიანი ქალაქები".

ბელარუსის რესპუბლიკაში, მოქმედებს დეკრეტი ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2018 წლის 21 დეკემბრის №8 ბრძანებულება „ციფრული ეკონომიკის განვითარების შესახებ", ბელარუსის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს რეზოლუცია №778. „ბელარუსის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 2018 წლის 31 ოქტომბრის №774 დადგენილება". „ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის 2018-2020 წლების საქმიანობის პროგრამის დამტკიცების შესახებ", ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებულება №31 „ინოვაციური განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ბელარუსის რესპუბლიკაში 2016-2020 წლებისთვის", ბელარუსის ფინანსთა სამინისტროს 2018 წლის 6 მარტის დადგენილება №16 „საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ეროვნული სტანდარტის დამტკიცების შესახებ „ციფრული ნიშნები (ტოკენები)" და ბელარუსის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილებები და დამატებები.

ეკონომიკის ციფრიზაციის სფეროში ბელარუსის რესპუბლიკის პროგრამულ დოკუმენტებში მოცემულია ისეთი ცნებები, როგორიცაა „კრიპტოპლატფორმული ოპერატორი", „ვირტუალური საფულე", „ციფრული ნიშნის (ტოკენის) მფლობელი", „კრიპტოვალუტა", „მაინინგი", „კრიპტოვალუტის გაცვლის ოპერატორი", „ციფრული ნიშნების განთავსება (ტოკენები)", „ტრანსაქციების ბლოკების რეესტრი (ბლოკჩეინი)", „ჭკვიანი კონტრაქტი", „ციფრული ნიშანი (ტოკენი)".

ბელარუსის რესპუბლიკის პროგრამულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია ციფრიზაციის პოლიტიკის შემდეგი მიზნები:

- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მონაწილეებისათვის უპირატესობებისა და შეღავათების მიცემა;
- ზომების მიღება საფინანსო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობების მონაწილეთა სამართლებრივი დაცვის გაზრდის მიზნით;
- პირობების შექმნა ბელარუსის რესპუბლიკის ეკონომიკაში ტრანსაქციების ბლოკების (ბლოკჩეინის) რეესტრის ტექნოლოგიის გამოყენებისთვის. სხვა ტექნოლოგიების დანერგვისთვის, რომლებიც ეფუძნება განაწილების, დეცენტრალიზაციისა და მათი გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების უსაფრთხოების პრინციპებს;
- სახელმწიფო მართვის ეფექტური და გამჭვირვალე სისტემის განვითარება. ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში მოწინავე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა;

- მოქალაქეებს, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაციების გამჭვირვალობის, უსაფრთხოებისა და კომფორტულობის უზრუნველყოფა ამ კომუნიკაციების ელექტრონულ ფორმაში გადაყვანის გზით;
- ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა ელექტრონული მომსახურების მიწოდებისათვის, რომელიც დაფუძნებულია საინფორმაციო სისტემების ინტეგრაციასა და ღია მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფაზე;
